ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის
ინსტიტუტი

პროგრამა «ლოგოსი»

მცირე ახალბერძნულ-ქართული ლექსიკონი

თბილისი
2012

Κρατικό Πανεπιστήμιο της Τιφλίδας Ιβανέ Τζαβαχισβίλι
Ινστιτούτο Κλασικών, Βυζαντινών και Νεοελληνικών Σπουδών

Πρόγραμμα «Λόγος»

ΜΙΚΡΟ ΕΛΛΗΝΟΓΕΩΡΓΙΑΝΟ ΛΕΞΙΚΟ

Τιφλίδα
2012

რედაქტორი:
სოფიო მამანიდი
შემდგენელთა ჯგუფი:
თეა გამრეკელი
თეა გაფრინდაშვილი
ირინე დარჩია
მაკა ქამუშაძე
ანი ჩიქოვანი
გრამატიკული ცხრილები:
სვეტლანა ბერიკაშვილი
გეოგრაფიული სახელები:
მედეა მეტრეველი

Επόπτρια σύνταξης:
Σοφία Σιαμανίδου
Συντακτική ομάδα:
Τέα Γκαμρεκέλι
Τέα Γκαπριντασβίλι
Μάκα Καμουσάτζε
Ειρήνη Ντάρτσια
Άνι Τσικοβάνι
Γραμματικοί πίνακες:
Σβετλάνα Μπερικασβίλι
Γεωγραφικά ονόματα:
Μήδεια Μετρεβέλι

ISBN 978-9941-437-14-4

© პროგრამა „ლოგოსი“, 2012
© Πρόγραμμα «Λόγος», 2012

წინამდებარე გამოცემა დააფინანსა ***საბერძნეთის კოსტას და ელენი ურანისის სახელობის ფონდმა***

Χορηγός έκδοσης: ***Ίδρυμα Κώστα και Ελένης Ουράνη***

შემოკლებები:

αιτ.	*αιτιατική*	ბრალდებითი
άκλ.	*άκλιτος*	არაბრუნებადი
αμετβ.	*αμετάβατο*	გარდაუვალი
αντων.	*αντωνυμία*	ნაცვალსახელი
αποθ.	*αποθετικό*	აპოთეტური (მშნა)
αόρ.	*αόριστος*	აორისტი
απρόσ.	*απρόσωπο*	უპირო
αριθμητ.	*αριθμητικά*	რიცხვითი სახელი
αρσ.	*αρσενικό*	მამრობითი
γεν.	*γενική*	ნათესაობითი
δοτ.	*δοτική*	მიცემითი
ελλειπτ.	*ελλειπτικός*	პირნაკლი
ενεστ.	*ενεστώτας*	აწმყო
ενίκ.	*ενικός*	მხოლობითი
επίθ.	*επίθετο*	ზედსართავი
επίρρ.	*επίρρημα*	მშნიზედა
επιφών.	*επιφώνημα*	შორისდებული
θηλ.	*θηλυκό*	მდედრობითი
μέλλ.	*μέλλοντας*	მომავალი
μετβ.	*μεταβατικό*	გარდამავალი
μεσ.	*μέση διάθεση*	საშუალო გვარი
μόρ.	*μόριο*	ნაწილაკი
μτχ.	*μετοχή*	მიმღეობა
ονομαστ.	*ονομαστική*	სახელობითი
ουδ.	*ουδέτερο*	საშუალო
ουσ.	*ουσιαστικό*	არსებითი სახელი
παθ.	*παθητική*	ვნებითი გვარი
παρατ.	*παρατατικός*	იმპერფექტი
πληθ.	*πληθυντικός*	მრავლობითი
πρόθ.	*πρόθεση*	სუფიქსი
προσ.	*προστακτική*	ბრძანებითი კილო
σύνδ.	*σύνδεσμος*	კავშირი
συντομ.	*συντομογραφία*	შემოკლება
τριτοπρόσ.	*τριτοπρόσωπο*	მესამე პირი

ანატ.	ანატომია	*მოძვ.*	მოძველებული
არქეოლ.	არქეოლოგია	*მუს.*	მუსიკა
არქიტექ.	არქიტექტურა	*მხატ.*	მხატვრობა
ასტროლ.	ასტროლოგია	*პირდ.*	პირდაპირი
ასტრონომ.	ასტრონომია	*ჟარგ.*	ჟარგონი
ბიოლ.	ბიოლოგია	*რელ.*	რელიგია
ბოტ.	ბოტანიკა	*სამხ.*	სამხედრო
ბუხგ.	ბუხგალტერია	*საუბრ.*	სასაუბრო
გადატ.	გადატანითი	*სპორტ.*	სპორტული
გეოგრ.	გეოგრაფია	*ტექ.*	ტექნიკური
გეოლ.	გეოლოგია	*ტექნოლ.*	ტექნოლოგია
გეომ.	გეომეტრია	*ტიპოგრ.*	ტიპოგრაფია
გრამ.	გრამატიკა	*უარყ. მნიშვ.*	უარყოფითი მნიშვნელობის
დამამც.	დამამცირებელი		
დაცინ.	დაცინვითი	*უპირო*	უპირო
დიალექტ.	დიალექტი	*ფარმ.*	ფარმაკოლოგია
დიპლ.	დიპლომატია	*ფიზ.*	ფიზიკა
ეკლ.	საეკლესიო	*ფიზიოლ.*	ფიზიოლოგია
ეკოლ.	ეკოლოგია	*ფილოლ.*	ფილოლოგია
ეკონ.	ეკონომიკა	*ფილოს.*	ფილოსოფია
ელექტრ.	ელექტრონიკა	*ფსიქოლ.*	ფსიქოლოგია
ენათმეც.	ენათმეცნიერება	*ქიმ.*	ქიმია
ზოოლ.	ზოოლოგია	*ხალხ.*	ხალხური
ზღვ.	საზღვაო ტერმინოლოგია	*ხელოვნ.-მც.*	ხელოვნებათმცოდნეობა
თეოლ.	თეოლოგია		
ირონ.	ირონიული		
ისტ.	ისტორია		
იურ.	იურიდიული		
იშვ.	იშვიათი		
კინ.	კინემატოგრაფი		
კიცხ.	კიცხვითი		
კნინ.	კნინობითი		
კომპ.	კომპიუტერული		
კულინ.	კულინარია		
ლექსთწყ.	ლექსთწყობა		
მათ.	მათემატიკა		
მაღალფ.	მაღალფარდოვანი		
მედ.	მედიცინა		
მეტეოროლ.	მეტეოროლოგია		

ანბანი

Α α	άλφα
Β β	βήτα
Γ γ	γάμμα
Δ δ	δέλτα
Ε ε	έψιλον
Ζ ζ	ζήτα
Η η	ήτα
Θ θ	θήτα
Ι ι	γιώτα
Κ κ	κάπα
Λ λ	λάμβδα
Μ μ	μι
Ν ν	νι
Ξ ξ	ξι
Ο ο	όμικρον
Π π	πι
Ρ ο	ρο
Σ σ ς	σίγμα
Τ τ	ταυ
Υ υ	ύψιλον
Φ φ	φι
Χ χ	χι
Ψ ψ	ψι
Ω ω	ωμέγα

Α

Α, α, άλφα 1. ალფა, ბერძნული ანბანის პირველი ასო; 2. რიცხვითი ნიშანი: ა) ერთი, პირველი (*Α΄*), ბ) ათასი (*,Α*).

αβάπτιστος, -η, -ο (αβάφτιστος) მოუნათლავი.

αβάσιμος, -η, -ο უსაფუძვლო: *ο φόβος του αποδείχθηκε ~* მისი შიში უსაფუძვლო აღმოჩნდა.

αβάσκαντο το თილისმა.

αβάσταχτος, -η, -ο (αβάστακτος, αβάσταγος) აუტანელი, გაუსაძლისი: *~ πόνος* გაუსაძლისი ტკივილი.

άβατος, -η, -ο შეუვალი, გაუვალი: *απόκρημνος και ~ τόπος* ციცაბო და გაუვალი ადგილი.

άβαφος, -η, -ο (άβαφτος) 1. შეუღებავი: *~α μαλλιά* შეუღებავი თმა; 2. შეუღებავი, მაკიაჟის გარეშე.

αβγό (αυγό) το კვერცხი: *~ βραστό / κλούβιο / μελάτο* მოხარშული / ლაყე / თოხლო კვერცხი, *~ά μάτια* ჩახლილი ერბო კვერცხი.

αβγοκόβω (αυγοκόβω) (*აόρ. αβγόκοψα, აόρ. παθ. αβγοκόπηκα, μτχ. αβγοκομμένος*) *μετβ.* საჭმლის შეგავება ლიმონის და კვერცხის საწებლით.

αβέβαιος, -η, -ο 1. არამყარი, ცვალებადი, არასაიმედო: *~η εποχή / φιλία* ცვალებადი ეპოქა / არამყარი მეგობრობა; 2. ბუნდოვანი, გაუგებარი, არასარწმუნო; **αβέβαια / αβεβαίως** *επίρρ.* გაურკვეველად, ბუნდოვნად.

αβεβαιότητα η (*πληθ. არ χρησιμ.*) 1. მერყეობა, რწმენის უქონლობა: *αισθάνομαι ~* გაურკვეველ მდგომარეობაში ვარ; 2. ცვალებადობა, მერყეობა, არამდგრადობა: *κατάσταση / περίοδος ~ς* გაურკვეველი მდგომარეობა / ცვალებადობის პერიოდი.

αβίαστα (αβιάστως) *επίρρ.* აუჩქარებლად, აუღელვებლად: *κινούμε / ενεργώ ~* ვმოძრაობ / ვმოქმედებ აუჩქარებლად.

αβίαστος, -η, -ο აუჩქარებელი, აუღელვებელი.

αβλαβής, -ής, -ές (άβλαβος, άβλαπτος) (*γεν. -ούς, πληθ. αρσ. και θηλ.*

-είς, ουδ. -ή) **1.** უენებელი, დაუზიანებელი; **2.** უსაფრთხო, უენებელი, უწყინარი: *~ές φάρμακο* უენებელი წამალი; **αβλαβώς** *επίρρ.* უენებლად; ◊ ***σώος και ~*** საღსალამათი, უენებელი.

αβλεψία η დაუდევარი, მექანიკური შეცდომა: *στο βιβλίο υπάρχουν ~ες και ελλείψεις* წიგნში ბევრი დაუდევარი შეცდომა და ხარვეზია; ◊ *εξ ~ς / από ~* შეცდომით, დაუდევრობის გამო.

αβοήθητος, -η, -ο მხარდაჭერის, დახმარების გარეშე: *έμεινε μόνος και ~* მარტო და მხარდაჭერის გარეშე დარჩა.

αβοκάντο το *άκλ., βოტ.* ავოკადო.

άβολος, -η, -ο 1. მოუხერხებელი: *~ο παπούτσι / ωράριο* მოუხერხებელი ფეხსაცმელი / სამუშაო განრიგი; **2.** ჯიუტი, რთული ხასიათის; **άβολα** *επίρρ.* უხერხულად, მოუხერხებლად.

αβουλησία η (*πληθ. არ გააჩნია*) სურვილის უქონლობა.

άβουλος, -η, -ο 1. უნებისყოფო, სუსტი ხასიათის: *~ χαρακτήρας* უნებისყოფო ხასიათი; **2.** გაუბედავი.

άβραστος, -η, -ο მოუხარშავი.

άβυσσος η **1.** *Ποίρდ., გადატ.* მორევი: *η ~ των αισθημάτων* გრძნობათა მორევი; **2.** უფსკრული; ◊ ***στο χείλος της ~ου*** უფსკრულის პირას.

αγαθιάρης ο (*πληθ. -ηδες*), **-α** η (*γεν. πληθ. არ გააჩნია*) გულუბრყვილო, ჩერჩეტი, მიამიტი.

αγαθό το **1.** *Ποίρდ., გადატ.* სიკეთე; **2.** კეთილდღეობა: *το τηλέφωνο είναι ένα ~ του σύγχρονου πολιτισμού* ტელეფონი თანამედროვე კულტურის კეთილდღეობაა; **3.** პროდუქტი: *στα ράφια υπάρχουν όλων των ειδών τα ~ά* თაროებზე ყველანაირი სახის პროდუქტია; **4.** (τα) ა) ქონება, ავლადიდება, დოვლათი: *έχει όλα τα ~ά του κόσμου* ქვეყნის ავლადიდება აქვს, ბ) მონაპოვარი: *ο σύγχρονος άνθρωπος απολαμβάνει τα ~ά της τεχνολογίας* თანამედროვე ადამიანი ტექნოლოგიის მონაპოვარით ტკბება.

αγαθός, -ή, -ό 1. კეთილი, გულკეთილი, უწყინარი: *~ή διάθεση / καρδιά* კეთილი განწყობა / გული; **2.** *უარყ. მნიშვ.* გულუბრყვილო, ჩერჩეტი, მიამიტი: *λίγο ~, αλά κατά βάθος δεν είναι ανόητος* ცოტა გულუბრყვილოა, მაგრამ სულელი არ არის.

άγαλμα το *Ποίρდ., გადატ.* ძეგლი, ქანდაკება.

αγαλματένιος, -α, -ο (αγαλμάτινος) 1. ქანდაკებასაეით, ქანდაკების ფორმის; **2.** *გადატ.* მშვენიერი, საოცარი, ჰარმონიული: *~ο σώμα* მშვენიერი სხეული.

αγαλματοποιός ο/η მოქანდაკე.

αγαμία η **1.** დაუქორწინებლობა: *~ του κλήρου* სამღვდელოების დაუქორწინებლობა; **2.** *ეკლ.* სქესობრივი ურთიერთობის უქონლობა.

άγαμος, -η, -ο დაუქორწინებელი.

αγανάκτηση (αγανάχτηση) η (*πληθ. არ გააჩნია*) აღშფოთება, გულისწყრომა, გაბრაზება.

αγανακτώ (αγαναχτώ) (ε) (*αόρ. αγανάκτησα, μτχ. αγανακτισμένος*) *αμετβ.* აღშფოთება, გულისწყრომა, გაბრაზება.

αγάπη η (*γεν. πληθ. არ გააჩნია*) **1.** სიყვარული: *απέραντη / γνήσια / αμοιβαία ~* უსაზღვრო / ჭეშმარიტი / ორმხრივი სიყვარული; **2.** საყვარელი, ძვირფასი ადამიანი: *η ~ μου έρχεται αύριο* ჩემი სიყვარული ხვალ ჩამოდის.

εξαιρετική αυτή η παράσταση, μας άγγιξε όλους ამ არაჩვეულებრივმა სპექტაკლმა ყველა აგვაღელვა; **4.** შეხება: *ο ομιλητής άγγιξε το θέμα από μιαν άλλη πλευρά* მომხსენებელი საკითხის მეორე მხარეს შეეხო; ◊ *~ (κάποιον) στην καρδιά / την καρδιά (κάποιου)* გულს ვუჩუყებ, *~ τις ευαίσθητες χορδές (κάποιου)* სუსტ წერტილს მოვუნახავ (ვინმეს).

Άγγλος ο, **Αγγλίδα** η ინგლისელი.

αγγλικός, -ή, -ό ინგლისური.

αγγλικανός ο, **-ή** η ანგლიკანური ეკლესიის მრევლი.

αγγλόφωνος, -η, -ο ინგლისურენოვანი.

αγγούρι το კიტრი.

αγγουροντομάτα η (*γεν. πληθ. άρ χωρίς άναφορά*) კიტრის და პომიდვრის სალათა.

αγελάδα (γελάδα) η **1.** ძროხა; **2.** *χαϊδ., φαιν.* მსუქანი ქალი.

αγελαδινός, -ή, -ό (γελαδινός, αγελαδήσιος) ძროხის: *~ό γάλα* ძროხის რძე.

αγέλη η **1.** ხროვა, ნახირი, ფარა: *~ λύκων* მგლების ხროვა; **2.** *χαϊδ., φαμάδ.* ხროვა, ნახირი (იგულისხმება ხალხის მასა): *~ οπαδών* გულშემატკივართა ხროვა.

αγένεια η (*γεν. πληθ. άρ χωρίς άναφορά*) უზრდელობა, უტაქტობა: *είναι ~ να κάνει τόσο προσωπικές ερωτήσεις* ასეთი პირადული შეკითხვების დასმა უტაქტობაა.

αγενής, -ής, -ές (*γεν. -ούς, πληθ. αρσ. και θηλ. -είς, ουδ. -ή*) უზრდელი, უტაქტო, უხეში; **αγενώς** *επίρρ.* უზრდელურად, უტაქტოდ, უხეშად.

αγέραστος, -η, -ο 1. უბერებელი: *~η ομορφιά* უბერებელი სილამაზე; **2.** *μτφ.* მარადიული, უცვლელი: *~η φιλία* მარადიული მეგობრობა.

αγέρωχος, -η, -ο ქედმაღლური, მედიდური, გულზვიადი: *~η συμπεριφορά* ქედმაღლური საქციელი; **αγέρωχα** *επίρρ.* ქედმაღლურად, მედიდურად.

αγεφύρωτος, -η, -ο 1. უხიდო; **2.** *μτφ.* დაუძლეველი, მოურეველი, გადაულახავი: *~η διαφορά / διαφονία* დაუძლეველი კონფლიქტი / უთანხმოება; ◊ *(μας χωρίζει) ~ο χάσμα* ჩვენს შორის უფსკრულია.

άγια *επίρρ.* წმინდანივით.

αγιάζω (*αόρ. αγίασα, αόρ. παθ. αγιάστ(θ)ηκα, μτχ. αγιασμένος*) *μετβ., λειτ.* **1.** კურთხევა: *~ τα νερά την ημέρα των Φώτων* ნათლისღებაზე წყალს ვაკურთხებ; *αμετβ.* **2.** წმინდანად შერაცხვა; **3.** ცოლების შენლობა, მიტევება; ◊ *ο σκοπός ~ει τα μέσα* მიზეზი შედეგს ამართლებს, *ηγιασμένος άρτος και οίνος* ნაკურთხი პური და ღვინო (წმინდა ზიარებისას).

αγίασμα το აიაზმა, ნაკურთხი წყალი.

αγιασμός ο **(άγιασμα** το**) 1.** კურთხევა: *ο ~ της εικόνας* ხატის კურთხევა; **2.** აიაზმა, ნაკურთხი წყალი.

αγιάτρευτος, -η, -ο 1. უკურნებელი, მოურჩენელი: *~η ασθένεια / πληγή* უკურნებელი სენი / მოურჩენელი ჭრილობა; **2.** *μτφ.* გამოუსწორებელი: *~ο σφάλμα* გამოუსწორებელი შეცდომა.

αγίνωτος, -η, -ο 1. დაუმწიფებელი, მკვახე: *τα φρούτα είναι ακόμα ~α* ხილი ჯერ კიდევ დაუმწიფებელია; **2.** დაუდულებელი: *~ο κρασί* დაუდულებელი ღვინო; **3.** დაუსრულებელი.

αγιοβασιλιάτικος, -η, -ο საახალწლო: *~η πίτα* საახალწლო ღვეზელი.

αγιογδύτης ο, **-ισσα** η **1.** მკრეხელი, მწვალებელი; **2.** *μτφ.* სპეკულანტი.

αγιογραφία η 1. ფრესკული მხატვრობა, ხატწერა; 2. ხატი.

αγιογράφος ο/η ხატმწერი.

αγιογραφώ (ε) (*αόρ. αγιογράφησα, αόρ. παθ. αγιογραφήθηκα, μτχ. αγιογραφημένος*) *μετβ.* 1. ხატწერა; 2. ფრესკების მოხატვა.

άγιος, -ία, -ο 1. წმინდა: *~ ο Θεός, ~ ισχυρός, ~ αθάνατος ελέησον ημάς* წმინდაო ღმერთო, წმინდაო ძლიერო, წმინდაო უკვდავო შეგვიწყალე ჩვენ; 2. ღვთისმოსაცი, მაღალი მზნეობის: *~ άνθρωπος!* ღვთისმოსავი ადამიანი! 3. *რელ.* წმინდანი; ◊ *η ~α Τράπεζα* საკურთხეველი, *~α χώματα* წმინდა მიწა, *Ά~α Νύχτα* ქრისტეშობის ღამე, *Α~α Γραφή* საღვთო წერილი, *Ά~ Τάφος* წმინდა საფლავი, *Ά~οι Τόποι* წმინდა ადგილები, *τα Ά~α των Α~ων* წმიდათაწმიდა, *παριστάνω / κάνω τον ~ο / την ~ία* თავი წმინდანად მომაქვს.

αγιοσύνη η (*πληθ. არ გააჩნია*) 1. სიწმინდე, წმინდანობა; 2. უწმინდესობა.

αγιότητα η (*πληθ. არ გააჩნია*) 1. სიწმინდე, წმინდანობა; 2. უწმინდესობა: *θα παρακαλέσω την ~ σας...* თქვენო უწმინდესობავ, მინდა გთხოვოთ...

αγκάθι το 1. ეკალი, ხიწვი; 2. ეკლიანი, ხიწვიანი მცენარე; 3. ბასრი წვერი (რაიმე საგნის); 4. ნესტარი; 5. ფხა; 6. *გადატ.* დაბრკოლება, ხელის შემშლელი გარემოება: *η ζήλια ήταν ~ στις σχέσεις τους* ეჭვიანობა მათ ურთიერთობას აბრკოლებდა; ◊ *κάθομαι στ' ~α* ნემსებზე ვზივარ, *ξυπόλυτος στ' ~α* ცეცხლთან თამაში.

αγκαλιά η 1. მკლავები: *το μωρό κοιμήθηκε στην ~ της μητέρας* ჩვილმა დედის მკლავებში დაიძინა; 2. ერთი აღება, ერთი იღლია: *μια ~ λουλούδια / βιβλία* ერთი იღლია ყვავილები / წიგნები; 3. ჩახუტება, ხელების მოხვევა; **αγκαλιά** *επίρρ.* ხელიხელ გადახვეული, ჩახუტებული: *κοιμούνται ~* ჩახუტებულებს ძინავთ.

αγκαλιάζω (*αόρ. αγκάλιασα, αόρ. παθ. αγκαλιάστηκα, μτχ. αγκαλιασμένος*) *μετβ.* 1. მოხვევა, გულში ჩაკვრა, ჩახუტება: *αγκάλιασε τον αδελφό της* ძმა გულში ჩაიკრა; 2. მოცვა (მოიცავს): *η έρευνά του ~ει ένα ευρύ φάσμα πολιτισμών* მისი გამოკვლევა კულტურათა ფართო სპექტრს მოიცავს.

αγκάλιασμα το მოხვევა, გულში ჩაკვრა, ჩახუტება.

αγκινάρα η *ბოტ.* არტიშოკი (მცენარე და ნაყოფი).

αγκίστρι το ანკესი, ნემსკავი.

άγκιστρο το 1. კავი, კაკვი, კაუჭი; 2. *მათ.* მოკაუჭებული ფრჩხილები, {}.

αγκιστροειδής, -ής, -ές (*γεν. -ούς, πληθ. αρσ. და θηλ. -είς, ουδ. -ή*) კაკვისებრი, მოკაკული, მოკაუჭებული.

αγκιστρώνω (*αόρ. αγκίστρωσα, αόρ. παθ. αγκιστρώθηκα, μτχ. αγκιστρωμένος*) *μετβ.* 1. ანკესით თევზაობა; 2. კაუჭზე, ბარებე გამობმა, ჩამოკიდება; **-ομαι** *გადატ.* დამოკიდებული ყოფნა (ემოციურად): *η κόρη σου έχει αγκιστρωθεί πάνω σου* შენი ქალიშვილი უშენოდ ვერ ძლებს.

αγκομαχητό (αγκομάχημα) το 1. ქოშინი; 2. მომაკვდავის ხრიალი: *το ~ του θανάτου* მომაკვდავის ხრიალი; 3. *გადატ.* ოხერა, კვნესა, ქოშინი: *το ~ της θάλασσας / της μηχανής* ზღვის კვნესა / მექანიზმის ოხერა.

αγκράφα η ბალთა.

αγκύλη η 1. იდაყვის ან მუხლის ნაკეცი; 2. (οι) *ტიპოგრ.* ფრჩხილები: *τετράγωνες ~ες* ოთხკუთხედი ფრჩხი-

ლები, [ ], *αγκιστροειδείς ~ες* მოკაუჭებული ფრჩხილები, {}; 3. *გადატ.* მარყუჟი, ყუფარა (ბაგირის ბოლოში).

άγκυρα η 1. *მღვ.* ღუზა; 2. *გადატ.* თავშესაფარი; ◊ *ρίχνω ~* ღუზის ჩაშვება, *σηκώνω ~ / βίρα της ~ες* ღუზის ამშვება.

αγκυροβόλημα το (**αγκυροβόληση, αγκυροβολία** η) ღუზის ჩაშვება.

αγκυροβολώ (ε) (*აόρ. αγκυροβόλησα, μτχ. αγκυροβολημένος*) *αμετβ.* 1. ნავმისადგომზე გემის გაჩერება, რეიდზე დადგომა; 2. *გადატ.* დაფუძნება, დასახლება: *σταμάτησε τα ταξίδια και αγκυροβόλησε για πάντα στο νησί του* მოგზაურობა შეწყიტა და თავის სოფელში სამუდამოდ დასახლდა; ◊ *αγκυροβολημένη νάρκη* წყალქვეშა ნაღმი.

αγκώνας ο 1. იდაყვი; 2. *გადატ.* ნაკეცი, კლაკნი, ხვეული.

αγναντεύω (*აόρ. αγνάντεψα*) *μετβ.* შორიდან ცქერა: *απ' την κορυφή ~ το πέλαγος* მთის წვერიდან ზღვას გაჰცქერი.

άγνοια η (*πληθ. არ გააჩნია*) 1. უცოდინარობა, არცოდნა; 2. *სამხ.* ჯარისკაცის ჯარიდან თვითნებური წასვლა; ◊ *εν ~ μου* ჩემს უცოდინრად.

αγνοούμενος ο, **-η** η უგზო-უკვლოდ დაკარგული: *δύο ~οι από το ναυτικό ατύχημα* საბჭოთა უბედური შემთხვევისას უგზო-უკვლოდ დაკარგული ორი ადამიანი.

αγνός, -ή, -ό 1. შეუბღალავი, სპეტაკი, უმანკო: *~ή ψυχή* სპეტაკი სული; 2. ქალწული; 3. წესიერი, პატიოსანი, ერთგული (შეუღლე); 4. ნატურალური, მინარევების გარეშე: *~ό κρασί* ნატურალური ღვინო.

αγνότητα η (*πληθ. არ γααჩნია*) 1. *ჰირდ., გადატ.* უწყინარობა, უვნებელობა, უბოროტობა: *η ~ του χαρακτήρα / των προθέσεων* უწყინარი ხასიათი / უბოროტო განზრახვები; 2. უბიწოება, უმანკოება, პატიოსნება; 3. ნატურალურობა: *την ~ των προϊόντων μας εγγυάται η καλή ποιότητα των υλικών μας* ჩვენი ნედლეულის კარგი ხარისხი ჩვენი პროდუქციის ნატურალურობის გარანტია.

αγνοώ (ε) (*აόρ. αγνόησα, აόρ. παθ. αγνοήθηκα, μτχ. αγνοημένος*) *μετβ.* 1. არცოდნა: *~ παντελώς αυτά τα στοιχεία* საერთოდ არაფერი ვიცი ამ მონაცემების შესახებ; 2. *გადატ.* იგნორირება, არაფრად ჩაგდება: *του μιλούσα κι αυτός με αγνοούσε* მე ველაპარაკებოდი, ის კი იგნორირებას მიკეთებდა; **-ούμαι** უგზო-უკვლოდ დაკარგვა, გაუჩინარება: *~είται από τη Δευτέρα το βράδυ* ორშაბათი საღამოს მერე აღარავის უნახავს; ◊ *~είται η τύχη (κάποιου)* ბედი უცნობია (ვიღაცის).

αγνώμονας ο/η უმადური, დაუნახავი.

άγνωμος, -η, -ο 1. ის, ვისაც საკუთარი აზრი არ გააჩნია; 2. უგუნური, დაუფიქრებელი, არაკეთილგონიერული.

αγνώριστος, -η, -ο *იშვ.* ძნელად საცნობი, ვერსაცნობი.

αγνωσία η (*πληθ. არ γααჩნია*) 1. *იშვ.* უმეცრება, უცოდინარობა; 2. *ფილოს.* შეუცნობადობა; 3. *მედ.* აგნოზია.

άγνωστος, -η, -ο 1. უცხო, უცნობი: *βρέθηκε σε ~ο περιβάλλον* უცხო გარემოში მოხვდა; 2. (ο/η) უცნობი: *τη συνόδευε ένας ~* მას ვიღაც უცნობი

ახლდა; 3. *მათ.* უცნობი (X); ◊ *Α~ Στρατιώτης* უცნობი ჯარისკაცი.

αγονία η (*πληθ. არ გააჩნია*) 1. უშვილობა; 2. უნაყოფობა.

άγονος, -η, -ο 1. უნაყოფო, არანოყიერი: *~η γη* უნაყოფო მიწა; 2. *გადატ.* უნაყოფო, ამაო, ფუჭი, უშედეგო: *~η συζήτηση, δεν οδηγεί πουθενά* არაფრის მომცემი, ამაო საუბარი; 3. უშვილო.

αγορά η 1. ყიდვა, შესყიდვა: *λειανική / χονδρική ~* საცალო / საბითუმო შესყიდვა; 2. საჯარო ცენტრი; 3. *ეკონ.* ბირჟა; 4. ბაზარი; 5. აგორა (ძველ საბერძნეთში); ◊ *~ αξιών* ფასიანი ქაღალდების ყიდვა, *ελεύθερη ~* თავისუფალი ბაზარი, *λαϊκή ~* ბაზრობა, *τιμή ~ς* საბაზრო ფასი, *~ εργασίας* დასაქმების (შრომის) ბირჟა, *μαύρη ~* შავი ბაზარი.

αγοράζω (*აόр. αγόρασα, აόр. παθ. αγοράστηκα, მτχ. αγορασμένος*) *მეტβ.* ყიდვა, შესყიდვა.

αγοραίος, -α, -ο 1. ბაზრის, საბაზრო, ბაზრული: *~α αξία / τιμή* საბაზრო ღირებულება / საბაზრო ფასი; 2. ვულგარული, ქუჩური: *επέδειξε ~α συμπεριφορά* ვულგარულად მოიქცა.

αγοραπωλησία η ყიდვა-გაყიდვა, აღებ-მიცემა.

αγοραστής ο, **-τρια** η მუშტარი, მყიდველი.

αγόρευση η სიტყვით გამოსვლა, მოხსენება (საჯაროდ): *η ~ του εισαγγελέα* პროკურორის სიტყვით გამოსვლა.

αγορεύω (*აόр. αγόρευσα*) *αμετβ.* 1. სიტყვით გამოსვლა, მოხსენება (საჯაროდ); 2. *ირონ.* ორატორობა, მჭევრმეტყველება.

αγόρι (αγώρι) το 1. ბიჭი, ვაჟიშვილი, ხალგაზრდა ყმაწვილი; 3. მეგობრული დამოკიდებულების აღმნიშვნელი მიმართვა (ახალგაზრდა მამაკაცისადმი): *τι είπες, ~ μου;* რა მითხარი, გენაცვალე?

αγορίστικος, -η, -ο *იხ.* **αγωρίστικος**.

αγοροκόριτσο το *იხ.* **αγωροκόριτσο**.

αγουροξυπνημένος, -η, -ο ადრე გაღვიძებული, ახალგაღვიძებული.

άγουρος, -η, -ο 1. მკვახე, მოუმწიფებელი, მოუწევარი; 2. *გადატ.* მოუმწიფებელი (ფიზიკურად, გონებრივად).

αγράμματος, -η, -ο 1. წერა-კითხვის უცოდინარი, გაუნათლებელი, უვიცი; 2. *გადატ.* გამოუცდელი: *την έπαθα σαν ~* გამოუცდელივით დამემართა.

αγραμματοσύνη η უწიგნურობა.

άγραφος, -η, -ο (άγραπτος, άγραφτος) 1. დაუწერელი; 2. არარეგისტრირებული; 3. სუფთა, დაუწერელი: *~ πίνακας* სუფთა დაფა.

αγριάδα η 1. სისასტიკე, ულმობელობა, მძვინვარება, მრისხანება: *το πρόσωπό του είχε μια ~!* მრისხანე სახე ჰქონდა; 2. გაუვალი ადგილი.

αγριάνθρωπος ο *პირდ., გადატ.* ველური, უხეში ადამიანი.

αγριελιά η ველური ზეთისხილის ხე.

αγριεύω (*აόр. αγρίεψα, აόр. παθ. αγριεύτηκα, მτχ. αγριεμένος*) *αμετβ. μετβ.* 1. გაგულისება, გახელება, გაბრაზება; 2. *გადატ.* გაავდრება: *ο καιρός όσο πάει κι ~ει* ამინდი უფრო და უფრო ფუჭდება; 3. გაუარესება: *τα πράγματα ~ουν* საქმე უარესად არის; **-ομαι** შეშინება, შიში: *αγριεύτηκε (αγρίεψε) καθώς περπατούσε μόνη της στο σκοτάδι* სიბნელეში მარტო მიდიოდა და შეეშინდა.

αγρίμι το 1. ნადირი, მხეცი; 2. ნანადირევი; 3. *გადატ.* პირქუში, კუშტი, მიუკარებელი, უკარება (ადამიანი).

αγριολούλουδο το მინდვრის ყვავილი.

άγριος, -α, -ο 1. ველური, გარეული: *~α ζώα / θηρία* გარეული ცხოველები / მხეცები; 2. მიყრუებული, ყრუ, უდაბური: *~ τόπος* ყრუ ადგილი; 3. ველური, პირველყოფილი: *~ες φύλες* ველური ტომები; *გადატ.* 4. მრისხანე, ბობოქარი: *~ πολεμιστής* მრისხანე მებრძოლი.

αγριότητα η 1. ველურობა, სიველურე; 2. სისასტიკე, არაადამიანურობა.

αγριοφωνάρα η უხეში ხმა.

αγροικία η სოფლის სახლი, აგარაკი.

αγροίκος ο გაუთლელი, ხეპრე.

αγρόκτημα το ფერმა, გლეხის კარმიდამო.

αγρολήπτης ο მოჯარე.

αγρονόμος ο აგრონომი.

αγρός ο ყანა.

αγρότης ο, **-ισσα** η მიწათმოქმედი.

αγροτιά η (*πληθ. არ გააჩნია*) 1. გლეხკაცობა; 2. მუშათა კლასი: *φτωχή ~* ღარიბი მუშათა კლასი.

αγροτικός, -ή, -ό 1. გლეხისა, გლეხური, სოფლის; 2. სოფლის მეურნეობის, სასოფლო-სამეურნეო, აგრარული.

αγρυπνία (αγρύπνια) η 1. უძილობა; 2. *ეკლ.* ღამისთევის ლოცვა.

άγρυπνος ο 1. უძინარი, გამოუძინებელი; 2. *გადატ.* ფხიზელი: *~οι φρουροί των συνόρων* ფხიზელი მესაზღვრეები.

αγρυπνώ (ε/α) (*აόρ. αγρύπνησα*) *ამეტ.* ფხიზლად ყოფნა, უძილობა.

αγύμναστος, -η, -ο გაუვარჯიშებელი, გაუწვრთნელი: *~ο σώμα* უვარჯიშებელი ტანი.

αγύριστος, -η, -ο 1. დაუბრუნებელი; 2. (ο) ჯადესი: *να πας στον ~ο* შენ წადი მოუსელელში! ◊ *δανεικά και ~α* დაუბრუნებელი სესხი.

αγύρτης ο, **-ισσα** η 1. გაიძვერა, ყალთაბანდი, თაღლითი, მატყუარა; 2. ადამიანი, რომელსაც თავი ექიმად მოაქვს.

αγχολυτικός, -ή, -ό დამამშვიდებელი (წამალი).

άγχομαι (*მხოლოდ ενεστ.*) *απόθ., αμετβ.* დარდი, შფოთვა, ღელვა.

αγχόνη η 1. მარყუჟი, ყულფი; 2. სახრჩობელა; 3. ჩამოხრჩობა: *σε περιμένει η ~* ჩამოხრჩობა გელის.

άγχος το შფოთვა, ღელვა.

αγχώδης, -ης, -ες (*γεν. -ους, πληθ. αρσ.* და *θηλ. -εις, ουδ. -η*) 1. შფოთვის, მოუსვენრობის: *~ νεύρωση* დარდისგან, მღელვარებისგან გამოწვეული ნევროზი; 2. მშფოთვარე, ნერვიული, დეპრესიული: *~ τύπος* ნერვიული ტიპი.

αγχώνω (*აόρ. άγχωσα, აόρ. παθ. αγχώθηκα, μτχ. αγχωμένος*) *μετβ.* აღელვება, განერვიულება, შემფოთება, დადარდიანება: *μην με ~εις!* ნუ მანერვიულებ! **-ομαι** დარდი, შფოთვა, ღელვა, მოუსვენრობა: *άκουσα το πρόγραμμα των εξετάσεων και αγχώθηκα* გამოცდების პროგრამა რომ მოვისმინე, ავღელდი.

αγχωτικός, -ή, -ό გამაღიზიანებელი, ნერვების მომშლელი: *δεν μπορείς να δουλέψεις μαζί του, είναι ~ τύπος* მასთან ვერ იმუშავებ, გამაღიზიანებელი ტიპია.

αγωγή η 1. აღზრდა; 2. განათლება: *κλασική ~* კლასიკური განათლება; 3. *მედ.* მკურნალობის კურსი: *ειδική ~*

მკურნალობის სპეციალური კურსი; **4.** *ი.ურ.* სასამართლოში სარჩელის შეტანა, სასამართლოში ჩივილი: *εγείρω / υποβάλλω / κάνω* ~ საქმეს აღეძრავ, *ανάκληση / απόρριψη* ~ς სარჩელის გამოტანა; ◊ ***φυσική / σωματική*** ~ ფიზკულტურა, ***πολιτική*** ~ ბრალმდებელი მხარე.

αγώγιμος, -η, -ο 1. ადვილად გადასაზიდი: ~*ο φορτίο* ადვილად გადასაზიდი ტვირთი; **2.** *ფიზ.* გამტარი: ~*α σώματα* გამტარი სხეულები (თბოგამტარი, ელექტროგამტარი); **3.** *ი.ურ.* ის, რაც სასამართლოში გასაჩივრებას ექვემდებარება.

αγωγιμότητα η *ფიზ.* გამტარობა: *ηλεκτρική / θερμική* ~ ელექტროგამტარობა / თბოგამტარობა.

αγωγός ο 1. მილი, მილსადენი, მილგაყვანილობა: *ο* ~ *αποχέτευσης* კანალიზაციის მილი; **2.** სადენი: ~ *εξαερισμού* საევენტილაციო სადენი; **3.** *ფიზ.* გამტარი.

αγώνας ο 1. *ქრონ., გადატ.* ბრძოლა: *ηρωικός / άνισος* ~ გმირული / არათანაბარი ბრძოლა, ~ *για την ελευθερία* თავისუფლებისათვის ბრძოლა; **2. (Α~)** 1821 წლის აჯანყება; **3.** შეჯიბრება, ასპარეზობა: ~ *στίβου* ასპარეზობა მძლეოსნობაში; **4.** თამაში, მატჩი: *φιλικός / προκριματικός* ~ ამხანაგური / შესარჩევი თამაში; **5.** (οι) თამაშები, შეჯიბრებანი: *Ολυμπιακοί ~ες* ოლიმპიური თამაშები.

αγωνία η **1.** მღელვარება, ნერვიულობა, შფოთვა; **2.** მოუთმენლობა, მოუსვენრად ლოდინი: *έχω μεγάλη* ~ *για τα αποτελέσματα των εξετάσεων* მოუთმენლად ველი გამოცდების შედეგებს; ◊ ***επιθανάτια*** ~ სიკვდილისწინა აგონია.

αγωνίζομαι (*აόρ. αγωνίστηκα, μτχ. -είς, -είσα, -έν*) **1.** ბრძოლა; **2.** შეჯიბრება.

αγώνισμα το სპორტის სახეობა.

αγωνιστής ο, -τρια η **1.** *ქრონ., გადატ.* მებრძოლი, მეომარი: ~ *κατά της δικτατορίας* დიქტატურის წინააღმდეგ მებრძოლი; **2.** ქომაგი, დამცველი: ~ *της αλήθειας και του δικαίου* ჭეშმარიტებისა და სამართლის დამცველი.

αγωνιστικός, -ή, -ό 1. საბრძოლო, საომარი, ბრძოლისა: ~*ό πνεύμα* საბრძოლო სულისკვეთება; **2.** სპორტული: ~*ό αυτοκίνητο* სპორტული ავტომანქანა; **3.** (η) შეჯიბრის დღე: *στην πρώτη ~ή υπάρχουν δύο ντέρμπι* შეჯიბრის პირველ დღეს ორი დერბი შედგება.

αγωνιστικότητα η (*πληθ. არ გააჩნია*) საბრძოლო სულისკვეთება.

αγωνιώ (α) (*მხოლოდ ενεστ. და παρατ.*) *ამეტყ.* ღელვა, შფოთვა, ნერვიულობა.

αγωνιώδης, -ης, -ες (*γεν. -ους, πληθ. αρσ. და θηλ. -εις, ουδ. -η*) მღელვარებით სავსე, შფოთიანი, მოუსვენარი.

αγώρι το *იხ.* **αγόρι.**

αγωρίστικος, -η, -ο (αγορίστικος) ყმაწვილური, ბიჭური.

αγωροκόριτσο το მოუსვენარი გოგონა, ბიჭური ქცევებით.

αδάκρυτος, -η, -ο (αδάκρυστος) 1. უცრემლო; **2.** დაუტირებელი, გამოუტყლოვებელი: *έφυγε απ' τη ζωή* ~ დაუტირებელი წავიდა ამ ქვეყნიდან.

αδάμαντας ο *იხ.* **διαμάντι.**

αδαμάντινος, -η, -ο ბრილიანტის.

αδάμαστος, -η, -ο 1. მოუთვინიერებელი, ველური: ~*ο άλογο* მოუთვინიერებელი ცხენი; **2.** დაუმორჩი-

ლებელი, დაუცხრომელი, უდრეკი: *~η θέληση* დაუცხრომელი სურვილი.

αδαμιαίος, -α, -ο ადამის; ◊ *~α περιβολή* დედიშობილა, ტიტლიკანა.

αδάπανος, -η, -ο უხარჯო, გასავალის, ხარჯის გარეშე; **αδαπάνως** *επίρρ.* უხარჯოდ.

αδασμολόγητος, -η, -ο დაუბეგრავი.

άδεια η **1.** ნებართვა, თანხმობა: *δόθηκε ~ για την προσγείωση του αεροπλάνου* თვითმფრინავის დასაჯდომად ნებართვა გაიცა; **2.** უფლება, ნებართვა (საბუთის, მოწმობის სახით): *~ γάμου / οδηγήσεως / παραμονής* ქორწინების / მანქანის ტარების / ქვეყანაში დარჩენის ნებართვა; **3.** შვებულება: *~ άνευ αποδοχών* უხელფასო შვებულება; ◊ *με την ~ σας* თქვენი ნებართვით, *~ κυήσεως και λοχείας* დეკრეტული შვებულება, *αναρρωτική ~* ბიულეტენი, *εκπαιδευτική ~* საკვალიფიკაციო შვებულება.

αδειάζω (*აór. άδειασα, აór. παθ. αδειάστηκα, μτχ. αδειασμένος*) *μετβ.* დაცლა, დაცარიელება: *~ την τσάντα* ჩანთას ცლი; *αμετβ.* დაცარიელება: *άδειασε η πόλη* ქალაქი დაცარიელდა.

άδειος, -α, -ο **1.** *Ιστ., გადატ.* ცარიელი; **2.** თავისუფალი, ვაკანტური: *~α θέση* ვაკანტური ადგილი; ◊ *με ~α χέρια* უსაჩუქროდ, ცარიელი ხელებით.

αδειούχος ο/η **1.** შვებულებაში მყოფი; **2.** უფლების, ნებართვის მქონე.

αδέκαρος, -η, -ο *ხალხ.* უფულო, გაღლეტილი.

αδέκαστος, -η, -ο **1.** უანგარო, მოუსყიდველი: *~ δικαστής* მოუსყიდველი მოსამართლე; **2.** მიუკერძოებელი, ობიექტური: *η δικαιοσύνη οφείλει να είναι ~η* მართლმსაჯულება მიუკერძოებელი უნდა იყოს.

αδελφή (αδερφή) η **1.** და; **2.** უახლოესი მეგობარი ქალი; **3.** მონაზონი, და: *οι ~ές ενός μοναστηρίου* მონასტრის დები; **4.** მედდა; **5.** მამათმავალი; ◊ *πνευματική ~* სულიერი და, *~ του ελέους* მოწყალების და.

αδέλφι (αδέρφι) το **1.** ძმა; **2.** ასლო მეგობარი მამაკაცი, ძმაკაცი; **3.** (τα) და-ძმა, ძმები და დები.

αδελφικός, -ή, -ό (αδερφικός) **1.** დაძმური, ძმური; *გადატ.* **2.** ასლო, გულითადი: *~ φίλος* გულითადი მეგობარი; **3.** დაძმასავით, დაძმური: *~ή αγάπη* დაძმასავით სიყვარული; **αδελφικά (αδερφικά)** *επίρρ.* დაძმურად, ძმურად.

αδελφοκτόνος, -α/ος, -ο **1.** (ο) ძმის მკველელი; **2.** ძმათა სისხლის მღვრელი: *~ πόλεμος* ძმათა სისხლის მღვრელი ომი.

αδελφοποίηση η **1.** ძმადნაფიცობა; **2.** დაძმობილება (ქვეყნებს, ქალაქებს შორის).

αδελφός (αδερφός) ο *Ιστ., გადატ.* ძმა; ◊ *πνευματικός ~* სულიერი ძმა, *βρε ~έ* ეჰ, ჩემო ძმაო!

αδελφός, -ή, -ό მოძმე: *~ό ελληνικό έθνος* მოძმე ბერძენი ერი; ◊ *~ή ψυχή* სულიერი მეგობარი.

αδελφοσύνη (αδερφοσύνη) η (*πληθ. არ გააჩნია*) ძმობა, მეგობრობა.

αδελφότητα η ამხანაგობა, საზოგადოება: *Χριστιανική Α~ Νέων* ახალგაზრდების ქრისტიანული საზოგადოება.

αδελφώνω (αδερφώνω) (*აór. αδέλφωσα, აór. παθ. αδελφώθηκα, μτχ. αδελφωμένος*) *μετβ., αμετβ.* შერიგება, დაზავება.

αδένας ο *ბიოლ.* ჯირკვალი.

αδένωμα το ადენომა, კეთილთვისებიანი ჯირკვლოვანი სიმსივნე.

αδέξιος, -α, -ο მოუხერხებელი, მოუქნელი, ტლანქი.

αδεξιότητα η მოუხერხებლობა, უნიათობა.

αδέσμευτος, -η, -ο 1. დამოუკიდებელი: *~η πολιτική* დამოუკიდებელი პოლიტიკა; *გადატ.* 2. დაუქორწინებელი, თავისუფალი.

αδέσποτος, -η, -ο უპატრონო: *~οι σκύλοι* უპატრონო ძაღლები; ◊ *~η σφαίρα* ბრმა ტყვია.

άδηλος, -η, -ο *მაღალფ.* 1. ფარული, გაურკვეველი, გაუგებარი, ბუნდოვანი: *~ες προθέσεις* ფარული განზრახვები; 2. განუსაზღვრელი, უცნობი: *το μέλλον είναι ~ο* მომავალი განუსაზღვრელია; ◊ *~α και κρύφια* ბუნდოვანი რამ, *~οι πόροι* შემოსავლის უცნობი წყაროები.

αδήλωτος, -η, -ο 1. განუცხადებელი, არარეგისტრირებული (საგადასახადო ინსპექციაში ან საბაჟოში): *~ο εισόδημα* არარეგისტრირებული შემოსავალი; 2. (ο/η) არალეგალი: *εμφανίστηκαν για πιστοποιητικά αρκετοί ~οι* მოწმობების ასაღებად ბევრი არალეგალი გამოცხადდა.

αδημιούργητος, -η, -ο შეუქმნელი, ჩამოუყალიბებელი.

αδημονία η (*πληθ. არ გააჩნია*) მძაფრი სურვილი, მოუთმენლობა, სულწასულობა.

αδημονώ (ε) (*მხოლოდ ενεστ. და παρατ.*) მოუთმენლად, მღელვარებით ლოდინი.

αδημοσίευτος, -η, -ο გამოუქვეყნებელი, გამოუცემელი.

Άδης ο 1. *მითოლ.* ჰადესი; 2. ჯოჯოხეთი.

αδιάβαστος, -η, -ο 1. მოუმზადებელი: *είναι γενικά μελετηρός, αλλά χθες ο δάσκαλος τον έπιασε ~ο* საერთოდ მეცადინე ბავშვია, თუმცა გუშინ მასწავლებელმა მოუმზადებელი გამოიჭირა; 2. არასრულყოფილად ინფორმირებული, არასაკმარისად მომზადებული; 3. წაუკითხავი: *~ο βιβλίο* წაუკითხავი წიგნი; 4. *ხალხ.* წესის აგების გარეშე დასაფლაებული: *τον έστειλαν ~* წესის აგების გარეშე დაასაფლავეს.

αδιάβατος, -η, -ο გაუვალი: *~ο δάσος* გაუვალი ტყე.

αδιάβλητος, -η, -ο 1. სამართლიანი: *~ες εκλογές* სამართლიანი არჩევნები; 2. (το) სამართლიანობა: *το ~ του διαγωνισμού* კონკურსის სამართლიანობა.

αδιάβροχος, -η, -ο 1. წყალგაუმტარი; 2. (το) საწვიმარი ლაბადა.

αδιαθεσία η 1. უგუნებობა, ცუდ გუნებაზე ყოფნა, უსასიათობა; 2. უქეიფობა, შეუძლოდ ყოფნა.

αδιάθετος, -η, -ο 1. უგუნებო, განწყობის გარეშე; 2. შეუძლოდ ყოფნა: *ήμουν ~ και έμεινα στο σπίτι* შეუძლოდ ვიყავი და სახლში დავრჩი; 3. ქალი, რომელსაც მენსტრუალური ციკლი აქვს; ◊ *διαδοχή εξ ~ου* ანდერძის გარეშე ქონების მემკვიდრეებისთვის გადაცემა.

αδιαθετώ (ε) (*აόρ. αδιαθέτησα*) *ამეტყ.* 1. უქეიფობა, შეუძლოდ ყოფნა; 2. მენსტრუალური ციკლის დაწყება.

αδιαίρετος, -η, -ο 1. გაუყოფელი, დაუნაწილებელი; 2. *გადატ.* გაერთიანებული, ერთსულოვანი: *ο λαός, παρά το διχαστικό κλίμα, έμεινε ~* ერი, მიუხედავად განხეთქილებისა, ერთსულოვანი დარჩა.

αδιάκοπος, **-η**, **-ο** უწყვეტი, გამუდმებული: *~η βροχή* გადაუღებელი წვიმა.

αδιακρισία η (*πληθ. არ გააჩნია*) ულიერობა, უზრდელობა, უტაქტობა.

αδιάκριτος, **-η**, **-ο** თავხედური, უტაქტო.

αδιακρίτως *επίρρ.* განურჩევლად.

αδιάλειπτος, **-η**, **-ο** უწყვეტი, შესვენების გარეშე; **αδιαλείπτως** *επίρρ.* შეუსვენებლად.

αδιάλλακτος, **-η**, **-ο** ჯიუტი, დაუყოლიებელი.

αδιαλλαξία η (*πληθ. არ გააჩნია*) დაუზაევებლობა, შეუთანხმებლობა, უკომპრომისობა.

αδιάλυτος, **-η**, **-ο** 1. უხსნადი, არახსნადი: *ουσία ~η στο νερό* წყალში უხსნადი ნივთიერება; *გადატ.* 2. გაუხსნელი, გამოუცნობი, მალული: *~ο μυστήριο* მალული საიდუმლოება; 3. სქელი, ხშირი: *~ νέφος* ხშირი ღრუბელი.

αδιαμαρτύρητα *επίρρ.* უსიტყვოდ, გაუპროტესტებლად.

αδιαμφισβήτητος, **-η**, **-ο** უეჭველი, უსათუო, უდავო; **αδιαμφισβήτητα / αδιαμφισβητήτως** *επίρρ.* უეჭველად, უდავოდ, უსათუოდ.

αδιανόητος, **-η**, **-ο** წარმოუდგენელი, გაუგებარი.

αδιάντροπος, **-η**, **-ο** უსირცხვილო, ურცხვი, უნამუსო.

αδιαπέραστος, **-η**, **-ο** 1. გაუვალი: *το ~ο δάσος* გაუვალი ტყე; 2. თვალშეუვალი: *~ο σκοτάδι* თვალშეუვალი სიბნელე; 3. წყალგაუმტარი.

αδιάρρηκτος, **-η**, **-ο** 1. შეუმტვრეველი, გაუტეხელი: *~η πόρτα / κλειδαριά* შეუტეხელი კარი / გაუტეხელი საკეტი; 2. *გადატ.* ურღვევი, ურყევი, მტკიცე: *~η φιλία* მტკიცე მეგობრობა.

αδιάσπαστος, **-η**, **-ο** ურყევი, მყარი, მტკიცე: *~ δεσμός* მტკიცე კავშირი.

αδιαφανής, **-ής**, **-ές** (*γεν. -ούς, πληθ. αρσ. და θηλ. -είς, ουδ. -ή*) *Ფიზ., გადატ.* გაუმჭვირვალე: *~ές ύφασμα* გაუმჭვირვალე ქსოვილი.

αδιάφθορος, **-η**, **-ο** არაკორუმპირებული, პატიოსანი: *~ δικαστής* არაკორუმპირებული ოსამართლე.

αδιαφιλονίκητος, **-η**, **-ο** უთუო, უდაო, ნამდვილი, ჭეშმარიტი: *~ ηγέτης / ~ο φαβορί* ნამდვილი ლიდერი / ფავორიტი.

αδιαφορία η (*πληθ. არ გააჩნია*) 1. გულგრილობა, დაუდევრობა: *η ~ του κράτους για το πρόβλημα των ναρκωτικών* ნარკოტიკების პრობლემის მიმართ სახელმწიფოს უგულისხმიერო დამოკიდებულება; 2. *ფსიქოლ.* ინდიფერენტულობა.

αδιάφορος, **-η**, **-ο** 1. დაუდევარი, უგულისყურო, გულგრილი; 2. უინტერესო, უმნიშვნელო; ◊ *μου είναι ~ο* არ მაინტერესებს.

αδιαφορώ (ε) (*αόρ. αδιαφόρησα*) *αμετβ.* გულგრილობა, უინტერესობა: *~εί για τις σπουδές του* სწაელა საერთოდ არ აინტერესებს.

αδιαφόρως *επίρρ.*, (+ *γεν.*) განურჩევლად: *~ χρώματος και φυλής* განურჩევლად ფერისა და ერისა.

αδιέξοδος, **-η**, **-ο** 1. გამოუვალი: *~η κατάσταση* გამოუვალი მდგომარეობა; 2. (το) ა) ჩიხი, ბ) *გადატ.* გამოუვალი მდგომარეობა: *βρίσκομαι σε ~ο* გამოუვალ მდგომარეობაში ვიმყოფები.

αδιευκρίνιστος, **-η**, **-ο** (**αδιευκρίνητος**) დაუდგენელი, გამოურკვეველი, გაუგებარი.

άδικα *επίρρ.* 1. უსამართლოდ; 2. უმიზეზოდ, უსაფუძვლოდ; 3. ამაოდ,

ტყუილად; ◊ *πάω* ~ უაზრო სიკეთილით ვკვდები.

αδικαιολόγητος, -η, -ο 1. გაუმართლებელი, უპატიებელი: *~η συμπεριφορά* გაუმართლებელი საქციელი; 2. უსაფუძვლო, უმოტივო.

αδίκημα το *იურ.* სამართალდარღვევა, დანაშაული: *αστικό / ποινικό / βαρύ ~* სამოქალაქო / სისხლისსამართლებლივი / მძიმე დანაშაული.

αδικία η უსამართლობა.

άδικος, -η, -ο 1. უსამართლო: *~η τιμωρία* უსამართლო სასჯელი; 2. უკანონო, არაკანონიერი, კანონსაწინააღმდეგო; 3. ტყუილუბრალო, ამაო, ფუჭი: *~ κόπος* ამაო გარჯა; ◊ *τον πνίγει το ~ο* უსამართლობა ახრჩობს.

αδικοχαμένος, -η, -ο უაზროდ მკვდარი.

αδικώ (ε) (*აόρ. αδίκησα, აόρ. παθ. αδικήθηκα, μτχ. αδικημένος*) *μετβ.* 1. გულის ტკენა, წყენინება; 2. უსამართლო, არაობიექტური ქმედება: *με αδίκησαν αλοφάνερα στο διαγωνισμό* კონკურსზე აშკარად უსამართლოდ მომექცნენ; 3. ტყუილუბრალოდ საყვედური, დადანაშაულება.

αδιόρθωτος, -η, -ο გაუსწორებელი, გამოუსწორებელი: *~ χωρατατζής / τεμπέλης* გამოუსწორებელი მასხარა / ზარმაცი.

αδίστακτος, -η, -ο თავხედი, კადნიერი; **αδίστακτα / αδιστάκτως** *επίρρ.* კადნიერად, თავხედურად, უყოყმანოდ.

άδολος, -η, -ο წრფელი, გულწრფელი.

αδράνεια η (*πληθ. არ χαίρεται*) 1. ინერტულობა, უმოქმედობა, გაურჯელობა; 2. *ფიზ.* ინერცია.

αδρανής, -ής, -ές (*γεν. -ούς, πληθ. αρσ. და θηλ. -είς, ουδ. -ή*) ინერტული, უმოქმედო: *παραμένω ~* უმოქმედოდ ვარ.

αδρανώ (ε) (*αόρ. αδράνησα*) *αμετβ.* უმოქმედოდ ყოფნა, ინერტულობა.

αδυναμία η 1. ძალის დაკარგვა, სისუსტე, უძლურება. 2. მიდრეკილება, სწრაფვა, სისუსტე, სიყვარული: *έχει μεγάλη ~ στον ανιψιό της* დისშვილი ძალიან უყვარს და მისთვის სულ საჩუქრებს ყიდულობს; 3. სუსტი წერტილი, სუსტი მხარე: *έχω πολλές ~ες* ბევრი სუსტი მხარე მაქვს; ◊ *(βρίσκω κάποιον) σε στιγμή ~ς* უმწეო მდგომარეობაში ვხედავ (ვინმეს), *~ χαρακτήρος* ხასიათის სისუსტე.

αδύναμος, -η, -ο *პირდ., გადატ.* უძლური, სუსტი.

αδυνατίζω (*αόρ. αδυνάτισα, μτχ. αδυνατισμένος*) *αμετβ., μετβ.* 1. გახდომა: *έκανε δίαιτα και αδυνάτισε* დიეტაზე იყო და გახდა; 2. *გადატ.* დასუსტება.

αδυνάτισμα το 1. გახდომა; 2. *გადატ.* დასუსტება.

αδύνατος, -η, -ο 1. გამხდარი; 2. *პირდ., გადატ.* სუსტი; 3. (το) შეუძლებელი; ◊ *το ~ο σημείο (κάποιου)* სუსტი წერტილი (ვინმესი), *~ο φύλο* სუსტი სქესი, *κάνω το ~ο δυνατό* შეუძლებელს ვაკეთებ.

αδυνατώ (ε) (*მხოლოდ ενεστ. და παρατ.*) *μετβ., αμετβ.* უძლურება, არ შეძლება: *η κυβέρνηση ~εί να επιλύσει τα οξύτατα οικονομικά προβλήματα* მთავრობას არ შეუძლია მწვავე ეკონომიკური პრობლემების გადაჭრა.

αειθαλής, -ής, -ές (*γεν. -ούς, πληθ. αρσ. და θηλ. -είς, ουδ. -ή*) მარადმწვანე (ხე).

αεικίνητος, -η, -ο *მაღალფ.* **1.** ის, ვინც სულ მოძრაობაშია; **2.** *გადატ.* მოძრავი, ცოცხალი, ენერგიული.

αεραγωγός ο საჰაერო სადენი.

αεράμυνα η (*πληθ. არ გააჩნია*) საჰაერო თავდაცვა.

αέρας (αγέρας) ο **1.** ჰაერი; **2.** ქარი; **3.** ორთქლი; *გადატ.* **4.** გამბედაობა: *μπήκε για τη συνέντευξη με ~α και αυτοπεποίθηση* გაბედულად და თავდაჯერებულად შევიდა ინტერვიუს ასაღებად; **5.** გასამცლელო: *του έδωσε ~α έξι ενοίκια* ექვსი ქირის გასამცლელო მისცა; **6.** დაშენების უფლება: *αγόρασε τον τελευταίο όροφο και τον ~α της πολυκατοικίας* მრავალსართულიან სახლში ბოლო სართული იყიდა დაშენების უფლებით; ◊ ***παίρνει ~α / παίρνουν τα μυαλά μου ~α*** თავხედდება, კადნიერდება, ***~ κοπανιστός / λόγια του ~α*** ქარს გატანებული, ფუჭი სიტყვები, ***παίρνω (τον) ~α μου*** სუთა ჰაერს ვყლაპავ, ***βγαίνω στον ~α*** ეთერში გავდივარ.

άεργος, -η, -ο უსაქმური.

αερίζω (*აόρ. αέρισα, αόρ. παθ. αερίστηκα, μτχ. αερισμένος*) *μετβ.* **1.** გამზეურება; **2.** განიავება, ჰაერის გასუფთავება.

αέρινος, -η, -ο ჰაეროვანი, სიფრიფანა.

αέριο το აირი: *δηλητηριώδες / ραδιενεργό ~* მომწამლავი / რადიოენერგიული აირი; ◊ ***φυσικό ~*** ბუნებრივი აირი, ***θάλαμος ~ων*** გაზის კამერა.

αεριούχος, -ος, -ο გაზიანი: *~α ποτά* გაზიანი სასმელები.

αερογραμμή η ავიახაზი: *γεωργιανές ~ές* საქართველოს ავიახაზები.

αεροδρόμιο το აეროდრომი, აეროპორტი.

αερολιμενάρχης ο/η აეროპორტის დირექტორი.

αερολιμένας ο აეროპორტი.

αερολογώ (ε) *αμετβ.* **1.** ყბედობა, ლაქლაქი; **2.** სისულელეების ლაპარაკი.

αερομεταφορά η ავიაგადაზიდვა, საჰაერო ტრანსპორტირება.

αερομεταφορέας ο საჰაერო ტრანსპორტი, საჰაერო გადამზიდი.

αεροπειρατεία η თვითმფრინავის გატაცება.

αεροπλάνο (αερόπλανο) το თვითმფრინავი.

αεροπλανοφόρο το ავიამზიდი.

αεροπλοΐα η ჰაერნაოსნობა, აერონავიგაცია.

αερόπλοιο το დირიჟაბლი.

αεροπορία η ავიაცია.

αερόσακος ο გასაბერი ბალიში (ავტომანქანაში დამონტაჟებული).

αεροσκάφος το **1.** საჰაერო ტრანსპორტი; **2.** თვითმფრინავი.

αεροστεγής, -ής, -ές (*γεν. -ούς, πληθ. αρσ.* და *θηλ. -είς, ουδ. -ή*) ჰაერგაუმტარი, ჰერმეტული; ◊ ***~ συσκευασία*** ჰერმეტულად შეფუთვა.

αεροσυνοδός η/ο ბორტგამცილებელი.

αεροφοβία η (*πληθ. არ γααჩნია*) *მედ.* აეროფობია, ჰაერის შიში.

αετήσιος, -ια, -ιο (αετίσιος) არწივისებური, არწივისა.

αετός (αϊτός, αητός) ο არწივი.

αετοφωλιά (αϊτοφωλιά) η არწივის ბუდე.

αζευγάρωτος, -η, -ο 1. უწყვილო, დაუწყვილებელი; **2.** კენტი, უცალო, უწყვილო.

αζήτητος, -η, -ο 1. უქმადდებული, ჩაწოლილი: *~ο εμπόρευμα* ჩაწოლილი საქონელი; **2.** *გადატ.* ის, ვისაც არ ეძებენ, მიტოვებული.

άζωτο το (*πληθ. άρ გააჩნია*) *ქიმ.* აზოტი.

αηδία η **1.** ზიზღი, ზიზღიანობა; **2.** საზიზღრობა, საძაგლობა: *το φαγητό / το ντύσιμό του είναι (μια)* ~ საჭმელი / მისი ჩაცმულობა ნამდვილი საზიზღრობაა; **3.** (οι) სისულელეები; ◊ *μέχρι* ~ς ყელში ამოსელამდე, მოყირჭებამდე.

αηδιάζω (*აόρ. αηδίασα, μτχ. αηδιασμένος*) *μετβ., αμετβ.* ზიზღი.

αηδιαστικός, -ή, -ό საზიზღარი, საძაგელი.

αηδόνι το ბულბული.

αήττητος, -η, -ο დაუმარცხებელი, უძლეველი.

αθανασία η (*πληθ. άρ გააჩნია*) *Ქრ., გადატ.* უკვდავება.

αθάνατος, -η, -ο 1. *Ქრ., გადატ.* უკვდავი; **2.** გამძლე: *~ο ύφασμα* გამძლე ქსოვილი.

αθέατος, -η, -ο 1. უხილავი; **2.** ფარული, იდუმალი, მალული: *κάθε πράγμα έχει την ~η πλευρά του* ყველაფერს აქვს თავისი იდუმალი მხარე.

αθεϊστής ο, **-τρια** η ათეისტი.

αθεμελίωτος, -η, -ο (αθεμέλιωτος) *ხალხ., Ქრ., გადატ.* უსაფუძვლო: *~ο επιχείρημα* უსაფუძვლო არგუმენტი.

άθεος, -η, -ο 1. უღმერთო, ათეისტი; **2.** *დამამც., ლანძღ.* ურწმუნო, ცოდვილი.

αθεράπευτος, -η, -ο 1. განუკურნავი; **2.** *Ქრ., გადატ.* უკურნებელი, განუკურნებელი, მოურჩენელი: *~η αρρώστια* უკურნებელი სენი, *~ πεσιμιστής* გამოუსწორებელი პესიმისტი; **αθεράπευτα** *επίρρ.* გამოუსწორებლად.

αθετώ (ε) (*აόρ. αθέτησα, αορ. παθ. αθετήθηκα, μτχ. αθετημένος*) *μετβ.* **1.** დარღვევა (პირობის, ხელშეკრულების); **2.** გატეხვა (სიტყვის, ფიცის).

αθεώρητος, -η, -ο დაუმოწმებელი, უვიზო: *~η απόδειξη* დაუმოწმებელი ჩეკი, *~ο διαβατήριο* უვიზო პასპორტი.

αθηναϊκός, -ή, -ό ათენური, ათენის.

άθικτος, -η, -ο 1. ხელუხლებელი, ხელშეუხებელი: *άφησε το φαγητό του ~ο* საჭმელი ხელუხლებელი დატოვა; **2.** ის, ვისთვისაც შეურაცხყოფა არ მიუყენებიათ: *δεν αφήνει κανέναν ~ο* არავის ტოვებს შეურაცხყოფის გარეშე.

άθλημα το სპორტის სახეობა, სპორტული შეჯიბრება.

άθληση η (*πληθ. άρ გააჩნია*) წრთვნა.

αθλητής ο, **-τρια** η ათლეტი, სპორტსმენი.

αθλητικός, -ή, -ό 1. სპორტული, სპორტის; **2.** ათლეტური; ◊ *~ό πνεύμα* ათლეტური სული, *~ή αγωγή* ფიზკულტურა.

αθλητισμός ο სპორტი, ათლეტიზმი.

άθλιος, -α, -ο 1. საცოდავი, საბრალო; **2.** ფლიდი, უნამუსო; **άθλια / αθλίως** *επίρρ.* საცოდავად, საბრალოდ.

αθλιότητα η სიღარიბე, სიღატაკე.

άθλος ο გმირობა, წარმატება: *οι ~οι του Ηρακλέους* ჰერაკლეს გმირობანი.

αθλούμαι (*αόρ. αθλήθηκα, μτχ. αθλημένος*) *αμετβ., αποθ.* ვარჯიში.

αθόρυβος, -η, -ο 1. ჩუმი, უხმაურო: *~η μηχανή / φυγή* უხმაურო ძრავა / ჩუმად წასვლა; **2.** *გადატ.* შეუმჩნეველი, თავმდაბალი, მოკრძალებული: *~ πολιτικός* თავმდაბალი პოლიტიკოსი.

άθραυστος, -η, -ο უმტვრეული, არამსხვრევადი.

άθρησκος, -η, -ο 1. არარელიგიური, ურწმუნო; 2. *საუბრ.* ულმერთო.

αθροίζω (*აόρ. άθροισα, αόρ. παθ. αθροίστηκα, μτχ. αθροισμένος*) *μετβ.* 1. მოგროვება, დაჯამება; 2. *მათ.* მიმატება.

άθροισμα το 1. *მათ.* ჯამი; 2. საერთო რაოდენობა: *το ~ των ψήφων* ხმების საერთო რაოდენობა.

αθρόος, -α, -ο 1. ურიცხვი, უთვალავი; 2. ჯგუფური, მასობრივი: *~ες συλλήψεις* მასობრივი დაპატიმრებები.

αθυρόστομος, -η, -ο ბილწსიტყვა, ბილწსიტყვიანი.

αθωνίτης ο ათონის მთაზე მცხოვრები: *~ μοναχός* ათონის მთაზე მცხოვრები ბერი.

αθώος, -α, -ο 1. უდანაშაულო: *~ο θύμα* უდანაშაულო მსხვერპლი; 2. უმწიკვლო, გამოუცდელი: *~ο παιδί / κοριτσόπουλο* უმწიკვლო ბაგშვი / გამოუცდელი გოგონა; ◊ *ιρον. ~α περιστερά* მამა აბრამის ბატკანი.

αθωότητα η (*πληθ. არ გააჩნია*) უმწიკვლოება, მიამიტობა, გულუბრყვილობა.

αθωώνω (*αόρ. αθώωσα, αόρ. παθ. αθωώθηκα, μτχ. αθωωμένος*) *μετβ.* უდანაშაულოდ ცნობა, გამართლება.

αίγαγρος ο არჩვი.

αιγαιοπελαγίτικος, -η, -ο ეგეოსის ზღვის.

αίγλη η (*πληθ. არ გააჩნია*) ელფერი, მიმზიდველობა.

αιγόκερως (αιγόκαιρος) ο 1. *αστρολ.* თხის რქა; 2. თხის რქის ნიშნის ქვეშ დაბადებული.

αιγοπρόβατα τα თხის და ცხვრის ფარა.

Αιγυπτιώτης ο, **-ισσα** η ეგვიპტელი.

αιδεσιμολογιότατος ο *εκκλ.* მამაო.

αιδεσιμότατος ο *εκκλ.* დაქორწინებული მღვდელი.

αιδοίο το *ανατ.* 1. ქალის სასქესო ორგანო; 2. (τα) ქალის ან მამაკაცის სასქესო ორგანო.

αιθέρας ο 1. *ქიმ.* ეთერი; 2. (οι) ცა: *τα πολεμικά αεροσκάφη διέσχιζαν τον ~α* მტრის თვითმფრინავებმა ცა გადასერეს.

αιθέριος, -α, -ο 1. ეთერული: *~α ουσία* ეთერული ნივთიერება; 2. მსუბუქი, ჰაეროვანი.

Αιθίοπας ο, **Αιθιοπίνα** η ეთიოპელი.

αίθουσα η დარბაზი: *~ αναμονής / συναυλιών* მოსაცდელი / საკონცერტო დარბაზი.

αίθριος, -α/ία, -ο 1. მოწმენდილი; 2. *μετεωρ.* მცირედ მოღრუბლული.

αίμα (γαίμα) το სისხლი; ◊ ***τύπος / ομάδα ~τος*** სისხლის ჯგუფი, ***εξέταση / ανάλυση ~τος*** სისხლის გამოკვლევა / ანალიზი, ***πήξη του ~τος*** სისხლის შედედება, ***λήψη ~τος*** სისხლის აღება (ანალიზისთვის), ***μετάγγιση ~τος*** სისხლის გადასხმა, ***πλέω / κολυμπώ / πνίγομαι στο ~*** სისხლში ვცურავ / ვიხრჩობი, ***βγάζει / τρέχει ~*** სისხლი დის (ჭრილობაზე), ***χάνω ~*** სისხლს ვკარგავ.

αιματηρός, -ή, -ό სისხლიანი.

αιμάτινος, -η, -ο 1. სისხლის შემცველი, სისხლის; 2. სისხლისფერი.

αιματοκυλίζω (ματοκυλίζω) (*αόρ. αιματοκύλισα, αόρ. παθ. αιματοκυλήστ(θ)ηκα, μτχ. αιματοκυλισμένος*) *αμετβ.* სისხლით შეღებვა, სისხლით მორწყვა.

αιματόρροια η (*πληθ. არ გააჩნია*) *მედ.* სისხლდენა.

αιμάτωμα το *მედ.* ჰემატომა.

αιμοδοσία η დონორობა, სისხლის მიცემა.

αιμοδότης ο, **-τρια** η დონორი.

αιμόλυση η *მედ.* პემოლიზი.

αιμομιξία η სისხლის აღრევა.

αιμορραγία η სისხლდენა, სისხლის დაკარგვა.

αιμορραγώ (ε) (*აόρ. αιμοράγησα*) *ამეტბ.* **1.** სისხლის დენა; *გადატ.* **2.** დასუსტება, სისხლისგან დაცლა: *η εθνική μας οικονομία ~εί* ჩვენი ეროვნული ეკონომიკა სუსტდება.

αιμορροΐδες οι *მედ.* პემოროი.

αιμοσφαιρίνη η *მედ.* პემოგლობინი.

αίνιγμα το **1.** გამოცანა; **2.** აბდაუბდა, გაუგებრობა.

αινιγματικός, -ή, -ό იდუმალებით მოცული, იდუმალი, გაურკვეველი: *~ό χαμόγελο / τέλος* იდუმალი ღიმილი / იდუმალებით მოცული დასასრული.

αίρεση η **1.** ერესი; **2.** სექტა.

αιρετικός, -ή, -ό 1. მწვალებლური, ერესის, ერეტიკული; (ο) **2.** სექტანტი; **3.** განსხვავებული აზრის მქონე.

αιρετός, -ή, -ό 1. ამორჩეული: *~ άρχοντας* ამორჩეული მთავარი; **2.** არჩევითი: *~ή θέση* არჩევითი თანამდებობა; **3.** (ο) არჩეული წევრი.

αίρω (*αόρ. ήρα, αόρ. παθ. άρθηκα / ήρθην*) *μετβ.* **1.** აწევა; **2.** *გადატ.* მხრებით გიდეა, საკუთარ თავზე აღება: *πώς να άρει τα οικογενειακά βάρη σε τόσο μικρή ηλικία;* ასეთ მცირე ასაკში ოჯახის სიმძიმე (მხრებით) როგორ უნდა გიდოს? **3.** გაუქმება, მოხსნა, აღმოფხვრა.

αισθάνομαι (*αόρ. αισθάνθηκα*) *αποθ., μετβ., αμετβ.* **1.** გრძნობა, შეცნობა: *αισθάνθηκα την παρουσία της από το άρωμά της* მისი სურნელის მიხედვით ვიგრძენი, რომ იქ იყო; **2.** მიხვედრა: *δεν ~εται τις συνέπειες των λόγων του* ვერ ხვდება, მის ნათქვამს რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს; **3.** წინათგრძნობის ქონა: *~ ότι κάτι θα συμβεί* წინათგრძნობა მაქვს, რომ რაღაც მოხდება; ◊ *~ (κάτι) στο πετσί μου* საკუთარ ტყავზე გამოვცდი.

αίσθημα το **1.** გრძნობა: *το ~ της πείνας* შიმშილის გრძნობა; **2.** შეგრძნება: *δυσάρεστο ~* უსიამოვნო შეგრძნება.

αισθηματίας ο/η მგრძნობიარე ადამიანი.

αισθηματικός, -ή, -ό 1. გრძნობის, გრძნობითი; **2.** სასიყვარულო, ემოციური.

αισθηματικότητα η (*πληθ. არ გააჩნია*) სენტიმენტალურობა.

αίσθηση η **1.** გრძნობა; **2.** შეგრძნება, გრძნობა: *η ~ του χιούμορ* იუმორის გრძნობა; **3.** შთაბეჭდილება: *η θέα δεν τους έκανε καμιά ~* ხელმა მათზე ვერანაირი შთაბეჭდილება ვერ მოახდინა; **4.** შეგრძნება, წინათგრძნობა: *έχω την ~ ότι κάτι περίεργο συμβαίνει* ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს რაღაც უცნაური ხდება; ◊ *χάνω τις ~εις μου* გონებას ვკარგავ, *(ξανα) βρίσκω τις ~εις μου* ვგონს მოვდივარ, *~ του μέτρου* ზომიერების გრძნობა, *έκτη ~* მეექვსე გრძნობა, წინათგრძნობა.

αισθησιακός, -ή, -ό ეროტიკული, სასიყვარულო, სასიამოვნო.

αισθησιασμός ο სექსუალურობა: *υπερβολικός ~* მოჭარბებული სექსუალურობა.

αισθητήριο το **1.** ალღო: *πολιτικό ~* პოლიტიკური ალღო; **2.** გრძნობადი ორგანო.

αισθητής (αισθητιστής) ο ესთეტი.

αισθητική η **1.** *φιλοσ.* ესთეტიკა; **2.** ესთეტიკური შეხედულება: *σύμ-*

φωνα με τη δική μου ~, το σαλόνι αυτό είναι ακαλαίσθητο ჩემი ესთეტიკური შეხედულების მიხედვით, ეს სასტუმრო ოთახი უგემოვნოა; 3. სტილი; ◊ *ινστιτούτο / κέντρο ~ς* ესთეტიკის ინსტიტუტი / ცენტრი (სილამაზის სალონი / გამაჯანსაღებელი ცენტრი.

αισθητός, -ή, -ό 1. საგრძნობი: *ο ισχυρός σεισμός στην Πελοπόννησο έγινε ~ και στην Αθήνα* პელოპონესოსზე მომხდარი ძლიერი მიწისძვრა ათენშიც საგრძნობი იყო; 2. მესამჩნევი, თვალსაჩინო, თვალშისაცემი.

αισιοδοξία η (*πληθ. არ გააჩნია*) ოპტიმიზმი.

αισιόδοξος, -η, -ο ოპტიმისტური.

αισιοδοξώ (*მხოლოდ ενεστ. და παρατ.*) *μετβ.* იმედის ქონა, ოპტიმისტურად განწყობა.

αίσιος, -α, -ο კეთილი, დადებითი, კარგი, ბედნიერი: *~ο τέλος* კეთილი დასასრული.

αίσχος το *მაღალფ.* 1. სირცხვილი, სამარცხვინო საქციელი, ულირსობა; 2. უმსგავსობა; 3. *επιφών.* სირცხვილი: *το συγκεντρωμένο πλήθος υποδέχθηκε τον νομάρχη, φωνάζοντας "~"!* შეკრებილი ხალხი გუბერნატორს "სირცხვილი!"-ს ძახილით შეხვდა.

αισχρολογία η *მაღალფ.* ბილწსიტყვაობა.

αισχρός, -ή/ά, -ό ამორალური, ულირსი, სამარცხვინო: *~ τύπος / άνθρωπος* ამორალური ტიპი / ულირსი ადამიანი.

αισχρότητα η სიმდაბლე, ულირსობა, ამორალურობა, აღვირახსნილობა: *η ~ του χαρακτήρα του τον κάνει απωθητικό* მისი აღვირახსნილობის გამო აუტანელია.

αίτημα το 1. მოთხოვნა: *δίκαιο ~* სამართლიანი მოთხოვნა; 2. მოთხოვნილება: *τα κοινωνικά / πνευματικά ~τα μιας εποχής* ეპოქის საზოგადოებრივი / სულიერი მოთხოვნილებები.

αίτηση η 1. მოთხოვნა, განცხადება: *υποβάλλω / καταθέτω μια ~* ვაკეთებ განცხადებას / წარვადგენ მოთხოვნას; 2. განცხადების ბლანკი: *συμπληρώνω μια ~* განცხადების ბლანკს ვავსებ.

αιτία η მიზეზი, საბაბი: *~ ψάχνει για να αποφύγει τη συζήτηση* საბაბს ეძებს, რომ დისკუსიას თავი აარიდოს; ◊ *εξ ~ς* გამო, *~ πολέμου* ომის მიზეზი, *άνευ λόγου και ~ς* უმიზეზოდ.

αιτιατική η *ენათმეც.* აკუზატივი.

Αϊτινός ο, **-ή** η ჰაიტელი.

αιτιολόγηση η ახსნა, დასაბუთება, არგუმენტაცია: *επαρκής / πειστική ~* საკმარისი / დამაჯერებელი დასაბუთება.

αιτιολογία η 1. არგუმენტი: *ασαφής ~* გაურკვეველი არგუმენტი; 2. *მედ.* ეტიოლოგია.

αιτιολογικός, -ή, -ό 1. არგუმენტირებული, მოტივირებული; 2. (το) მოსაზრება, არგუმენტაცია, მოტივაცია.

αιτιολογώ (ε) (*αόρ. αιτιολόγησα, αόρ. παθ. αιτιολογήθηκα, μτχ. αιτιολογημένος*) *μετβ.* 1. ახსნა, გამართლება, დასაბუთება: *~ την απόφαση / τις πράξεις μου* ვასაბუთებ ჩემს გადაწყვეტილებას / ვამართლებ ჩემს საქციელს; 2. არგუმენტის მოყვანა, არგუმენტირება, მოტივირება.

αίφνης *επίρρ., მაღალფ.* უეცრად.

αιφνιδιάζω (*αόρ. αιφνιδίασα, αόρ. παθ. αιφνιδιάστηκα, μτχ. αιφνιδιασμένος*) *μετβ.* 1. გაოგნება, შეცბუნება: *η άφιξή του αιφνιδίασε τους πάντες* მისმა ჩა-

მოსულამ ყველა გააოგნა; 2.თავების აბნევა, უეცრად თავდასხმა.

αιχμαλωσία η ტყვეობა.

αιχμαλωτίζω (*აόρ. αιχμαλώτισα. αόρ. παθ. αιχμαλωτίστηκα, μτχ. αιχμαλωτισμένος*) *μετβ., Ιστρ., გადატ.* დატყვევება.

αιχμάλωτος, -η, -ο 1. დატყვევებული, ტყვეობაში მყოფი; 2. (ο) ტყვე.

αιχμή η წვეტი, წვერი, პირი: *η ~ του ξίφους* საპარსის პირი; ◊ *ώρες ~ς* პიკის საათი, *τεχνολογία ~ς* უახლესი ტექნოლოგია.

αιχμηρός, -ή, -ό 1. ბასრი, წვეტიანი; 2. *გადატ.* გესლიანი, მწვავე.

αιώνας ο საუკუნე.

αιώνιος, -α/ία, -ο 1. მარადიული, საუკუნო; 2. მყარი, გამძლე: *~α έπιπλα* გამძლე ავეჯი; 3. საუკუნო, დიდი ხნის: *ο Ολυμπιακός και ο Παναθηναϊκός είναι οι ~οι αντίπαλοι στα ομαδικά αθλήματα* ოლიმპიაკოსი და პანათინაიკოსი ჯგუფურ თამაშებში დიდი ხნის მოწინააღმდეგეები არიან; 4. განუწყვეტელი, გამუდმებული, მუდმივი: *δεν αντέχω την ~α γκρίνια σου!* ვერ ვიტან შენს განუწყვეტელ ბუზღუნს! 5. *დამშლ.* მარადმწვანე, მუდმივი: *~ φοιτητής* მარადმწვანე სტუდენტი; ◊ *~α ανάπαυση / ~ο σκοτάδι / ~ ύπνος* სიკვდილი, სამუდამო სასუფეველი.

αιωνιότητα η (*πληθ. არ გააჩნია*) მარადისობა, მარადიულობა.

αιωνόβιος, -α, -ο 1. ასწლოვანი, ასწლიანი; 2. მრავალწლიანი.

αιώρα η ჰამაკი.

αιώρημα το ნაერთი, ნარევი.

αιωρούμαι (*αόρ. αιωρήθηκα*) *αμετβ., αποθ.* 1. რხევა, რყევა, რწევა, მოძრაობა (ჰაერში ან წყალში); *გადატ.* 2. ყოყმანი.

ακαδημαϊκός, -ή, -ό 1. აკადემიური; 2. (ο) აკადემიის წევრი, აკადემიკოსი; ◊ *~ό έτος* აკადემიური წელი.

ακαδημία η აკადემია.

ακαθάριστος, -η, -ο 1. ბინძური, უსუფთაო; 2. გაუთლელი: *φέρε το μήλο όπως είναι, το τρώω και ~ο* ვაშლი როგორც არის ისე მოიტანე, გაუთლელსაც ვჭამ; 3. *ეკონ.* დაუკაეებელი, დაუქვითავი; ◊ *~ μισθός* დაუქვითავი ხელფასი, *~ο βάρος* მთლიანი წონა, *~ο εθνικό προϊόν* ქვეყანაში წარმოებული დაუბეგრავი საქონელი.

ακαθαρσίες οι 1. სიბინძურე; 2. ნეხვი.

ακάθαρτος, -η, -ο 1. ბინძური, ჭუჭყიანი; 2. დაუსუფთაებელი, გაუფილტრავი, გაუწმენდავი: *~ο πετρέλαιο* დაუსუფთაებელი ნავთობი; *გადატ.* 3. ცოდვილი, უწმინდური: *όλες αυτές οι ανήθικες ιδέες προέρχονται από το ~ο μυαλό του* ყველა ეს ამორალური აზრი უწმინდური გონების პირმშოა; ◊ *~ο αίμα* ვენური სისხლი, *~ο πνεύμα* სატანა.

ακάθιστος, -η, -ο 1. ფეხზე მდგომი; 2. (η) დაუჯდომელის შაბათი (დიდი მარხვის მეხუთე კვირის შაბათი); ◊ *Α~ Ύμνος* დაუჯდომელი საგალობელი.

ακαθόριστος, -η, -ο 1. განუსაზღვრელი, დაუდგენელი: *~ο σχέδιο* დაუდგენელი გეგმა; 2. გაურკვეველი, ბუნდოვანი: *~η γραμμή / σιλουέτα* ბუნდოვანი ხაზი / სილუეტი.

άκαιρος, -η, -ο 1. უდროო, არადროული, შეუფერებელი; 2. უმწიფარი, დაუმწიფებელი.

ακαίρως *επίρρ.* უდროო, შეუფერებელ დროს, არადროულად.

άκακος, -η, -ο უბოროტო, უეშმაკო: *είναι ~ άνθρωπος* უბოროტო ადამიანია.

ακάλεστος, -η, -ο დაუპატიჟებელი.

ακαλλιέργητος, -η, -ο დაუმუშავებელი: *~ κήπος / αγρός* დაუმუშავებელი ბაღი / ველახი.

ακάλυπτος, -η, -ο 1. თაღია, თავდაუხურავი: *~η τρύπα* თაღია ხვრელი; **2.** შიშველი, მოშიშველებული: *~ο κεφάλι / στήθος* შიშველი თავი / მოშიშველებული მკერდი.

άκαμπτος, -η, -ο *პირდ., გადატ.* უდრეკი: *στο ζήτημα του διαζυγίου έδειξε ~η αποφασιστικότητα* განქორწინების საკითხში უდრეკი მიზანდასახულობა გამოიჩინა.

ακαμψία η (*πληθ. არ გააჩნია*) **1.** *პირდ., გადატ.* უდრეკობა; **2.** *მედ.* გაშეშებულობა (კუნთის ტკივილის გამო).

ακανόνιστος, -η, -ο 1. დაუდგენელი, მოუწესრიგებელი; **2.** ასიმეტრიული.

άκαρδος, -η, -ο უგულო, გულქვა.

ακαριαίος, -α, -ο წამიერი, სწრაფი, მყისეული: *ο θάνατός του ήταν ~* მისი სიკვდილი მყისეული იყო.

άκαρπος, -η, -ο 1. უნაყოფო: *~ο δέντρο* უნაყოფო ხე, *~η γη* უნაყოფო მიწა; *გადატ.* **2.** უნაყოფო ადამიანი.

ακατάβλητος, -η, -ο 1. დაუმარცხებელი: *~οι μαχητές* დაუმარცხებელი მებრძოლები; **2.** შეუპოვარი, მედგარი.

ακατάδεκτος, -η, -ο (ακατάδεχτος) მიუღებელი, აუტანელი: *~η συμπεριφορά* აუტანელი ქცევა.

ακατάληπτος, -η, -ο გაუგებარი, რთული: *~η γλώσσα / θεωρία / έννοια* რთული ენა / გაუგებარი თეორია / ცნება.

ακατάλληλος, -η, -ο შეუფერებელი: *είναι ~ για την δουλειά* სამუშაოსთვის შეუფერებელია.

ακατάλυτος, -η, -ο მტკიცე, მყარი, დაურღეველი: *~η πίστη* მტკიცე რწმენა.

ακαταμάχητος, -η, -ο უძლეველი, ძლიერი.

ακατανέμητος, -η, -ο გაუნაწილებელი.

ακατανίκητος, -η, -ο ძლიერი, დაუმარცხებელი, დაუოკებელი.

ακατανόητος, -η, -ο გაუგებარი, ალოგიკური.

ακατάπαυστος, -η, -ο (ακατάπαυτος) განუწყვეტელი, უწყვეტი: *~η φλυαρία* განუწყვეტელი ლაქლაქი.

ακαταπόνητος, -η, -ο დაუღალავი, დაუცხრომელი, ენერგიული.

ακατάρτιστος, -η, -ο 1. არაკვალიფიცირებული: *~ υπάλληλος* არაკვალიფიცირებული მოხელე; **2.** მოუმზადებელი: *~ο πρόγραμμα* მოუმზადებელი პროგრამა.

ακαταστασία η უწესრიგობა, ქაოსი.

ακατάστατος, -η, -ο 1. მოუწესრიგებელი, დაულაგებელი: *ο γιος μου είναι πολύ ~* ჩემი ბიჭი ძალიან მოუწესრიგებელია; **2.** ცვალებადი, არასტაბილური: *~ καιρός / χαρακτήρας* ცვალებადი ამინდი / ხასიათი.

ακατάσχετος, -η, -ο შეუკავებელი, შეუჩერებელი, დაუოკებელი: *~η αιμορραγία* შეუჩერებელი სისხლდენა.

ακατέργαστος, -η, -ο დაუმუშავებელი: *~ο βαμβάκι / διαμάντι* დაუმუშავებელი ბამბა / ალმასი.

ακατοίκητος, -η, -ο დაუსახლებელი.

ακατόρθωτος, -η, -ο მიუღწეველი, აუხდენელი: *πέτυχε το ~ο!* მიუღწეველ მიზანს მიაღწია!

ακέραιος, -η/αία, -ο (ακέριος) 1. მთლიანი, მთელი: *θα παραλάβει ~ο το ποσόν της αποζημιώσεως* მთელ

საკომპენსაციო თანხას მიიღებს; **2.** სრული: *φέρω ~α την ευθύνη για τις πράξεις μου* ჩემს ქმედებებზე სრულ პასუხისმგებლობას ვიღებ.

ακεραιότητα η (*πληθ. არ გააჩნია*) **1.** მთლიანობა, სიმთელე; **2.** *გადატ.* სიმტკიცე: *φημίζεται για την ~ του χαρακτήρα του* ის თავისი ხასიათის სიმტკიცით არის ცნობილი; ◊ *εδαφική ~* ტერიტორიული მთლიანობა, *σωματική ~* პიროვნების ხელშეუხებლობა.

ακετόνη η (*πληθ. არ გააჩნია*) *ქიმ.* აცეტონი.

ακέφαλος, -η, -ο 1. უთავო; **2.** უმეთაურო.

ακεφιά η (*βεβαιωτικό πληθ.*) უხალისობა, უგუნებობა, მოწყენილობა.

άκεφος, -η, -ο უხალისო, უგუნებო, მოწყენილი.

ακήρυκτος, -η, -ο (ακήρυχτος) გამოუცხადებელი; ◊ *~ πόλεμος* გამოუცხადებელი ომი.

ακίδα η **1.** წერი, წვეტი: *~ βελόνας / βέλους* ნემსის წვერი / ისრის წვეტი; **2.** ხიჭვი.

ακίνδυνος, -η, -ο უსაფრთხო, უვნებელი.

ακινησία η (*πληθ. არ გააჩნია*) **1.** უძრაობა, უმოძრაობა: *απόλυτη ~* სრული უძრაობა; **2.** *გადატ.* სტაგნაცია.

ακινητοποίηση η გაჩერება, პარალიზება.

ακινητοποιώ (ε) (*აόρ. ακινητοποίησα, აόρ. παθ. ακινητοποιήθηκα, μτχ. ακινητοποιημένος*) *μετβ.* გაჩერება, შეჩერება.

ακίνητος, -η, -ο 1. გაშეშებული, გაყინული, უმოძრაო: *~ σαν άγαλμα* ძეგლივით გაშეშებული; **2.** (το) *ιურ.* უძრავი ქონება.

άκληρος, -η, -ο უშვილო, უმემკვიდრეო.

ακλόνητος, -η, -ο *λιτ., გადატ.* მტკიცე, მყარი.

ακμάζω (*αόρ. ήκμασα / άκμασα, μτχ. -ων, -ουσα, -ον*) *αμετβ.* აყვავება, განვითარება: *η Αθήνα άκμασε κατά τον 5ο αιώνα π.Χ.* ძ.წ.აღ.-ით V საუკუნეში ათენმა განვითარების უმაღლეს მწვერვალს მიაღწია.

ακμαίος, -α, -ο ძლიერი, ჯანმრთელი, ყოჩაღი: *αν και έχει περάσει τα 80, είναι ακόμη ~* მართალია, ოთხმოც წელს გადააბიჯა, მაგრამ ჯერ კიდევ ჯანმრთელია.

ακμή η განვითარების უმაღლესი მწვერვალი, ზენიტი: *στην ~ της δόξας* თავისი დიდების ზენიტში.

ακοή η სმენა.

ακοινώνητος, -η, -ο 1. უკარებელი, უკარება, ჩაკეტილი: *είναι τελείως ~* სრულიად უკარებაა, ერთი მეგობარიც არ ჰყავს; **2.** *ეკლ.* უზიარებელი.

ακολασία η აღვირახსნილობა, თავაშვებულობა, ამორალურობა.

άκολαστος, -η, -ο აღვირახსნილი, თავაშვებული, ამორალური.

ακόλουθος, -η/-ος, -ο 1. მემდეგი: *ο κυβερνητικός εκπρόσωπος ανακοίνωσε τα ~α* მთავრობის წარმომადგენელმა გამოაცხადა შემდეგი; **2.** (ο) ა) თანმხლები: *οι ~οι του βασιλιά* მეფის თანმხლებნი, ბ) ატაშე: *μορφωτικός / στρατιωτικός ~* განათლების / სამხედრო ატაშე.

ακολουθώ (ε) (*αόρ. ακολούθησα, αόρ. παθ. ακολουθήθηκα, μτχ. ακολουθημένος*) *μετβ., αμετβ.* მიდევნება, გაყოლა: *κάποιος με ακολούθησε* ვიღაც მომყვებოდა.

ακόμη (ακόμα) *επίρρ.* **1.** ისევ, კიდევ: *βρέχει ~* ისევ წვიმს; **2.** ჯერ: *~ δεν*

ήρθες και φεύγεις πάλι; ჯერ არ მოსულხარ და ისევ მიდიხარ? **3.** მეტი, კიდევ: *χρειαζόμαστε ~ δύο καθίσματα* კიდევ ორი სავარძელი გვჭირდება.

άκομψος, -η, -ο ტლანქი, ულაზათო, მოუწესრიგებელი: *~οι τρόποι* ტლანქი მანერები.

ακόνι το სალესი ქვა.

ακονίζω (*αόρ. ακόνισα, αόρ. παθ. ακονίστ(θ)ηκα, μτχ. ακονισμένος*) *μετβ.* გალესვა.

ακόντιο το **1.** შუბი; **2.** შუბის ტყორცნა: *πρωταθλητής στο ~* ჩემპიონი შუბის ტყორცნაში.

ακόρεστος, -η, -ο *λόγ., μεταφ.* დაუცხრომელი, დაუნაყრებელი, გაუმაძღარი: *~ πάθος* დაუცხრომელი ვნება.

άκοσμος, -η, -ο უღირსი: *~η συμπεριφορά* უღირსი საქციელი.

ακουμπώ (α) (*αόρ. ακούμπησα, μτχ. ακουμπισμένος / ακουμπημένος*) *μετβ.* შეხება: *~ κάτι με το πόδι μου* ფეხით რაღაცას ვეხები; *αμετβ.* **1.** დადება, ჩამოდება: *πού να ακουμπήσω τον δίσκο;* სად დავდო დისკი? *λόγ., μεταφ.* **2.** მიყრდნობა, დაყრდნობა, მინდობა: *ζαλίστηκε και ακούμπησε στον τοίχο* თავბრუ დაესხა და კედელს მიეყრდნო.

ακούραστος, -η, -ο დაუღალავი.

άκουσμα το **1.** ხმა, მოსასმენი: *το ~ των πυροβολισμών* სროლის ხმა; **2.** მოსმენა, გაგება, გაგონება: *στο ~ και μόνο του ονόματός του θυμώνει* მისი სახელის გაგონებაც კი აბრაზებს.

ακουστική η აკუსტიკა.

ακουστικό το **1.** ფონენდოსკოპი; **2.** ყურმილი: *σηκώνω / κλείνω το ~* ყურმილს ვიღებ / ვკიდებ; **3.** (τα) ყურთსასმენი.

ακουστικός, -ή, -ό სასმენი, აკუსტიკური.

ακουστός, -ή, -ό ცნობილი, სახელგანთქმული: *ζωγράφος ~ σ'όλη την Ευρώπη* მთელს ევროპაში ცნობილი მხატვარი.

ακούω (*αόρ. άκουσα, αόρ. παθ. ακούστ(θ)ηκα, μτχ. ακουσμένος*) *μετβ., αμετβ.* **1.** მოსმენა, გაგონება, გაგება: *γέρασε και δεν ~ει καλά* დაბერდა და კარგად არ ესმის; **2.** დაჯერება, ყურად ღება, ანგარიშის გაწევა: *δεν ~ει κανέναν* არავის უჯერებს; ◊ ***άκου (με) που σου λέω*** დამიჯერე, რასაც გეუბნები, ***πού ακούστηκε;*** სად გაგონილა?

ακραίος, -α, -ο **1.** განაპირა: *~α περιοχή* განაპირა რაიონი; **2.** *μεταφ.* უკიდურესი: *~ες αντιθέσεις / λύσεις* უკიდურესი დაპირისპირებები / გადაწყვეტილებები.

άκρη (άκρια) η **1.** ბოლო, კიდე: *οι δύο ~ες του σκοινιού* თოკის ორი ბოლო; **2.** პირი, წვერი: *η ~ του μαχαιριού* დანის წვერი; **3.** გვერდი: *Έχει πολύ θόρυβο εδώ! Ας πάμε σε μια ~ να τα πούμε!* აქ ძალიან ხმაურია! გვერდზე გავიდეთ და ვილაპარაკოთ! **4.** კუთხე: *οι άλλοι χόρευαν κι αυτή είχε καθίσει σε μια ~ μόνη της* სხვები ცეკვავდნენ, ის კი მარტო იჯდა კუთხეში; ◊ **~–~** ნაპირ-ნაპირ, ***βάζω στην ~*** ფულს გადავდებ.

ακριβά *επίρρ., λόγ., μεταφ.* ძვირად: *πουλώ ~* ძვირად ვყიდი, *πλήρωσε ~ το σφάλμα του* ძვირად დაუჯდა შეცდომა.

ακριβαίνω (*αόρ. ακρίβυνα*) *μετβ., αμετβ.* გაძვირება, ფასების მომატება: *από αύριο ~ουν τα γαλακτοκομικά προϊόντα* ხვალიდან რძის პროდუქტები ძვირდება.

ακρίβεια η (*πληθ. αρ გააჩნია*) **1.** სიზუსტე: *μαθηματική ~* მათემატიკური სიზუსტე; **2.** სიმართლე, სიზუსტე: *ιστορική ~* ისტორიული სიმართლე; **3.** *ეკონ.* სიძვირე: *η ~ στην αγορά αποθαρρύνει τους καταναλωτές* ბაზრის სიძვირე მომხმარებელს აშინებს; ◊ *για την ~* სიზუსტისთვის.

ακριβής, -ής, -ές (*γεν. -ούς, πληθ. αρσ. და θηλ. -είς, ουδ. -ή*) **1.** ზუსტი, უტყუარი: *~ εξέταση / διάγνωση* ზუსტი გამოკვლევა / ანალიზი; **2.** მოწესრიგებული, ზუსტი: *είναι πάντα ~ στα ραντεβού του* შეხვედრებზე ყოველთვის ზუსტად მოდის.

ακρίβια η (*πληθ. არ გააჩნია*) სიძვირე.

ακριβός, -ή, -ό 1. ძვირი, ძვირფასი, ძვირადღირებული; **2.** *გადატ.* ძვირფასი, საყვარელი: *έχασαν την ~ή τους κόρη* საყვარელი ქალიშვილი დაკარგეს.

ακριβώς *επίρρ.* ზუსტად: *πες μου ~ τι συνέβη* მითხარი ზუსტად რა მოხდა.

ακρίδα η კალია.

άκρο (άκρον) το **1.** ბოლო, კიდე: *πιάσε το σχοινί από τα δύο ~α και τέντωσέ το* თოკს ორივე ბოლოში ჩაავლე ხელი და გაჭიმე; **2.** (τα) კიდურები: *κάτω ~α* ქვედა კიდურები

ακρόαση η მოსმენა.

ακροατήριο το აუდიტორია.

ακροατής ο, **-άτρια** η მსმენელი.

ακροβασία η აკრობატიკა.

ακροβάτης ο, **-ισσα** η აკრობატი.

ακροβατώ (ε) (*აόρ. ακροβάτησα*) *αμετβ.* აკრობატული ილეთის შესრულება.

ακρογιαλιά η **(ακρογιάλι** το) სანაპირო.

ακρόπολη η აკროპოლისი, ქალაქის სიმაგრე.

ακροποταμιά η მდინარის ნაპირი.

άκρως *επίρρ.* ძალზე, ძალიან, უკიდურესად.

ακρωτηριάζω (*αόρ. ακρωτήριασα, αόρ. παθ. ακρωτηριάστηκα, μτχ. ακρωτηριασμένος*) *μετβ.* კიდურის მოკვეთა, ამპუტაცია.

ακτή η სანაპირო, ნაპირი.

ακτίνα (αχτίνα, αχτίδα) η **1.** *ფიზ.* გადატ. სხივი: *οι ~ες του ηλίου* მზის სხივები; **2.** რადიუსი; ◊ *~ες Ράιντγκεν / Χ* რენტგენის სხივები, *υπεριώδεις / υπέρυθρες ~ες* ულტრაიისფერი / ინფრაწითელი სხივები, *~ες λέιζερ* ლაზერის სხივები.

ακτινίδιο το კივი.

ακτινοβολία η **1.** *ფიზ.* დასხივება: *ηλιακή / ηλεκτρομαγνητική ~* მზის / ელექტრომაგნიტური დასხივება; **2.** რადიაცია.

ακτινοβόλος, -ος/α, -ο მანათობელი, მნათობი, სხივმნათი.

ακτινοβολώ (ε) (*αόρ. ακτινοβόλησα, αόρ. παθ. ακτινοβολήθηκα, μτχ. ακτινοβολημένος*) *αμετβ., μετβ.* გადატ. ნათება, გაბრწყინება, გასხივოსნება: *το πρόσωπό του ακτινοβολούσε από χαρά* მისი სახე სიხარულით იყო გასხივოსნებული.

ακτινογραφία η რენტგენოგრაფია.

ακτινογραφώ (ε) (*αόρ. ακτινογράφησα, αόρ. παθ. ακτινογραφήθηκα, μτχ. ακτινογραφημένος*) *μετβ.* რენტგენის სურათის გადაღება.

ακτινοθεραπεία η ფიზიოთერაპია.

άκτιστος, -η, -ο (άχτιστος) აუშენებელი.

ακτοφυλακή η სანაპიროს დაცვა.

ακυβέρνητος, -η, -ο 1. უმართავი: *~ο καράβι* უმართავი ხომალდი; **2.** უმთავრობო: *~η χώρα* უმთავრობო ქვეყანა; **3.** *გადატ.* ურჩი,

დაუმორჩილებელი: ~ *λαός* დაუმორჩილებელი ხალხი.

ακύμαντος, -η, -ο *λιτρ., გადატ.* აუღელვებელი, წყნარი: *~η θάλασσα* წყნარი ზღვა.

άκυρος, -η, -ο 1. გაუქმებული, ანულირებული, ბათილი: *το δικαστήριο έκρινε ~η τη διαθήκη* სასამართლომ ანდერძი გაუქმებულად გამოაცხადა; 2. (το) ბათილი საარჩევნო ხმა.

ακυρώνω (*აόր. ακύρωσα, აόր. παθ. ακυρώθηκα, μτχ. ακυρωμένος*) *μετβ.* 1. გაუქმება, ანულირება, ბათილად ცნობა; 2. გადადება: *ακύρωσε όλα τα ραντεβού της ημέρας* დღის ყველა შეხვედრა გადადო; 3. ბილეთის გატარება საზოგადოებრივ ტრანსპორტში დამონტაჟებულ სპეციალურ დანადგარში.

ακύρωση η 1. გაუქმება: *~ διαγωνισμού* კონკურსის გაუქმება; 2. *იურ.* მაღალი ინსტანციის სასამართლოს მიერ დაბალი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების ბათილად ცნობა.

ακύρωτος, -η, -ο დაუმოწმებელი, ძალაში შეუსვლელი: *~η συμφωνία / συνθήκη* ძალაში შეუსვლელი ხელშეკრულება / კონვენცია.

αλά *πρόθ.* -ად, როგორც, მსგავსად: *πίτσα ~ ιταλικά* პიცა იტალიურად.

αλάβαστρο το ალებასტრი.

αλαζόνας ο ქედმაღალი, პატივმოყვარე.

αλαζονεία η (*πληθ. არ გააჩნია*) ქედმაღლობა, პატივმოყვარეობა.

αλαζονικός, -ή, -ό ქედმაღლური, პატივმოყვარე.

αλάθευτος, -η, -ο ზუსტი, შეუმცდარი.

αλαλάζω (*აόр. αλάλαξα*) *αμετβ.* ხმამაღლა შეძახება.

αλαλία η (*πληθ. არ გააჩნია*) *მედ.* მეტყველების უნარის დაკარგვა.

αλάνης ο (*πληθ. -ηδες*) *ხალხ.* 1. მაწანწალა; 2. ხულიგანი.

αλάνθαστος, -η, -ο უშეცდომო: *~ο γραπτό* უშეცდომო ნაწერი.

αλανιάρης (*πληθ. -ηδες*), **-α, -ικο** *დამამც.* 1. ქუჩაში მოხეტიალე; 2. ქუჩური, ხულიგნური, მაწანწალასთვის დამახასიათებელი: *~ικο φέρσιμο* ქუჩური ქცევა.

αλάτι το მარილი; ◊ *φάγαμε μαζί ψωμί κι ~* დიდი ხნის მეგობრობა გვაკავშირებს, *όσα είπαμε, νερό κι ~* რაც მოხდა, მოხდა, მეგობრებად დავრჩეთ.

αλατιέρα η **(αλατοθήκη** η, **αλατοδοχείο** το) (*γεν. πληθ. არ გააჩნია*) სამარილე.

αλατίζω (*აόр. αλάτισα, აόр. παθ. αλατίστηκα, μτχ. αλατισμένος*) *μετβ.* დამარილება.

αλατόνερο το მარილწყალი.

αλατοπίπερο το მარილი და წიწაკა.

αλατοπιπερώνω (*აόр. αλατοπιπέρωσα, აόр. παθ. αλατοπιπερώθηκα, μτχ. αλατοπιπερωμένος*) *μετβ.* საკვებზე მარილისა და წიწაკის მოყრა.

αλατωρυχείο το მარილის მაღარო.

αλαφιάζω (*აόр. αλάφιασα, μτχ. αλαφιασμένος*) *αμετβ* 1. შეშინება; 2. ქოშინი.

αλάφρωμα (ελάφρωμα) το (*πληθ. არ გააჩნια*) შემსუბუქება.

αλαφρώνω *იხ.* **ελαφρώνω**.

αλβανικός, -ή, -ό ალბანური.

Αλβανός ο, **-ίδα** η ალბანელი.

άλγεβρα η (*πληθ. არ გააჩნια*) *მათ.* ალგებრა.

Αλγερινός ο, **-ή** η ალჟირელი.

αλέθω (*აόр. άλεσα, აόр. παθ. αλέστηκα, μτχ. αλεσμένος*) *μετβ.* 1.

დაფქვა, დანაყვა: ~ *πιπέρι / καφέ* წიწაკას ენაყაე / ყავას ეფქვაე; **2.** *გადატ.* მონელება: *το στομάχι του ~ει οτιδήποτε* მისი კუჭი ყველაფერს ინელებს.

άλειμμα το **1.** გაქონვა, შეზეთვა; **2.** ზეთი (მანქანის); **3.** ქონი.

αλείφω (αλείβω) (*აόρ. άλειψα, აόρ. παθ. αλείφτηκα, μτχ. αλειμμένος*) *μετβ.* წასმა: ~ *ψωμί με βούτυρο* პურზე კარაქს ვუსვამ.

αλεξιπτωτιστής ο, **-τρια** η პარაშუტისტი.

αλεξίπτωτο το პარაშუტი.

αλεπού η **1.** მელია; **2.** *გადატ.* ეშმაკი ადამიანი.

αλέρωτος, -η, -ο დაუსვრელი: *~ο μαντίλι* დაუსვრელი თაეშალი.

άλεση η დაფქვა; ◊ *αλεύρι ολικής ~εως* მსხვილად დაფქვილი ხორბალი.

αλέτρι το **1.** გუთანი; **2.** მოხვნა: *το χωράφι χρειάζεται* ~ მინდორს მოხვნა სჭირდება.

αλεύρι (άλευρο) το (*γεν. πληθ. არ χαίνεται*) ფქვილი: *σιταρένιο* ~ ხორბლის ფქვილი.

αλευρόμυλος ο **1.** საფქვავი; **2.** წისქვილი.

αλήθεια η სიმართლე, ჭეშმარიტება; ◊ *δόση / ίχνος / κόκκος / μόριο ~ς* სიმართლის ნატამალი, *μα την ~!* მართლა გეუბნები! *η ~ είναι πικρή* სიმართლე ყოველთვის მწარეა.

αλήθεια *επίρρ.* მართლა: ~, *έμαθες τι έγινε χθες;* მართლა, გაიგე გუშინ რა მოხდა?

αληθεύω (*αόρ. αλήθευσα*) *αμετβ.* გამართლება: ~ *απολύτως / μερικώς* აბსოლუტურად / ნაწილობრივ ემართლება.

αληθής, -ής, -ές (*γεν. -ούς, πληθ. αρσ. και θηλ. -είς, ουδ. -ή*) **1.** ნამდვილი, მართალი, სწორი, ზუსტი: ~ *ισχυρισμός* სწორი მტკიცება; **2.** (το) სიზუსტე, მართებულობა, სინამდვილე, სისწორე: *πρέπει να ελεγχθεί το ~ές των ισχυρισμών του* უნდა შემოწმდეს მისი მტკიცებულებების მართებულობა.

αληθινός, -ή, -ό 1. ნამდვილი, ნაღდი, რეალური: *~ό χρυσάφι* ნამდვილი ოქრო; **2.** ნამდვილი, გულწრფელი.

αληθοφάνεια η (*πληθ. არ χαίνεται*) დამაჯერებლობა.

αληθώς *επίρρ.* ჭეშმარიტად; ◊ *- Χριστός Ανέστη! - Α~ ο Κύριος / Α~ Ανέστη!* - ქრისტე აღსდგა! ჭეშმარიტად!

αλησμόνητος, -η, -ο დაუვიწყარი: *~α χρόνια* დაუვიწყარი წლები.

αλήτης ο *დამამც.* **1.** მაწანწალა; **2.** ხულიგანი.

αλιεία η (*πληθ. არ χαίνεται*) თევზაობა.

αλίευμα το ნათევზაევი.

αλίμονο (αλήμονο, αλλοίμονο) *επιφών.* **1.** ეაი: ~ *μου, τι έπαθα ο δύστυχος!* ეაი მე, ეს რა დამემართა უბედურს! **2.** ბრალი, ვაი: ~ *σου, αν δεν κάνεις ό,τι σου λέω* ბრალი შენი, თუ ჩემს ნათქვამს არ შეასრულებ.

αλκοόλ το *άκλ.* ალკოჰოლი.

αλκοόλη η **1.** ალკოჰოლი; **2.** *ქიმ.* სპირტი.

αλκοολικός, -ή, -ό 1. ალკოჰოლური; **2.** (ο) ლოთი.

αλκοολισμός ο ალკოჰოლიზმი.

αλκοολούχος, -ος, -ο ალკოჰოლური, ალკოჰოლის შემცველი: *~α ποτά* ალკოჰოლური სასმელები.

αλλά *σύνδ.* **1.** მაგრამ: *έρχεται στο γραφείο,* ~ *δεν δουλεύει* ოფისში მოდის, მაგრამ არ შუშაობს; **2.** არამედ: *όχι λόγια,* ~ *έργα* არა სიტყვები,

არამედ საქმენი; 3. მარტო, გარდა: *δεν φταίει κανείς, ~ εγώ που σε άκουσα* მარტო მე ვარ დამნაშავე, შენ რომ დაგიჯერე; 4. იმ პირობით, თუ: *θα έρθω μαζί σου, ~ να έχω γυρίσει μέχρι τις έξι* იმ პირობით წამოგყვები, თუ ექვს საათამდე დავბრუნდები;.

αλλαγή η 1. ცვლილება, ცვალებადობა, შეცვლა: *πολιτική / ριζική / ζαφνική ~* პოლიტიკური / რადიკალური / უეცარი ცვლილება; 2. (οι) რეფორმები, გარდაქმნები: *ανάγκη βαθιών κοινωνικών ~ών* ძირეული საზოგადოებრივი რეფორმების საჭიროება; 3. შეცვლა, გამოცვლა: *~ λάμπας / προσωπικού* ნათურის შეცვლა / კადრების გამოცვლა; ◊ *~ κλίματος / περιβάλλοντος* გარემოს შეცვლა, *~ φύλου* სქესის შეცვლა, *~ φρουράς* დაცვის გამოცვლა, *~ αίματος* სისხლის გადასხმა.

αλλάζω (*აόր. άλλαξα, აόր. παθ. αλλάχτηκα, μτχ. αλλαγμένος*) *μετβ.* 1. შეცვლა, გამოცვლა: *~ έπιπλα* ავეჯის ვცვლი; 2. გაცვლა: *άλλαξα θέση με την Σοφία* სოფიას ადგილი გავუცვალე; 3. დახურდავება, გადახურდავება: *~ δολάρια σε ευρώ* დოლარებს ევროზე ვახურდავებ; *αμετβ.* შეცვლა, გამოცვლა: *ο άνθρωπος ~ει με τον καιρό* ადამიანი დროთა განმავლობაში იცვლება; ◊ *~ γνώμη / ιδέα* ვიცვლი აზრს/შეხედულებას, *~ τα λόγια μου* ჩემს ნათქვამს უარვყოფ, *~ (την) κουβέντα* საუბრის თემას ვცვლი, *~ ζωή / πορεία* ცხოვრების წესს ვიცვლი, *~ βέρες / δαχτυλίδια* ა) *αμετβ.* ვინიშნები, ბ) *μετβ.* მეჯვარე ვარ, *~ μυαλά* ა) *αμετβ.* ვიცვლები, ბ) *μετβ.* ტვინს ვუბრუნებ (ვინმეს), ვცვლი (ჩვეულებრივ სასიკეთოდ), *~ τους άντρες / τις γυναίκες σαν (τα) πουκάμισα* კაცებს / ქალებს პერანგებივით ვიცვლი, *~ την πίστη / τον αδόξαστο / τα φώτα / τα πετρέλαια / τα πέταλα (κάποιου)* ეტანჯავ, ვაწვალებ, პრობლემას ვუქმნი (ვინმეს),

αλλαντικό το ძეხვეული.

αλλαντοπωλείο το ძეხვეულის მაღაზია.

αλλεπάλληλοι, -ες, -α უწყვეტი, განმეორებითი: *~ες επιθέσεις / αποτυχίες* განმეორებითი თავდასხმები / მუდმივი წარუმატებლობები.

αλλεργία η *პორტ., გადატ.* ალერგია.

αλλεργικός, -ή, -ό ალერგიული: *~ στις γάτες* კატების მიმართ ალერგიულია.

αλλεργιολόγος ο ალერგოლოგი.

αλληγορικός, -ή, -ό ალეგორიული.

αλληθωρίζω (*აόր. αλληθώρισα*) *αμετβ.* 1. ელმად ცქერა, ცერად ყურება, დაელმება; *გადატ.* 2. თვალების გადმოცევნა (შთაბეჭდილებისგან, გაოცებისგან და სხვ.): *στο πέρασμά της όλοι αλληθώρισαν* მისი გაელისას ყველას თვალები გადმოსცვივდა.

αλλήθωρος, -η, -ο (αλλοίθωρος) ელამი, ალმაცერი.

αλληλεγγύη η (*πληθ. არ გააჩნია*) სოლიდარობა.

αλληλέγγυος, -α, -ο სოლიდარული, მხარში ამომდგომი: *οι υπάλληλοι της εταιρείας οφείλουν να είναι μεταξύ τους ~οι* ფირმის თანამშრომლები ერთმანეთს მხარში უნდა ედგნენ.

αλληλένδετοι, -ες, -α ურთიერთდაკავშირებული.

αλληλεξάρτηση η ურთიერთდამოკიდებულება, ერთმანეთზე დამოკიდებულება.

αλληλεπίδραση (αλληλοεπίδραση) η 1. ურთიერთგავლენა; 2. *ფარმ.* (οι) სხვადასხვა მედიკამენტის ურთიერთგავლენა.

αλληλοβοήθεια η (*πληθ. არ გააჩნია*) ურთიერთდახმარება.

αλληλογραφία η **1.** მიმოწერა: *επίσημη / προσωπική / ~* ოფიციალური / პირადი მიმოწერა; **2.** კორესპოდენცია.

αλληλοεκτίμηση η ურთიერთშეფასება

αλληλοκατανόηση η ურთიერთგაგება.

αλληλοσεβασμός ο ურთიერთშეფასება.

αλληλοσπαραγμός ο **1.** ერთმანეთის გაკლეტა; **2.** დაპირისპირება (ერთი ჯგუფის, კლასის და ა. შ. წარმომადგენლებს შორის).

αλληλούια *επιφών., εκκλ.* ალილუია.

αλληλουχία η (*πληθ. არ გააჩნია*) თანმიმდევრობა: *η ~ των γεγονότων* მოვლენების თანმიმდევრობა.

αλλιώς (αλλέως) *επίρρ.* **1.** სხვანაირად, სხვაგვარად: *αν μπορείς, κάνε κι ~* თუ შეგიძლია სხვანაირად გააკეთე; **2.** თორემ: *έλα μαζί μας, ~ θα θυμώσω* წამოდი ჩვენთან ერთად, თორემ გავბრაზდები; ◊ *έτσι κι ~* ასე თუ ისე, *μια έτσι, μια ~* ხან ასე, ხან ისე.

αλλιώτικος, -η, -ο შეცვლილი, სხვანაირი: *γύρισες από το εξωτερικό ~* უცხოეთიდან შეცვლილი დაბრუნდი.

άλλο *επίρρ.* მეტი: *δεν μπορώ να περιμένω ~* მეტს ვეღარ მოვიცდი; ◊ *δεν πάει ~* ეს უკვე მეტისმეტია, ასე ვეღარ გაგრძელდება.

αλλοδαπή η (*πληθ. არ გააჩნია*) *მაღალფ.* უცხოეთი: *έμεινε στην ~ για πολλά χρόνια* მრავალი წლის განმავლობაში უცხოეთში ცხოვრობდა.

αλλοδαπός, -ή, -ό უცხოელი, უცხოეთიდან ჩამოსული; ◊ *Υπηρεσία Α~ών / Α~ών* მიგრაციის სამსახური.

άλλοθι το *ακλ.* ალიბი.

αλλόθρησκος, -η, -ο სხვა რელიგიის მიმდევარი: *μια ανεκτική κοινωνία δεν διώκει τους ~ους* ტოლერანტული საზოგადოება სხვა რელიგიის მიმდევრებს არ დევნის.

αλλόκοτος, -η, -ο უცნაური, გაუგებარი, უჩვეულო: *~ο φέρσιμο* უცნაური საქციელი.

άλλος, -η, -ο **1.** სხვა, სხვანაირი, განსხვავებული: *όχι αυτός, αλλά ο ~* ეს არა, სხვა, *γύρισε από τις διακοπές του ~ άνθρωπος* არდადეგების მერე სხვა ადამიანი დაბრუნდა; **2.** შემდეგი, სხვა: *την ~η φορά να είστε πιο προσεκτική!* სხვა დროს უფრო ყურადღებით იყავით! **3.** ახალი: *ένας ~ Μότσαρτ γεννήθηκε* ახალი მოცარტი დაიბადა; ◊ *η ~η όψη (του νομίσματος)* მონეტის სხვა მხარე, *~ο το ένα κι ~ο το ~ο* ეს სხვა შემთხვევაა, ის სხვა, *~ο να το ακούς / να σου το λέω κι ~ο να το βλέπεις* გაგონილს ნახახი ჯობია, *~ κόσμος* საიქიო, *άλλ' αντ' ~ων* სისულელე, *από την ~η (πλευρά)* მეორე მხრიე.

άλλοτε *επίρρ.* **1.** უწინ, ადრე: *~ και τώρα* უწინ და ახლა; **2.** სხვა დროს, შემდეგში: *~ να είσαι πιο προσεκτική* სხვა დროს უფრო ყურადღებით იყავი; ◊ *~ ... ~* ხან... ხან.

αλλοτινός, -ή, -ό უწინდელი, ადრინდელი.

αλλοτριώνω (*αόρ. αλλοτρίωσα, αόρ. παθ. αλλοτριώθηκα, μτχ. αλλοτριωμένος*) *μετβ., μαλαφ.* გაუცხოებისკენ, განმარტოებისკენ ბიძგება: *η σύγχρονη ζωή ~ει τους ανθρώπους* თანამედროვე ცხოვრება ადამიანებს განმარტოებისკენ უბიძგებს.

αλλοτρίωση η (*πληθ. არ გააჩნია*) გაუცხოება, განმარტოება: *η ~ του ανθρώπου από την κοινωνία* ადამიანის საზოგადოებისგან დაშორება.

αλλού *επίρρ.* სხვაგან; ◊ *~ αυτά* ჩემთან ეგეთები არ გაგიცა, *~ τα κακαρίσματα κι ~ γεννούν οι κότες* ქათამი აქ კაკანებს და კვერცხს კი სხვაგან დებს.

αλλοφροσύνη η (*πληθ. არ გააჩნია*) შეშლილობა, სიგიჟე: *τι ~ είναι αυτή;* ეს რა სიგიჟეა?

αλλόφρων, -ων, -ον (*γεν. -ονος, -ονα / -ονες, ουδ. -ονα, γεν. πληθ. -όνων*) შეშლილი, გიჟი, გადარეული.

άλλως *επίρρ., მაღალფ.* სხვანაირად; ◊ *ούτως ή ~* ასე თუ ისე.

άλλωστε *επίρρ.* გარდა ამისა, ამასთან, თანაც: *δεν ανησυχώ που άργησα· ~ είναι μέρα ακόμη* არ ვნერვიულობ, რომ დავაგვიანე, თანაც ჯერ კიდევ დღეა.

άλμα το *მაღალფ.* **1.** ნახტომი; **2.** *სპორტ.* ხტომა: *~ εις μήκος* სიგრძეზე ხტომა; **3.** *გადატ.* ნახტომი, წინსვლა, წარმატება.

άλμπουμ το *ახლ.* ალბომი: *φωτογραφικό ~* სურათების ალბომი.

αλμύρα (αρμύρα) η (*πληθ. არ გააჩნია*) **1.** მარილი: *γέμισαν τα μαλλιά του θαλασσινή ~* მისი თმები მღვის მარილით აივსო; **2.** სიმლაშე.

αλμυρίζω (αρμυρίζω) (*αόρ. αλμύρισα, αόρ. παθ. αλμυρίστηκα, μτχ. αλμυρισμένος*) *ამეტ.* დამარილიანება, დამლაშება.

αλμυρός, -ή, -ό (αρμυρός) მარილიანი, მლაშე: *το φαγητό είναι πολύ ~ό* საღილი ძალიან მლაშეა.

αλμυρότητα η (*πληθ. არ გააჩნია*) სიმლაშე.

άλογο το ცხენი.

άλογος, -η, -ο ალოგიკური: *~α επιχειρήματα* ალოგიკური არგუმენტები.

αλόη η (*πληθ. არ გააჩნია*) *ბოტ.* ალოე.

αλοιφή η კრემი, მალამო, საცხი.

αλουμινένιος, -ια, -ιο ალუმინის.

αλουμίνιο το ალუმინი.

αλουμινόχαρτο το ალუმინის ფურცელი.

άλουστος, -η, -ο დაუბანელი.

αλπινισμός ο (*πληθ. არ გააჩნია*) ალპინიზმი.

αλπινιστής ο, **-τρια** η ალპინისტი.

άλσος το პატარა ხელოვნური ტყე, ჭალა.

άλτης ο, **-τρια** η *სპორტ.* მხტომელი.

αλτρουισμός ο (*πληθ. არ გააჩνια*) ალტრუიზმი.

αλτρουιστής ο, **-τρια** η ალტრუისტი.

αλύγιστος, -η, -ο *პირდ., გადატ.* უღრეკი, მოუდრეკელი: *παρ'όλες τις συμφορές του, έμεινε ~* ყველა უბედურების მიუხედავად, მოუდრეკელი დარჩა.

αλύπητα *επίρρ.* **1.** მეუბრალებლად, უმოწყალოდ; **2.** უზომოდ: *ζόδευε τα λεφτά του ~* ფულს უზომოდ ხარჯავდა.

αλυσίδα η **1.** ჯაჭვი: *μεταλλική / βαριά ~* ლითონის / მძიმე ჯაჭვი; **2.** ძეწკვი: *χρυσή ~* ოქროს ძეწკვი; **3.** ქსელი: *~ καταστημάτων* მაღაზიათა; **4.** (οι) ბორკილები: *του πέρασε τις ~ες* ბორკილები დაადო.

άλυτος, -η, -ο გადაუჭრელი, ამოუხსნელი: *τα ~α προβλήματα της χώρας* ქვეყნის გადაუჭრელი პრობლემები.

αλύτρωτος, -η, -ο გაუნთავისუფლებელი, დატყვევებული, ტყვეობაში მყოფი.

άλφα το *άκλ.* **1.** ალფა (ბერძნული ანბანის პირველი ასო); **2.** თავი, დასაწყისი: *αρχίσαμε ξανά από το ~* ისევ თავიდან დავიწყეთ; ◊ *δεν ξέρει ούτε το ~* უწიგნურია, გაუნათლებელია, *το ~ και το ωμέγα* თავი და ბოლო, დასაწყისი და დასასრული.

αλφαβήτα η (*πληθ. არ გააჩნია*) **1.** ანბანი; **2.** ელემენტარული ცოდნა: *δύο χρονιές στην ίδια τάξη κι έμαθε μόνο την ~* ორი წელია ერთ კლასში სწავლობს და მხოლოდ ელემენტარული ცოდნა მიიღო.

αλφαβητάριο το სახელმძღვანელო, რომლითაც ბავშვები წერა-კითხვას სწავლობენ, დედაენა.

αλφάβητο το ანბანი.

αλφικός, -ή, -ό (αλμπινικός) *მედ.* **1.** ალბინოსური; **2.** (ο) ალბინოსი.

αλχημεία η ალქიმია.

αλών το კალო.

αλωνίζω (*აόր. αλώνισα, აόր. παθ. αλωνίστηκα, მτχ. αλωνισμένος*) *მეტბ.* **1.** გალეწვა: *έχει ακόμα δύο δεμάτια στάχυα να αλωνίσει* ჯერ კიდევ ორი შეკერა თაველი აქვს გასალეწი; **2.** *გადატ.* შემოევლა: *~ τον κόσμο / τη χώρα / τους δρόμους* შე.

αλώνισμα το გალეწვა, ლეწვა.

άλωση η **1.** აღება: *η ~ του κάστρου* ციხის აღება; **2.** *ისტ.* **(Α~)** კონსტანტინოპოლისის აღება.

άμα *σύνδ.* **1.** თუ: *~ θες να φύγεις, φύγε!* თუ წასვლა გინდა, წადი! **2.** რომ: *~ ερχόταν στο σπίτι, γινόταν πανηγύρι* ჩვენს სახლში რომ მოსულიყო, დღესასწაული იქნებოდა.

αμαζόνα η ამორძალი.

αμάθεια η (*πληθ. არ გააჩნია*) უვიცობა, უცოდინრობა, უწიგნურობა.

αμαθής, -ής, -ές (*γεν. -ούς, πληθ. αρσ. და θηλ. -είς, ουδ. -ή*) უვიცი, უცოდინარი, უწიგნური, გაუნათლებელი.

αμάν *επιφών.* **1.** ღვთის გულისათვის: *~, σε παρακαλώ, δείξε λίγη κατανόηση!* ღვთის გულისათვის, გეევედრები, ცოტაოდენი თანაგრძნობა გამოიჩინე! **2.** ვაი, ვაიმე: *~! Ο σκύλος δεν είναι δεμένος* ვაიმე! ძაღლი დაბმული არაა.

αμάνικος, -η, -ο უმკლავებო: *~ο πουλόβερ* უმკლავებო პულოვერი.

άμαξα η ეტლი.

αμαξάς ο (*πληθ. -άδες*) მეეტლე.

αμάξι το **1.** ეტლი; **2.** მანქანა.

αμαξοστοιχία η მატარებელი: *ταχεία ~* სწრაფი მატარებელი.

αμάραντος, -η, -ο 1. უჭკნობი, დაუმჭკნარი: *~ο λουλούδι* დაუმჭკნარი ყვავილი; **2.** მარადიული, სამარადისო, საუკუნო: *~η δόξα* საუკუნო დიდება; **3.** (ο) მარადმწვანე მცენარე.

αμαρτάνω (*აόρ. αμάρτησα / ήμαρτον*) *ამეტბ.* ცოდვის ჩადენა.

αμάρτημα το ცოდვა; ◊ *το προπατορικό ~* პირველი ცოდვა.

αμαρτία η *რელ.* ცოდვა: *μεγάλη / βαριά ~* დიდი / მძიმე ცოდვა; ◊ *πληρώνω ~ες* ცოდვებისათვის მომგებიანად ვაჭრობა, *παίρνω πάνω μου την ~* ცოდვას ჩემს თავზე ვიღებ.

αμαρτωλός, -ή, -ό *რელ.* ცოდვილი, ცოდვიანი.

αμάχητος, -η, -ο უძლეველი, დაუმარცხებელი.

άμαχος, -η, -ο უბრძოლელი, ის, ვინც ბრძოლაში მონაწილეობას არ იღებს.

αμβλύνω (*აόρ. άμβλυνα, აόρ. παθ. αμβλύνθηκα, მτχ. αμβλυμμένος*) *მეტბ.* **1.** დაბლაგვება; **2.** *გადატ.* დაწუნარება, დამშვიდება, დაცხრომა.

αμβλυωπία η (*πληθ. არ გააჩნია*) *მედ.* მხედველობის დასუსტება.

άμβλωση η *მედ.* აბორტი.

αμβροσία η (*πληθ. არ გააჩნია*) *მითოლ.* ამბროზია: ~ *και νέκταρ* ამბროზია და ნექტარი.

άμβωνας ο *ეკლ.* ამბიონი.

αμέ *მόρ.* აბა, მაშ, მართლაც: *Θα έλθεις μαζί μας;* – *Ναι, ~!* წამოხვალ ჩვენთან ერთად? – წამოვალ, მაშ!

αμέθοδος, -η, -ο (αμεθόδευτος) უსისტემო, უმეთოდო.

αμέθυστος, -η, -ο დაუთრობელი.

αμέθυστος ο *მინერალ.* ამეთვისტო.

αμείβω (*აόρ. άμειψα, აόρ. παθ. αμείφθηκα*) *μετβ.* ანაზღაურება, გადახდა: ~*ει καλά τους υπαλλήλους του* თავის მუშაკებს კარგად უხდის.

αμείλικτος, -η, -ο (αμείλιχτος) მკაცრი, ულმობელი: ~ *κριτής* ულმობელი მსაჯული.

αμείωτος, -η, -ο 1. შეუმცირებელი, მთლიანი: ~*ο ποσό* შეუმცირებელი თანხა; 2. *გადატ.* დაუმცირებელი, შეუბღალავი: ~*ο όνομα* შეუბღალავი სახელი.

αμέλεια η 1. დაუდევრობა, გულგრილობა: *δείχνει ~ για τα μαθήματά του* თავისი გაკვეთილების მიმართ დაუდევრობას იჩენს; 2. *იურ.* წინასწარ განუზრახველი, დაუდევრობით ჩადენილი (დანაშაული): *φόνος από ~* არა წინასწარგანზრახული (დაუდევრობით) მკვლელობა.

αμελέτητος, -η, -ο მოუმზადებელი, უმეცადინებელი, უსწავლელი: *σήμερα πήγε στο σχολείο ~* დღეს სკოლაში მოუმზადებელი წავიდა.

αμελής, -ής, -ές (*γεν. -ούς, πληθ. αρσ. და θηλ. -είς, ουδ. -ή*) დაუდევარი, გულგრილი: *απολύθηκε γιατί ήταν ~ στα καθήκοντά του* სამსახურიდან გაანთავისუფლეს, ვინაიდან მოვალეობათა შესრულებისას დაუდევრობას იჩენდა.

αμελώ (ε) (*αόρ. αμέλησα, αόρ. παθ. αμελήθηκα, μτχ. αμελημένος*) *μετβ.* 1. დაუდევრობის, უგულისყურობის, გულგრილობის გამოჩენა; 2. (+ *να*) დავიწყება, გამორჩენა უყურადღებობის ან გულგრილობის გამო: *μην αμελήσεις να φέρεις το βιβλίο που σου ζήτησα* არ დაგავიწყდეს იმ წიგნის წამოღება.

αμερικάνικος, -η, -ο ამერიკული.

αμερικανοποίηση η ამერიკანიზაცია.

Αμερικανός ο, **Αμερικανίδα** η ამერიკელი.

αμέριμνος, -η, -ο უდარდელი, უზრუნველი, დაუდევარი, უნაღელო: ~*η ζωή* უდარდელი ცხოვრება; **αμέριμνα** *επίρρ.* უდარდელად.

αμεριμνησιά η უდარდელობა, უზრუნველობა.

αμέριστος, -η, -ο განუყოფელი, დაუყოფელი, მთლიანი.

αμερόληπτος, -η, -ο მიუკერძოებელი, მიუდგომელი: ~*η άποψη* მიუკერძოებელი მოსაზრება.

αμέρωτος, -η, -ο მოუთვინიერებელი, მოუშინაურებელი, დაუოკებელი: ~*η μανία* დაუოკებელი მანია.

άμεσα *επίρρ.* პირდაპირ: *αγοράζουμε τα προϊόντα ~ από τους παραγωγούς* პროდუქციას პირდაპირ მწარმოებლებისაგან ვყიდულობთ.

άμεσος, -η, -ο 1. პირდაპირი: ~ *απόγονος / κληρονόμος* პირდაპირი შთამომავალი / მემკვიდრე; 2. სასწრაფო, გადაუდებელი.

αμεσότητα η (*πληθ. არ გააჩნია*) პირდაპირობა, უშუალობა.

αμέσως *επίρρ.* ახლავე: – *Έναν καφέ, παρακαλώ!* – ~ ერთი ყავა, გეთაყვა! – ახლავე.

αμετάβλητος, -η, -ο უცვლელი, შეუცვლელი: ~*η θερμοκρασία* უც-

ლელი ტემპერატურა; **αμετάβλητα / αμεταβλήτως** *επιρρ.* უცვლელად, შეუცვლელად.

αμετακίνητος, -η, -ο 1. უძრავი; **2.** *გადატ.* უცვლელი: *~η άποψη* უცვლელი აზრი.

αμετάκλητος, -η, -ο საბოლოო, უაპელაციო; ◊ *~η απόφαση* უაპელაციო გადაწყვეტილება.

αμετάλαβος, -η, -ο *ეკლ.* უზიარებელი.

αμετάλλακτος, -η, -ο *ბიოლ.* უცვლელი, სახეუცვლელი: *~ ιός* სახეუცვლელი ვირუსი.

αμετανόητος, -η, -ο 1. მოუნანიებელი; **2.** *გადატ.* უცვლელი, გამოუსწორებელი: *~ ρομαντικός* გამოუსწორებელი რომანტიკოსი.

αμετάφραστος, -η, -ο უთარგმნელი.

αμεταχείριστος, -η, -ο უხმარი, გამოუყენებელი: *~α έπιπλα* უხმარი ავეჯი.

αμέτοχος, -η, -ο ის, ვინც მონაწილეობას არ იღებს: *έμεινε ~ στη συζήτηση* საუბარში მონაწილეობა არ მიუღია.

αμέτρητος, -η, -ο უთვალავი.

άμετρος, -η, -ο 1. განუზომელი, უსაზღვრო, დაუთვლელი; **2.** უზომო, მეტისმეტი: *~η φιλοδοξία* უზომო პატივმოყვარეობა.

αμήν *ეკლ.* ამინ.

αμηνόρροια η *მედ.* ამენორეა, მენსტრუაციის უქონლობა.

αμηχανία η (*πληθ. არ გააჩნია*) უმოქმედობა, რთულ მდგომარეობაში ყოფნა: *βρίσκομαι σε ~* საგონებელში ვარ ჩავარდნილი.

αμήχανος, -η, -ο არაქმედითუნარიანი, უმოქმედო, რთულ მდგომარეობაში მყოფი; **αμήχανα** *επίρρ.* დაბნეულად, შეცბუნებულად.

αμιγής, -ής, -ές (*γεν. -ούς, πληθ. αρσ. და θηλ. -είς, ουδ. -ή*) სუფთა, შეურეველი, გაუზავებელი: *η περιοχή κατοικείται από ~ ελληνικό πληθυσμό* რეგიონი სუფთა ბერძნული მოსახლეობითაა დასახლებული.

αμίλητος, -η, -ο მდუმარე; **αμίλητα** *επίρρ.* მდუმარედ, ხმის ამოუღებლად.

αμίμητος, -η, -ο შეუდარებელი, უბადლო: *~ κωμικός* უბადლო კომიკოსი.

άμισθος, -η, -ο ანაზღაურების, ხელფასის გარეშე.

άμμος η ქვიშა, სილა; ◊ *σαν την ~ο της θαλάσσης* როგორც ზღვაში ქვიშა, უთვალავი.

αμμότοπος ο ქვიშიანი ადგილი.

αμμουδερός, -ή, -ο ქვიშიანი, ქვიშით გაესებული.

αμμουδιά η ქვიშიანი სანაპირო.

αμμωνία η (*πληθ. არ გააჩნია*) *ქიმ.* ამიაკი.

αμνημόνευτος, -η, -ο 1. დავიწყებული, მოუხსენიებელი; **2.** *ეკლ.* მოუხსენიებელი; ◊ *προ ~ων ετών / χρόνων* უძველესი დროიდან, დიდი ხნის წინ.

αμνησία η (*πληθ. არ გააჩნია*) *მედ.* ამნეზია.

αμνήστευση η ამნისტიის გაცემა, ამნისტიით განთავისუფლება, ამნისტია.

αμνηστεύω (*αόρ. αμνήστευσα, αόρ. παθ. αμνηστεύθηκα/τηκα, μτχ. αμνηστευμένος*) *μετβ., ιურ.* ამნისტიით განთავისუფლება, პატიება, ამნისტირება.

αμνηστία (αμνηστεία) η (*πληθ. არ გააჩნია*) *ιურ.* ამნისტია; ◊ *Διεθνής Α~* საერთაშორისო ამნისტია.

αμνός ο ბატკანი, კრავი; ◊ *ეკლ. ~ του Θεού* კრაეი უფლისა.

αμοιβαίος, -α, -ο ურთიერთ-, ორმხრივი: *~α αισθήματα* ორმხრივი

გრძნობები; **αμοιβαία / αμοιβαίως** *επίρρ.* ორმხრივად.

αμοιβαιότητα η ორმხრივობა: *~ υποχρεώσεων* ვალდებულებების ორმხრივობა.

αμοιβή η ანაზღაურება, საზღაური, ჰონორარი, ხელფასი; ◊ *έναντι ~ής* საზღაურის ფასად.

άμοιρος, -η, -ο უბედური, საწყალი.

αμολάω (αμολάρω) (α) (*აόρ. αμόλησα, აόρ. παθ. αμολήθηκα, μτχ. αμολημένος*) *μετβ.* **1.** მოშვება, მოღუნება, შესუსტება (მაგ. დაჭიმული თოკის): *~ τα σκοινιά της βάρκας* ნავის თოკებს მოუშვებ; **2.** ამვება, ნებაზე მიშვება: *αμόλησε τον σκύλο στο πάρκο* პარკში ძაღლი აუშვა.

αμολητός, -ή, -ό მოშვებული, შესუსტებული, ამვებული: *άφησαν τα σκυλιά ~ά* ძაღლები ამვებული დატოვეს.

αμόλυβδος, -η, -ο (ბენზინზე) ტყვიამეუცველი: *~η βενζίνη* ტყვიამეუცველი ბენზინი.

αμόλυντος, -η, -ο სუფთა, დაუბინძურებელი.

αμορτισέρ το *άκλ.* ამორტიზატორი.

άμορφος, -η, -ο უფორმო, ამორფული.

αμόρφωτος, -η, -ο გაუნათლებელი, უკულტურო.

αμούστακος, -η, -ο 1. უულვაშო; **2.** *გადატ.* უასაკო, არასრულწლოვანი, უცოდინარი: *είσαι παιδί ~ο ακόμη* ჯერ სულ ბავშვი ხარ.

αμπαζούρ το აბაჟური, შუქფარი.

αμπαλάρω (*აόρ. αμπαλάρισα, აόρ. παθ. αμπαλαρίστηκα, μτχ. αμπαλαρισμένος*) *μετβ.* შეფუთვა.

αμπάρι το **1.** *ზღვ.* ტრიუმი; **2.** საწყობი.

αμπαρώνω (*აόρ. αμπάρωσα, აόρ. παθ. αμπαρώθηκα, μτχ. αμπαρωμένος*) *μετβ.* კარზე ურდულის დაყენება; **-ομαι** *პორტ., გადატ.* ჩაკეტვა, გამოკეტვა, ჩარაზვა: *αμπαρώθηκε στο σπίτι και δεν βγαίνει έξω* სახლში ჩაიკეტა და გარეთ აღარ გამოდის.

αμπέλι το **1.** ვენახი, ზვარი; **2.** ვაზი.

αμπελόβεργα η ვაზის ლერწამი.

αμπελοκαλλιέργεια η (**αμπελοκομία, αμπελουργία, αμπελουργική**) მევენახეობა.

αμπελόκηπος ο ბაღ-ვენახი.

άμπελος η **1.** *ბოტ.* ვაზი; **2.** *ეკლ.* ვენახი (ქრისტეს სიმბოლო).

αμπελόφυλλο το ვაზის ფურცელი.

αμπελοχώραφα τα (*γεν. არ გააჩნია*) ბაღ-ბოსტნები.

αμπελώνας ο ვენახი, ზვარი.

αμπούλα η (*γεν. πληθ. არ გააჩნია*) ამპულა.

άμυαλος, -η, -ο *უარყ. მნიშვ.* უტვინო.

αμυγδαλέλαιο (αμυγδαλόλαδο) το ნუშის ზეთი.

αμυγδαλένιος, -ια, -ιο ნუშის, ნუშისგან დამზადებული, ნუშიანი.

αμυγδαλές οι *ანატ.* ნუშისებრი ჯირკვლები, გლანდები.

αμυγδαλεώνας ο *ხალხ.* ნუშის ბაღი, ნუშის პლანტაცია.

αμυγδαλιά (μυγδαλιά) η ნუშის ხე.

αμύγδαλο (μύγδαλο) το ნუში.

αμύητος, -η, -ο 1. უზიარები; **2.** საქმეში ჩაუხედავი, უცოდინარი.

άμυλο (αμυλάλευρο) το (*πληθ. არ გააჩნია*) სახამებელი.

αμυλοσάκχαρο το გლუკოზა.

άμυνα η **1.** თავდაცვა, მოგერიება: *η καλύτερη ~ είναι η επίθεση* თავდასხმა საუკეთესო თავდაცვაა; **2.** *სპორტ.* დაცვა; ◊ *εθνική ~* ეროვ-

ნული თავდაცვა: *Υπουργείο Εθνικής Άμύνης* ეროვნული თავდაცვის სამინისტრო.

αμύνομαι (*აόρ. αμύνθηκα*) *αμετβ.* თავის დაცვა, მოგერიება.

αμυντικός, -ή, -ό 1. თავდაცვითი, თავდაცვის, მოგერიებითი: *~ή γραμμή / πολιτική* თავდაცვის ზოლი / პოლიტიკა; *სპორტ.* 2. დაცვის: *~ή τακτική / ~ παίκτης* დაცვის ტაქტიკა / მოთამაშე; ◊ *θεολ. ~ μηχανισμός* თავდაცვის მექანიზმი.

αμυντικότητα η (*პლთ. არ გააჩნია*) თავდაცვისუნარიანობა.

αμφιβάλλω (*აόρ. αμφέβαλα*) *αμετβ.* დაეჭვება, ეჭვის შეტანა.

αμφιβολία η ეჭვი, იჭვნეულობა: *με τρώνε οι ~ες* ეჭვები მღრღნიან; ◊ *χωρίς / δίχως ~* ეჭვის გარეშე, ნამდვილად, უეჭველად.

αμφίβολος, -η, -ο საეჭვო: *προϊόν ~ου ποιότητος* საეჭვო ხარისხის პროდუქცია.

αμφίδρομος, -η, -ο *მაღალფ.* ორმხრივი: *~η επίδραση* ორმხრივი ზეგავლენა, ურთიერთგავლენა.

αμφιθέατρο το ამფითეატრი.

αμφιλεγόμενος, -η, -ο სადავო: *~ο ζήτημα* სადავო საკითხი.

αμφισβήτηση η 1. სადავოდ გახდომა, შედავება, შეკამათება: *αβάσιμη ~* უსაფუძვლო შედავება; 2. უარყოფა, დადგენილი, მიღებული ნორმების, ღირებულებების ეჭვქვეშ დაყენება: *η γενιά του ΄60 είναι γνωστή και ως γενιά της ~ς* 60-იანელთა თაობა ცნობილია, როგორც ტრადიციული ღირებულებების უარმყოფელი თაობა; ◊ *θέτω υπό ~* სადაოდ ეხდი, ეჭვი შემაქვს.

αμφισβητήσιμος, -η, -ο სადავო.

αμφισβητώ (ε) (*აόρ. αμφισβήτησα, აόρ.παθ. αμφισβητήθηκα, μτχ. αμφισβητημένος*) *μετβ.* 1. სადავოდ გახდა, შედავება, ეჭვის შეტანა: *~ τα λεγόμενα* სადავოდ ეხდი ვისიმე ნათქვამს; 2. გაკრიტიკება, ეჭვქვეშ დაყენება, უარყოფა.

αμφισημία η ორმნიშვნელოვნება, ორაზროვნება, ორი მნიშვნელობის ქონა.

αμφιταλαντεύομαι (*აόρ. αμφιταλαντεύθ(τ)ηκα*) *αμετβ., αποθ.* ყოყმანი, მერყეობა, ჭოჭმანი.

αμφιταλάντευση η ყოყმანი, მერყეობა, ჭოჭმანი.

αμφιτρύωνας ο ქეიფების მომწყობი, მეგობრებისთვის კარგი სუფრების გამშლელი.

αμφίφιλος ο პერმაფროლიტი.

αμφορέας ο ამფორა.

αμφότερος, -η, -ο (*ჩვეულებრივ პლთ.*) ორივე, ესეც და ისიც: *υπέγραψαν το συμβόλαιο ~οι* ხელშეკრულებას ხელი ორივემ მოაწერა.

αν *სუნდ.* 1. თუ, თუკი: *~ χρειαστείς κάτι, φώναξέ με!* თუ რამე დაგჭირდება, დამიძახე! 2. რომ, ნეტავ: *~ ήμουν πλούσιος!* ნეტავ მდიდარი ვიყო! 3. თუ არა: *δεν ξέρω ~ θα τον ψηφίσω* არ ვიცი, მივცემ თუ არა მას ხმას; 4. მიუხედავად იმისა, რომ: *~ και μεγάλος, παντρεύτηκε μια νέα γυναίκα* მიუხედავად იმისა, რომ ასაკოვანი იყო, ახალგაზრდა ქალზე დაქორწინდა.

ανά *προθ., მაღალფ.* 1. -ზე, -ით, -ში: *το αυτοκίνητο καίει 15 λίτρα βενζίνη ~ 100 χλμ.* მანქანა 100 კილომეტრზე 15 ლიტრ ბენზინს წვავს; 2. განმავლობაში, დროში, მანძილზე: *~ τους αιώνες* საუკუნეების მანძილზე.

αναβαθμίζω (*აόρ. αναβάθμισα, აόρ. παθ. αναβαθμίστ(θ)ηκα, μτχ. αναβαθμισμένος*) *μετβ.* 1. გაუმჯობესება: *~ την εκπαιδευτική διαδικασία* ვაუმ-

ჯობესებ სწავლების პროცესს; **2.** დაწინაურება; **3.** (მანქანა-დანადგარზე) გაუმჯობესება, ტექნიკური მონაცემების ამაღლება.

αναβάθμιση η **1.** გაუმჯობესება, დონის მომატება: *η ~ των σχέσεων μιας χώρας με μιαν άλλη* ქვეყნებს შორის ურთიერთობების გაუმჯობესება; **2.** ტექნიკური მონაცემების ამაღლება, გაუმჯობესება: *η ~ του ηλεκτρονικού υπολογιστή* კომპიუტერის ტექნიკური მონაცემების გაუმჯობესება.

αναβάλλω (*აόρ. ανέβαλα, აόρ. παθ. αναβλήθηκα, μτχ. αναβεβλημένος*) *μετβ.* გადადება, გადატანა, გადავადება: *~ το ταξίδι / τη συνάντηση* გადავდებ მოგზაურობას / შეხვედრას.

ανάβαση η ასვლა: *η ~ στην κορυφή του βουνού* მთის წვერზე ასვლა.

αναβατήρας ο **1.** სამშენებლო მასალების (ან სხვა ტვირთის) ასატანი მექანიზირებული მოწყობილობა; **2.** მანქანაში ან გემზე ასასვლელი საფეხური; **3.** უბანგი.

αναβάτης ο, **-τρια** η **1.** მხედარი; **2.** ჯოკეი.

αναβιώνω (*აόρ. αναβίωσα*) *μετβ., αμετβ.* აღორძინება, აღდგენა, გაცოცხლება: *αναβίωσαν παλιά ήθη και έθιμα* აღორძინდა ძველი წესჩვეულებები, *αναβίωσαν οι ελπίδες μας* ჩვენი იმედები გაცოცხლდა.

αναβίωση η **1.** ანაბიოზი; **2.** *გადატ.* აღორძინება, აღდგენა, გაცოცხლება: *η ~ των Ολυμπιακών αγώνων από τον Πίερ Ντε Κουμπερτέν* პიერ დე კუბერტენის მიერ ოლიმპიური თამაშების აღორძინება.

αναβλύζω (αναβρύζω) (*აόρ. ανέβλυσα*) *αμετβ.* ჩქეფა, ნაკადად ცემა, თქრიალით დენა: *το αίμα ανάβλυζε από την κομμένη αρτηρία* გადაჭრილი არტერიიდან სისხლი თქრიალით მოდიოდა.

αναβολέας ο უბანგი.

αναβολή η **1.** გადადება, გადატანა, გადავადება: *~ πληρωμής* გადახდის გადავადება; **2.** *სამხ.* გადავადება (სამხედრო ვალდებულების შესრულების): *~ λόγω σπουδών* გადავადება სწავლის გამო.

αναβοσβήνω (*აόρ. αναβόσβησα*) *μετβ., αμετβ.* ანთება-ჩაქრობა: *~ τα φώτα* ვანთებ და ვაქრობ შუქს.

αναβρασμός ο (*πληθ. არ გააჩნია*) მღელვარება: *καταλάγιασε ο ~* მღელვარება დაცხრა.

ανάβω (*აόρ. άναψα, აόρ. παθ. ανάφτηκα, μτχ. αναμμένος*) *μετβ., αμετβ.* **1.** ანთება, დანთება, მოკიდება: *~ τσιγάρο* ვუკიდებ სიგარეტს; **2.** ჩართვა: *~ το φως / τη μηχανή του αυτοκινήτου* ვრთავ შუქს / მანქანის ძრავას; **3.** *გადატ.* გაბრაზება, განრისხება; **4.** დაწვა; ◊ *άναψε η μάχη* ბრძოლა გაჩაღდა, *άναψε το κέφι / γλέντι* გაჩაღდა ქეიფი / დროსტარება, *μου ~ουν τα αίματά μου* სისხლი მიდუღს.

αναγαλλιάζω (*აόρ. αναγάλλιασα, μτχ. αναγαλλιασμένος*) *αμετβ.* ძლიერ გახარება.

αναγγελία η **1.** უწყება, შეტყობინება, ცნობა; **2.** განცხადების გაკეთება, ცნობება: *η ~ του γάμου στις εφημερίδες* გაზეთში ქორწილის შესახებ განცხადება.

αναγγέλλω (*აόρ. ανήγγειλα, აόρ. παθ. αναγγέλθηκα, μτχ. αναγγελμένος*) *μετβ.* **1.** უწყება, შეტყობინება, ცნობა; **2.** განცხადება, გამოცხადება: *ο υπουργός ανήγγειλε την κατασκευή του νέου αεροδρομίου* მინისტრმა ახალი აეროპორტის მშენებლობის შესახებ განაცხადა; **3.** მოხსენება: *να με*

αναγγείλετε στον κ. Διευθυντή მოახსენეთ დირექტორს ჩემს შესახებ.

αναγέννηση η **1.** აღდგომა, ხელახლა დაბადება; **2.** *βιολ.* რეგენერაცია; **3.** *გადატ.* აღორძინება: *πνευματική ~* სულიერი აღორძინება; **4. (Α~)** *ხელოვნ.-მც.* აღორძინება, რენესანსი.

αναγεννητικός, -ή, -ό რეგენერაციული, რეგენერაციის.

αναγεννώ (α) (*აόρ. αναγέννησα, აόρ. παθ. αναγεννήθηκα, μτχ. αναγεννημένος*) *μετβ.* აღორძინება, განახლება, გამოცოცხლება: *ένα ταξίδι θα σε αναγεννήσει* მოგზაურობა გამოგაცოცხლებს.

αναγκάζω (*აόρ. ανάγκασα, აόρ. παθ. αναγκάστ(θ)ηκα, μτχ. αναγκασμένος*) *μετβ.* იძულება, დაძალება, დაყოლიება, დათანხმება: *τον ανάγκασαν να παραιτηθεί* აიძულეს თანამდებობიდან გადამდგარიყო.

αναγκαίος, -α, -ο 1. აუცილებელი, საჭირო: *~ες προϋποθέσεις* აუცილებელი წინაპირობები, *~α μέτρα* აუცილებელი ზომები; **2.** (τα) საცხოვრებლად საჭირო მინიმუმი; ◊ *~α συνθήκη* აუცილებელი პირობა.

αναγκαιότητα η აუცილებლობა, საჭიროება.

αναγκαστικός, -ή, -ό 1. აუცილებელი, საჭირო; **2.** იძულებითი, ძალდატანებითი: *η ~ή αλλαγή παίκτη* მოთამაშის იძულებითი შეცვლა; ◊ *~ή προσγείωση* იძულებითი დაშვება (თვითმფრინავის), *ιατρ. ~ή εκτέλεση* იძულებითი აღსრულება, *~ή κατάσχεση* იძულებითი კონფისკაცია; **αναγκαστικά** *επίρρ.* იძულებით, ძალდატანებით.

ανάγκη η **1.** აუცილებლობა, საჭიროება: *είναι επείγουσα ~* სასწრაფოდ მჭირდება; **2.** გაჭირვება: *βρισκόταν σε μεγάλη ~ και πούλησε το σπίτι* დიდ გაჭირვებაში იყო ჩაეარდნილი და სახლი გაყიდა; ◊ *είναι ~ (να)* საჭიროა, *εξ ~ς / κατ' ~(ν)* ძალაუნებურად, *είδη πρώτης ~ς* პირველადი საჭიროების ნივთები, *κατάσταση έκτακτης / εκτάκτου ~ς* საგანგებო მდგომარეობა, *κάνω την ~ μου* მოვმარდავ, კუჭში გაედინავარ, *έχω σωματική ~* ფიზიოლოგიური მოთხოვნილება მაქვს.

ανάγλυφος, -η, -ο ბარელიეფური, რელიეფური: *τα ~α του Παρθενώνα* პართენონის ბარელიეფები.

αναγνωρίζω (*აόρ. αναγνώρισα, აόρ. παθ. αναγνωρίστ(θ)ηκα, μτχ. αναγνωρισμένος*) *μετβ.* **1.** ცნობა, გამოცნობა, ამოცნობა: *αναγνώρισα τη φωνή του ανάμεσα σε πολλές άλλες* მისი ხმა მრავალ სხვა ხმას შორის ვიცანი; **2.** აღიარება: *~ τα λάθη μου / την ήττα* ვაღიარებ ჩემს შეცდომებს / მარცხს; **-ομαι** აღიარების მიღება: *αναγνωρίστηκε μετά θάνατον* სიკვდილის შემდეგ აღიარება მიიღო; ◊ *δεν σε ~!* ვერ გცნობ!

αναγνώριση η **1.** ცნობა, გამოცნობა, ამოცნობა: *η ~ του δράστη* დამნაშავის ამოცნობა; **2.** აღიარება: *η ~ λάθους* შეცდომის აღიარება; ◊ *~ (εξώγαμου) τέκνου* (უკანონო) შვილის აღიარება, *~ κράτους* სახელმწიფოს აღიარება.

αναγνωρισμένος, -η, -ο აღიარებული: *~ ηθοποιός / επιστήμονας* აღიარებული მსახიობი.

ανάγνωση η კითხვა.

ανάγνωσμα το საკითხავი ლიტერატურა.

αναγνωστήριο το სამკითხველო დარბაზი.

αναγνώστης ο, **-τρια** η მკითხველი.

αναγόρευση η **1.** გამოცხადება: *η ~ του σε αρχηγό του κόμματος* მისი გამოცხადება პარტიის ლიდერად; **2.** მინიჭება (წოდების): *η ~ του προέδρου σε επίτιμο διδάκτορα* პრეზიდენტისთვის საპატიო დოქტორის წოდების მინიჭება.

αναγορεύω (*აόρ. αναγόρευσα, აόρ. παθ. αναγορεύτηκα, μτχ. αναγορευμένος*) *μετβ.* **1.** გამოცხადება; **2.** მინიჭება (წოდების).

αναγούλα η (*πληθ. არ გააჩნია*) **1.** გულისრევის შეგრძნება, გულისრევა: *η θαλασσοταραχή της έφερε ~* ზღვის ღელვამ გულისრევა დამართა; **2.** *გადატ.* ზიზღის გრძნობა.

αναγουλιάζω (*აόρ. αναγούλιασα*) *αμετβ.* გულისრევის გრძნობა, გულისრევა.

ανάγωγος, -η, -ο გაუზრდელი, უზრდელი.

αναδασώνω (*აόρ. αναδάσωσα, აόρ. παθ. αναδασώθηκα, μτχ. αναδασωμένος*) *μετβ.* ტყის მოშენება.

αναδάσωση η ტყის მოშენება: *η ~ των καμένων εκτάσεων* ხანძრისაგან განადგურებული ტერიტორიების ხელახალი განაშენიანება ხეებით.

αναδεικνύω (αναδείχνω) (*აόρ. ανέδειξα, აόρ. παθ. αναδείχθ(τ)ηκα, αναδεδειγμένος*) *μετβ.* **1.** გამოყოფა, ხაზგასმა, ჩვენება; **2.** წინ წამოწევა, წინ წაწევა, პოპულარულად ქცევა: *ο Κουν ανέδειξε πολλούς σημαντικούς ηθοποιούς* კუნმა მრავალი მნიშვნელოვანი მსახიობი აქცია პოპულარულად; **-ομαι** გამორჩევა.

ανάδειξη η (*πληθ. არ გააჩნია*) **1.** წარმატება, წინ წაწევა: *η ~ στον δημοσιογραφικό χώρο* წარმატება ჟურნალისტურ საქმიანობაში; **2.** არჩევა: *η ~ σε πρόεδρο του κόμματος* პარტიის თავმჯდომარედ არჩევა.

αναδεύω (*აόρ. ανάδεψα/ευσα, აόρ. παθ. αναδεύτ(θ)ηκα, μτχ. αναδευμένος*) *μετβ., αμετβ.* **1.** არევა, ათქვეფა: *~ τα υλικά σε σκεύος μαγειρικής* მასალას ვოქვეფ სამზარეულოს კომბაინში; **2.** *გადატ.* არევა: *ανάδευε μέσα στο νου του χίλιες σκέψεις* გონებაში ათასნაირი აზრი ერეოდა, უტრიალებდა; **-ομαι** მოძრაობა, ტრიალი (ერთ ადგილას).

αναδιαρθρώνω (*აόρ. αναδιάρθρωσα, αόρ. παθ. αναδιαρθρώθηκα, μτχ. αναδιαρθρωμένος*) *μετβ.* გარდაქმნა, რესტრუქტურიზაცია: *η κυβέρνηση προσπαθεί να αναδιαρθρώσει το εκπαιδευτικό σύστημα* მთავრობა ცდილობს გარდაქმნას საგანმანათლებლო სისტემა.

αναδιάρθρωση η გარდაქმნა, რესტრუქტურიზაცია.

αναδίδω (αναδίνω) (*მხოლოდ ενεστ. და παρατ.*) *μετβ.* გამოყოფა, გამოცემა, გამოშვება (სუნის), გამოფრქვევა: *τα λουλούδια ~ουν μια ευχάριστη μυρωδιά* ყვავილები სასიამოვნო სურნელს აფრქვევენ.

αναδιοργανώνω (*აόρ. αναδιοργάνωσα, αόρ. παθ. αναδιοργανώθηκα, μτχ. αναδιοργανωμένος*) *μετβ.* რეორგანიზაცია.

αναδιοργάνωση η რეორგანიზაცია.

αναδόμηση η რესტრუქტურიზაცია.

αναδομώ (ε) (*აόρ. αναδόμησα, αόρ. παθ. αναδομήθηκα, μτχ. αναδομημένος*) *μετβ.* რესტრუქტურიზაცია, სტრუქტურის, ფუნქციების შეცვლა: *ο πρωθυπουργός αναδόμησε την κυβέρνηση* პრემიერ-მინისტრმა მთავრობის რესტრუქტურიზაცია განახორციელა.

αναδοχή η **1.** საკუთარ თავზე აღება; **2.** არასრულწლოვანის მეურვეობა.

ανάδοχος ο/η **1.** მენარდე, მოიჯარე, მოიჯარადე; **2.** ნათლია; ◊ *ιουρ. ~οι*

γονείς არასრულწლოვანის მეურვეები.

αναδρομή η აღმასვლა, ასვლა: *η ~ του νερού σε σωλήνα* წყლის აღმასვლა მილში.

αναδρομικός, -ή, -ό 1. რეტროაქტიული, უკუქცეითი, უკუქმედითი; 2. (τα) მოგვიანებით მიღებული ფული, რაც წარსულში გაწეულ ხარჯს ფარავს; 3. რეტროსპექტული: *γίνεται ~ή έκθεση έργων του διάσημου ζωγράφου* ეწყობა ცნობილი მხატვრის ნამუშევრების რეტროსპექტული გამოფენა.

αναδύομαι (*აόρ. αναδύθηκα, μετχ. αναδυόμενος*) *αμετβ., αποθ.* 1. ამოყვინთვა, წყლის ზედაპირზე ამოსვლა; 2. ამოსვლა, პორიზონტზე გამოჩენა: *ο ήλιος αναδύθηκε μέσα από τα σύννεφα* მზე ღრუბლებიდან გამოვიდა.

ανάδυση η 1. ამოყვინთვა, წყლის ზედაპირზე ამოსვლა; 2. *გადატ.* გამოჩენა, ზედაპირზე ამოსვლა.

αναζήτηση 1. ძებნა: *η ~ στέγης* თავშესაფარის ძებნა, *η ~ της αλήθειας* ჭეშმარიტების ძიება; 2. (οι) ძიებები: *οι θεωρητικές ~εις* თეორიული ძიებები.

αναζητώ (α, ε) (*აόρ. αναζήτησα, აόρ. παθ. αναζητήθηκα, μτχ. αναζητημένος*) *μετβ.* ძებნა, ძიება, პოენის სურვილი.

αναζωογόνηση η (*πληθ. არ გააჩნია*) გაცოცხლება, გამოცოცხლება, ძალების აღდგენა, გაჯანსაღება: *~ της οικονομίας* ეკონომიკის გამოცოცხლება.

αναζωογονώ (ε) (*აόρ. αναζωογόνησα, აόρ. παθ. αναζωογονήθηκα, μτχ. αναζωογονημένος*) *μετβ.* გაცოცხლება, გამოცოცხლება, ძალების აღდგენა.

αναζωπυρώνω (*აόρ. αναζωπύρωσα, აόρ. παθ. αναζωπυρώθηκα, μτχ. αναζωπυρωμένος*) *μετβ., μ.რ., გადატ.* 1. გაჩაღება: *~ έναν καβγά* ჩხუბს ეჩაღებ; 2. გამოცოცხლება, გაძლიერება.

αναζωπύρωση η *μ.რ., გადატ.* 1. გაჩაღება: *κίνδυνος ~ης της φωτιάς* ცეცხლის გაჩაღების საშიშროება; 2. გამოცოცხლება, გაძლიერება.

αναθαρρώ (ε) (*აόρ. αναθάρρησα, μτχ. αναθαρρημένος*) *αμετβ.* სიმამაცის მოკრეფა, გამხნევება: *αναθάρρησε που είδε τους φίλους του* მეგობრების დანახვამ გაამხნევა.

ανάθεμα το 1. წყევლა, წყეული იყოს: *~ την ώρα και τη στιγμή που σε γνώρισα* წყეული იყოს ის წუთი და ის დღე, შენ რომ გაგიცანი; 2. ჯანდაბა, ჯანდაბასაც წაუღია: *άμε / σύρε / πήγαινε στο ~* ჯანდაბამდე გზა გქონია; 3. *ეკლ.* ანათემა: *παραδίδω κάποιον στο ~* ვინმეს ანათემას გადაეცემ; ◊ *(π)' ~* წყეული იყოს.

αναθεματίζω (*აόρ. αναθεμάτισα, აόρ. παθ. αναθεματίστ(θ)ηκα*) *μετβ.* 1. წყევლა: *αναθεμάτιζε την ώρα και τη στιγμή που την γνώρισε* წყევლიდა მისი გაცნობის დღესა და წუთს; 2. *ეკლ.* ანათემას გადაცემა.

αναθερμαίνω (*აόρ. αναθέρμανα, აόρ. παθ. αναθερμάνθηκα, μτχ., მაღალფ. θερμανθείς, -είσα, -έν*) *μετβ.* გამოცოცხლება, გაძლიერება, გაუმჯობესება: *αναθερμάνθηκαν οι σχέσεις των δυο λαών* ორ ქვეყანას შორის ურთიერთობები გაუმჯობესდა.

αναθέρμανση η 1. გათბობა, დათბობა; 2. *გადატ.* გაძლიერება, გაუმჯობესება, გამოცოცხლება.

ανάθεση η დაკისრება (მოვალეობების), დავალება: *~ έργου / εργασίας* საქმის / სამუშაოს დაკისრება.

αναθέτω (*αόρ. ανέθεσα, αόρ. παθ. ανατέθηκα, μτχ. ανατεθημένος*) *μετβ.* დაკისრება, დავალება.

αναθεώρηση η **1.** გადახედვა, გადასინჯვა: *η ~ των απόψεων* შეხედულებების გადასინჯვა; **2.** *იურ.* კასაცია: *η ~ της δικαστικής απόφασης* სასამართლო განაჩენის კასაცია; **3.** სახეცვლილება, შეცვლა, ცვლილებების შეტანა, ჩასწორება (ტექსტის): *η ~ του Συντάγματος* კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანა.

αναθεωρητικός, -ή, -ό 1. სარევიზიო; **2.** საკასაციო: *~ό δικαστήριο* საკასაციო სასამართლო.

αναθεωρώ (ε) (*αόρ. αναθεώρησα, αόρ. παθ. αναθεωρήθηκα, μτχ. αναθεωρημένος*) *μετβ.* **1.** გადახედვა, გადასინჯვა: *~ ιδέες / τακτική / απόφαση* გადავსინჯავ იდეებს / ტაქტიკას / გადაწყვეტილებას; **2.** სახეცვლილება, შეცვლა, ცვლილებების შეტანა, ჩასწორება (ტექსტის): *είναι ανάγκη να αναθεωρηθεί το Σύνταγμα* საჭიროა კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანა.

αναθρέφω *იხ.* **ανατρέφω**.

αναθυμούμαι (αναθυμάμαι) (*αόρ. αναθυμήθηκα*) *μετβ., αποθ.* მოგონება, გახსენება.

αναίδεια η (*πληθ. არ გააჩნია*) ურცხვობა, უსირცხვილობა, უტიფრობა.

αναιδής, -ής, -ές (*γεν. -ούς, πληθ. αρσ. და θηλ. -είς, ουδ. -ή*) ურცხვი, თავხედი.

αναίμακτος, -η, -ο უსისხლო, მსხვერპლის გარეშე, უმსხვერპლო: *~η εγχείρηση* უსისხლო ოპერაცია; **αναίμακτα / αναιμάκτως** *επίρρ.* უსისხლოდ, უმსხვერპლოდ.

αναιμία η (*πληθ. არ გააჩნია*) *მედ.* ანემია, სისხლნაკლულობა.

αναιμικός, -ή, -ό 1. ანემიური; **2.** (ο, η) ანემიით დაავადებული.

αναίρεση η **1.** უარყოფა, უკუგდება: *~ επιχειρήματος / θεωρίας* არგუმენტის / თეორიის უარყოფა; **2.** ანულირება, გაუქმება: *~ απόφασης* გადაწყვეტილების გაუქმება; **3.** *იურ.* კასაცია; ◊ *იურ.* **– αποφάσεως** სასამართლო გადაწყვეტილების გაუქმება.

αναιρώ (ε) (*αόρ. αναίρεσα, αόρ. παθ. αναιρέθηκα, μτχ. αναιρεμένος*) *μετβ.* **1.** უარყოფა, უკუგდება: *~ τις κατηγορίες* უარვყოფ ბრალდებებს; **2.** დარღვევა, არ შესრულება: *~ την υπόσχεση / το λόγο* არ ვასრულებ დაპირებას / სიტყვას.

αναισθησία η (*πληθ. არ გააჩნια*) **1.** მგრძნობელობის დაკარგვა, უგრძნობლობა; **2.** *მედ.* ანესთეზია; **3.** *გადატ.* უგრძნობლობა, სქელკანიანობა.

αναισθησιολογία η *მედ.* ანესთეზიოლოგია.

αναισθησιολόγος ο *მედ.* ანესთეზიოლოგი.

αναίσθητος, -η, -ο 1. მგრძნობელობა დაკარგული; **2.** გრძნობადაკარგული, გულწასული; **3.** *გადატ.* უგრძნობი, გულგრილი: *έχει ~η καρδιά* გულქვაა, უგრძნობი გულის პატრონია.

ανακαθίζω (*αόρ. ανακάθισα*) *μετβ., αποθ.* **1.** აყენება, წამოჯენა (ვინმესი); **2.** წამოჯდომა: *ανακάθισα στο κρεβάτι μου* ჩემს საწოლზე წამოვჯექი.

ανακαινίζω (*αόρ. ανακαίνησα, αόρ. παθ. ανακαινίστ(θ)ηκα, μτχ. ανακαινισμένος*) *μετβ.* **1.** განახლება, აღდგენა, გარემონტება; **2.** *გადატ.* მოდერნიზირება, გათანამედროვება.

ανακαίνιση η **1.** განახლება, აღდგენა, გარემონტება: *το κατάστημα*

θα μείνει κλειστό λόγω ~ς მაღაზია რემონტის გამო დაიკეტება; *გαδ.* **2.** მოდერნიზირება, გათანამედროვება.

ανακαλύπτω (*αόρ. ανακάλυψα, αόρ. παθ. ανακαλύφθ(τ)ηκα, μτχ. ανακαλυφθείς, -είσα, -φθέν*) *μετβ.* **1.** აღმოჩენა, პოვნა: *ο Κόλομβος ανακάλυψε την Αμερική* კოლუმბმა აღმოაჩინა ამერიკა; **2.** გამომეღავნება, გამოაშკარავება: *~ ένα παλιό μυστικό* გამოვააშკარავებ ძველ საიდუმლოს; **3.** გამოგონება: *ο Γκράχαμ Μπελ ανακάλυψε το τηλέφωνο* გრეიამ ბელმა ტელეფონი გამოიგონა.

ανακάλυψη η **1.** აღმოჩენა: *σημαντική ~* მნიშვნელოვანი აღმოჩენა; **2.** გამომეღავნება, გამოაშკარავება: *η ~ του ψέματος* ტყუილის გამოაშკარავება; **3.** გამოგონება.

ανακαλώ (ε) (*αόρ. ανακάλεσα, αόρ. παθ. ανακλήθηκα, μτχ. ανακαλεσμένος*) *μετβ.* **1.** უკან გამოხმობა, გამოწვევა: *ανακάλεσαν τον πρεσβευτή* ელჩი უკან გაიწვიეს; **2.** გაუქმება, ანულირება; **3.** სამსახურში აღდგენა; ◊ *~ στην τάξη (κάποιον)* წესრიგისაკენ მოვუწოდებ (ვინმეს), *~ στη μνήμη μου* ვიგონებ, ვიხსენებ.

ανακάμπτω (*αόρ. ανέκαμψα*) *αμετβ.* **1.** დაბრუნება, აღმასვლა, აწევა: *το δολάριο ~ει* დოლარის კურსი მაღლა იწევს; **2.** გაუმჯობესება.

ανάκατα *επίρρ.* უწესრიგოდ, მოუწესრიგებლად, არეულ-დარეულად.

ανακατασκευάζω (*αόρ. ανακατασκεύασα, αόρ. παθ. ανακατασκευάστηκα, μτχ. ανακατασκευασμένος*) *μετβ.* ხელახლა ფორმირება, აღდგენა: *~ την είσοδο ενός σπιτιού* აღვადგენ სახლის შესასვლელს.

ανακάτεμα το (**ανακάτωμα** το, **ανακάτωση** η) **1.** არევა, შერევა: *~ χρωμάτων* ფერების შერევა; **2.** არევა, უწესრიგოდ დალაგება; **3.** *კულინ.* ამორევა, არევა, ათქვეფა; **4.** არეულობა; **5.** გარევა, ჩარევა: *~ σε σκάνδαλα / στην πολιτική* სკანდალებში / პოლიტიკაში გარევა; **6.** (τα) თაებრუსხვევა, გულისრევის შეგრძნება.

ανακατεύω (ανακατώνω) (*αόρ. ανακάτεψα, αόρ. παθ. ανακατεύτηκα, μτχ. ανακατεμένος*) *μετβ.* **1.** არევა, შერევა: *μην ~εις το παρόν με το παρελθόν!* წარსულს აწმყოში ნუ ურევ; **2.** მორევა: *~ το τσάι με το κουταλάκι* ჩაის პატარა კოვზით ვურევ; **3.** არევ-დარევა, არევა; **4.** *ჩვეულებრივ უარყ. მნიშვ.* გარევა (საქმეში): *μη με ~εις στις προσωπικές σας υποθέσεις* ნუ გამრევ თქვენს პირად საქმეებში; **5.** გულისრევის შეგრძნების გამოწვევა: *με ~ουν οι μυρωδιές* სუნებისგან გულისრევის შეგრძნება მიჩნდება; **-ομαι** გულისრევის შეგრძნების დაუულება, ბიზღის გრძნობა.

ανάκατος, -η, -ο არეული, არეულ-დარეული, მოუწესრიგებელი, დაულაგებელი.

ανακατωσούρα η (*γεν. πληθ. αρ გააβნια*) არეულობა, არეულ-დარეულობა, მოუწესრიგებლობა.

ανακεφαλαιώνω (*αόρ. ανακεφαλαίωσα, αόρ. παθ. ανακεφαλαιώθηκα, μτχ. ανακεφαλαιωμένος*) *μετβ.* **1.** შეჯამება, რეზიუმეს გაკეთება; **2.** კაპიტალიზაცია, კაპიტალად გადაქცევა.

ανακεφαλαίωση η **1.** შეჯამება, რეზიუმეს გაკეთება: *~ ομιλίας / κειμένου* გამოსვლის / ტექსტის შეჯამება; **2.** კაპიტალიზაცია, კაპიტალად გადაქცევა.

ανακήρυξη η **1.** გამოცხადება: *η ~ της ανεξαρτησίας μιας χώρας* ქვეყნის დამოუკიდებლობის გამოცხადება;

2. წოლების მინიჭება: *επίκειται η ~ του ως επίτιμου διδάκτορα του Πανεπιστημίου μας* მოსალოდნელია, რომ მას ჩვენი უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდება მიანიჭონ; **3.** *ეკლ.* შერაცხვა.

ανακηρύσσω (*აόր. ανακήρυξα, აόր. παθ. ανακηρύχθηκα/τηκα, μτχ. ανακηρυγμένος*) *μετβ.* **1.** გამოცხადება: *ανακήρυξε την ανεξαρτησία της χώρας του* გამოაცხადა თავისი ქვეყნის დამოუკიდებლობა; **2.** წოდების მინიჭება; **3.** *ეკლ.* შერაცხვა.

ανακινώ (ε) (*აόր. ανακίνησα, აόр. παθ. ανακινήθηκα, μτχ. ανακινημένος*) *μετβ.* შენჯყრევა, შენჯღრევა: *ανακινήστε καλά το μπουκάλι πριν από κάθε χρήση* ყოველი ხმარების წინ ბოთლი კარგად შეანჯღრიეთ.

ανάκλαση η არეკვლა, უკუფენა, ასახვა.

αντιστρέφω (*αόρ. αντέστρεψα, αόρ. παθ. αντιστράφηκα, μτχ. αντεστραμμένος*) *μετβ.* მობრუნება (უკან), მოტრიალება, შეტრიალება.

αντιστροφή η მოტრიალება, შემობრუნება.

αντίστροφος, -η, -ο *λόγ., გადატ.* უკუ-, შექცეული, შებრუნებული, შებრუნებითი; **αντίστροφα / αντιστρόφως** *επίρρ.* უკუღმა, პირიქით.

αντισυλληπτικός, -ή, -ό *მედ.* ჩასახვის საწინააღმდეგო: *~ό χάπι* ჩასახვის საწინააღმდეგო აბი.

αντισυνταγματάρχης ο *სამხ.* პოდპოლკოვნიკი.

αντισυνταγματικός, -ή, -ό ანტიკონსტიტუციური: *~ό νομοσχέδιο* ანტიკონსტიტუციური კანონპროექტი.

αντίσωμα το *ბიოლ.* ანტისხეული.

αντίτυπο το ეგზემპლარი, ცალი.

αντίφαση η წინააღმდეგობრივობა, ურთიერთგამომრიცხავი რამ: *έπεσε σε πολλές ~εις κατά την ανάκριση* დაკითხვისას მრავალი ურთიერთგამომრიცხავი რამ მოისმინა.

αντιφλεγμονώδης, -ης, -ες (*γεν. ους, πληθ. αρσ. και θηλ. -εις, ουδ. -η*) ანთების საწინააღმდეგო: *~ες φάρμακα* ანთების საწინააღმდეგო წამლები.

αντίχειρας ο *ანატ.* ცერი (თითი).

αντίχριστος, -η, -ο 1. ურწმუნო, ულმერთო; 2. *თეოლ.* **(Α~)** ანტიქრისტე.

άντληση η 1. ამოტუმბვა, ამოსაპვა, ამოცლა; 2. *გადატ.* მიღება, მოპოვება.

αντλώ (ε) (*αόρ. άντλησα, αόρ. παθ. αντλήθηκα, μτχ. αντλημένος*) *μετβ.* 1. ამოტუმბვა, ამოხაპვა, ამოცლა: *~ νερό από το πηγάδι* წყაროდან წყალს ეიღებ; 2. *λόγ., გადატ.* შეძენა, მოპოვება: *έχουμε αντλήσει στατιστικά στοιχεία από πρόσφατες έρευνες* ახლახან ჩატარებული გამოკვლევების საშუალებით სტატისტიკური მონაცემები მოვიპოვეთ.

αντοχή η *λόγ., გადატ.* ამტანობა, გამძლეობა, სიმტკიცე.

αντράκλα η (*πληθ. არ გააჩნია*) *ბოტ., ხალხ.* დანდური.

άντρακλας (αντρούκλας) ο (*πληθ. γεν. არ გააჩნია*) 1. ბუმბერაზი, ახმახი; 2. ძლიერი, ღონიერი (ადამიანი).

άντρας ο *იხ.* **άνδρας**.

αντρειεύω (*αόρ. αντρείεψα, αόρ. παθ. αντρειεύτηκα, μτχ. αντρειεμένος*) *αμετβ.* დავაჟკაცება, მოწიფვა.

αντρειοσύνη η *იხ.* **ανδρειοσύνη**.

αντρείος, -α, -ο *იხ.* **ανδρείος**.

αντρειώνομαι *იხ.* **ανδρειώνομαι**.

αντρίκειος, -α, -ο (αντρίκιος) კაცის, კაცური.

αντριλίκι το (*γεν. არ გააჩნია*) *დამამც., ხალხ., ეარგ.* ძველბიჭობა: *ήρθε να πουλήσει ~* მოვიდა და ძველბიჭობა დაიწყო.

άντρο το 1. გამოქვაბული, მღვიმე; 2. ბუნაგი

αντρόγυνο (ανδρόγυνο) το ცოლ-ქმარი.

αντωνυμία η *გრამ.* ნაცვალსახელი.

αντώνυμο το *გრამ.* ანტონიმი.

άνυδρος, -η, -ο გვალვიანი: *το βραχώδες και ~ο τοπίο των νησιών του Αιγαίου* ეგეოსის ზღვის კუნძულების კლდიანი და გვალვიანი ადგილი.

ανυμνώ (ε) (*აόρ. ανύμνησα, αόρ. παθ. ανυμνήθηκα*) *μετβ.* ხოტბის შესხმა.

ανυπακοή η გაუგონრობა, ურჩობა.

ανυπάκουος, -η, -ο გაუგონარი, ურჩი.

ανύπαντρος, -η, -ο დაუქორწინებელი.

ανύπαρκτος, -η, -ο არარსებული, არარეალური: *ας μην ασχολούμαστε με ~α ζητήματα* არარსებული საკითხებით ნუ დავკავდებით.

ανυπαρξία η (*πληθ. არ გააჩნია*) არარსებობა.

ανυπεράσπιστος, -η, -ο დაუცველი, უმწეო, უქომაგო: *~ πολίτης* დაუცველი მოქალაქე, *~η γυναίκα* უმწეო ქალი.

ανυπόγραφος, -η, -ο 1. უავტორო, ანონიმური; 2. ხელმოწერის გარეშე.

ανυπόκριτος, -η, -ο არათვალთმაქცური, გულწრფელი.

ανυποκρισία η გულწრფელობა, პირდაპირობა, არათვალთმაქცობა.

ανυποληψία η (*πληθ. არ γααჩნია*) უპატიჟცემულობა, არად მიჩნევა, არაფრად ჩაგდება.

ανυπολόγιστος, -η, -ο აურაცხელი, უთვალავი, ურიცხვი, უზარმაზარი: *~ες ζημιές* აურაცხელი ზარალი.

ανυπομονισία η (*πληθ. არ γααჩნია*) მოუთმენლობა, სულწასულობა, სულსწრაფობა: *περίμενε με ~ τα αποτελέσματα των εξετάσεων* მოუთმენლად ელოდა გამოცდის შედეგებს.

ανυπόμονος, -η, -ο მოუთმენელი, სულწასული; **ανυπόμονα** *επίρρ.* მოუთმენლად.

ανυπομονώ (ε) (*+να*) (*πληθ. ενεστ. და παρατ.*) *μετβ.* მოუთმენლად ლოდინი: *~ να τον δω από κοντά* მის ნახვას მოუთმენლად ველი.

ανύποπτος, -η, -ο ეჭვის გარეშე; ◊ *σε ~ο χρόνο* უღროო დროს; **ανύποπτα** *επίρρ.* ეჭვის გარეშე.

ανυπόστατος, -η, -ο უსაფუძვლო, არანამდვილი, ცრუ: *~η κατηγορία* უსაფუძვლო დადანაშაულება.

ανυπότακτος, -η, -ο 1. ურჩი, უდრეკი: *~ χαρακτήρας* ურჩი ხასიათი; 2. *სამხ.* (ο) ის, ვინც ჯარში გაწვევას თავს არიდებს, დეზერტირი.

ανυποταξία η 1. ურჩობა, ქედმოუხრელობა; 2. *სამხ.* ჯარში გამოუცხადებლობა.

ανυπόφορος, -η, -ο აუტანელი, გაუსაძლისი: *~ άνθρωπος / θόρυβος* აუტანელი ადამიანი; **ανυπόφορα** *επίρρ.* აუტანლად, გაუსაძლისად.

ανυποχώρητος, -η, -ο ის, ვინც უკან არ იხევს, დათმობაზე არ მიდის.

ανυποψίαστος, -η, -ο 1. ეჭვშეუტანელი, ეჭვის გარეშე; 2. უცოდინარი, გამოუცდელი: *σε θέματα λογοτεχνίας είναι εντελώς ~* ლიტერატურის არაფერი გაეგება.

ανυψώνω (*αόρ. ανύψωσα, αόρ. παθ. ανυψώθηκα, μιχ. ανυψωμένος*) *μετβ.* აწევა, აზიდვა, ამართვა.

ανύψωση η აწევა, აზიდვა, ამართვა.

ανυψωτήρας ο ელევატორი, ტვირთამწე, ამწე.

άνω *επίρρ., მაღალფ.* 1. მაღლა, ზემოთ, ზედა; 2. (*+γεν*) ზევით, ზემოთ, უფრო მაღლა: *ποσό ~ των είκοσι*

εκατομμυρίων თანხა ოც მილიონზე ზემოთ; ◊ **—*κάτω*** თაედაყირა.

ανώδυνος, -η, -ο *Ιατρ., გადატ.* უმტკივნეულო, უტკივნარი: *~η χειρουργική επέμβαση* უმტკივნეულო ქირურგიული ოპერაცია, *~ τοκετός* უმტკივნეულო მშობიარობა; **ανώδυνα** *επίρρ.* უმტკივნეულოდ.

ανωμαλία η ანომალური, არანორმალური მდგომარეობა.

ανώμαλος, -η, -ο ანომალური, არანორმალური: *~η κατάσταση / σεξουαλική ζωή* არანორმალური მდგომარეობა / სექსუალური ცხოვრება; **ανώμαλα / ανωμάλως** *επίρρ.* ანომალიურად, არანორმალურად.

ανωνυμία η (*πληθ. არ გააჩნია*) ანონიმურობა: *διατηρώ την ~* ანონიმურობას ვიცავ.

ανώνυμος, -η/ος, -ο 1. უსახელო; **2.** ანონიმური, უცნობი: *~ δωρητής* ანონიმური მეცენატი; ◊ *ζωολ. ~η/ος εταιρεία* სააქციო საზოგადოება; **ανώνυμα / ανωνύμως** *επίρρ.* ანონიმურად.

ανώριμος, -η, -ο (ανωρίμαστος) 1. *Ιατρ., გადატ.* მოუმწიფებელი, უმწიფარი: *-η ηλικία / σκέψη* მოუმწიფებელი ასაკი / აზრი; **2.** მეუსაბამო, ნაადრევი, მოუმზადებელი.

ανωριμότητα η (*πληθ. არ გააჩნია*) უმწიფობა, მოუმწიფებლობა.

ανώτατος, -η, -ο უმაღლესი: *τα ~α κλιμάκια ιεραρχίας* იერარქიის უმაღლესი საფეხურები; ◊ *~ αξιωματικός* მაღალჩინიანი ოფიცერი, *~η εκπαίδευση* უმაღლესი განათლება, ***Α~ο Εκπαιδευτικό Ίδρυμα*** უმაღლესი სასწავლო დაწესებულება.

ανώτερος, -η, -ο 1. მაღალი: *~α κοινωνικά στρώματα* მაღალი საზოგადოებრივი ფენები; **2.** (ο) მაღალი თანამდებობის პირი, უფროსი: *υπακούει στις διαταγές των ανωτέρων του* უფროსების ბრძანებებს ემორჩილება; ◊ *~ άνθρωπος* კეთილშობილი ადამიანი.

ανωτερότητα η (*πληθ. არ გააჩნია*) **1.** უპირატესობა: *η ~ του εχθρού στις χερσαίες δυνάμεις* სახმელეთო ძალებში მტრის უპირატესობა; **2.** კეთილშობილება.

ανωφελής, -ής, -ές (*γεν. -ούς, πληθ. αρσ. და θηλ. -είς, ουδ. -ή*) მავნე, მავნებელი, მაწყინარი, საზიანო.

ανώφελος, -η, -ο (ανωφέλευτος) ამაო, ტყუილუბრალო, ფუჭი: *~η προσπάθεια* ამაო მცდელობა; **ανώφελα / ανωφέλευτα** *επίρρ.* ამაოდ, ტყუილუბრალოდ.

άξαφνος, -η, -ο უეცარი; **άξαφνα / έξαφνα** *επίρρ.* უეცრად.

αξεπέραστος, -η, -ο გადაულახავი, დაუძლეველი: *~ο εμπόδιο* გადაულახავი დაბრკოლება.

αξεσουάρ το *άκλ.* აქსესუარი.

αξέχαστος, -η, -ο დაუვიწყარი: *~ες μέρες / στιγμές* დაუვიწყარი დღეები / წუთები.

άξια *επίρρ.* ღირსეულად.

αξία η *Ιατρ., გადატ.* ღირებულება: *η ~ του χρυσού* ოქროს ღირებულება; ◊ ***κινητές ~ες*** ფასიანი ქაღალდები, ***ονομαστική ~*** ნომინალური ღირებულება, ***αντικειμενική ~*** ობიექტური ფასი.

αξιέπαινος, -η, -ο საქებარი: *είναι ~η η προσπάθειά του* მისი მცდელობა შექების ღირსია.

αξίζω (*მხოლოდ ενεστ. და παρατ.*) *μετβ., αμετβ.* **1.** ღირებულების, ფასის ქონა: *είναι βέβαια ακριβό, αλλά ~ει τα λεφτά του* მართალია ძალიან ძვირია, მაგრამ ღირს ამაში ფულის გადახდა; **2.** დამსახურება, იყო ღირსი: *του ~ει καλύτερη τύχη* იგი

უკეთეს ბედს იმსახურებს; ◊ *δεν ~ει μία* არაფრად ეარება, კაპიკია მისი ფასი, *(κάτι) ~ει τον κόπο* ფვალებად ღირს.

αξίνα η ფერაქვი.

αξιοζήλευτος, -η, -ο შესაშური: *απέκτησε μια ~η θέση στην εταιρεία* კომპანიაში შესაშური თანამდებობა დაიკავა.

αξιοθαύμαστος, -η, -ο გასაოცარი: *~η υπομονή / τεχνική* გასაოცარი მოთმინება / ტექნიკა.

αξιοθέατος, -η, -ο 1. ღირსშესანიშნავი; 2. (το) ღირსშესანიშნაობა: *τα ~α της Τιφλίδας* თბილისის ღირსშესანიშნაობანი.

αξιοθρήνητος, -η, -ο *λόγ.* გაძაბ. საეალალო, საცოდავი: *η κατάσταση των προσφύγων είναι ~η* ლტოლვილების მდგომარეობა საეალალოა.

αξιολάτρευτος, -η, -ο სათაყვანებელი.

αξιολόγηση η შეფასება: *τεστ ~ς* შეფასების ტესტი.

αξιόλογος, -η, -ο მნიშვნელოვანი, დიდი მნიშვნელობის: *~ο ποσό / έργο* მნიშვნელოვანი თანხა / ნაწარმოები.

αξιολογώ (ε) (*აόρ. αξιολόγησα, აόρ. παθ. αξιολογήθηκα, μτχ. αξιολογημένος*) *μετβ.* შეფასება: *~ τις προτάσεις που υποβλήθηκαν* წამოყენებულ წინადადებებს ვაფასებ.

αξιολύπητος, -η, -ο შესაბრალისი, საბრალო, საცოდავი.

αξιομνημόνευτος, -η, -ο მოსახსენიებელი, აღსანიშნავი, ღირსშესანიშნავი.

αξιόπιστος, -η, -ο უტყუარი, უეჭველი, სარწმუნო: *~η πηγή / εφημερίδα* სარწმუნო წყარო / გაზეთი.

αξιοποίηση η ათვისება, გამოყენება, მოხმარება.

αξιοποιώ (ε) (*აόρ. αξιοποίησα, აόρ. παθ. αξιοποιήθηκα, μτχ. αξιοποιημένος*) *μετβ.* ათვისება, გამოყენება, მოხმარება: *~ εναλλακτικές πηγές ενέργειας* ენერგიის ალტერნატიულ წყაროს ვიყენებ.

αξιοπρέπεια η (*πληθ. არ გააჩნია*) ღირსება.

αξιοπρεπής, -ής, -ές (*γεν. -ούς, πληθ. αρσ. და θηλ. -είς, ουδ. -ή*) ღირსეული, ღირსი: *~ στάση / συμπεριφορά* ღირსეული პოზიცია / საქციელი; **αξιοπρεπώς** *επίρρ.* ღირსეულად, საკადრისად.

αξιοπρόσεκτος, -η, -ο (αξιοπρόσεχτος) საყურადღებო, ყურადსაღები, შესამჩნევი: *~η παρατήρηση* ყურადსაღები შენიშვნა.

άξιος, -α, -ο 1. ღირსეული: *~α γυναίκα* ღირსეული ქალი; 2. ღირსი, ტოლფასი, შესაფერისი: *κανέναν δεν θεωρούσε ~ο γαμπρό για την κόρη του* თავისი ქალიშვილის ტოლფასი საქმრო არსად ეგულებოდა; ◊ *είμαι ~ της τύχης / της μοίρας μου* ღირსი ვარ, საკუთარ თავს უნდა დაეაბრალო (რაც დამემართება); **άξια / αξίως** *επίρρ.* ღირსეულად.

αξιοσέβαστος, -η, -ο საპატიო, პატივსაცემი.

αξιοσημείωτος, -η, -ο ღირსაღსანიშნავი, ყურადსაღები, მნიშვნელოვანი: *~ο γεγονός / περιστατικό / φαινόμενο* მნიშვნელოვანი მოვლენა / ინციდენტი / ფენომენი.

αξιότιμος, -η, -ο დიდად პატივცემული, ღრმად პატივცემული, პატივცემული: *~οι κύριοι* პატივცემული ბატონები.

αξίωμα το 1. თანამდებობა, ჩინი, ხარისხი, წოდება: *το ~ του προέδρου* პრეზიდენტის წოდება; 2. *μαθ.* აქსიომა.

αξιωματικός ο/η ოფიცერი.

αξιωματούχος ο/η მაღალი თანამდებობის პირი: *~ του Υπουργείου Εξωτερικών* საგარეო საქმეთა სამინისტროს მაღალი თანამდებობის პირი.

αξιώνω (αξιώ) (*აόρ. αξίωσα, აόρ. παθ. αξιώθηκα, μτχ. αξιωμένος*) *μετβ.* მოთხოვნა, პრეტენზიის ქონა; **-ομαι 1.** ღირსად გახდომა: *αξιώθηκε επιτέλους να πάει στο Λονδίνο, που ήταν τ'όνειρό του* როგორც იქნა ელირსა და ლონდონში წაეიდა, ოცნება აიხდინა; **2.** *ιρον.* მოცლა: *να δούμε πότε επιτέλους θ'αξιωθεί να αλλάξει αυτές τις κουρτίνες που έχουν γίνει σαν κουρέλια* ერთი ვნახოთ ბოლოს და ბოლოს როდის გამოცლის ამ ფარდებს, ჩვარს რომ დაემსგავსნენ.

άξονας (άξων) ο **1.** ღერძი: *ο ~ της σφαίρας / του κυλίνδρου / συμμετρίας* სფეროს / ცილინდრის / სიმეტრიის ღერძი; **2.** *τεχνολ.* ლილვი; *γεωγρ.* **3.** ეპიცენტრი, კერა: *~ δραστηριότητας / ανάπτυξης* მოქმედების / განვითარების ეპიცენტრი.

αξύριστος, -η, -ο გაუპარსავი.

αοιδός ο/η რაფსოდი, მომღერალი.

άοπλος, -η, -ο 1. შეუიარაღებელი, მშვიდობიანი: *η επίθεση του εχθρού σε ~ους πολίτες* მშვიდობიან მოქალაქეებზე მტრის თავდასხმა; **2.** *γεωγρ.* დაუცველი.

αόρατος, -η, -ο უხილავი: *~ες υπάρξεις / δυνάμεις* უხილავი არსებები / ძალები.

αοριστία η გაურკვეველობა, განუსაზღვრელობა, ბუნდოვანობა.

αόριστος, -η, -ο განუსაზღვრელი, ბუნდოვანი, გაურკვეველი: *ένα ~ο συναίσθημα φόβου* შიშის განუსაზღვრელი გრძნობა.

αόριστος ο *გრამ.* აორისტი; ◊ *μιλάω σε ~ο* წარსულ დროში ელაპარაკობ.

αορτή η *ანატ.* აორტა.

άοσμος, -η, -ο უსუნო.

απαγγελία η წაკითხვა, საჯაროდ თქმა, დეკლამაცია.

απαγγέλλω (απαγγέλνω) (*აόρ. απήγγειλα, აόρ. παθ. απαγγέλθηκα, μτχ. απηγγελμένος*) *μετβ.* წაკითხვა, წარმოთქმა, საჯაროდ თქმა: *οι μαθητές ~ουν ποιήματα στις γιορτές* მოსწავლეები ზეიმებზე ლექსებს კითხულობენ.

απαγόρευση η აკრძალვა, აღკვეთა; ◊ *νομ. θέτω (κάποιον) υπό ~* ყადაღის დაღება, აკრძალვა.

απαγορευτικός, -ή, -ό 1. აკრძალვითი, აკრძალვისა; **2.** (το) ა) გემების მიმოსვლის აკრძალვა (რთული მეტეოროლოგიური პირობების გამო): *εκδόθηκε το ~ ό για τα δρομολόγια των πλοίων* გემების მიმოსვლა აიკრძალა, ბ) აკრძალვის ნიშანი (საგზაო მოძრაობის).

απαγορεύω (*აόρ. απαγόρευσα, აόρ. παθ. απαγορεύθ(τ)ηκα, μτχ. απαγορευμένος*) *μετβ.* აკრძალვა, აღკვეთა, დაშლა; *τριτοπρόσ.* **-εται** აკრძალულია: *~ το κάπνισμα* მოწევა აკრძალულია; ◊ *~ καρπός* აკრძალული ხილი.

απάγω (*აόρ. απήγαγα, μτχ. απαχθείς, -είσα, -έν*) *μετβ.* მოტაცება, გატაცება.

απαγωγέας ο/η მომტაცებელი, გამტაცებელი.

απαγωγή η მოტაცება, გატაცება: *η ~ ενός επιχειρηματία* ბიზნესმენის გატაცება.

απαθανατίζω (*აόρ. απαθανάτισα, აόρ. παθ. απαθανατίστ(θ)ηκα, μτχ. απαθανατισμένος*) *μετβ.* უკვდავყოფა: *ο ζωγράφος απαθανάτισε την ομορφιά*

της მხატვარმა მისი სილამაზე უკ-ვდავაჰყო.

απάθεια η (*πληθ. არ გააჩნია*) გულ-გრილობა, უხალისობა, აპათია.

απαθής, -ής, -ές (*γεν. -ούς, πληθ. αρσ. და θηλ. -είς, ουδ. -ή*) აპათიური, გულგრილი, უხალისო: *μένουν ~εις μπροστά στο δράμα των προσφύγων* ლტოლვილების დრამატულ მდგო-მარეობას გულგრილად უყურებენ; **απαθώς** *επίρρ.* აპათიურად, გულ-გრილად, უხალისოდ.

απαθλίωση η (*πληθ. არ გააჩნია*) გაღატაკება, უბადრუკობა.

απαίδευτος, -η, -ο გაუნათლებელი, უვიცი.

απαισιοδοξία η (*πληθ. არ გააჩნια*) პესიმიზმი.

απαισιόδοξος, -η, -ο პესიმისტი, პესიმისტური.

απαίσιος, -α, -ο საშინელი, სა-ძაგელი: *~ άνθρωπος / χαρακτήρας* საძაგელი ადამიანი / საშინელი ხა-სიათი; **απαίσια** *επίρρ.* საშინლად, უმსგავსოდ, უხამსად.

απαίτηση η მოთხოვნა, პრეტენზია: *προβάλλω / ικανοποιώ / έχω ~εις* პრეტენზიებს ვაყენებ / ვაკმაყო-ფილებ / პრეტენზიები მაქვს.

απαιτητής ο პრეტენდენტი.

απαιτητικός, -ή, -ό პრეტენზიული, მკაცრი, მომთხოვნი.

απαιτώ (ε) (*αόρ. απαίτησα, αόρ. παθ. απαιτήθηκα, μτχ. απαιτούμενος*) *μετβ.* მოთხოვნა, პრეტენზიის ქონა: *~ πειθαρχεία* დისციპლინას მოვითხოვ.

απαιτούμενα τα აუცილებელი წი-ნაპირობები: *τους λείπουν ακόμη τα ~α για έναν γάμο, ούτε δουλειά έχουν ούτε σπίτι* ქორწინებისთვის მათ აუ-ცილებელი წინაპირობები არ გააჩ-ნიათ, ჯერ არც სამუშაო აქვთ და არც ბინა.

απαλλαγή η თავის დახსნა, თავის დაღწევა, გათავისუფლება: *~ από πιέσεις / νόσο / υποχρέωση* ზეწოლის-გან / დაავადებისგან თავის დაღ-წევა / ვალდებულებისგან გა-თავისუფლება.

απαλλάσσω თავის დახსნა, თავის დაღწევა, გათავისუფლება: *~ κάποιον από τις στρατιωτικές του υπο-χρεώσεις* სამხედრო ვალდებუ-ლებისგან ვათავისუფლებ (ვინმეს).

απαλλοτρίωση η ექსპროპრიაცია, გასხვისება.

απαλός, -ή, -ό 1. რბილი, ფაფუკი: *~ό ύφασμα* რბილი ქსოვილი; 2. (το) ყი-ფლიბანდი; 3. ნაზი: *~ό χάδι* ნაზი ალერსი.

απαλότητα (απαλοσύνη) η (*πληθ. არ გააჩნια*) სირბილე, სიფაფუკე.

απάλυνση η (*πληθ. არ გააჩνια*) 1. დარბილება; 2. *გადაჭ.* შემსუბუ-ქება: *η ~ του πόνου / της θλίψης* ტკი-ვილის / მწუხარების შემსუბუქება.

απαλύνω (*αόρ. απάλυνα, αόρ. παθ. απαλύνθηκα*) *μετβ.* დარბილება: *το πλύσιμο με το μαλακτικό απάλυνε τα ρούχα* დამარბილებელი სარეცხი საშუალებით გარეცხვამ ტანსაც-მელი დაარბილა; *αμετβ., μετβ.* შეს-უბუქება, განელება: *απάλυνε ο θυμός* ბრაზმა გადაუარა.

απανθρακώνω (*αόρ. απανθράκωσα, αόρ. παθ. απανθρακώθηκα, μτχ. απανθρακωμένος*) *μετβ.* დანახ-შირება.

απανθρωπιά (απανθρωπία) η არა-ადამიანურობა, არაკუმანურობა, სისასტიკე, ულმობელობა.

απάνθρωπος, -η, -ο არაადა-მიანური, არაკუმანური; **απάνθρω-πα** *επίρρ.* არაადამიანურად, ულ-მობელად.

άπαντα τα ნამრომთა სრული კრებული.

απάντηση η *პირდ., გადატ.* პასუხი: *γραπτή / προφορική ~* წერილობითი / ზეპირი პასუხი

απαντώ (α) (*აბრ. απάντησα, აბრ. παθ. απαντήθηκα, მხტ. απαντημένος*) *მეტბ., ამეტბ., პირდ., გადატ.* (+ *σε*) პასუხის გაცემა: *θα σου απαντήσω αύριο* ხვალ გიპასუხებ

απάνω *ეპირრ. იხ.* **επάνω**.

απαξιώνω (*აბრ. απαξίωσα, აბრ. παθ. απαξιώθηκα, მხტ. απαξιωμένος*) *მეტბ. გადატ.* გაუფასურება, უღირსად ცნობა: *η στάση του ~ει την προσπάθειά μας* მისი პოზიცია ჩვენს წამოწყებას აუფასურებს.

απαξίωση η (*პლთ. არ გააჩნია*) *გადატ.* გაუფასურება, უღირსად ცნობა: *η ~ των πολιτικών από τον Τύπο* პრესამ პოლიტიკოსები უღირსად ცნო.

απαξιωτικός, -ή, -ό გამაუფასურებელი, უღირსი: *~ό σχόλιο* გამაუფასურებელი კომენტარი, *~ή συμπεριφορά* უღირსი საქციელი; **απαξιωτικά** *ეპირრ.* უღირსად.

απαραβίαστος, -η, -ο ხელუხლებელი, ხელშეუხებელი: *το πρόσωπο του Πατριάρχη είναι ~ο* პატრიარქი ხელშეუხებელია.

απαράδεκτος, -η, -ο (απαράδεχτος) **1.** მიუღებელი, დაუშვებელი: *~η στάση / ~ όρος* მიუღებელი პოზიცია / პირობა; **2.** *საუბრ.* საშინელი, ძალიან ცუდი: *το φαγητό είναι ~ο* საშინელი საჭმელია; **απαράδεκτα / απαραδέκτως** *ეპირრ.* მიუღებლად, დაუშვებლად.

απαραίτητος, -η, -ο აუცილებელი: *~ο όρος / ~η συνθήκη / προϋπόθεση* აუცილებელი პირობა / შეთანხმება / წინაპირობა; **απαραίτητα / απαραιτήτως** *ეპირრ.* აუცილებლად.

απαράλλακτος, -η, -ο (απαράλλαχτος) ზუსტად ისეთივე, ერთნაირი, ზედგამოჭრილი, მსგავსი.

απαρατήρητος, -η, -ο შეუმჩნეველი; ◊ *περνώ ~* შეუმჩნეველი ვრჩები.

απαρέμφατο το *გრამ.* ზმნის საწყისი ფორმა, ინფინიტივი.

απαρηγόρητος, -η, -ο უნუგეშო: *ο σύζυγος ήταν ~ για τον θάνατό της* ქალის სიკვდილის გამო მისი მეუღლე უნუგეშო იყო; **απαρηγόρητα / απαρηγορήτως** *ეპირრ.* უნუგეშოდ.

απαρίθμηση η ჩამოთვლა.

απαριθμώ (ε) (*აბრ. απαρίθμησα, აბრ. παθ. απαριθμήθηκα, მხტ. απαριθμημένος*) *მეტბ.* ჩამოთვლა: *ο υπουργός απαρίθμησε τα έργα της κυβέρνησης* მინისტრმა ჩამოთვალა მთავრობის მიერ შესრულებული სამუშაოები.

απαρνούμαι (*აბრ. απαρνήθηκα, მხტ. απαρνημένος*) *მეტბ., აპოზ.* უარის თქმა, უარყოფა: *απαρνήθηκε την πίστη του* უარყო თავისი სარწმუნოება.

άπαρνηση (απαρνησιά) η უარის თქმა, უარყოფა.

απαρτία η (*პლთ. არ გააჩნია*) ქვორუმი.

απαρτίζω (*აბრ. απάρτισα / απήρτισα, აბრ. παθ. απαρτίστ(θ)ηκα, მხტ. απαρτισμένος*) *მეტბ.* შედგენა, ფორმირება, ჩამოყალიბება: *~ουμε ομάδα / ομοσπονδία / επιτροπή* ვაყალიბებთ გუნდს / ფედერაციას / ვართ კომისიის შემადგენლობაში.

άπαρτος, -η, -ο აუღებელი: *~ο φρούριο / ~η πόλη* აუღებელი ციხე / ქალაქი.

απαρχή η საწყისი, პირველსაწყისი, დასაწყისი.

απαρχής *επίρρ.* თავიდან, თავიდანვე: *σας προειδοποίησα ~* თავიდანვე გაგაფრთხილეთ.

απασχόληση η (*πληθ. არ გააჩნია*) სამუშაო, პროფესია, დასაქმება: *μόνιμη / επικερδής ~* სამტკაცო / მომგებიანი სამუშაო.

απασχολώ (*αόρ. απασχόλησα, αόρ. παθ. απασχολήθηκα, μτχ. απασχολημένος*) *μετβ.* **1.** დასაქმება; **2.** დაკავება, მოცდენა, დროის წართმევა: *μην με ~είς, έχω δουλειά τώρα* ნუ მაცდენ, ახლა საქმე მაქვს.

απατεώνας ο, **-ισσα** η მატყუარა, თაღლითი, გაიძვერა.

απάτη η მოტყუება.

απατηλός, -ή, -ό ტყუილი, მაცდუნებელი, ცრუ: *~ή υπόσχεση* ცრუ დაპირება.

απάτητος, -η, -ο ფეხდაუდგმელი, გაუვლელი, აუთვისებელი: *~ο μονοπάτι* გაუვლელი ბილიკი.

άπατος, -η, -ο უძირო, ძალიან ღრმა: *~α νερά* ძალიან ღრმა წყალი.

απατώ (α) (*αόρ. απάτησα, αόρ. παθ. απατήθηκα, μτχ. απατημένος*) *μετβ.* **1.** მოტყუება, შეცდომაში შეყვანა; **2.** ღალატი: *~ά τη γυναίκα* ღალატობს თავის ცოლს.

άπαχος, -η, -ο უცხიმო: *~ο τυρί* უცხიმო ყველი.

απεγκλωβίζω (*αόρ. απεγκλώβισα, αόρ. παθ. απεγκλωβίστηκα, μτχ. απεγκλωβισμένος*) *μετβ.* განთავისუფლება, ჩაკეტილი სივრციდან გამოყვანა: *οι άντρες της Τροχαίας απεγκλώβισαν τους παγιδευμένους* საგზაო პოლიციის თანამშრომლებმა გამოიყვანეს გამომწყვდეულები.

απειθαρχία η (*πληθ. არ გააჩნია*) უდისციპლინობა.

απείθαρχος, -η, -ο უდისციპლინო: *~ μαθητής* უდისციპლინო მოსწავლე.

απειθαρχώ (ε) (*αόρ. απειθάρχησα*) *αμετβ.* უდისციპლინოდ მოქცევა, დაუმორჩილებლობა.

απεικονίζω (*αόρ. απεικόνισα, αόρ. παθ. απεικονίστ(θ)ηκα., μτχ. απεικονισμένος*) *μετβ.* ასახვა, გამოხატვა: *ο πίνακας ~ει ένα λαϊκό πανηγύρι* მხატვრული ტილო სახალხო ზეიმს ასახავს.

απεικόνιση η ასახვა, გამოხატვა, ჩვენება.

απειλή η **1.** მუქარა: *δέχομαι ~ές* ვიღებ მუქარას; **2.** საშიშროება, საფრთხე: *(κάποιος / κάτι) αποτελεί ~ για την ειρήνη* (ვიღაცა, რაღაცა) წარმოადგენს საფრთხეს მშვიდობისათვის; ◊ *υπό την ~* მუქარის ქვეშ, მუქარით.

απειλητικός, -ή, -ό მუქარის გამომხატველი, სამიშო: *~ό γράμμα / τηλεφώνημα* მუქარის გამომხატველი წერილი / სატელეფონო ზარი.

απειλώ (ε) (*αόρ. απείλησα, αόρ. παθ. απειλήθηκα, μτχ. απειλημένος*) *μετβ.* **1.** მუქარა, დაქადნება; **2.** საფრთხე: *η πυρκαγιά ~ει κατοικημένες περιοχές* ხანძარი დასახლებულ რეგიონებს ემუქრება.

απείραχτος, -η, -ο ხელუხლებელი.

άπειρος, -η, -ο I გამოუცდელი: *~ πολέμου* ომში გამოუცდელი.

άπειρος, -η, -ο II 1. დაუსრულებელი, თვალუწვდენელი: *το ~ο Σύμπαν* თვალუწვდენელი სამყარო; **2.** უთვალავი, უამრავი, ურიცხვი: *τον πνίγουν ~α προβλήματα* უამრავი პრობლემა ახრჩობს.

απέλαση η გასახლება, გაგდება, გაძევება (ქვეყნიდან), დეპორტირება: *~ λαθρομεταναστών* არალე-

გალური ემიგრანტების ქვეყნიდან გაძევება.

απελαύνω (*აόρ. απέλασα, აόρ. παθ. απελάθηκα*) *μετβ.* გასახლება, გაგდება, გაძევება (ქვეყნიდან), დეპორტაცია.

απελευθερώνω (*აόρ. απελευθέρωσα, აόρ. παθ. απελευθερώθηκα, μτχ. απελευθερωμένος*) *μετβ.* განთავისუფლება.

απελευθέρωση η განთავისუფლება.

απελευθερωτής ο, **-τρια** η განმათავისუფლებელი.

απελπίζω (*აόρ. απέλπισα, აόρ. παθ. απελπίστηκα, μτχ. απελπισμένος*) *μετβ.* იმედის დაკარგვა, უიმედობაში ჩაგდება: *μην ~εσαι, θα βρεθεί κάποια λύση* იმედს ნუ გადაიწურავ, რამე გამოსავალი მოიძებნება.

απελπισία η (*πληθ. არ χρησιμ.*) უიმედობა.

απελπισμένος, -η, -ο იმედდაკარგული, იმედგადაწურული, უიმედო, სასოწარკვეთილი.

απελπιστικός, -ή, -ό უიმედობის მომგვრელი, უიმედო; **απελπιστικά / απελπιστικώς** *επίρρ.* უიმედოდ.

απέναντι *επίρρ.* პირდაპირ, მოპირდაპირე მხარეს: *~ από το ξενοδοχείο προβάλλει η Ακρόπολη* სასტუმროს მოპირდაპირე მხარეს აკროპოლისი მოჩანს.

απεναντίας *επίρρ.* საპირისპიროდ, საწინააღმდეგოდ, პირიქით: *δεν πιστεύω ότι θα υποχωρήσει, ~ νομίζω πως θα αντεπιτεθεί* არ მჯერა, რომ უკან დაიხევს, პირიქით, მგონია, რომ აქეთ შემოგვიტევს.

απενεργοποιώ (ε) (*αόρ. απενεργοποίησα, αόρ. παθ. απενεργοποιήθηκα, μτχ. απενεργοποιημένος*) *μετβ.* გამორთვა: *~ το κινητό τηλέφωνο* გამოერთავ მობილურ ტელეფონს.

απενεργοποίηση η გამორთვა.

απέντερος, -η, -ο უგროშო, უფულო: *~ και άστεγος* უგროშო და უსახლკარო.

απεντόμωση η დეზინფექცია, მაენებლების (ტილების, ტკიპების, კოღოების, ბუზების და ა.შ.) განადგურება.

απεξάρτηση η *ψυχ.* თერაპიული მეთოდი ნარკოტიკებზე, ალკოჰოლზე ან წამალზე დამოკიდებულებისაგან გასანთავისუფლებლად.

απέξω (απ'εξω, απόξω) 1. გარედან, გარეთ: *καθόταν ~* გარეთ იჯდა; **2.** ზეპირად: *λέω το μάθημα ~* ზეპირად ვყვები გაკვეთილს; **3.** (οι) გარედან მოსული ხალხი, ის, ვინც არ ეკუთვნის ვიწრო ოჯახურ წრეს; ◊ *τα λέω ~~* არაპირდაპირ თქმა, მინიშნება.

απέραντος, -η, -ο 1. უზარმაზარი, თვალუწვდენელი, უკიდეგანო: *~ ωκεανός* თვალუწვდენელი ოკეანე; **2.** უზომო, უთვალავი: *~η συγκίνηση* უზომო მღელვარება.

απέραστος, -η, -ο 1. გაუვლელი, ფეხდაუდგმელი, გაუკვალავი: *~α φαράγγια* ფეხდაუდგმელი ხეობები; **2.** დაურეგისტრირებელი, გაუტარებელი.

απεργία η გაფიცვა; ◊ ***προειδοποιητική*** *~* გამაფრთხილებელი გაფიცვა, ***γενική*** *~* საყოველთაო გაფიცვა, *~ πείνας* შიმშილობა.

απεργός ο/η გაფიცული, გაფიცვის მონაწილე.

απεργώ (ε) (*αόρ. απέργησα/απήργησα*) *αμετβ.* გაფიცვა: *σήμερα απεργούν οι οικοδόμοι* დღეს გაფიცულები არიან მშენებლები.

απερίγραπτος, -η, -ο 1. აუწერელი: *έμεινε άφωνος μπροστά στο ~ο θέαμα* აუწერელი სანახაობის წინაშე ხმა

ვერ ამოიღო; **2.** საშინელი: *~η κατάσταση!* საშინელი სიტუაციაა!

απεριόριστος, -η, -ο 1. შეუზღუდავი, განუსაზღვრელი: *~η δύναμη / εξουσία / δυνατότητες* შეუზღუდავი ძალა / ძალაუფლება / განუსაზღვრელი შესაძლებლობები; **2.** უსასრულო, უსაზღვრო; **απεριόριστα / απεριορίστως** *επίρρ.* შეუზღუდავად, განუსაზღვრელად, უსაზღვროდ.

απεριποίητος, -η, -ο მოუვლელი: *~ο σπίτι* მოუვლელი სახლი.

απερίσκεπτος, -η, -ο (απερίσκεφτος) დაუფიქრებელი, წინდაუხედავი; **απερίσκεπτα / απερισκέπτως** *επίρρ.* დაუფიქრებლად, წინდაუხედავად.

απερισκεψία η დაუფიქრებლობა, წინდაუხედაობა.

απεριτίφ το *άκλ.* აპერიტივი.

απερίφραστος, -η, -ο არაორაზროვანი, პირდაპირი: *η ~η διατύπωση ενός αιτήματος* საკითხის არაორაზროვნად ჩამოყალიბება; **απερίφραστα / απεριφράστως** *επίρρ.* არაორაზროვნად.

απερπάτητος, -η, -ο გამოუცდელი.

απέρχομαι (*αόρ. απήλθα, μτχ. απελθών, -ούσα, -όν*) *μετβ., αποθ., δαλαλ.* წასვლა, გასვლა (საიდანმე), დატოვება (ადგილის): *ήλθε, είδε και απήλθε* მოვიდა, ნახა და წავიდა.

απεσταλμένος, -η, -ο 1. გაგზავნილი: *τα ~α μηνύματα με το ηλεκτρονικό ταχυδρομείο* ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი გზავნილები; **2.** (ο/η) ა) ოფიციალური წარმომადგენელი, წარგზავნილი პირი.

απευθείας *επίρρ.* პირდაპირ: *η πτήση έρχεται ~ από τη Νέα Υόρκη* რეისი ნიუ იორკიდან პირდაპირ მოფრინავს.

απευθύνω (*αόρ. απεύθυνα / απηύθυνα, αόρ. παθ. απευθύνθηκα*) *μετβ.* გაგზავნა: *~ έκκληση / διάγγελμα* ვინმესადმი მიმართვას / ოფიციალურ გზავნილს; **-ομαι** მიმართვა (წერილობით ან ზეპირად): *~ομαι στην αρμόδια υπηρεσία* კომპეტენტურ ორგანოს მიემართაე.

απεχθάνομαι (*θλ. ενεστ. και παρατ.*) *μετβ., αποθ.* სიძულვილი, ზიზღი, ვერ ატანა: *~ τη βία* ვერ ვიტან ძალადობას.

απέχθεια η (*πληθ. δεν χρησιμοποιείται*) სიძულვილი, ზიზღი.

απεχθής, -ής, -ές (*γεν. -ούς, πληθ. αρσ. και θηλ. -είς, ουδ. -ή*) საძულველი, საზიზღარი.

απέχω (*αόρ. απείχα / απέσχον*) *αμετβ.* მანძილზე ყოფნა, დაშორება: *το σπίτι μου ~ει από την πλατεία δέκα λεπτά με τα πόδια* ჩემი სახლი მოედნიდან ათი წუთი ფეხით სავალზე მანძილზეა.

απήχηση η გამოძახილი, გამოხმაურება.

απηχώ (ε) (*αόρ. απήχησα*) *μετβ., χαλαδ.* გამოხმაურება, გამოძახილი.

άπιαστος, -η, -ο 1. დაუჭერელი, დაუკაებელი: *~ εγκληματίας* დაუკაებელი დამნაშავე; **2.** მოუხელთებელი: *~ παίχτης* მოუხელთებელი მოთამაშე; **3.** ხელუხლებელი: *~ο βιβλίο / φαγητό* ხელუხლებელი წიგნი / საჭმელი.

απίθανος, -η, -ο 1. შეუძლებელი: *μου φαίνεται ~ο* შეუძლებლად მეჩვენება; **2.** დაუჯერებელი: *αυτά τα πράγματα είναι ~α, πού ξανακούστηκε κάτι τέτοιο;* ეს დაუჯერებელია, სად

გაგონილა ასეთი რამ? **απίθανα** *επίρρ.* ღუჯერებლად.

απίστευτος, -η, -ο 1. დაუჯერებელი; 2. მთამბეჭდავი, გასაოცარი; **απίστευτα** *επίρρ.* დაუჯერებლად.

απιστία η 1. ათეიზმი, ურწმუნოება; 2. ცოლ-ქმრული ღალატი.

απιστοποίητος, -η, -ο დაუმტკიცებელი: *~α στοιχεία* დაუმტკიცებელი მონაცემები.

άπιστος, -η, -ο 1. ურწმუნო, დაუჯერებელი; 2. ათეისტი, ურწმუნო; 3. მოღალატე (ცოლ-ქმრულ ცხოვრებაში).

απιστώ (ε) (*αόρ. απίστησα*) *αμετβ.* 1. არ დაჯერება: *~ στα λόγια του* არ მჯერა მისი სიტყვების; 2. ცოლ-ქმრული ღალატი.

άπλα η (*γεν. πληθ. არ გააჩნია*) ფართო, გაშლილი სივრცე: *στην ~ του χωραφιού παίζουν μπάλα τα παιδιά* მინდვრის გაშლილ სივრცეში ბავშვები ბურთს თამაშობენ.

απληροφόρητος, -η, -ο არაინფორმირებული.

απλήρωτος, -η, -ο (απλέρωτος) 1. გადაუხდელი: *~ λογαριασμός / ~ο γραμμάτιο* გადაუხდელი ანგარიში / თამასუქი; 2. ვაკანტური, დაუკავებელი: *η θέση έμεινε ~η* ადგილი ვაკანტური დარჩა.

απλησίαστος, -η, -ο უკარება.

απληστία η გაუმაძღრობა, სიხარბე, ხარბობა.

άπληστος, -η, -ο გაუმაძღარი, ხარბი.

απλοϊκός, -ή, -ό უბრალო (ადამიანი); **απλοϊκά** *επίρρ.* 1. მიამიტად, გულუბრყვილოდ; 2. უბრალოდ; 3. პრიმიტიულად.

απλοποίηση η გამარტივება: *η ~ προβλήματος / διαδικασίας* პრობლემის / პროცესის გამარტივება.

απλοποιώ (ε) (*αόρ. απλοποίησα, αόρ. παθ. απλοποιήθηκα, μτχ. απλοποιημένος*) *μετβ.* გამარტივება, გაადვილება.

απλός, -ή, -ό (απλούς) 1. მარტივი: *~ές λέξεις* მარტივი სიტყვები; 2. უბრალო: *είμαστε ~οί άνθρωποι* უბრალო ადამიანები ვართ; ◊ *~ό εισιτήριο* ა) ბილეთი მხოლოდ ერთი მიმართულებით, ბ) ბილეთი ფასდაკლების გარეშე, *~ή επιστολή* ჩვეულებრივი წერილი (არა დაზღვეული ან შეკვეთილი).

απλότητα η (*πληθ. არ გააჩნια*) სიმარტივე, უბრალოება.

άπλυτος, -η, -ο ჭუჭყიანი, დაუბანელი, გაურეცხავი.

άπλωμα το 1. გაფენა (გასაშრობად): *~ των ρούχων* ტანსაცმლის გაფენა; 2. გაზმორება, გაჭიმვა; 3. გაშლილი სივრცე, გაშლილი ადგილი.

απλώνω (*αόρ. άπλωσα, αόρ. παθ. απλώθηκα, μτχ. απλωμένος*) *μετβ., αμετβ.* 1. გაშლა: *~ τον χάρτη πάνω στο τραπέζι* რუკას მაგიდაზე ეშლი; 2. გაფენა (გასაშრობად): *~ τη μπουγάδα* სარეცხს გასაშრობად გაეფენ; 3. წასმა: *~ τη μπογιά / το χρώμα* ეუსვამ საღებავს / ფერს ეადებ.

απλώς (απλά) *επίρρ.* უბრალოდ, მხოლოდ.

απλώστρα η სარეცხის გასაფენი, საშრობი.

από (απ') 1. -დან: *ξεκίνησε ~ την Αθήνα* ათენიდან გამოემართა; 2. -ზე: *είναι μεγαλύτερος ~ μένα* ჩემზე უფროსია; 3. -გან: *είναι ~ αγνό μαλλί* სუფთა შალისაგანაა; 4. -ით, რაღაცის მეშვეობით: *ζει ~ τη δουλειά του* თავისი სამუშაოთი ცხოვრობს.

αποβάθρα η 1. ნავმისადგომი; 2. ბაქანი.

αποβάλλω (*აόρ. απέβαλα, αόρ. παθ. αποβλήθηκα / επεβλήθην, μτχ. αποβληθείς, -είσα, -έν / αποβεβλημένος*) *μετβ., αμετβ.* **1.** გაგდება, გაძევება: *ο δικαστής απέβαλε από την αίθουσα δύο ακροατές της δίκης* მოსამართლემ დარბაზიდან ორი დამსწრე გააგდო; **2.** *სპორტ.* მოთამაშის გაგდება (არბიტრის მიერ).

αποβιβάζω (*αόρ. αποβίβασα, αόρ. παθ. αποβιβάστηκα, μτχ. αποβιβασμένος*) *μετβ.* გადმოსმა, ჩამოსმა (მგზავრების ტრანსპორტიდან): *το λεωφορείο αποβίβασε τους τελευταίους επιβάτες* ავტობუსმა უკანასკნელი მგზავრები ჩამოსვა.

αποβίβαση η გადმოსმა, გადმოსვლა, ჩამოსვლა (ტრანსპორტიდან): *η ~ των επιβατών γίνεται από τη μεσαία πόρτα του λεωφορείου* მგზავრების ჩამოსვლა ავტობუსის შუა კარიდან ხდება.

αποβλακώνω (αποκουτιαίνω) (*αόρ. αποβλάκωσα, αόρ. παθ. αποβλακώθηκα, μτχ. αποβλακωμένος*) *μετβ.* გამოშტერება, გამოყუყუჩება.

απόβλητος, -η, -ο 1. გაძევებული, გარიყული, გაგდებული; **2.** (τα) ნარჩენები: *βιομηχανικά ~α* სამრეწველო ნარჩენები.

αποβολή η **1.** გაგდება; **2.** მოსწავლის გაგდება გაკვეთილებიდან; **3.** *სპორტ.* მოთამაშის გაგდება (არბიტრის მიერ): *~ ποδοσφαιριστή με κόκκινη κάρτα* ფეხბურთელის თამაშიდან გაგდება წითელი ბარათით; **4.** *მედ.* მუცლის მოშლა.

απογειώνω (*αόρ. απογείωσα, αόρ. παθ. απογειώθηκα, μτχ. απογειωμένος*) *μετβ.* აფრენა (თვითმფრინავის): *το αεροπλάνο απογειώθηκε* თვითმფრინავი აფრინდა.

απογείωση η აფრენა (თვითმფრინავის).

απόγευμα (απόγεμα, απόγιομα) το ნაშუადღევი.

απογευματινός, -ή, -ό 1. ნაშუადღევის: *~ περίπατος* ნაშუადღევის სეირნობა; **2.** (ο, η) ის, ვინც მეორე, შუადღის ცვლაში მუშაობს: *έπιασαν δουλειά οι ~οί* მეორე ცვლამ დაიწყო მუშაობა; **3.** (το) სამხარი.

απογίνομαι (*ჩვეულ. ενεστ. და αόρ. απέγινα*) *αμετβ., αποθ.* გარკვეულ მდგომარეობამდე მისვლა, დამართნა, მოხდენა, მოსვლა: *αν χάσουμε το μαγαζί, εγώ τι θ' απογίνω;* მაღაზიას თუ დავკარგავთ, მე რა მემეელება?

απόγνωση η (*πληθ. არ გააჩნია*) სასოწარკვეთილება, უიმედობა: *βρίσκομαι σε ~* სასოწარკვეთილ მდგომარეობაში ვიმყოფები.

απογοήτευση η იმედის გაცრუება, გულის გატეხა, რწმენის დაკარგვა.

απογοητεύω (*αόρ. απογοήτευσα, αόρ. παθ. απογοητεύθ(τ)ηκα, μτχ. απογοητευμένος*) *μετβ., αμετβ.* იმედის გაცრუება, გულის გატეხა, რწმენის დაკარგვა; **-ομαι** იმედის გაცრუება: *απογοητεύθηκα από το αποτέλεσμα των εκλογών* არჩევნების შედეგებით იმედგაცრუებული დავრჩი.

απόγονος ο შთამომავალი; ◊ *καλούς ~ους* კარგ შთამომავლობას გისურვებთ! (ახალდაქორწინებულ წყვილს).

απογραφή η *იურ.* აღწერა, რეგისტრაცია.

απόγραφο το *იურ.* პირველი ასლი, ამონაწერი: *πήρε ~ από τα πρακτικά της δίκης* სასამართლოს პროტოკოლიდან ამონაწერი მიიღო.

απογυμνώνω (*αόρ. απογύμνωσα, αόρ. παθ. απογυμνώθηκα, μτχ. απογυμνωμένος*) *μετβ.* **1.** გაშიშვლება; **2.** *გადატ.* დაცარიელება, გაცლა: *οι λιστές απο-*

γύμνωσαν το κατάστημα από όλα τα τιμαλφή ყაჩაღებმა ყოველგვარი ძვირფასეულობისაგან გაცალეს მაღაზია.

αποδεικνύω (αποδείχνω) (*αόρ. απέδειξα, αόρ. παθ. αποδείχθ(τ)ηκα μτχ. αποδεδειγμένος / αποδεχθείς, -είσα, -έν*) *μετβ.* **1.** დამტკიცება, მტკიცებულებების წარმოდგენა: *ο συνήγορος απέδειξε την αθωότητα της κατηγορούμενης* ადვოკატმა ბრალდებულის უდანაშაულობა დაამტკიცა; **-ομαι** ჩანს, ირკვევა, ალმოჩნდა: *οι υποσχέσεις του αποδείχθηκαν απατηλές* მისი დაპირებები ტყუილი ალმოჩნდა.

αποδεικτικός, -ή, -ό 1. დამამტკიცებელი: *τα δακτυλικά αποτυπώματα πάνω στο πιστόλι είναι ~ό στοιχείο της ενοχής του* რევოლვერზე არსებული მისი თითის ანაბეჭდები მისი ბრალეულობის დამამტკიცებელია; **2.** (το) რაიმის დამადასტურებელი საბუთი: *~ό φοιτήσεως σε σχολείο* სკოლის ატესტატი.

απόδειξη η **1.** დამტკიცება; **2.** მტკიცებულება: *αδιάσειστη / ισχυρή ~* უდავო / ძლიერი მტკიცებულება; **3.** ქვითარი, ჩეკი.

απόδειπνο το *ეკლ.* მწუხრის ლოცვა.

αποδέκτης ο, **-τρια** η **(αποδεκτών)** მიმღები, ადრესატი.

αποδεκτός, -ή, -ό მიღებული: *η πρότασή του έγινε ~ή* მისი წინადადება მიღებული იქნა.

αποδέσμευση η განთავისუფლება (ვალდებულებებისაგან): *~ από τους όρους της συμφωνίας* ხელშეკრულების პირობებისაგან განთავისუფლება.

αποδεσμεύω (*αόρ. αποδέσμευσα, αόρ. παθ. αποδεσμεύθ(τ)ηκα, μτχ. αποδεσμευμένος*) *μετβ.* განთავისუფლება (ვალდებულებებისაგან): *τον αποδέσμευσε από τις υποχρεώσεις της σύμβασης που υπέγραψε* ხელმოწერილი ხელშეკრულების ვალდებულებებისაგან გაათავისუფლა.

αποδέχομαι (*αόρ. αποδέχθ(τ)ηκα*) *μετβ., αποθ.* დათანხმება, თანხმობის განცხადება, მოწონება: *αποδέχθηκε την πρόσκλησή μας* ჩვენს დაპატიჟებას დათანხმდა.

αποδημητικός, -ή, -ό მომთაბარე, გადამფრენი, მიმომფრენი.

απόδημος, -η, -ο ემიგრანტი, საზღვარგარეთ მცხოვრები: *~ Ελληνισμός* საბერძნეთის საზღვრებს გარეთ მცხოვრები ბერძნები.

αποδιαρθρώνω (*αόρ. αποδιάρθρωσα, αόρ. παθ. αποδιαρθρώθηκα, μτχ. αποδιαρθρωμένος*) *μετβ.* დეზორგანიზება, დაშლა.

αποδίδω (*αόρ. απέδωσα, αόρ. παθ. αποδόθηκα, μτχ. αποδεδομένος*) *μετβ., αμετβ., βαλαβ.* **1.** დაბრუნება: *θα αποδώσω τα οφειλόμενα* ვალებს დავაბრუნებ; **2.** პატივის მიგება: *του αποδόθηκαν τιμές* მას პატივი მიაგეს; **3.** დაკისრება (პასუხისმგებლობის), გადაბრალება (დანაშაულის): *~ ευθύνες σε κάποιον* პასუხისმგებლობას ვაკისრებ ვინმეს; **4.** გადმოცემა, გამოხატვა: *το δημοσίευμα δεν ~ει σωστά το νόημα των δηλώσεων του υπουργού* პუბლიკაცია სწორად არ გადმოსცემს მინისტრის განცხადებების აზრს; **5.** სარგებელის მოტანა, მოგების მოტანა: *έκλεισε την επιχείρηση, διότι δεν του απέδιδε χρήματα* დახურა საწარმო, ვინაიდან მისთვის მოგება არ მოჰქონდა; **6.** შედეგის, ნაყოფის გამოღება: *δυστυχώς δεν απέδωσαν οι πολύχρονες προσπάθειές του* სამწუხაროდ მისმა მრავალწლიანმა მცდელობამ შედეგი ვერ გამოიღო.

αποδιοργανώνω (*αόρ. αποδιοργάνωσα, αόρ. παθ. αποδιοργανώθηκα, μτχ.*

αποδιοργανωμένος) *μετβ.* დაშლა, დეზორგანიზება, დეზორგანიზაცია.

αποδοκιμάζω (*აόρ. αποδοκίμασα, აόρ. παθ. αποδοκιμάστ(θ)ηκα, μτχ. αποδοκιμασμένος*) *μετβ.* განსჯა, გაკიცხვა, გაკრიტიკება: ~ *αυστηρά* მკაცრად ვაკრიტიკებ.

αποδοκιμασία η განსჯა, გაკიცხვა, გაკრიტიკება: *είναι δεδομένη η ~ τέτοιων πράξεων από την Εκκλησία* ფაქტია, რომ ეკლესია მსგავს ქმედებებს გაკიცხავს.

απόδοση η **1.** შედეგი, შედეგის ქონა, ნაყოფის გამოღება, გამომუშავება (სამსახურში): *έχω χαμηλή / υψηλή ~* დაბალი / მაღალი შედეგი მაქვს; **2.** ნაყოფიერება, პროდუქტიულობა; **3.** სარგებელი, მოგება: *τι ~ έχουν τα ομόλογα;* რა სარგებელი აქვთ ობლიგაციებს? **4.** პატივის მიგება: ~ *τιμών* პატივის მიგება; **5.** გადმოცემა, გამოხატვა, შესრულება (თარგმანისას და სხვ); **6.** თამაში (როლის, ნაწარმოების): *επιτυχημένη / συγκινητική ~ του ρόλου της Μήδειας* მედეას როლის წარმატებული / ამაღელვებელი შესრულება.

αποδοτικός, -ή, -ό მომგებიანი, შემოსავლიანი: *η επένδυση αποδείχθηκε εκ των υστέρων ιδιαίτερα ~ή* ინვესტიცია საბოლოოდ ძალიან მომგებიანი აღმოჩნდა.

αποδοχή η (οι) ანაზღაურება: *οι χαμηλές / υψηλές ~ές* დაბალი / მაღალი ანაზღაურება; ◊ *νομ. ~ κληρονομίας* მემკვიდრეობის აღიარება.

απόδραση η გაქცევა (ციხიდან), *გადატ.* წასვლა, გაქცევა, თავის არიდება: ~ *από την πραγματικότητα* რეალობისათვის თავის არიდება.

αποδυναμώνω (*აόρ. αποδυνάμωσα, აόρ. παθ. αποδυναμώθηκα, μτχ. αποδυναμωμένος*) *μετβ.* დასუსტება, ძალის გამოცლა, დაუძლურება: *τα ελλείματα αποδυνάμωσαν την οικονομία της χώρας* სხვადასხვა სახის დეფიციტმა ქვეყნის ეკონომიკა დაასუსტა.

αποδώ *επίρρ.* **1.** აქედან, აქეთა მხრიდან, აქეთ: *έλα ~* აქედან მოდი; **2.** ამიერიდან, ამ წუთიდან, ამ დროიდან, აწი: ~ *και πέρα θα κάνεις ό,τι σου λέω* ამიერიდან იმას გააკეთებ, რასაც მე გეტყვი.

αποζημιώνω (*აόρ. αποζημίωσα, აόρ. παθ. αποζημιώθηκα, μτχ. αποζημιωμένος*) *μετβ., Ιιρლ., გადატ.* კომპენსირება, კომპენსაციის გადახდა.

αποζημίωση η *Ιιρლ., გადატ.* საკომპენსაციო თანხა, კომპენსაცია: *κατέβαλε τη νόμιμη ~* კანონით გათვალისწინებული კომპენსაციის თანხა გადაიხადა.

απόηχος ο ექო, გამოძახილი.

αποθαρρυντικός, -ή, -ό უიმედო, იმედის დამკარგავი, დამაფიქრებელი: *τα αποτελέσματα της έρευνας ήταν τελείως ~ά* გამოკვლევის შედეგები დამაფიქრებელი იყო.

αποθαρρύνω (*აόρ. αποθάρρυνα, აόρ. παθ. αποθαρρύνθηκα, μτχ. αποθαρρυ(η)μένος*) *μετβ.* საკუთარი ძალების, საკუთარი თავის რწმენის დაკარგვა, დაბნევა: *μετά την πρώτη αποτυχία αποθαρρύνθηκε* პირველივე წარუმატებლობის შემდეგ საკუთარი თავის რწმენა დაკარგა.

απόθεμα το (*ჩვეულ. πληθ.*) მარაგი, რეზერვი: *εξαντλήθηκαν τα ~τα νερού* დამთავრდა წყლის მარაგი.

αποθέτω (*აόρ. απέθεσα, აόρ. παθ. αποτέθηκα / απετέθην, -ης, -η, μτχ. αποτεθείς, -είσα. -εν / αποτεθημένος*) *μετβ., გადატ.* დამყარება (ვინმეზე): ~ *τις ελπίδες μου* იმედებს ვამყარებ.

αποθεώνω (*აόρ. αποθέωσα, აόρ. παθ. αποθεώθηκα, μτχ. αποθεωμένος*) *μετβ.* გაღმერთება.

αποθέωση η (*πληθ.არ გააჩნია*) ტრიუმფი, ტრიუმფით მეხვედრა.

αποθηκάριος ο/η საწყობის გამგე, მეკუჭნაე.

αποθήκευση η **1.** საწყობში, საკუჭნაოში შენახვა; **2.** მომარაგება, მარაგების გაკეთება; **3.** *კომპ.* დამახსოვრება.

αποθηκεύω (*აბრ. αποθήκευσα, აბრ. παθ. αποθηκεύθ(τ)ηκα, მტკ. αποθηκευμένος*) *მეტბ.* **1.** საწყობში, საკუჭნაოში შენახვა; **2.** მომარაგება, მარაგის გაკეთება; **3.** *კომპ.* დამახსოვრება.

αποθήκη η საწყობი, საკუჭნაო.

αποικία η კოლონია.

αποίκηση η კოლონიზაცია, კოლონიების შექმნა.

αποικιστής ο, **-τρια** η კოლონიზატორი.

αποικισμός ο დასახლება, კოლონიზაცია.

αποκαθιστώ (α) (αποκατασταίνω) (*აბრ. αποκατέστησα, აბრ. παθ. αποκαταστάθηκα, მტკ. αποκατεστημένος*) *მეტბ.* აღდგენა, მოწესრიგება, გამოსწორება: *αποκατέστησε αμέσως τη ζημιά που είχε προκαλέσει* მიყენებული ზარალი მაშინვე აუნაზღაურა.

αποκαλυπτικός, -ή, -ό 1. მამხილებელი: *~ό ρεπορτάζ / ~ή έρευνα / ~ές δηλώσεις* მამხილებელი რეპორტაჟი / გამოკვლევა / განცხადებები; **2.** *თეოლ.* აპოკალიფსური.

αποκαλύπτω (*აბრ. αποκάλυψα, აბრ. παθ. αποκαλύφθηκα / απεκαλύφθην, -ης, -η, მტკ. αποκαλυμμένος / απεκαλυμμένος*) *მეტბ., გადატ.* გამეღავნება, გამოამჟღავნება, მხილება: *~ ένα μυστικό / ένα σχέδιο* ვამეღავნებ საიდუმლოს / გეგმას.

αποκάλυψη η **1.** გამეღავნება, გამოამჟღავნება; **2.** აღმოჩენა: *το παιδάκι που έπαιξε στην ταινία ήταν πραγματική ~* ბაღშეი, რომელიც ამ ფილმში თამაშობდა, ნამდვილი აღმოჩენა იყო; **3. (Α~)** აპოკალიფსი.

αποκαλώ (ε) (*აბრ. αποκάλεσα, აბრ. παθ. αποκλήθηκα, მტკ. αποκαλούμενος*) *მეტბ.* დაძახება, დარქმევა, წოდება: *τους ~ούν "χωριάτες" λόγω της άζεστης συμπεριφοράς τους* უხეში საქციელის გამო მათ "სოფლელებს" ეძახიან.

αποκαρδιώνω (*აბრ. αποκαρδίωσα, აბრ. παθ. αποκαρδιώθηκα, მტკ. αποκαρδιωμένος*) *მეტბ.* უიმედობაში ჩავარდნა, შეფიქრიანება, თავგზის დაბნევა.

αποκατάσταση η აღდგენა, მოწესრიგება, გამოსწორება: *η ~ της υγείας / των σχέσεων* ჯანმრთელობის / ურთიერთობების მოწესრიგება.

απόκεντρος, -η, -ο 1. ცენტრიდან დაშორებული, მოშორებული; **2.** (το) ქალაქის გარეუბანი.

αποκέντρωση (αποκεντροποίηση) η დეცენტრალიზაცია.

αποκεφαλίζω (*აბრ. αποκεφάλισα, აბრ. παθ. αποκεφαλίστ(θ)ηκα, მტკ. αποκεφαλισμένος*) *მეტბ.* თავის მოჭრა, თავის მოკვეთა.

αποκηρύσσω (*აბრ.αποκήρυξα, აბრ. παθ. αποκηρύχθ(τ)ηκα, მტკ. αποκηρυγμένος*) *მეტბ.* **1.** სახალხოდ გაკიცხვა, დაგმობა; **2.** ა) შვილზე უარის თქმა, ბ) შვილის მემკვიდრეობის გარეშე დატოვება: *αν τολμήσει και παντρευτεί χωρίς τη συγκατάθεσή μου, θα την αποκηρύξω* თუ გაბედავს და ჩემი ნებართვის გარეშე გათხოვდება, მემკვიდრეობის გარეშე დაგტოვებ; **3.** ეკლესიიდან მოკვეთა.

αποκλεισμός ο **1.** ჩაკეტვა, გადაკეტვა: *ο ~ των κεντρικών δρόμων* ცენტრალური გზების გადაკეტვა; **2.** იზოლაცია, მოწყვეტა: *ο ~ των ορεινών χωριών από τα χιόνια* მაღალმთიანი სოფლების იზოლაცია, (ცენტრიდან) მოწყვეტა თოვლის გამო; **3.** *სამხ.* ბლოკადა, ალყა; **4.** არ დაშვება, მოხსნა (შეჯიბრიდან, ღონისძიებიდან); **5.** გაგდება, გაძევება, ამოშლა (მონაწილეთა სიიდან).

αποκλειστικός, -ή, -ό განსაკუთრებული, ექსკლუზიური: *~ό δικαίωμα* განსაკუთრებული უფლება, *~ή είδηση / συνέντευξη* ექსკლუზიური ინფორმაცია / ინტერვიუ; **αποκλειστικά / αποκλειστικώς** *επίρρ.* განსაკუთრებულად.

αποκλειστικότητα η (*πληθ. არ გააჩნია*) განსაკუთრებულობა, ექსკლუზიურობა.

αποκλείω (*აόր. απέκλεισα, აόр. παθ. αποκλείστ(θ)ηκα, მτχ. αποκλεισμένος*) *μετβ.* **1.** გადაკეტვა, იზოლაცია; **2.** *სამხ.* ბლოკადა, ალყა; **3.** არ დაშვება (შეჯიბრზე, ღონისძიებაზე, შემდგომ შეჯიბრებებე): *τους απέκλεισαν από τον διαγωνισμό, διότι δεν πληρούσαν τις προϋποθέσεις συμμετοχής* ისინი კონკურსზე არ დაუშვეს, ვინაიდან მონაწილეთათვის არსებულ წინასწარ მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებდნენ; **4.** გაგდება, გაძევება; ◊ *~εται* ა) გამორიცხულია: *~εται να κάνω λάθος* გამორიცხულია ვცდებოდე, ბ) შეუძლებელია: *~εται να βγεις έξω με τέτοια βροχή* შეუძლებელია ასეთ წვიმაში გარეთ გასელა, *δεν ~εται* არაა გამორიცხული, მესაძლოა.

απόκληρος, -η, -ο მემკვიდრეობის, წილის გარეშე დარჩენილი.

αποκληρώνω (*აόр. αποκλήρωσα, აόр. παθ. αποκληρώθηκα, მτχ. αποκληρωμένος*) *μετβ.* მემკვიდრეობის, წილის გარეშე დატოვება.

απόκληση η დაძახება, წოღება (სახელის).

αποκλίνω (*აόр. απέκλινα*) *αμετβ.* გადახრა, დახრა, გადახვევა.

απόκλιση η გადახრა, გადახვევა.

αποκοιμιέμαι (αποκιμιέμαι, αποκοιμούμαι) (*აόр αποκοιμήθηκα*) *αμετβ., αποθ.* ჩაძინება.

αποκοιμίζω (*აόр. αποκοίμησα, მτχ. αποκοιμισμένος*) *μετβ.* ჩაძინება, დაძინება (ვინმესი).

απόκομμα το ამონაჭერი: *μάζευε τα ~τα των εφημερίδων που τον ενδιέφεραν* გაზეთებიდან მისთვის საინტერესო ინფორმაციების ამონაჭრებს აგროვებდა.

αποκομμένος, -η, -ο მოწყვეტილი, მოშორებული, გარიყული: *ζούσε ~ από τον κοινωνικό του περίγυρο* სოციალური გარემოდან გარიყული ცხოვრობდა; **αποκομμένα** *επιρρ.* მოწყვეტილად, მოშორებულად, გარიყულად.

αποκορύφωμα το მწვერვალი, ზენიტი, პიკი: *στο ~ της καριέρας* კარიერის მწვერვალზე.

αποκορυφώνω (*აόр. αποκορύφωσα, აόр. παθ. αποκορυφώθηκα, მτχ. αποκορυφωμένος*) *μετβ.* ზენიტში ყოფნა, პიკის მიღწევა.

αποκρατικοποίηση η პრივატიზაცია, სახელმწიფო მფლობელობიდან კერძო საკუთრებაში გადაცემა.

αποκρατικοποιώ (ε) (*აόр.αποκρατικοποίησα, აόр. παθ. αποκρατικοποιήθηκα, მτχ. αποκρατικοποιημένος*) *μετβ.* პრივატიზაცია, სახელმწიფო მფლობელობიდან კერძო საკუთრებაში გადაცემა.

Αποκριά η **1.** ყველიერი; **2.** კარნავალი, რომელიც იმართება ყველიერის კვირას.

αποκριάτικος, -η, -ο 1. ყველიერის, ყველიერთან დაკავშირებული; **2.** საკარნავალო.

αποκρίνομαι (*აόρ.αποκρίθηκα*) *μετβ., αποθ.* პასუხის გაცემა.

απόκριση η პასუხი.

απόκρουση η **1.** მოგერიება, უკუგდება: *~ της εχθρικής επίθεσης* მტრის იერიშის მოგერიება; **2.** უარის თქმა: *~ πρότασης / προσφοράς* წინადადებაზე / შემოთავაზებაზე უარის თქმა.

αποκρουστικός, -ή, -ό საზიზღარი, საძაგელი, აუტანელი: *~ή συμπεριφορά / ~ χαρακτήρας* საზიზღარი საქციელი / აუტანელი ხასიათი; **αποκρουστικά** *επίρρ.* საზიზღრად, საშინლად, საძაგლად, აუტანლად.

αποκρούω (*αόρ.απέκρουσα, αόρ. παθ. αποκρούστηκα*) *μετβ.* **1.** მოგერიება, უკუგდება: *~ την εχθρική επίθεση* ვიგერიებ მტრის თავდასხმას; **2.** უარის თქმა: *~ πρόταση / προσφορά* უარს ვამბობ წინადადებაზე / შემოთავაზებაზე.

αποκρυπτογράφηση η *λογ., გადატ.* გაშიფრა.

αποκρυπτογραφώ (ε) (*αόρ. αποκρυπτογράφησα, αόρ. παθ. αποκρυπτογραφήθηκα, μτχ. αποκρυπτογραφημένος*) *μετβ., λογ., გადატ.* გაშიფრა.

αποκρύπτω (αποκρύβω) (*αόρ. απέκρυψα*) *μετβ.* დამალვა, დაფარვა: *~ την αλήθεια* სიმართლეს ვმალავ.

απόκρυφος, -η, -ο საიდუმლო, იდუმალი: *~ες διασυνδέσεις* საიდუმლო კავშირები; **απόκρυφα** *επίρρ.* საიდუმლოდ, ფარულად, მალულად.

απόκτημα (απόχτημα) το შენაძენი.

απόκτηση (απόχτηση) η (*πληθ. არ გააჩნია*) შეძენა: *~ γνώσεων / περιουσίας* ცოდნის / ქონების შეძენა.

αποκτώ (αποχτώ) (α) (*αόρ. απέκτησα / απόχτησα, αόρ. παθ. αποκτήθηκα, μτχ. αποκτημένος*) *μετβ.* მიღება, მოპოვება, შეძენა: *απέκτησε μεγάλη περιουσία μετά τον θάνατο του πατέρα του* მამამისის სიკვდილის შემდეგ დიდი ქონება მიიღო, *απέκτησε τρία παιδιά* სამი შვილი შეეძინა.

αποκωδικοποίηση η დეკოდირება, გაშიფრა.

αποκωδικοποιώ (ε) (*αόρ. αποκωδικοποίησα, αόρ. παθ. αποκωδικοποιήθηκα, μτχ. αποκωδικοποιημένος*) *μετβ.* დეკოდირება, გაშიფრა.

απολαμβάνω (*αόρ. απόλαυσα / απήλαυσα*) *μετβ.* სიამოვნების მიღება, დატკბობა: *~ το γεύμα / τη θέα* ვტკბები სადილით / ხედით.

απόλαυση η სიამოვნება, ტკბობა.

απολαυστικός, -ή, -ό სასიამოვნო, სიამოვნების მომგვრელი: *~ό γεύμα / ~ή παρέα* სასიამოვნო სადილი / წრე; **απολαυστικά** *επίρρ.* სასიამოვნოდ.

απολιτικός, -ή, -ό აპოლიტიკური.

απολίτιστος, -η, -ο არაცივილიზებული, უკულტურო: *~ λαός / ~η συμπεριφορά* არაცივილიზებული ერი / უკულტურო საქციელი.

απολλύω (*αόρ. απόλεσα, αόρ. παθ. απολέσθην, μτχ. απολεσθείς, -είσα,-έν*) *μετβ., მაღალფ.* დაკარგვა: *απόλεσε την ψυχραιμία του* წონასწორობა დაკარგა; ◊ *απολεσθέντα αντικείμενα* დაკარგული ნივთები.

απολογία η აპოლოგია, ბრალდებულის მიერ წარმოთქმული გასამართლებელი სიტყვა, თავის მართლება.

απολογισμός ο **1.** ანგარიშის წარდგენა, ანგარიშის ჩაბარება: *κάνε μου τον ~ό των ετησίων εξόδων του σπιτιού* გამიკეთე სახლის წლიური ხარჯების ანგარიში; **2.** ანგარიში: *~ εσόδων και εξόδων του κράτους* სახელმწიფოს შემოსაელებისა და გასაელების ანგარიში.

απολογούμαι (απολογιέμαι, απολογιούμαι) (*αόρ. απολογήθηκα*) *μετβ., αμετβ., αποθ.* თავის მართლება, თავის დაცვა (სასამართლოში): *ο δράστης του εγκλήματος ~είται αύριο στο δηκαστήριο* დამნაშავე ხვალ თავს იმართლებს სასამართლოში.

απολυμαίνω (*αόρ. απολύμανα, αόρ. παθ. απολυμάνθηκα, μτχ. απολυμασμένος*) *μετβ.* დეზინფიცირება.

απολύμανση η დეზინფექცია, დეზინფიცირება: *χημική ~* ქიმიური დეზინფექცია, *κάνω ~* დეზინფექციას ვატარებ.

απόλυση η **1.** სამსახურიდან განთავისუფლება: *η επιχείρηση προχώρησε σε μαζικές ~εις εργαζομένων* საწარმომ დასაქმებულთა მასიური განთავისუფლება დაიწყო; **2.** ციხიდან განთავისუფლება; **3.** სკოლის დამთავრება, სწავლის დასრულება: *βαθμός ~εως από τη Γ΄τάξη του Λυκείου* ლიცეუმის მესამე კლასის დამთავრების შედეგები.

απολυτήριο το **1.** ატესტატი: *Δημοτικού / Γυμνασίου* დაწყებითი სკოლის / გიმნაზიის ატესტატი; **2.** სამხედრო სამსახურიდან დათხოვნის მოწმობა.

απολυτηριούχος ο/η *მაღალფ.* **1.** სკოლის ატესტატის მქონე; **2.** სამხედრო სამსახურიდან დათხოვნის მოწმობის მქონე.

απόλυτος, -η, -ο აბსოლუტური: *~η ελευθερία* აბსოლუტური თავისუფლება; ◊ *~η πλειοψηφία* აბსოლუტური უმრავლესობა.

απολύω (*αόρ. απέλυσα, αόρ. παθ. απολύθηκα, μτχ. απολυμένος*) *μετβ., αμετβ.* **1.** სამსახურიდან განთავისუფლება: *η επιχείρηση απέλυσε εκατό υπαλλήλους* საწარმომ ასი თანამშრომელი გაანთავისუფლა სამსახურიდან; **2.** ციხიდან განთავისუფლება; **3.** *სამხ.* სამხედრო ბეგარისაგან განთავისუფლება, სავალდებულო სამხედრო სამსახურის დასრულება.

απόμακρος, -η, -ο 1. შორეული: *~η συνοικία* შორეული დასახლება; **2.** განმარტოებული, მარტოსული; **απόμακρα** *επίρρ.* შორეულად, განმარტოებულად, მარტოსულად.

απομάκρυνση η **1.** გაცლა, გაყვანა: *η ~ των παιδιών από την εμπόλεμη ζώνη* საბრძოლო ხაზიდან ბავშვების გაყვანა; **2.** გაგდება, ჩამოშორება; **3.** დაშორება, გაღახვევა: *η ~ μιας χώρας από τις αρχές του Διεθνούς Δικαίου* საერთაშორისო სამართლის ნორმებიდან ქვეყნის კურსის გაღახვევა.

απομακρύνω (*αόρ.απομάκρυνα, αόρ. παθ. απομακρύνθηκα, μτχ. απομακρυσμένος*) *μετβ.* **1.** გაცლა, გაყვანა, მომორება, გატანა: *~ τα εύφλεκτα υλικά* გამაქვს აღვილად აალებადი ნივთიერებები; **2.** წასვლა: *μην απομακρυνθείτε, σε λίγο φεύγουμε* შორს ნუ წახვალთ, ცოტა ხანში გავდივართ; **3.** *გადატ.* გაგდება, გადაყენება, მოშორება, მოცილება: *απομακρύνθηκε από το πόστο του* გადაყენებულ იქნა თანამდებობიდან.

απομακρυσμένος, -η, -ο შორეული, დაშორებული, შორს მდებარე: *τα*

~α χωριά της ελληνικής επαρχίας საბერძნეთის ეპარქიის შორეული სოფლები.

απόμαχος ο ეტერანი.

απομεινάρι (απομεινάδι) το (*γεν. αρ გააჩნია*) **1.** ნარჩენი: *τα ~α φαγητών* საჭმლის ნარჩენი; **2.** ნაშთი, ნანგრევი: *~ αρχαίου ναού* ძველი ტაძრის ნანგრევები.

απομένω (*αόρ απόμεινα / απέμεινα*) *αμετβ.* დარჩენა: *μας ~ουν πέντε λεπτά μέχρι* ხუთი წუთი გერჩება.

απομίμηση η მიბაძვა, იმიტაცია, კოპირება.

απομιμούμαι (*αόρ. απομιμήθηκα*) *μετβ., αποθ.* მიბაძვა.

απομνημονεύματα τα მემუარები.

απομνημονεύω (*αόρ. απομνημόνευσα, αόρ. παθ. απονημονεύθηκα, μτχ. απομνημονευμένος*) *μετβ.* დაზეპირება.

απομονώνω (*αόρ απομόνωσα, αόρ. παθ. απομονώθηκα, μτχ. απομονωμένος*) *μετβ.* განცალკევება, იზოლირება, განმარტოება: *ζούσε απομονωμένος σ'ένα ξερονήσι* განმარტოებული ერთ უდაბურ კუნძულზე ცხოვრობდა.

απομόνωση η **1.** იზოლაცია, იზოლირება, განცალკევება: *η χώρα βρίσκεται σε πολιτική ~* ქვეყანა პოლიტიკურ იზოლაციაში იმყოფება; **2.** კარცერი; **3.** საავადმყოფოს იზოლატორი.

απομονωτήριο το იზოლატორი.

απομυθοποίηση η რეალური სახის წარმოჩენა, დემითოლოგიზაცია: *η ~ ενός πολιτικού* პოლიტიკოსის რეალური სახის წარმოჩენა.

απομυθοποιώ (ε) (*αόρ. απομυθοποίησα, αόρ. παθ. απομυθοποιήθηκα, μτχ. απομυθοποιημένος*) *μετβ.* რეალური სახის წარმოჩენა, დემითოლოგიზაცია.

απονεκρώνω (*αόρ. απονέκρωσα, αόρ. παθ. απονεκρώθηκα, μτχ. απονεκρωμένος*) *μετβ.* **1.** *Ιατρ., გადატ.* პარალიზება; **2.** *გადატ.* ჩაკვლა, მოკვლა: *απονεκρώθηκαν τα όνειρα* ჩაკვდა ოცნებები.

απονέμω (*αόρ. απένειμα, αόρ. παθ. απονεμήθηκα, μτχ. απονεμημένος*) *μετβ.* მინიჭება: *του απένειμαν βραβείο χιλιάδων* მიანიჭეს; ◊ *~ δικαιοσύνη* მართლმსაჯულების აღსრულება არსებული კანონმდებლობის თანახმად, *სამხ. ~ τιμές* მისალმება, პატივის მიგება (სამხედრო წესით).

απονομή η **1.** მინიჭება, დაჯილდოება: *~ βραβείου χιλιάδος* გადაცემა; **2.** დაჯილდოების ცერემონიალი.

άπονος, -η, -ο შეუბრალებელი: *~ άνθρωπος* შეუბრალებელი ადამიანი.

αποξενώνω (*αόρ. αποξένωσα, αόρ. παθ. αποξενώθηκα, μτχ. αποξενωμένος*) *μετβ.* გაუცხოება, ჩამოშორება.

αποξένωση η (*πληθ. არ გააჩნია*) გაუცხოება, სიმარტოვე, მარტოობა: *η ~ των σύγχρονων μεγαλουπόλεων* თანამედროვე მეგაპოლისებისთვის დამახასიათებელი გაუცხოება.

απόπειρα η (*γεν. πληθ. არ გააჩნია*) მცდელობა: *~ αυτοκτονίας / ληστείας / φόνου* თვითმკვლელობის / ყაჩაღობის / მკვლელობის მცდელობა.

αποπειρατικός, -ή, -ό საცდელი.

αποπειρώμαι (*αόρ. αποπειράθηκα*) *μετβ., αποθ.* ცდა: *τρεις κουκουλοφόροι αποπειράθηκαν να ληστέψουν το υποκατάστημα της τράπεζας* სამი ნიღბიანი ბანკის ფილიალის გაძარცვას შეეცადა.

αποπερατώνω (*αόρ. αποπεράτωσα, αόρ. παθ. αποπερατώθηκα, μτχ. αποπερατωμένος*) *μετβ.* დასრულება,

დამთავრება: ~ *τον κύκλο των σπουδών* სწავლის კურსს ვამთავრებ.

αποπεράτωση η დასრულება, დამთავრება.

αποπλάνηση η შეცდენა; ◊ *ιατρ.* ~ *παιδιών* არასრულწლოვანთა შეცდენა.

αποπλανώ (α) (*აόρ. αποπλάνησα, αόρ. παθ. αποπλανήθηκα, μτχ. αποπλανημένος*) *μετβ.* შეცდენა: *αποπλάνησε ένα ανήλικο κορίτσι* არასრულწლოვანი გოგონა შეაცდინა.

αποπληρωμή η საბოლოო დაფარვა, ბოლომდე გასტუმრება: *η ~ των χρεών* ვალების ბოლომდე გასტუმრება.

αποπνικτικός, -ή, -ό (αποπνιχτικός) დახუთული, დაგუბებული.

αποποινικοποίηση η აკრძალვის, კანონსასჯელის გაუქმება, კანონით ნების დართვა: ~ *των εκτρώσεων* აბორტების აკრძალვის გაუქმება.

αποποινικοποιώ (ε) (*αόρ. αποποινικοποίησα, αόρ. παθ. αποποινικοποιήθηκα, μτχ. αποποινικοποιημένος*) *μετβ.* ნების დართვა: *στην Ολλανδία έχουν αποποινικοποιήσει τη χρήση των ναρκωτικών* ჰოლანდიაში ნარკოტიკების მიღება კანონით ნებადართულია.

απορία η (*πληθ. ακ გαιβν*) **1.** შეკითხვა, შენიშვნა: *γράφω τις ~ες μου στο τετράδιο* შენიშვნებს ჩემს რვეულში ვწერ; **2.** გაოცება, გაოგნება, შეცბუნება: *κοιτάζω με ~* გაოცებით შეეცქერი; **3.** სიღარიბე, შემოსაველის არქონა: *πιστοποιητικό ~* საბუთი შემოსაველის არქონის შესახებ.

άπορος, -η, -ο ხელმოკლე, ღარიბი.

απορρέω (*αόρ. απέρρευσα*) *μετβ.* გამოსვლა, გამომდინარეობა: *οι υποχρεώσεις του ~ουν από τη σύμβαση* მისი ვალდებულებები მის მიერ ხელმოწერილი ხელშეკრულებიდან გამომდინარეობს.

απόρρητος, -η, -ο 1. კონფიდენციალური, საიდუმლო: *άκρως ~ο έγγραφο* სრულიად საიდუმლო დოკუმენტი; **2.** (το) საიდუმლო.

απόρριμμα το (*ბჟვულ. πληθ.*) ნარჩენი, ნაყარი, ნაგავი: *ο κάδος των ~ων* დიდი ნაგვის ყუთი.

απορρίπτω (*αόρ. απέρριψα, αόρ. παθ. απορρίφθηκα, μτχ. απορριφθείς, -είσα, -έν*) *μετβ.* **1.** უარყოფა, უარის თქმა, უგულებელყოფა: *απέρριψε την πρότασή τους για συνεργασία* მათთან თანამშრომლობაზე უარი თქვა; **2.** გაგდება, მოხსნა: *απορρίφθηκε στο μάθημα της ιστορίας* ისტორიის გაკვეთილიდან გაგდებული იქნა.

αυτί το *იხ.* **αφτί**.

αυτισμός ο *ფსიქ.* აუტიზმი.

αυτοάμυνα η (*πληθ. არ გააჩნია*) თავდაცვა.

αυτοβιογραφία η ავტობიოგრაფია.

αυτόγραφος, -η/ος, -ο **1.** ავტოგრაფული; **2.** (το) ავტოგრაფი.

αυτοδιαχείριση η (*πληθ. არ გააჩნია*) თვითმართვა.

αυτοδίδακτος, -η/ος, -ο (αυτοδίδαχτος) თვითნასწავლი: *είναι ~ μουσικός* თვითნასწავლი მუსიკოსია.

αυτοδιοίκηση η თვითმმართველობა: *τοπική ~* ადგილობრივი თვითმმართველობა.

αυτοθυσία η თავგანწირვა.

αυτοκινητικός, -ή, -ό ავტომობილის, ავტომანქანის.

αυτοκινητιστής ο, **-τρια** η ავტომობილის მძღოლი.

αυτοκίνητο το ავტომობილი, ავტომანქანა: *δίπορτο / τετράπορτο / τεθωρακισμένο / φορτηγό ~* ორკარიანი / ოთხკარიანი მანქანა / დაჯავშნული ავტომობილი / სატვირთო ავტომანქანა.

αυτοκινητοβιομηχανία η მანქანათმშენებლობა.

αυτοκινητόδρομος ο ავტოსტრადა, ავტომაგისტრალი.

αυτοκόλλητος, -η, -ο **1.** წებავდი, ის, რასაც მიწებების უნარი აქვს: *~η ταινία* სკოჩი; **2.** (το) ეტიკეტი, ნაწები.

αυτοκράτορας ο, **-ειρα/-ισσα** η იმპერატორი.

αυτοκρατορία η იმპერია.

αυτοκρατορικός, -ή, -ό იმპერატორის, საიმპერატორო: ~ *θρόνος* საიმპერატორო ტახტი.

αυτοκριτική η თვითკრიტიკა.

αυτοκτονία η *λირღ., გაღატ.* თვითმკვლელობა: *απόπειρα ~ς* თვითმკვლელობის მცდელობა.

αυτοκτονώ (ε) (*აόр. αυτοκτόνησα*) *αμετβ.* თვითმკვლელობა, თავის მოკვლა: *αυτοκτόνησε ~ με δηλητήριο* საწამლავით თავი მოიკლა.

αυτολογοκρίνομαι (*აόр. αυτολογοκρίθηκα, μτχ. αυτολογοκριμένος*) *αμετβ., αποθ.* თვითცენზურა.

αυτοματοποίηση η ავტომატიზაცია.

αυτόματος, -η, -ο 1. ავტომატური: *~η αλλαγή ταχυτήτων* სიჩქარის ავტომატური ცვლა, *~ο πλυντήριο / πότισμα* ავტომატური სარეცხი მანქანა / მორწყვა; 2. (το) ავტომატი; ◊ *~ πιλότος (πλοηγός)* ავტოპილოტი, *~ τηλεφωνητής* ავტომოპასუხე, *~η μετάφραση* სინქრონული თარგმნა.

αυτομάτως (αυτόματα) *επίρρ.* ავტომატურად.

αυτονόητος, -η, -ο გასაგები, თავისთავად ნათელი: *είναι ~ο ότι...* გასაგებია, რომ ...

αυτονομία η ავტონომია: *χάνω την ~ μου* ავტონომიას ვკარგავ.

αυτόνομος, -η, -ο ავტონომიური: *η Αμπχαζία είναι ~η περιοχή της Γεωργίας* აფხაზეთი საქართველოს ავტონომიური რეგიონია.

αυτοπεποίθηση η (*πληθ. არ გააჩნია*) თავდაჯერება, საკუთარი თავის რწმენა: *αποκτώ ~* საკუთარი თავის რწმენას ვიძენ.

αυτοπροσωπογραφία η ავტოპორტრეტი.

αυτοπρόσωπος, -η, -ο პირადად გამოცხადებული.

αυτοπροσώπως *επίρρ.* პირადად.

αυτόπτης ο/η თვითმხილველი: *ήταν ~ μάρτυρας της ληστείας* ძარცვის თვითმხილველი მოწმე იყო.

αυτός, -ή, -ό *αντων.* 1. ის, იგი (პირის ნაცვალსახელი): *– Θα έρθει ο Τάκης σήμερα; – Όχι, ~ δεν έρχεται ποτέ την Τρίτη* – მოვა დღეს ტაკისი? – არა, ის სამშაბათობით არასდროს მოდის; 2. ეს, ამას, იმას (ჩვენებითი ნაცვალსახელი): *~ είναι ο αδελφός μου* ეს ჩემი ძმაა; ◊ *επ' ~ού* ამის შესახებ, ამაზე, *γι' ~ό* ამიტომ.

αυτοσχεδιάζω (*აόр. αυτοσχεδίασα, აόр. παθ. αυτοσχεδιάστ(θ)ηκα, μτχ. αυτοσχεδιασμένος*) *αμετβ.* იმპროვიზირება, იმპროვიზაციით შესრულება: *ο ηθοποιός αυτοσχεδίαζε επιτυχώς* მსახიობი წარმატებით იმპროვიზირებდა.

αυτοσχέδιος, -α, -ο 1.იმპროვიზირებული; 2. ნაუცბათევად გაკეთებული: *~α παιχνίδια* სახელდახელოდ შექმნილი სათამაშოები.

αυτοτελής, -ής, -ές (*γεν. -ούς, πληθ. αρσ. და θηλ. -είς, ουδ. -ή*) 1. დამოუკიდებელი; 2. იზოლირებული: *~ές διαμέρισμα* იზოლირებული ბინა; 3. სრულყოფილი, დასრულებული: *~ές νόημα / έργο* დასრულებული აზრი / ნაწარმოები.

αυτουργός, -ός, -ο დამნაშაე, ის, ვისაც ბრალი მიუძღვის.

αυτούσιος, -α, -ο შეუცვლელი, ხელუხლებელი: *έδωσε στη δημοσιότητα ~α τα κείμενα της συσκέψεως* შეხვედრის დოკუმენტები შეუცვლელად გამოაქვეყნა.

αυτόφωρος, -η, -ο *ιურ.* 1. დანაშაულზე წასწრებული; 2. (το) ა) სასამართლო, რომელიც დანაშაულზე წასწრებულ პირთა საქმეებს განიხილავს, ბ) ვადა, რომლის განმავლობაში დანაშაულზე წასწრებული პირის საქმეს შესაბამის სასამართლოს გადასცემენ; ◊ *επ' ~ω* დანაშაულის ადგილზე.

αυτόχθων ο/η ავტოქთონი.

αυτοχρηματοδότηση η თვითდაფინანსება.

αυτοψία η **1.** საკუთარი შეხედულება; **2.** *იურ.* შემოწმება, დათვალიერება, შესწავლა (შემთხვევის ადგილის, ეჭვმიტანილის ბინის და სხვ.).

αυχένας ο კეფა.

αφαίρεση η (+ *από*) **1.** მოწყვეტა, მოცლეჯა, მოხსნა: *η ~ ενός φύλλου από το τετράδιο* რვეულიდან ფურცლის ამოცლეჯა; **2.** ჩამოშორება, ჩამოცილება, მოშორება: *η ~ των στιγμάτων* ლაქების მოშორება; **3.** წართმევა, ჩამორთმევა: *~ άδειας κυκλοφορίας* მართვის უფლების ჩამორთმევა.

αφαιρετικός, -ή, -ό აბსტრაქციონისტული.

αφαιρώ (ε) (*აόρ. αφαίρεσα / αφήρεσα, აόρ. παθ. αφαιρέθηκα, μτχ. αφαιρεμένος / αφαιρεθείς, -είσα, -έν*) *μετβ.* **1.** მოწყვეტა, მოცლეჯა, ჩამოშორება, ჩამოცილება; **2.** წართმევა, ჩამორთმევა: *~ το δικαίωμα* უფლებას ჩამოვართმევ; **3.** ამოკეთება, ამოჭრა, მოშორება: *~ όγκο* სიმსივნეს ამოვკეთეთ; **4.** ჩამოჭრა, შეკვეცა, შემცირება, დაკლება: *αφαίρεσαν 5% από τους μισθούς* ხელფასებს 5% ჩამოაჭრეს; **5.** *მათ.* გამოკლება.

αφαλός ο *ანატ.* ჭიპი.

αφάνεια η (*πληθ. არ გააჩნია*) უცნობლობა, უცნობობა, შეუმჩნეველად, უჩუმრად ცხოვრება: *έμειναν για πολλά χρόνια στην ~* დიდი ხნის განმავლობაში შეუმჩნეველად ცხოვრობდა.

αφανής, -ής, -ές (*γεν. -ούς, πληθ. αρσ. და θηλ. -είς, ουδ. -ή*) შეუმჩნეველი, უჩუმარი: *~ ήρωας* უჩუმარი გმირი.

αφανίζω (*აόρ. αφάνισα, აόρ. παθ. αφανίστηκα, μτχ. αφανισμένος*) *μετβ.*, *პირდ., გადატ.* განადგურება, გაჩანაგება: *οι φωτιές αφάνισαν τα δάση* ხანძარმა ტყეები გაანადგურა.

αφάνταστος, -η, -ο წარმოუდგენელი.

άφαντος, -η, -ο გაუჩინარებული, უჩინარი: *οι δύο κουκουλοφόροι, που λήστεψαν την τράπεζα, έγιναν ~* ორი ნიღბიანი, რომელმაც ბანკი გაძარცვა, გაუჩინარდა.

αφέλεια η (*πληθ. არ გააჩნია*) მიმნდობლობა, მიამიტობა, გულუბრყვილობა: *παιδική ~* ბავშვური მიამიტობა.

αφελής, -ής, -ές (*γεν. -ούς, πληθ. αρσ. და θηλ. -είς, ουδ. -ή*) მიამიტი, გულუბრყვილო, მიმნდობი.

αφενός *επίρρ., მაღალფ.* ერთი მხრივ, ჯერ ერთი.

αφεντεύω (*აόρ. αφέντεψα*) *αμετβ.* ბატონობა, უფროსობა.

αφέντης ο, **-ρα** η (*γεν. πληθ. არ გააჩნია*) ბატონი, უფროსი, მმართველი: *είμαι ~ του εαυτού μου* ჩემი თავის ბატონ-პატრონი ვარ.

αφεντικό το, **-ίνα** η (*γεν. πληθ. არ გააჩნია*) პატრონი, მფლობელი.

άφεση η *მაღალფ.* **1.** განთავისუფლება, მოშორება, მოხსნა: *~ χρέους* ვალის მოშორება; **2.** *ეკლ.* მიტევება: *~ αμαρτιών* ცოდვების მიტევება; ◊ *δίνω ~ (αμαρτιών)* (ცოდვებს) მივუტევებ.

αφετηρία η **1.** სტარტი; **2.** გამოსასვლელი პუნქტი, საწყისი გაჩერება (სამარშრუტო ტრანსპორტის): *η ~ των λεωφορείων* ავტობუსების გამოსასვლელი პუნქტი.

αφή η შეხება: *μαλακό / ευχάριστο στην ~* შეხებისას რბილი / სასიამოვნო.

αφήγημα το მოთხრობა.

αφηγηματικός, -ή, -ό **1.** მოთხრობის: *~ή δομή* მოთხრობის სტრუ-

ქტურა; **2.** თხრობითი: ~ *λόγος* თხრობითი სიტყვა, პროზა.

αφήγηση η **1.** მოთხრობა, მონათხრობი; **2.** *ფილოლ.* თხრობა, მოთხრობა.

αφηγητής ο, **-τρια** η მთხრობელი.

αφηγούμαι (*აόρ. αφηγήθηκα, μτχ. αφηγημένος*) *μετβ.*, *αποθ.* თხრობა, მოყოლა, აღწერა.

αφήνω (αφίνω) (*აόρ. άφησα, აόρ. παθ. αφέθηκα, μτχ. αφημένος*) *μετβ.* **1.** გაშვება: ~ *το χέρι του μωρού* ბავშვს ხელს ვუშვებ; **2.** დაღება, დატოვება; **3.** ჩამოსმა: *Άσε με στη γωνία* კუთხეში ჩამომსვი; **4.** დატოვება: *συγνώμη, πρέπει να σας αφήσω* მაპატიეთ, უნდა დაგტოვოთ; **5.** შეწყვეტა, მორჩენა: *ας αφήσουμε αυτό το θέμα* მოდი, შევწყვიტოთ ამ თემაზე საუბარი; **6.** ნების დართვა, საშუალების მიცემა: *δεν μ' ~ει να έρθω μαζί* მასთან ერთად წასვლის ნებას არ მრთავს; **-ομαι** მოდუნება, მოშვება.

αφηρημάδα η დაბნეულობა, უყურადღებობა.

αφηρημένος, -η, -ο **1.** დაბნეული, უყურადღებო: *τον τελευταίο καιρό είναι ~ και κάνει πολλά λάθη* ამ ბოლო დროს დაბნეულია და ბევრ შეცდომას უშვებს; **2.** განყენებული: *~ες σκέψεις* განყენებული ცნებები; **3.** აბსტრაქტული: *~η τέχνη / ζωγραφική* აბსტრაქტული ხელოვნება / მხატვრობა.

αφθονία η (*πληθ. არ გააჩნია*) სიუხვე, სიჭარბე: ~ *προϊόντων / πόρων* პროდუქტების / რესურსების სიუხვე.

άφθονος, -η, -ο უხვი, ჭარბი.

αφθονώ (ε) (*მხოლოდ ενεστ. და παρατ.*) *αμετβ.* უხვად, ჭარბად ყოფნა, ბევრის ქონა: *~ούν τα τρόφιμα* საკვები უხვადაა.

αφιέρωμα το **1.** ძღვენი; **2.** მიძღვნა.

αφιερώνω (*აόρ. αφιέρωσα, აόρ. παθ. αφιερώθηκα, μτχ. αφιερωμένος*) *μετβ.* მიძღვნა, ჩუქება: ~ *το επόμενο τραγούδι στους φίλους μου* შემდეგ სიმღერას ჩემს მეგობრებს ვუძღვნი; **-ομαι** **1.** (ზედ) გადაგება, მთელი ძალ-ღონის შელევა: *είναι αφιερωμένος στην οικογένειά του* ოჯახზეა გადაგებული; **2.** (რაიმე თემისადმი) მიძღვნა: *κυκλοφορεί ο νέος δίσκος του αφιερωμένος στην Κύπρο* გამოვიდა მისი კვიპროსისადმი მიძღვნილი ახალი დისკი.

αφιέρωση η მიძღვნა, მიძღვნითი წარწერა.

αφιλοκερδής, -ής, -ές (*γεν. -ούς, πληθ. αρσ. და θηλ. -είς, ουδ. -ή*) ის, ვინც მოგებაზე არ მუშაობს, უანგარო: ~ *οργανισμός* არაკომერციული ორგანიზაცია; **αφιλοκερδώς** *επίρρ.* უანგაროდ.

αφιλόπατρις, -ις, -ι (*γεν. αρσ. და θηλ. -ιδος, πληθ. -ιδες, ουδ. -ιδα, γεν. πληθ. -ίδων*) *მაღალფ.* ის, ვისაც სამშობლო არ უყვარს.

αφιλότιμος, -η, -ο უსინდისო.

άφιξη η **1.** ჩამოსვლა: *η ~ των επιβατών* მგზავრების ჩამოსვლა; **2.** (οι) ჩამოსვლის განრიგი: *κοίτα στις ~ειες να δεις αν προσγειώθηκε το αεροπλάνο* ჩამოსვლის განრიგს შეხედე, ნახე, თვითმფრინავი თუ ჩამოფრინდა.

αφιονίζω (*აόρ. αφιόνισα, აόρ. παθ αφιονίστηκα, μτχ. αφιονισμένος*) *μετβ.* **1.** ოპიუმით გაბრუება; **2.** *გადატ.* დაბოლება, გაბრუება, გაბითურება: *αφιόνιζε το πλήθος με δημαγωγίες* ხალხს დემაგოგიით აბრუებდა.

αφίσα η აფიშა.

αφισοκόλληση η აფიშის გაკვრა.

άφλεκτος, -η, -ο არაწვადი: *~ες ύλες* არაწვადი მასალები.

άφοβος, -η, -ο უშიშარი.

αφομοιώνω (*აόρ. αφομοίωσα, αόρ. παθ. αφομοιώθηκα, μτχ. αφομοιωμένος*) *μετβ.* **1.** ათვისება, შეთვისება: *~ γνώσεις / ιδέες* ცოდნის ათვისება / იდეის შეთვისება; **2.** ასიმილირება, შეთვისება.

αφομοίωση η **1.** ასიმილაცია, შეთვისება, ადაპტაცია: *η ~ των Ελλήνων της Αμερικής* ამერიკელი ბერძნების ასიმილაცია; **2.** *γραμ.* ასიმილაცია.

αφομοιώσιμος, -η, -ο ის, რისი ათვისება, შეთვისება შესაძლებელია: *~η τροφή / γνώση / ύλη* საკვები / ცოდნა / მასალა, რომლის ათვისება შესაძლებელია.

αφοπλίζω (*αόρ. αφόπλισα, αόρ. παθ. αφοπλίστηκα, μτχ. αφοπλισμένος*) *μετβ., λογοτ., გადატ.* განიარაღება: *κατά τη συζήτηση τον αφόπλισε με τα επιχειρήματά του* მსჯელობისას თავისი არგუმენტებით განაიარაღა.

αφοπλισμός ο განიარაღება: *ο ~ του κακοποιού* ბოროტმოქმედის განიარაღება.

αφοπλιστικός, -ή, -ό *λογοτ., გადატ.* **1.** განმაიარაღებელი: *~ό επιχείρημα* განმაიარაღებელი არგუმენტი; **2.** მომხიბლავი: *~ό χαμόγελο* მომხიბლავი ღიმილი.

αφόρητος, -η, -ο აუტანელი: *~η ζέστη* აუტანელი სიცხე.

αφορίζω (*αόρ. αφόρισα, αόρ. παθ. αφορίστηκα, μτχ. αφορισμένος / αφορεσμένος*) *μετβ., ეკლ.* მოკვეთა, გაძევება, ანათემას გადაცემა.

αφορισμός (αφορεσμός) ο **1.** *ეკლ.* მოკვეთა; **2.** აფორიზმი.

αφορμή η მიზეზი, საბაბი: *βρήκε ~, για να κάνει καβγά* საბაბი გამონახა, რათა ჩხუბი აეტეხა; ◊ *δίνω ~ (σε κάποιον)* (ვინმეს) საბაბს ვაძლევ.

αφορολόγητος, -η, -ο **1.** გადასახადებისგან თავისუფალი, დაუკავებელი: *~ο ποσό / εισόδημα* გადასახადებისგან თავისუფალი თანხა / შემოსავალი; **2.** (τα) დაუბეგრავი: *~α είδη* დაუბეგრავი საქონელი.

αφορώ (α) (*მხოლოდ ενεστ. და παρατ.*) **1.** *αμετβ.* (+ *σε*) შეხება: *το ζήτημα αυτό ~ά στην ίδια την επιβίωση του Ελληνισμού* ეს საკითხი თავად ელინიზმის გადარჩენას ეხება; **2.** *μετβ., τριτοπρόσ.* აინტერესებს, ეხება: *δεν σε ~ά αυτό που λέω·* ჩემი ნათქვამი შენ არ გეხება.

αφοσιώνομαι (*αόρ. αφοσιώθηκα, μτχ. αφοσιωμένος*) *μετβ., αποθ.* თავის მიძღვნა: *~ στα γράμματα / στην οικογένειά μου* თავს ვუძღვნი მწერლობას / ჩემს ოჯახს.

αφοσίωση η (*πληθ. არ გააჩნია*) თავის მიძღვნა.

αφότου *σύνδ.* მას შემდეგ რაც: *~ μετανάστευσε, δεν έδωσε σημεία ζωής* მას შემდეგ რაც ემიგრაციაში წავიდა, მისგან სიცოცხლის ნიშანწყალი არ ჩანს.

αφού *σύνδ.* **1.** მას შემდეგ რაც, (რაღაცის) შემდეგ: *~ έφαγε, πήγε περίπατο* მას შემდეგ რაც ისადილა, სასეირნოდ წავიდა; **2.** ვინაიდან, რადგან: *~ επιμένεις, θα έρθω μαζί σας* რადგან დაიჟინე, თქვენთან ერთად წამოვალ; **3.** რომ არ, თუ არ: *~ δεν ζέρεις, τότε γιατί μιλάς;* თუ არ იცი, მაშინ რატომ ლაპარაკობ? **4.** ხომ, როგორ არა: *– Γιατί δεν έπλυνες τα πιάτα; – ~ τα έπλυνα!* – თეფშები რატომ არ გარეცხე? – როგორ არა, გარეცხე!

αφουγκράζομαι (*αόρ. αφουγκράστηκα*) *μετβ., αμετβ., αποθ.* მიყურადება, ყურადღებით მოსმენა.

άφραγκος, -η, -ο უგროშო, უფულო: *έμεινα ~* უფულოდ დაერჩი.

αφράτος, -η, -ο ფუმფულა, ფუშფუშა: *~ο ψωμί* ფუმფულა პური.

άφραχτος, -η, -ο (άφρακτος) მოუღობავი.

αφρίζω (*αόρ. άφρισα, μτχ. αφρισμένος*) *αμετβ.* 1. აქაფება, ქაფის მოკიდება: *η μπίρα ~ει* ლუდს ქაფი ეკიდება; 2. გაცოფება, ღუეის მოსვლა.

αφρικανικός, -ή, -ό აფრიკის, აფრიკული.

Αφρικανός ο, **-ή** η აფრიკელი.

αφρόγαλα το ნაღები.

αφροδισιακός, -ή, -ό 1. ენების აღმძრელი (საკვები ან წამალი); 2. ხორციელ ტრფობასთან, სექსთან დაკავშირებული, სქესობრივი.

αφροδισιολογία η *მედ.* ვენეროლოგია.

αφρόκρεμα το (*გენ. πληθ. არ გააჩნია*) 1. ნაღები; *გადატ.* 2. რჩეული, საუკეთესო ნაწილი, ნაღები (საზოგადოების): *στον χορό έδωσε το "παρών" η ~ της Αθήνας* საცეკვაოდ ათენის ნაღები საზოგადოებაც მოვიდა.

αφρόλουτρο το აბაზანის ქაფი.

αφρός ο 1. ქაფი; 2. ღუე; 3. *გადატ.* საუკეთესო ნაწილი: *διάλεξε, όπως πάντα, τον ~ό κα άφησε σε μας τα μπαγιάτικα* როგორც ყოველთვის, თავისთვის საუკეთესო ნაწილი შეირჩია და ჩვენ ნარჩენები დაგვიტოვა.

αφρούρητος, -η, -ο დაუცველი: *~α σύνορα* დაუცველი საზღვრები.

αφρόψαρο το წყლის ზედაპირის სიახლოვეს მობინადრე თევზი.

αφρώδης, -ης, -ες (*გენ. -ους, πληθ. არს. და θηλ. -εις, ουδ. -η*) 1. ქაფიანი; 2. ქაფისებური; ◊ *~ οίνος* შამპანური.

αφτί (αυτί) το 1. *პირდ.,* გადატ. ყური; 2. სმენა: *έχει καλό ~* კარგი სმენა აქვს.

άφτρα η (*γεν. πληθ. αρ გააჩნια*) ფითილი, პატრუქი.

αφυδατώνω (*αόρ. αφυδάτωσα, αόρ. παθ. αφυδατώθηκα, μτχ. αφυδατωμένος*) *μετβ.* გაუწყლოება.

αφυδάτωση η (*πληθ. αρ გააჩნια*) გაუწყლოება.

αφύλακτος, -η, -ο (αφύλαχτος) 1. დაუცველი: *~η πύλη* დაუცველი კარიბჭე; 2. უყურადღებო: *άφησαν το παιδί ~ο και το χτύπησε αυτοκίνητο* ბავშვი უყურადღებოდ დატოვეს და მანქანამ დაარტყა.

άφυλλος, -η, -ο უფოთლო.

άφυλος, -η, -ο უსქესო.

αφυπηρετώ (ε) (*αόρ. αφυπηρέτησα, μτχ. αφυπηρετών, -ούσα, -ούν*) *μετβ., μαღალφ.* 1. სამხედრო ვალდებულების მოხდა; 2. პენსიაზე გასვლა.

αφυπνίζω (*αόρ. αφύπνισα, αόρ. παθ. αφυπνίστ(θ)ηκα, μτχ. αφυπνισμένος*) *μετβ., მაღალფ., პირდ., გადატ.* გაღვიძება, გამოღვიძება, გამოფხიზლება.

αφύπνιση η *მაღალფ., პირდ., გადატ.* გაღვიძება, გამოღვიძება, გამოფხიზლება: *η ~ του έθνους* ერის გამოღვიძება.

αφύσικος, -η, -ο არაბუნებრივი, ზებუნებრივი, უჩვეულო: *~η ζέστη* უჩვეული სიცხე.

αφωνία η (*πληθ. αρ გააჩნια*) *მედ.* აფონია.

άφωνος, -η, -ο 1. უხმო, ხმაამოუღებელი; 2. უსიტყვო, გაჩუმებული, ხმაგაკმენდილი, ენაჩავარდნილი: *έμειναν ~οι* უსიტყვოდ დარჩნენ.

αγαπημένος, -η, -ο 1. საყვარელი, ძვირფასი: *ο ~ μου γιος / συγγραφέας* ჩემი საყვარელი ვაჟიშვილი / მწერალი; 2. (ο/η) სატრფო, საყვარელი, შეყვარებული.

αγαπησιάρης (*πληθ. -ηδες*), **-α, -ικο** 1. მგრძნობიარე, სენტიმენტალური, ის, ვისაც ადვილად უყვარდება; 2. სასიამოვნო, სანდომიანი, საყვარელი: *~ικο παιδί* საყვარელი ბავშვი.

αγαπητικός, -ή/-ιά, -ό 1. სასიყვარულო: *~ή σχέση* სასიყვარულო ურთიერთობა; 2. (ο/η) *ბალხ.* საყვარელი, სატრფო, გულის სწორი.

αγαπητός, -ή, -ό 1. საყვარელი, ძვირფასი; 2. ძვირფასი, პატივცემული: *~οί φίλοι* ძვირფასო მეგობრებო!

αγαπώ (α) (*აόρ. αγάπησα, αόρ. παθ. αγαπήθηκα, μτχ. αγαπημένος*) *μετβ., αμετβ.* 1. სიყვარული: *τον αγάπησε μόλις τον είδε* როგორც კი დაინახა, მაშინვე შეუყვარდა; 2. სიყვარული, მიდრეკილება, მისწრაფება, გატაცება: *~ την μουσική και ζωγραφική* მუსიკა და მხატვრობა მიტაცებს; **-ιέμαι** 1. ურთიერთსიყვარული: *τ' αδέρφια ~ιούνται μεταξύ τους* და-ძმას ერთმანეთი უყვარს; 2. შეყვარება; ◊ *~α τον φίλο σου με τα ελαττώματά του* გიყვარდეს შენი მეგობარი ისეთი, როგორიც არის, *~άτε αλλήλους* გიყვარდეს მოყვასი შენი, *όπως ~άτε!* როგორც გენებოთ!

άγαρμπα *επίρρ.* მოუქნელად, ტლანქად, ულაზათოდ.

αγγαρεύω (*αόρ αγγάρεψα, αόρ. παθ. αγγαρεύτηκα, μτχ. αγγαριμένος*) *μετβ.* არასასურველი, უსალისო საქმის დაკალება: *πήγα να δω τι κάνει και με αγγάρεψε να φυλάζω το μωρό* მის მოსანახულებლად წავედი, მან კი ბავშვის მოლა დამაკალა.

αγγείο το 1. ჭურჭელი, ქოთანი, დოქი, ლარნაკი; 2. *ანატ.* ძარღვი, სისხლძარღვი.

αγγειογραφία η 1. ვაზის ფერწერა, მხატვრობა; 2. *მედ.* ანგიოგრაფია.

αγγελία η 1. უწყება, ცნობა, განცხადება, შეტყობინება: *βάζω ~ στην εφημερίδα* გაბეჭდი განცხადებას ვათაკებს; 2. აფიშა, რეკლამა, ანონსი.

αγγελιαφόρος (αγγελιοφόρος) ο/η მაცნე, კურიერი.

αγγελικός, -ή, -ό *Ლიტ., გაძატ.* 1. ანგელოზის, ანგელოზური: *~ό πρόσωπο / χαμόγελο* ანგელოზური სახე / ღიმილი; 2. ძალიან კეთილი, ანგელოზივით კეთილი: *~ή ψυχή* ძალიან კეთილი ადამიანი.

αγγέλλω (*αόρ. ήγγειλα, αόρ. παθ. αγγέλθηκα, μτχ. αγγελμένος*) *μετβ., გაძატ.* უწყება, შეტყობინება: *τα χελιδόνια ~ουν τον ερχομό της άνοιξης* მერცხლები გაზაფხულის მოსვლას იუწყებიან.

άγγελος ο 1. *Ლიტ., გაძატ.* ანგელოზი; 2. *გაძატ.* მაცნე, მაუწყებელი; ◊ *φύλακας ~* მფარველი ანგელოზი.

αγγελτήριο το განცხადება, უწყება (წერილობითი): *~ γάμου / βάπτισης* უწყება ქორწინების / ნათლობის შესახებ.

άγγιγμα το 1. შეხება, მიკარება, ხელის ხლება: *η συσκευή λειτουργεί με απλό ~* აპარატი უბრალო ხელის შეხებით ირთვება; 2. მოფერება: *ερωτικό ~* სასიყვარულო მოფერება; 3. მოახლოება: *το ~ του θανάτου* სიკვდილის მოახლოება.

αγγίζω (εγγίζω) (*αόρ. άγγιξα, αόρ. παθ. αγγίχτηκα, μτχ. αγγιγμένος*) *μετβ.* 1. შეხება, მიკარება, ხელის ხლება; 2. სექსუალური კავშირის დამყარება; 3. აღელვება, გულის აჩუყება:

αφώτιστος, -η, -ο 1. გაუნათებელი, ბნელი, უსინათლო: *~ο δωμάτιο* გაუნათებელი ოთახი; 2. *გადატ., იმე.* გაუნათლებელი; 3. *ეკლ.* მოუნათლავი.

αχανής, -ής, -ές (*γεν. -ούς, πληθ. αρσ. და θηλ. -είς, ουδ. -ή*) უძირო: *ατένιζε το ~ές πέλαγος* უძირო ზღვას უმზერდა.

αχαρακτήριστος, -η, -ο შეუფასებელი, არაფორმულირებული, ის, რისი დახასიათება, ფორმულირება არ მომხდარა: *~ο φαινόμενο / σύνδρομο* ფენომენი / სინდრომი, რომლის ფორმულირება არ მომხდარა.

αχαριστία η (*πληθ. არ გააჩნია*) უმადურობა.

αχάριστος, -η, -ο უმადური.

αχειροποίητος, -η, -ο *ეკლ.* ხელთუქმნელი (ხატი).

αχινός ο ზღვის ზღარბი.

αχλάδι το მსხალი.

αχλαδιά η მსხლის ხე.

άχνα η (*πληθ. არ გააჩნია*) 1. ორთქლი; 2. ოხშივარი; ◊ *μη βγάζεις ~ / μην ακούσω ~* კრინტი არ დაძრა.

άχνη η (*πληθ. არ გააჩნია*) 1. ორთქლი; 2. მტვერი: *~ μαρμάρου* მარმარილოს მტვერი; ◊ *ζάχαρη ~* შაქრის ფხვნილი, *~ αλεύρου* წერილად დაფქული ფქვილი.

αχνίζω (*აόρ. άχνισα, αόρ. παθ. αχνίστηκα, μτχ. αχνισμένος*) *αμετβ.* ორთქლის, ოხშივარის გამოშვება, თუხთუხი: *το φαγητό ~ει* საღილი თუხთუხებს; *μετβ.* ორთქლზე შეწვა, მოხარშვა.

αχνιστός, -ή, -ό მდუღარე, ქაფქაფა: *~ή σούπα* ქაფქაფა სუპი.

αχνός ο ორთქლი.

αχνός, -ή, -ό ბუნდოვანი, მკრთალი.

αχνοτρέμω (*άθροლογ ενεστ. და παρατ.*) *αμετβ.* ცახცახი, ქრქოლა, თრთოლა: *~ από το κρύο* სიცივისგან ეცახცახებ.

άχορδος, -η, -ο უსიმო (მუსიკალური საკრავი).

αχόρταγος, -η, -ο *λόγ., გადატ.* გაუმაძღარი.

αχούρι το *λόγ., გადატ.* ბოსელი.

αχρείαστος, -η, -ο უსარგებლო, გამოუსადეგარი: *πολλά από αυτά που αγόρασες, μας είναι ~α* ბევრი რამ, რაც შეიძინე, ჩვენთვის გამოუსადეგარია.

αχρείος, -α, -ο ავი, ბოროტი, არამზადა, ნაბირალა.

αχρειότητα η ბილწსიტყვაობა, უმსგავსობა.

αχρησία η (*πληθ. არ გააჩνια*) უსარგებლობა, გამოუსადეგრობა.

αχρηστεύω (*αόρ. αχρήστεψα / αχρήστευσα, αόρ. παθ. αχρηστεύτηκα, μτχ. αχρηστευμένος*) *μετβ.* უსარგებლოდ, გამოუსადეგრად ქცევა, მწყობრიდან გამოყვანა, გაფუჭება, დაზიანება: *~ μια συσκευή* ვაზიანებ მოწყობილობას.

αχρηστία η (*πληθ. არ გააჩνια*) უსარგებლობა, გამოუსადეგრობა, მწყობრიდან გამოსვლა: *είμαι σε ~* უსარგებლო ვარ.

άχρηστος, -η, -ο უსარგებლო, გამოუსადეგარი: *αποθήκευε πολλά ~α αντικείμενα* ბევრ გამოუსადეგარ ნივთს აგროვებდა.

αχρωματοψία η (*πληθ. არ გააჩνια*) *მედ.* აქრომატოფსია, დალტონიზმი.

αχρωμία η (*πληθ. არ გააჩνια*) *მედ.* ალბინიზმი.

άχρωμος, -η, -ο 1. უფერო: *το νερό είναι ~ο και άοσμο* წყალი უფერო და უსუნოა; 2. *გადატ.* უფერული, უმნიშვნელო, არაფრის მთქმელი: *είχε*

μια ~η παρουσία στην εκδήλωση მისი მონაწილეობა ღონისძიებაში უმნიშვნელო იყო.

αχτένιστος, -η, -ο (ακτένιστος) დაუვარცხნელი.

αχυρένιος, -α, -ο თივის.

άχυρο (άχερο) το თივა; ◊ *(γυρεύω / ψάχνω) ψύλλους / βελόνες στ' ~α* თივაში რწყილებს / ნემსებს ეძებ (ფუჭ მრომას ეწევი, წყალს ნაყავ).

αχυρόδεμα το თივის ბვინი.

αχυρώνας (αχερώνας) ο თივის შესანახი ფარდული.

αχώνευτος, -η, -ο 1. მოუნელებელი: *~ες τροφές* მოუნელებელი საკვები; **2.** აუტანელი, საზიზღარი (ადამიანი).

αχώριστος, -η, -ο 1. დაუნაწევრებელი, დაუყოფელი; **2.** *(ჩვეულებრივ πληθ.)* განუყრელი: *~οι φίλοι* განუყრელი მეგობრები.

αψεγάδιαστος, -η, -ο უზადო, უნაკლო, სრულყოფილი: *ήταν ένα κείμενο ~ο* სრულყოფილი ტექსტი იყო.

αψευδής, -ής, -ές *(γεν. -ούς, πληθ. αρσ. και θηλ. -είς, ουδ. -ή)* *ბიბლ.* უტყუარი.

άψητος, -η, -ο შეუმწვარი: *~ο κρέας* შეუმწვარი ხორცი.

αψίδα η თაღი.

άψογος, -η, -ο 1. უშეცდომო: *~ο γραπτό* უშეცდომო ნაწერი; **2.** უზადო, უნაკლო, სრულყოფილი: *~η εμφάνιση* უნაკლო გარეგნობა.

άψυχος, -η, -ο უსულო, უსიცოცხლო, უხალისო: *το παίζιμο του ηθοποιού ήταν ~ο* მსახიობის თამაში უხალისო იყო.

Β

Β, β, βήτα 1. ეიტა, ბერძნული ანბანის მეორე ასო; 2. რიცხვითი ნიშანი: ა) ორი, მეორე (*Β΄*), ბ) ორი ათასი (*β*).

βαγόνι το ვაგონი.

βάδην I *επίρρ.* 1. ნაბიჯით; 2. *სამხ.* წინ იარ! ნაბიჯით იარ!

βάδην το **II** *სპორტ.* სიარული.

βαδίζω (*აόρ. βάδισα*) *αμετβ.* სიარული, მარშირება.

βάδισμα το 1. ნაბიჯი; 2. სიარული, მარშირება.

βαζελίνη η ვაზელინი.

βάζο το ლარნაკი.

βάζω (βάνω) (*აόρ. έβαλα, აόρ. παθ. βάλθηκα, μτχ. βαλμένος*) *μετβ.* 1. დადება, მოთავსება, განლაგება; 2. დასხმა, დაყრა: ~ *κρασί στο ποτήρι* ღვინოს ვასხამ ჭიქაში; 3. ჩაცმა, დახურვა: *βάλε το παλτό* ჩაიცვი პალტო; 4. დასმა, დაწერა (ნიშნის, ხელმოწერის და სხვ.): ~ *υπογραφή* ხელს ვაწერ; 5. დაკისრება (ჯარიმის, საქმის): ~ *πρόστιμο* ჯარიმას ვაკისრებ; ◊ ~ *στοίχημα* სანაძლეოს ვდებ, ~ *τα δυνατά μου* ყოველ ღონეს ვხმარობ, ~ *ένα χέρι* ვეხმარები.

βαθαίνω (*აόρ. βάθυνα*) *μετβ.* გაღრმავება, გაფართოება.

βαθιά *επίρρ.* ღრმად: *αναστενάζω* ~ ღრმად ამოვისუნთქავ.

βαθμιαίος, -αία, -ο თანდათანობითი: *προβλέπεται η ~αία πτώση της θερμοκρασίας* მოსალოდნელია ტემპერატურის თანდათანობით კლება.

βαθμίδα η *მაღალფ.* 1. საფეხური; 2. ხარისხი; 3. ღონე.

βαθμολόγηση η შეფასება: ~ *του διαγωνισμού* საკონტროლო წერის შეფასება.

βαθμολογητής ο, **-τρια** η შემფასებელი.

βαθμολογία η 1. *იხ.* **βαθμολόγηση**; 2. ქულა, ნიშანი: *δεν συγκέντρωσε στις εξετάσεις την απαιτούμενη* ~ გამოცდებზე ვერ მოაგროვა საჭირო ქულები; 3. ნიშნების ფურცელი.

βαθμολόγιο το შეფასების ბარათი, ატესტატი.

βαθμολογώ (*აόρ. βαθμολόγησα, αόρ. παθ. βαθμολογήθηκα, μτχ. βαθμο-*

λογημένος) *μετβ.* **1.** შეფასება: ~ *αυστηρά / με άριστα* მკაცრად ვაფასებ / ფრიადზე; **2.** გრადუირება.

βαθμός ο **1.** გრადუსი, ბალი: *η θερμοκρασία έφτασε τους σαράντα ~ούς* ტემპერატურამ ორმოც გრადუსს მიაღწია; **2.** ხარისხი, საფეხური, დონე; **3.** რანგი, ჩინი, წოდება, ხარისხი: *επιστημονικός* ~ სამეცნიერო ხარისხი, *έχει υψηλό ~ό στο στρατό* აქვს მაღალი სამხედრო ჩინი; **4.** შეფასება, ქულა, ნიშანი: *ο ~ του στις εξετάσεις ήταν* 20 გამოცდებზე მისი ნიშანი (ქულა) იყო 20; **5.** *მათ.* ხარისხი.

βάθος το (*γεν.* *-ους, πληθ.* *-η*) **1.** სიღრმე: ~ *του πηγαδιού / της πισίνας* ჭის / აუზის სიღრმე; **2.** ფსკერი; **3.** ფონი; ◊ *εκ ~ους ψυχής και καρδίας* მთელი სულითა და გულით, *γνωρίζω κάτι κατά* ~ ვიცი საფუძვლიანად, კარგად.

βαθούλωνω (*αόρ.* *βαθούλωσα αόρ.* *παθ.* *βαθουλώθηκα, μτχ.* *βαθουλωμένος*) *μετβ.*, გაღრმავება, თხრილის გაკეთება; *αμετβ.* ჩაცვენა, ჩაეარდნა, ჩაღრმავება: *βαθούλωσαν τα μάτια μου από τα γηρατειά* სიბერისგან თვალები ჩამიცვივდა.

βαθούλωμα το **1.** გაღრმავება; **2.** თხრილი, ორმო.

βάθρο το **1.** საყრდენი, საბრჯენი, ბურჯი; **2.** კვარცხლბეკი: *κατέστρεψαν το ~ του αγάλματος* ძეგლის კვარცხლბეკი გაანადგურეს; **3.** საფუძველი, საძირკველი: *η βουλή είναι το ~ της δημοκρατίας* პარლამენტი არის დემოკრატიის საფუძველი.

βαθύς, -ιά (-ειά), -ύ ღრმა; ◊ ~ *ύπνος* ღრმა ძილი, *στα ~ιά* ღრმა წყალში, ნაპირიდან მოშორებით.

βαθυστόχαστος, -η, -ο ღრმად მოაზროვნე.

βαθύτητα η სიღრმე.

βαθύχορδο το კონტრაბასი.

βακαλάος ο ვირთევზა.

βάκιλος ο ბაცილა.

βακτηρίδιο (βακτήριο) το ბაქტერია, მიკრობი.

βακτηριολογία η ბაქტერიოლოგია.

βακτηριολογικός, -ή, -ό ბაქტერიოლოგიური.

βακτηριολόγος ο ბაქტერიოლოგი.

βακχικός, -ή, -ό (βακχείος) ბაკქური, თავაწყვეტილი, თავაშვებული, თავშეუკავებელი.

βαλανίδι (βελανίδι) το რკო.

βαλανιδιά (βελανιδιά) η მუხა.

βαλβίδα η **1.** *სპორტ.* სტარტი; **2.** *ანატ.* სარქველი: ~ *της καρδιάς* გულის სარქველი; **3.** *ტექ.* სარქველი: *ασφαλιστική* ~ მცველი სარქველი.

βαλεριάνα η *ბოტ.* კატაბალახა.

βαλές ο ვალეტი (ბანქოში).

βαλ(λ)ιστική η *სამხ.* ბალისტიკა.

βαλίτσα η ჩემოდანი.

βαλκανικός, -ή, -ό ბალკანეთის, ბალკანური.

βαλς το *ακლ.* ვალსი.

βάλσαμο (μπάλσαμο) το **1.** ბალზამი; **2.** ბალზამის ხე.

βαλσαμώνω (μπαλσαμώνω) (*αόρ.* *βαλσάμωσα, αόρ.* *παθ.* *βαλσαμώθηκα, μτχ.* *βαλσαμωμένος*) **1.** ბალზამირება; **2.** მოშუშება, განკურნება.

βάλτος ο ჭაობიანი ადგილი.

βαλτότοπος ο ჭაობიანი ადგილი.

βαμβακερός, -ή, -ό (μπαμπακερός) ბამბის.

βαμβάκι (μπαμπάκι) το ბამბა.

βάναυσος, -η, -ο უხეში, გაუთლელი: *συμπεριφορά ~η* უხეში საქციელი, *τρόποι ~οι* უხეში მანერები.

βαναυσότητα η უხეშობა, გაუთლელობა.

βανδαλισμός ο ვანდალიზმი, ბარბაროსობა.

βάνδαλος ο ვანდალი.

βανίλια η **1.** ვანილი; **2.** ვანილის მურაბა.

βαπόρι το *ხალხ.* თბომავალი (გემი).

βάραθρο το უფსკრული.

βαραθρώνω (*აბრ. βαράθρωσα, აბრ. παθ. βαραθρώθηκα, მტჩ. βαραθρωμένος*) *მეტბ.* **1.** უფსკრულში ჩაშვება, ჩაგდება; **2.** *გადატ.* სრული კატასტროფა, განადგურება.

βαραίνω (*აბრ. βάρυνα*) *ამეტბ.* **1.** დამძიმება; **2.** *გადატ.* მდგომარეობის გაუარესება (ავადმყოფზე); *მეტბ.* **1.** დამძიმება: *θα βαρύνεις το στομάχι σου με τόσο φαγητό!* კუჭზე დაგაწვება ამდენი საჭმელი! *გადატ.* **2.** დამწუხრება, გულის დამძიმება; **3.** ბრალდება: *τον ~ει η κατηγορία της απάτης* მას ბრალად ედება თაღლითობა.

βαράκι το *სპორტ.* პანტელი.

βαρβαρισμός ο *ლინგვ.* ბარბარიზმი.

βάρβαρος, -η, -ο ველური, ბარბაროსული, უკულტურო.

βαρβαρότητα η **1.** სიმკაცრე, უხეშობა; **2.** ბარბაროსული, ველური საქციელი.

Βαρδάρης ο ჩრდილოეთის ქარი, რომელიც ცენტრალური მაკედონიის მხრიდან უბერავს.

βάρδια η **1.** სამხედრო ყარაული, დაცვა; **2.** *ზღვ.* ვახტი; **3.** ცვლა (ქარხანაში და ა.შ.): *σε λίγο τελειώνει η ~ μου* ჩემი ცვლა ცოტა ხანში მთავრდება.

βαρεία η *გრამ.* ბლაგვი მახვილის ნიშანი.

βαρέλα η **1.** დიდი კასრი; **2.** *გადატ.* მსუქანი ქალი.

βαρελάδικο το *ხალხ.* ადგილი, სადაც კასრებს ამზადებენ.

βαρελάς ο მეკასრე.

βαρέλι το **1.** კასრი; **2.** *გადატ.* მსუქანი ადამიანი.

βαρελίσιος, -α, -ο (βαρελήσιος) კასრის: *~ο κρασί* ჩამოსასხმელი ღვინო.

βαρεμάρα η მოწყენილობა, ნაღვლი.

βαρετός, -ή, -ό მოსაწყენი, უხალისო: *τι ~ άνθρωπος!* რა აუტანელი ადამიანია!

βαρηκοΐα η *მედ.* სმენის დაქვეითება.

βαρήκοος, -η, -ο *მაღალფ.* სმენადაქვეითებული.

βαριά *επίρρ.* მძიმედ, ძლიერად: *είναι άρρωστος ~* მძიმე ავადმყოფია.

βαριέμαι (βαριούμαι) (*აბრ. παθ. βαρέθηκα*) *მეტბ., ამეტბ.* დაბარება, მოწყენა: *βαρέθηκε να περιμένει* მოწყინდა ამდენი ლოდინი; ◊ *δε βαριέσαι!* ნეტავი შენ! ნუ აქცევ ყურადღებას!

βαριετέ το *ახლ.* ვარიეტე.

βάρκα η ნავი.

βαρκάρης ο (*πληθ. -άρηδες*) მენავე.

βαρόμετρο το ბარომეტრი.

βαρόνος ο ბარონი.

βάρος το (*γεν -ους, πληθ.*) **1.** წონა; **2.** *ფიზ., გადატ.* სიმძიმე: *έχω ένα ~ στο στομάχι* რაღაცა მძიმედ მაწევს კუჭზე; **3.** წონა, მნიშვნელობა, გაელენა, ავტორიტეტი: *έχει ~ ο λόγος / η γνώμη του* მის სიტყვას / აზრს წონა აქვს; **4.** საზიანოდ, საწინააღმდეგოდ: *σε / εις ~ μου* ჩემს საზიანოდ; **5.** (τα) *სპორტ.* შტანგა.

βαρύνω (*აόр. βάρυνα, აόр. παθ. βαρύνθηκα, μτχ. βεβαρημένος*) *μετβ.* **1.** დამძიმება: *τον ~ουν οι κατηγορίες για καταχρήσεις* გაფლანგვაში ბრალდება მის მდგომარეობას ამძიმებს; **2.** დავალება, დაკისრება: *~ με τα έξοδα μεταφοράς του φορτίου* ტვირთის გადატანასთან დაკავშირებული ხარჯების გაღება; *αμετβ.* დამძიმება.

βαρυπενθώ (ε) (*მხოლოდ ενεστ. და παρατ. βαρυπενθούσα, μτχ. βαρυπενθών, -ούσα*) *αμετβ.* ვგლოვობ.

βαρύς, -ιά, -ύ *პირდ., გადატ.* **1.** მძიმე: *~ύ φορτίο* მძიმე ტვირთი, *~ιά ποινή / εργασία* მძიმე სასჯელი / სამუშაო; **2.** *მუს.* დაბალი, ბოხი: *~ιά φωνή* ბოხი ხმა; **3.** სქელი, თბილი (ზამთრის): *~ιά ρούχα* ტანსაცმელი; **4.** მკაცრი: *~ χειμώνας* მკაცრი ზამთარი; **5.** უხეში, უწმაწური: *εκτόξευσε ~ιές εκφράσεις* უწმაწური ფრაზები წამოისროლა; ◊ *μου πέφτει ~ύ* ეს ჩემს შესაძლებლობას აღემატება, *~ιά η ώρα που σε γνώρισα* წყეულიმც იყოს ის დრო, როცა შენ გაგიცანი, *με ~ιά καρδιά* დამძიმებული გულით.

βαρυσήμαντος, -η, -ο მნიშვნელოვანი.

βαρύτητα *η* სიმძიმე, დაძაბულობა, სირთულე: *~ κάποιας κατάστασης / αρρώστιας* მდგომარეობის / დაავადების სირთულე, სიმძიმე.

βαρύτονος *ο* ბარიტონი.

βαρυχειμωνιά *η* მკაცრი ზამთარი.

βαρώ (α) (*აόр. βάρεσα, აόр. παθ. βαρέθηκα, μτχ. βαρεμένος*) *μετβ.* დარტყმა, ცემა, რტყმა, გაჯახუნება: *βάρεσε πίσω του την πόρτα* კარი გაიჯახუნა; ◊ *η κοιλιά μου ~άει ταμπουρά* მუცელი მიბუყბუყებს (შიმშილისაგან), *μου* (*σου, του* და ა.შ) *την βάρεσε* თავში აბრაზდ მომიეიდა, *~ το κεφάλι μου στον τοίχο* კედელს თავს ვურტყამ (მწარედ ვნანობ), *το ~άει* მსუბუქი ყოფაქცევის ქალია.

βασάλτης *ο* ბაზალტი.

βασανίζω (*აόр. βασάνισα, აόр. παθ. βασανίστηκα, μτχ. βασανισμένος*) *μετβ.* ვაწვალებ, ვაწამებ, ვტანჯავ: *τον βασάνισαν για να ομολογήσει* აწამეს რათა ეღიარებინა; **-ομαι** ვწამები, ვწვალობ, ვიტანჯები: *μη ~εσαι, δεν αξίζει τον κόπο* ნუ იტანჯები, არ ღირს წვალებად.

βασάνισμα *το* წვალება, წამება.

βασανιστήριο *το* **1.** წვალება, წამება; **2.** წამების ადგილი.

βασανιστής *ο* მწვალებელი.

βάσανο *το* წამება, წვალება.

βάση *η* **1.** საფუძველი, საძირკველი, საყრდენი; **2.** ბაზა, საფუძველი: *υλική (ενεργητική) ~* მატერიალური (ენერგეტიკული) ბაზა; **3.** *ანატ.* ფუძე: *~ κρανίου* თავის ქალას ფუძე; **4.** საწყისი, პრინციპი: *ηθικές ~εις* ზნეობრივი პრინციპები; **5.** გამსვლელი ქულა (საკონკურსო გამოცდებზე): *δεν έλαβε τη ~ στις εξετάσεις* ვერ მიიღო გამსვლელი ქულა გამოცდებზე; **6.** *სამხ.* ბაზა: *αεροπορική ~* საჰაერო ბაზა.

βασίζω (*აόр. βάσισα, აόр. παθ. βασίστηκα, μτχ. βασισμένος*) *μετβ.* ვაფუძნებ, ვამყარებ, საფუძვლად ვუდებ; **-ομαι 1.** ვემყარები, ვეყრდნობი: *όσα λέω ~ονται σε γεγονότα* ჩემი ნათქვამი ფაქტებს ემყარება; **2.** ვენდობი, იმედს ვამყარებ: *μη ~εσαι στις υποσχέσεις του* ნუ ენდობი მის დაპირებებს.

βασικός, -ή, -ό ძირითადი, საწყისი, მთავარი, არსებითი: *~ά επιχειρήματα* მნიშვნელოვანი არგუმენტები;

βασικά, βασικώς *επίρρ.* ძირითადად.

βασιλεία η სამეფო ძალაუფლება, მონარქია.

βασίλειο το სამეფო.

βασίλεμα το ჩასვლა (მზის, მთვარის).

βασιλεύω (*αόρ.* *βασίλεψα*, *μτχ.* *βασιλεμένος*) *αμετβ.* მეფობა: *~ει η δικαιοσύνη / η αδικία* სამართლიანობა / უსამართლობა მეფობს; *◊ ζει και ~ει* ცხოვრობს და კარგად არის.

βασιλιάς (βασιλεύς) ο (*πληθ.* *-άδες*) მეფე, ხელმწიფე.

βασιλική η ბაზილიკა.

βασιλικός ο *ბოტ.* რეჰანი.

βασιλικός, -ή, -ό სამეფო, მეფის.

βασίλισσα η დედოფალი.

βασιλόπιτα η საახალწლო ღეჭველი (ცხობისას ჩააყოლებენ ხოლმე მასში მონეტას, რომელიც იღბლის მომტანად ითვლება იმისათვის, ვისაც შეხვდება).

βασιλοπούλα η ხელმწიფის ასული.

βασιλόπουλο το ხელმწიფის ვაჟი.

βάσιμος, -η, -ο 1. დასაბუთებული, დამაჯერებელი; 2. სანდო, უტყუარი: *~ες πληροφορίες* სანდო ინფორმაცია.

βασκαίνω (*αόρ.* *βάσκανα*, *αόρ.* *παθ.* *βασκά(ν)θηκα*, *μτχ.* *βασκαμένος*) *ხალხ.* გათვალება, თვალის ცემა.

βάσκαμα το (**βασκανία** η) გათვალება, თვალის ცემა.

βαστώ (α) (βαστάζω) (*αόρ.* *βάσταξα*, *αόρ.* *παθ.* *βαστά(ή)χτηκα*, *μτχ.* *βαστα(η)γμένος*) *μετβ.* 1. ხელში ჭერა; 2. მოთმენა, გაძლება: *δεν μπορώ να βαστάξω τον πόνο* ტკივილს ვერ ვუძლებ; *αμετβ.* 1. გაძლება: *ακόμη ένα χειμώνα θα βαστήξει το παλτό / η στέγη* პალტო / სახურავი კიდევ ერთ ზამთარს გაუძლებს; 2. გაგრძელება (გრძელდება): *βαστούσε χρόνια ο πόλεμος* ომი წლების მანძილზე გრძელდებოდა.

βατ το *ακλ.*, *ელექტ.* ვატი.

βάτα η ლიპები.

βατεύω (*αορ.* *βάτεψα*) დაგრილება, დანერბვა, დაწყვილება (ცხოველებზე).

βατίστα η ბატისტი.

βατόμουρο το 1. მაყვალი (კენკრა); 2. (τα) მაყვლის ბუჩქი.

βατός, -ή, -ό 1. გაელაღი, გასავლელი; 2. *გადატ.* შედარებით მარტივი, მარტივად გასაგები: *το θέμα στις εξετάσεις ήταν ~ό* გამოცდაზე აღებული თემა იყო.

βατραχάνθρωπος ο აკვალანგისტი, მყვინთავი.

βατραχοπέδιλο το საცურაო ლასტი.

βάτραχος ο ბაყაყი.

βατσίνα η 1. *მედ.* ყვავილის აცრა, ვაქცინაცია; 2. აცრის ნაკვალევი.

βατσινάρω *μετβ.* ყვავილის აცრა, ვაქცინაცია.

βατσινιά η 1. *ბოტ.* მაყვალი; 2. მაყვლოვანი.

βάτσινο το *ბოტ.* მაყვალი.

βαφείο το სამღებრო.

βαφή η 1. შეღებვა: *~ του αυτοκινήτου* მანქანის ღებვა; 2. საღებავი: *~ μαλλιών* თმის საღებავი.

βαφτίζω (*αόρ.* *βάφτισα*, *αόρ.* *παθ.* *βαφτίστηκα*, *μτχ.* *βαφτισμένος*) *μετβ.* მონათვლა.

βάφτιση η *ეკლ.* ნათლობა.

βαφτισιμιός ο, **-ιά** η ნათლული.

βάφτισμα το ნათლობა.

βάφω (*αόρ.* *έβαψα*, *αόρ.* *παθ.* *βάφτηκα*, *μτχ.* *βαμμένος*) *μετβ.* ღებვა: *~ τα νύχια / τα μαλλιά* ფრჩხილებს / თმებს

ვიღებავ; **-ομαι** გრიმის, მაკიაჟის კეთება, შეღებვა.

βάψιμο το 1. შეღებვა: ~ *σπιτιού* სახლის შეღებვა; 2. გრიმი, მაკიაჟი: *ελαφρύ* ~ მსუბუქი მაკიაჟი.

βγάζω (*აόρ. έβγαλα, აόρ. παθ. βγάλθηκα, μτχ. βγαλμένος*) *μετβ.* 1. ამოღება, გამოღება, გატანა, გაყვანა, გაგდება; 2. გახდა, მოხსნა; 3. გასეირნება, სასეირნოდ გასართობად წაყვანა: *συχνά τη ~ει έξω τη γυναίκα του* იგი ხშირად ასეირნებს თავის ცოლს; 4. ამოგდება, ღრძობა: *έβγαλα το χέρι μου* ხელი მეღრძო; 5. გამოშვება, გამოცემა (ხმის, სურნელის, ჰაერის, ორთქლის), წარმოთქმა (სიტყვის); 6. წარმოება, გამოშვება (პროდუქციის), გამოცემა (ბეჭდვითი პროდუქციის); ◊ *~ συμπέρασμα* დასკვნას ვაკეთებ, *~ στο σφυρί* აუქციონზე ვყიდი, *~ει μάτι* თვალში საცემია.

βγαίνω (*აόρ. βγήκα, μελλ. θα βγω, μτχ. βγαλμένος*) *αμετβ.* 1. გასვლა, გამოსვლა, გადმოსვლა, ამოსვლა, ამოვარდნა: ~ *από το σπίτι* სახლიდან გავდივარ, *~ει ο ήλιος* მზე ამოდის; 2. სასეირნოდ გასვლა: *τα βράδια ~ουμε έξω* საღამოობით სასეირნოდ დავდივართ; 3. წარმოება, გამოშვება (პროდუქციის), გამოცემა (ბეჭდვითი პროდუქციის); 4. არჩევა, არჩევნებში გამარჯვება: *στις εκλογές βγήκε η Νέα Δημοκρατία* არჩევნებში "ნეა დემოკრატიამ" გაიმარჯვა; 5. *გადატ.* გამოსვლა: *προσπαθώ να μάθω γερμανικά, αλλά δεν μου ~ει με τίποτα* ეცდილობ, გერმანული ვისწავლო, მაგრამ არაფერით არ გამომდის; ◊ *~ στη σύνταξη* პენსიაზე გავდივარ, *~ από τα ρούχα μου* აღშფოთებისაგან წონასწორობას ვკარგავ.

βδέλλα η *პირდ., გადატ.* წურბელა.

βδομάδα *იხ.* **εβδομάδα**.

βέβαιος, -η, -ο 1. უეჭველი, ნაღდი; 2. დარწმუნებული: *είσαι απόλυτα ~ για την ειλικρίνειά του;* სრულიად დარწმუნებული ხარ მის გულწრფელობაში? 3. მყარი, უცვლელი, სტაბილური: *γνώμη ~η* უცვლელი აზრი.

βεβαιότητα η 1. უეჭველობა, უდაობა: *~ του κέρδους / της νίκης* უეჭველი მოგება / გამარჯვება; 2. სიმტკიცე, ურყევობა.

βεβαιώνω (*აόρ. βεβαίωσα, აόρ. παθ. βεβαιώθηκα, μτχ. βεβαιωμένος*) *μετβ.* 1. ვამტკიცებ, ვადასტურებ, დავამოწმებ (ზეპირად ან წერილობით): *βεβαίωσε ενόρκως τις κατηγορίες* ბრალდება ფიცით დაამოწმა; 2. დავარწმუნებ, დავაჯერებ: *τον βεβαίωσε πως όλα θα πάνε καλά* დაარწმუნა იგი, რომ ყველაფერი კარგად იქნება; **-ομαι** ვრწმუნდები: *δεν έχουμε βεβαιωθεί απόλυτα* მთლად დარწმუნებული არ ვართ.

βεβαίως (βέβαια) *επίρρ.* რა თქმა უნდა, ნამდვილად, უეჭველად: *βέβαια θα'ρθούμε* რა თქმა უნდა, მოვალთ.

βεβαίωση η 1. დადასტურება, დამოწმება, დამტკიცება: *~ της υπογραφής* ხელმოწერის დადასტურება; 2. ცნობა, მოწმობა, სერტიფიკატი, დეკლარაცია: *ιατρική ~* სამედიცინო ცნობა, *~ εισοδήματος* საშემოსავლო დეკლარაცია.

βέβηλος, -η, -ο მკრეხელური, წამბილწველი, უწმინდური; ◊ *εκάς οι βέβηλοι!* შორს ჩვენგან უწმინდურნი!

βεβηλώνω (*აόρ. βεβήλωσα, აόρ. παθ. βεβηλώθηκα, μτχ. βεβηλωμένος*) *μετβ.* შეურაცხყოფა, წაბილწვა: *~ ναό /*

τάφο ტაძარს / საფლავს შეურაცხეყოფ.

βεγγαλικό το ბენგალიის ცეცხლი, ფეიერვერკი: *ο ουρανός φωτίστηκε από τα ~ά* ცა ბენგალიის ცეცხლმა გაანათა.

βελάζω (*აόρ. βέλασα*) ბღავილი (ცხვრის), კიკინი, პეტელი (თხის).

βελανίδι το *იხ.* **βαλανίδι**.

βελανιδιά η *იხ.* **βαλανιδιά**.

βέλασμα το ბღავილი (ცხვრის), კიკინი (თხის).

βελγικός, -ή, -ό ბელგიური.

βελόνα (βελόνη) η 1. ნემსი; 2. საქსოვი ჩხირი.

βελονιά η 1. ჩხვლეტა, ნაჩხვლეტი; 2. გვირისტი.

βελονιάζω (*აόρ. βελόνιασα, αόρ. παθ. βελονιάστηκα, μτχ. βελονιασμένος*) *μετβ.* 1. ნემსზე ძაფის აგება; 2. ჩხვლეტა: *βελόνιασε από τη βιασύνη της το δάχτυλό της* სიჩქარისგან ნემსი თითში იჩხვლიტა; 3. დაბლანდვა.

βέλος το (*γεν. -ους, πληθ. -η*) ისარი.

βελουδένιος, -α, -ο (βελούδινος) ხავერდის, ხავერდოვანი.

βελούδο το ხავერდი.

βελτιώνω (*αόρ. βελτίωσα, αόρ. παθ. βελτιώθηκα, μτχ. βελτιωμένος*) *μετβ.* გაუმჯობესება: *ο καιρός αναμένεται να βελτιωθεί* მოსალოდნელია ამინდის გაუმჯობესება.

βελτίωση η გაუმჯობესება: *~ του καιρού / συνθηκών ζωής / της υγείας ασθενούς* ამინდის / საცხოვრებელი პირობების / ავადმყოფთა ჯანმრთელობის გაუმჯობესება.

βενζινάδικο το ბენზინგასამართი სადგური.

βενζίνη η ბენზინი.

βεντάλια (βεντάγια) η მარაო.

βέρα η ნიშნობის ბეჭედი: *αλλάζω ~ ες* ეინიშნები.

βεράντα η ვერანდა.

βερβέρα (βερβερίτσα) η ციყვი.

βέργα η 1. ტოტი; 2. წკეპლა, როზგი; 3. *გადატ.* ტანწერწეტა ქალი.

βερίκοκο το გარგალი.

βερμούδα η ტრუსი, მოკლე შარვალი.

βερνίκι το ლაქი, საპრიალებელი.

βερνικώνω (*αόρ. βερνίκωσα, αόρ. παθ. βερνικώθηκα, μτχ. βερνικωμένος*) *μετβ.* 1. გალაქვა, ლაქით დაფარვა, გაპრიალება; 2. გაწმენდა (ფეხსაცმლის).

βετεράνος ο ვეტერანი.

βέτο το ვეტო.

βήμα το 1. ნაბიჯი: *~ προς ~* ნაბიჯ-ნაბიჯ; 2. ტრიბუნა, კათედრა; 3. საკურთხეველი.

βηματίζω (*αόρ. βημάτισα*) *αμετβ.* სიარული, მარშით სვლა, მარშირება.

βήξιμο το **(βήχας, βηξ ο)** ხველა, ხველება.

βήχω (*αόρ. έβηξα*) *αμετβ.* ხველება.

βία η 1. ძალა (ფიზიკური); 2. ძალადობა, ძალდატანება: *με τη ~ / διά της ~ς* ძალით, იძულებით; 3. სისწრაფე, სიჩქარე: *με πολλή ~* დიდი სისწრაფით.

βιάζω (*αόρ. βίασα, αόρ. παθ. βιάστηκα, μτχ. βεβιασμένος*) *μετβ.* 1. დაძალება; 2. ძალადობა, გაუპატიურება: *βίασε ανήλικο κορίτσι* არასრულწლოვანი ეოვონა გააუპატიურა; 3. დაჩქარება: *ο καιρός ~ει* დრო ეეაჩქარებს (დრო არ ითმენს); **-ομαι** 1. აჩქარება: *μη ~εστε* ნუ ჩქარობთ.

βίαιος, -η (-α), -ο ძალმომრეობითი, ძალადობრივი: *~ θάνατος* ძალადობრივი სიკვდილი.

βιασμός ο 1. ძალადობა; 2. გაუპატიურება: *κατηγορείται για απόπειρα ~ού* ბრალი ედება გაუპატიურების მცდელობაში.

βιαστής ο მოძალადე.

βιαστικός, -ή, -ό 1. სწრაფი, მოჩქარე: *είμαι πολύ ~* ძალიან მეჩქარება; 2. ნაუცბადევი, სწრაფი: *~ή απόφαση* ნაუცბადევად მიღებული გადაწყვეტილება.

βιασύνη η სიჩქარე, სისწრაფე.

βιβλιάριο το წიგნაკი, ბროშურა: *~ ταμιευτηρίου / τράπεζας* შემნახველი სალაროს / საბანკო წიგნაკი.

βιβλικός, -ή, -ό ბიბლიური.

βιβλίο το წიგნი.

βιβλιογραφία η ბიბლიოგრაფია.

βιβλιοθηκάριος ο ბიბლიოთეკარი.

βιβλιοθήκη η ბიბლიოთეკა.

βιβλιοπωλείο το წიგნის მაღაზია.

βιβλιοπώλης ο წიგნის მაღაზიის გამყიდველი.

βιβλιόφιλος ο წიგნის მოყვარული.

Βίβλος η ბიბლია.

βίδα η ხრახნი.

βιδώνω (*აόρ. βίδωσα*) *μετβ.* ხრახნა.

βίζα η ვიზა.

βίζιτα η ვიზიტი.

βίλα η ვილა.

βιογραφία η ბიოგრაფია.

βιογράφος ο ბიოგრაფი.

βιόλα η *მუს.* ალტი.

βιολέτα η *ბოტ.* ია.

βιολί το ვიოლინო.

βιολιστής ο, **-ίστρια** η მევიოლინე.

βιολογία η ბიოლოგია.

βιολογικός, -ή, -ό ბიოლოგიური.

βιολόγος ο ბიოლოგი.

βιολοντσέλο *მუს.* το ვიოლონჩელი, ჩელო.

βιομηχανία η მრეწველობა: *βαριά / ελαφριά ~* მძიმე / მსუბუქი მრეწველობა.

βιομηχανοποίηση η მექანიზაცია, ინდუსტრიალიზაცია.

βιομήχανος ο მრეწველი, მეწარმე.

βίος ο 1. სიცოცხლე, ცხოვრება: *~ συζυγικός* ცოლ-ქმრული ცხოვრება; 2. ბიოგრაფია, ცხოვრება: *~οι αγίων* წმინდანთა ცხოვრება.

βιόσφαιρα η ბიოსფერო.

βιοτέχνης ο ხელოსანი, შინამრეწველი.

βιοτεχνία η ხელოსნობა, შინამრეწველობა.

βιοτεχνολογία η ბიოტექნოლოგია.

βιοτικός, -ή, -ό სასიცოცხლო, საარსებო: *αναγκές ~ές* საარსებო მოთხოვნილებები; ◊ *~ό επίπεδο* ცხოვრების დონე, *~οί παράγοντες* სასიცოცხლო ფაქტორები.

βιότοπος ο *ბიოლ.* ბიოტოპი.

βίρα *ბღვ.* ზევით, მაღლა: *~ τις άγκυρες!* ღუზები მაღლა (ასწიეთ)!

βιρτουόζος, -α, -ικο ვირტუოზი.

βιταμίνη η ვიტამინი.

βιταμινούχος, -α, -ο ვიტამინიზირებული.

βιτρίνα η ვიტრინა.

βίτσα η წკეპლა, მათრახი.

βιτσίζω (*αόρ. βίτσισα*) *μετβ.* გამათრახება, გამოლტვა, გაწკეპვლა.

βιτσιόζος ο, **-α** η გარყვნილი ადამიანი.

βίωμα το ცხოვრების განცდილი წუთები, პირადი გამოცდილება: *~τα προσωπικά* პირადი გამოცდილება.

βιώνω (*αόρ. βίωσα, αόρ. παθ. βιώθηκα, μτχ. βιωμένος*) *μετβ.* ცხოვრება, განცდა.

βιώσιμος, -η, -ο სიცოცხლისუნარიანი, გამძლე.

βλαβερός, -ή, -ό მავნე, მაწყინარი: *τροφές ~ές* მაწყინარი საკვები.

βλαβερότητα (βλαπτικότητα) η მავნებლობა, ზიანის მიყენება.

βλάβη η **1.** ზარალი: *~ ηθική* მორალური ზარალი; **2.** დაზიანება: *~ οδικού δικτύου* საგზაო კვანძის დაზიანება.

βλάκας ο მტერი, სულელი.

βλακεία η სიმტერე, სისულელე, ჩერჩეტობა.

βλακεύω (*მხოლოდ ενεστ. და παρατ. βλάκευα*) *αμετβ.* გამოსულელება, გამომტერება.

βλακώδης, -ης, -ες (*γεν.-ους, πληθ. αρσ. και θηλ. -εις, ουδ. -η*) უგუნური, სულელური.

βλαμμένος, -η, -ο შეშლილი, გადარეული.

βλαπτικός, -ή, -ό მავნე, საზიანო: *τροφές ~ές* მაწყინარი საკვები.

βλάπτω (βλάφτω) (*αόρ. έβλαψα, αόρ. παθ. βλάφτηκα*) *μετβ.* დაზიანება, დაზარალება, მატერიალური ან მორალური ზარალის მიყენება: *το χαλάζι έβλαψε τα δέντρα* სეტყვამ ხეები დააზიანა; *αμετβ.* **1.** საზიანო ყოფა, მავნებელი ყოფა: *το κάπνισμα ~ει* მოწევა საზიანოა; **2.** წვალება, შეწუხება: *δε ~ει κανέναν αυτός ο άνθρωπος* ეს ადამიანი არავის აწუხებს (უწყინარი ადამიანია); ◊ *τι ~ει;* ამაში ცუდს რას ხედავ?

βλασταίνω (βλαστάνω) (*αόρ. βλάστησα*) *αμετβ.* კვირტების, ყლორტების ამოყრა, აყვავება.

βλαστάρι το **1.** ღვივი, ამონაზარდი, ყლორტი; **2.** *გადატ.* ნამიერი, შთამომავალი, შვილი: *ήρθε το ~ μου* ჩემი შვილი მოვიდა.

βλαστήμια (βλαστημιά) η *ხალხ.* ლანძღვა, გინება, ძაგება: *μου 'πε ένα σωρό ~ες* უამრავი სალანძღავი სიტყვა მითხრა.

βλαστημώ (α) (*αόρ. βλαστήμησα*) *μετβ.* **1.** ღვთის გმობა, მკრეხელობა; **2.** ლანძრევა, წყევლა.

βλάστηση η მცენარეულობა, ფლორა.

βλαστός ο **1.** ყლორტი, ტოტი; **2.** *გადატ.* ნამიერი, შვილი, შთამომავალი: *είναι ~ αρχοντικής οικογένειας* კეთილშობილი ოჯახის შთამომავალია.

βλασφημία η ღვთის გმობა, მკრეხელობა.

βλάχικος, -η, -ο **1.** ვალახური; **2.** პროვინციული; **3.** უკულტურო, უხეში: *συμπεριφορά ~* უხეში საქციელი.

βλάχος ο, **-α** η **1. (Β~)** ვალახიის (რუმინეთის) მცხოვრები; **2.** *გადატ.* უკულტურო, ხეპრე.

βλέμμα το შეხედვა, გამოხედვა, მზერა: *γλυκό / άγριο ~* ალერსიანი / მკაცრი გამოხედვა.

βλεννόρροια η *მედ.* გონორეა, სუსუნაგი.

βλέπω (*αόρ. είδα, αόρ. παθ. ειδώθηκα, μελλ. θα δω, μτχ. ιδωμένος*) *μετβ., αμετβ.* ხედვა, დანახვა, ყურება, ცქერა: *~ λίγο θαμπά μ'αυτά τα γυαλιά* ამ სათვალეებით ცოტა დაბინდულად ეხედავ, *σας ~ και σας καμαρώνω* გიყურებთ და გეთაყვანებით; ◊ *δε ~εται* არ შეიხედება (შეუხედავია), *βλέποντας και κάνοντας* მომავალი გეიჩვენებს.

βλεφαρίδα η წამწამი.

βλεφαρίζω (*αόρ. βλεφάρισα*) *αμετβ.* თვალების ხამხამი.

βλέφαρο το ქუთუთო.

βλήμα το ჭურვი, ყუმბარა, ვაზნა.

βλοσυρός, -ή, -ό **1.** შიშის მომგვრელი; **2.** პირქუში, კუშტი, მკაცრი: *~ό βλέμμα* კუშტი გამოხედვა.

βλοσυρότητα η სიმკაცრე, კუშტობა, პირქუშობა.

βογγητό το 1. კვნესა, ოხერა; 2. *გადატ.* ხმაური, ღრიალი, გრუხუნი, გუგუნი, გრიალი (ზღვის, ქარის).

βογγώ (α) (βογκώ) (*აბრ. βόγγιξα, -ησα*) *ამეტბ.* 1. კვნესა, ოხერა; 2. *გადატ.* ხმაური, ღრიალი, გრუხუნი, გუგუნი, გრიალი (ზღვის, ქარის): *έζω βογγούσε ο αέρας* გარეთ ქარი გუგუნებდა.

βόδι (βοΐδι) το *ბალხ.* ხარი.

βοδινός, -ή, -ό (βοϊδινός) ხარის: *~ό κρέας* ხარის ხორცი.

βοή (βουή η, βοητό το) η ხმაური, გრუხუნი, გუგუნი.

βοήθεια η 1. დახმარება, თანადგომა: *δίνω χέρι ~ς* დახმარების ხელის გაწოდება; 2. სამედიცინო დახმარება: *σταθμός πρώτων ~ών* სასწრაფო დახმარების პუნქტი, *παροχή πρώτων ~ών* პირველადი დახმარების აღმოჩენა.

βοήθημα (βοήθειο) το 1. დახმარება, შემწეობა: *θα χορηγηθούν χρηματικά ~τα στους ανέργους* უმუშევრებისთვის გამოიყოფა ფულადი დახმარება; 2. სასწავლო წიგნი, სახელმძღვანელო.

βοηθητικός, -ή, -ό დამხმარე.

βοηθός ο/η დამხმარე, ასისტენტი.

βοηθώ (α, ε) (*აბრ. βοήθησα, აბრ. παθ. βοηθήθηκα, მტჯ. βοηθημένος*) *მეტბ.* 1. დახმარების აღმოჩენა, თანადგომა; 2. შემწეობის გაღება; 3. ასისტენტობა.

βόθρος ο 1. ორმო, თხრილი; 2. სანაგვე ორმო; 3. *ანატ.* ღრმული, ფოსო.

βολβός (βομβός) ο *ბოტ., ანატ.* ბოლქვი.

βολεύω (*აბრ. βόλεψα, აბრ. παθ. βολεύτηκα, მტჯ. βολεμένος*) *მეტბ.* მოთავსება, მოწესრიგება; **-ομαι** მოწყობა, დაფუძნება, მოთავსება: *~ομαι στην πολυθρόνα* ვთავსდები სავარძელში.

βολή η **I** 1. სროლა; 2. ჭურვი, ყუმბარა.

βολή η **II** *ბალხ.* 1. კომფორტი, სიმყუდროვე; 2. კეთილდღეობა; 3. კბილების ამოჭრა.

βόλι το *ბალხ.* 1. ტყვია; 2. (τα) ფული.

βολίδα η 1. ტყვია; 2. ისარი, შუბი.

βολικός, -ή, -ό 1. სელსაყრელი, მყუდრო: *~ό σπίτι* მყუდრო სახლი; 2. დამთმობი, ლოიალური: *είναι πολύ ~ και τον κάνουν ό,τι θέλουν* ძალიან დამთმობია და რაც უნდათ, იმას უკეთებენ.

βολτ το *ἀκλ. ელექტ.* ვოლტი.

βόλτα η სეირნობა: *κάνω ~* ვსეირნობ.

βολτάρω (*აბრ. βόλταρα, -ισα*) *ამეტბ.* სეირნობა.

βόμβα η ბომბი.

βομβαρδίζω (*აბრ. βομβάρδισα, აბრ. παθ. βομβαρδίστηκα, მტჯ. βομβαρδισμένος*) *მეტბ.* დაბომბვა.

βομβαρδισμός ο დაბომბვა.

βόρεια *ეპირრ.* ჩრდილოეთით.

βορειοανατολικός, -ή, -ό ჩრდილოაღმოსავლეთის.

βορειοδυτικός, -ή, -ό ჩრდილოდასავლეთის.

βορειοελλαδικός, -ή, -ό ჩრდილოეთ საბერძნეთის.

βόρειος, -α, -ο (βορεινός) ჩრდილოეთის.

βοριάς (βορράς) ο ჩრდილოეთის ქარი.

βοσκή η საძოვარი, იალაღი.

βοσκοπούλα η მწყემსი ქალი.

βοσκός ο მწყემსი.

βόσκω (*აόр. βόσκησα, აόр. παθ. βοσκήθηκα, μτχ. βοσκημένος*) *μετβ.* მწყემსვა.

βοτανική η ბოტანიკა.

βότκα η არაყი.

βότσαλο το კენჭი.

βουβαίνω (*აόр. βούβανα, აόр. παθ. βουβάθηκα, μτχ. βουβαμένος*) *μετβ.* დამუნჯება, გაჩუმება; **-ομαι** მეტყველების უნარის დაკარგვა, დამუნჯება.

βουβός, -ή, -ό (βωβός) მუნჯი.

βουδισμός ο ბუდიზმი.

βουδιστής ο, **-τρια** η ბუდისტი.

βουερός, -ή, -ό ხმაურიანი.

βουίζω (*აόр. βούισα/ζα*) *αμετβ.* 1. ხმაური, გრიალი, ღრიალი: *~ει η θάλασσα* ზღვა ხმაურობს; 2. ზრიალი, ზუზუნი: *~ουν τ'αυτιά μου* ყურები მიზუზუნებს.

βούισμα το ხმაური, გრიალი, ზუზუნი.

βουκολικός, -ή, -ό ბუკოლიკური: *~ή ποίηση* ბუკოლიკური პოეზია.

βουλευτής ο, **-ίνα** η პარლამენტარი.

βουλευτικός, -ή, -ό საპარლამენტო.

βουλή η 1. ნება, ნება-სურვილი, განზრახვა; 2. პარლამენტი.

βούληση η *ბალაქ.* სურვილი, ნება: *κατά ~* სურვილისამებრ.

βούλιαγμα (βούλιασμα) το 1. ჩაძირვა: *~ του πλοίου* გემის ჩაძირვა; 2. დაწევა, ჩაწოლა, ჩაწევა, დაჯდომა: *η διάβρωση του εδάφους προκάλεσε το ~ της πλατείας* მიწის ჩაშლამ მოედნის დაწევა გამოიწვია; 3. ორმო, ღრმული: *πρόσεξε το ~ του δρόμου μετά την στροφή* მოსახვევის შემდეგ ღრმულს მიაქციე ყურადღება.

βουλιάζω (*აόр. βούλιαξα, აόр. παθ. βουλιάχτηκα, μτχ βουλιαγμένος*) *μετβ.* 1. ჩაძირვა; 2. ფინანსურად განადგურება: *θα μας βουλιάξεις με τα έξοδά σου* ამდენი ხარჯით დაგვაქცევ; *αμετβ.* 1. ჩაძირვა, ჩაფლობა: *το πλοίο βούλιαξε στ'ανοιχτά* გემი ღია ზღვაში ჩაიძირა; 2. ჩაწოლა, დაწევა: *βούλιαξε η σκεπή της παλιάς εκκλησίας από το σεισμό* მიწისძერის გამო ძველი ეკლესიის სახურავმა დაიწია; 3. ჩაცენება, ჩაღრმავება: *βούλιαξαν τα μάτια μου από την αϋπνία* უძილობისაგან თვალები ჩამიცვიედა; 4. ფინანსურად განადგურება: *η επιχείρηση βούλιαξε* ფარმოება ჩაწვა.

βουλιμία η *მედ.* ბულემია.

βούλωμα το 1. დაპლომბვა, დახურვა, დალუქვა, ამოესება: *~ του δοντιού / της τρύπας* კბილის დაპლომბვა / ხერელის ამოესება; 2. საცობი: *το ~ του μπουκαλιού* ბოთლის საცობი.

βουλώνω (*აόр. βούλωσα, აόр. παθ. βουλώθηκα, μτχ. βουλωμένος*) *μετβ.* დალუქვა: *~ το γράμμα / το δέμα* ფერილს / ამანათს ელუქავ.

βουνίσιος, -ια, -ο მთის.

βουνό το მთა.

βουρκώνω (*აόр. βούρκωσα μτχ. βουρκωμένος*) *αμετβ.* 1. თვალზე ცრემლის მორევა: *βούρκωσαν τα μάτια μου από τον πόνο* ტკივილისგან თვალს ცრემლი მომერია; 2. *გადატ.* მოღუშვა, მოღრუბლვა (ცაზე), ამღვრევა (წყალზე): *βούρκωσε ο ουρανός* ცა მოიღრუბლა.

βούρτσα η ჯაგრისი, ფუნჯი.

βουρτσίζω (*აόр. βούρτσισα, აόр. παθ. βουρτσίστηκα, μτχ. βουρτσισμένος*) *μετβ.* ჯაგრისით გაწმენდა, გაპრიალება: *~ χαλιά / ρούχα / δόντια* ხალიჩებს / ტანისამოსს / კბილებს ჯაგრისით ეწმენდ.

βούτη(γ)μα το 1. ჩაყვინთვა, ჩაყურყუმალავება: ~ *στο νερό* წყალში ჩაყურყუმალავება; 2. *გადატ.* ხელის ტაცება, წაგლეჯა: *με ένα ~ της άρπαξε την τσάντα* ერთი ხელის წაგლებით ჩანთა წაგლიჯა.

βουτιά η 1. ჩაყვინთვა: *με μια ~ βγήκε απέναντι* ერთი ჩაყვინთვით მოპირდაპირე მხარეს გამოცურა; 2. *გადატ.* მოპარვა, აცანცელა.

βούτυρο το კარაქი.

βουτυρώνω (*აόր. βουτύρωσα, აόր. παθ. βουτυρώθηκα, μτχ. βουτυρωμένος*) *μετβ.* კარაქის, ერბოს, ზეთის წასმა.

βουτώ (α) (*აόր. βούτηξα, აόր. παθ. βουτήχτηκα, μτχ. βουτηγμένος*) *μετβ.* 1. წყალში, სითხეში ამოვლება, ჩაშვება: *βούτηξε τα δάχτυλά του στη σούπα* თითები წვნიანში ჩაყო; 2. *გადატ.* მოპარვა: *βούτηξε πολλά από το ταμείο* სალაროდან ბევრი მოიპარა; *αμετβ.* 1. ჩაყვინთვა: *βούτηξε στη θάλασσα* ზღვაში ჩაყვინთა; 2. *გადატ.* ჩაფლული, ჩაძირული: *είναι βουτηγμένος στα χρέη* ვალებია ჩაფლული.

βοώ *(აόր. βόησα) αμετβ.* ყვირილი, ღრიალი: *το πλήθος βοά* ბრბო ღრიალებს; ◊ *φωνή βοώντος εν τη ερήμω (Ματθ. 3,3)* ხმა მღაღადებლისა უდაბნოსა შინა (მათე 3, 3).

βραβείο το ჯილდო, პრიზი, პრემია.

βράβευση η დაჯილდოება: ~ *νικητών* გამარჯვებულთა დაჯილდოება.

βραβεύω (*აόр. βράβευσα, აόр. παθ. βραβεύτηκα, μτχ. βραβευμένος*) *μετβ.* დაჯილდოება.

βράχνια τα ლაყუჩები.

βραδέως *επίρρ.* ნელა, ფრთხილად.

βράδι (βράδυ) το საღამო.

βραδιά η 1. საღამო; 2. საღამო, საღამოს წეეულება: *λογοτεχνικές / μουσικές ~ιές* ლიტერატურული / მუსიკალური საღამოები.

βραδιάζει (*აόр. βράδιασε*) *უპირ.* საღამოვდება.

βραδινό το ვახშამი.

βράζω (*აόр. έβρασα, აόр. παθ. βράστηκα, μτχ. βρασμένος*) *μετβ., αμετβ* დუღება, ხარშვა: ~ *το γάλα / κρέας* ვადუღებ რძეს / ვხარშავ ხორცს, *~ει το φαγητό* საჭმელი თუხთუხებს.

βρακί το საცვალი, ტრიკო.

βράση η დუღილი.

βραστός, -ή, -ό მოხარშული: *αβγά ~ά* მოხარშული კვერცხები.

βραχιόλι το 1. სამაჯური; 2. ხელბორკილი.

βραχίονας ο 1. მკლავი; 2. ტოტი (მდინარის); 3. ღუზის თათები; 4. დასაკრავი ინსტრუმენტის გრიფი.

βραχνά *επίρρ.* ჩახლეჩილი ხმით, ხრინწიანად.

βραχνάδα η ხრინწი, ხმაწასულობა.

βραχνιάζω (*αορ. βράχνιασα, μτχ. βραχνιασμένος*) *μετβ.* ხმის ჩახლეჩა.

βραχνός, -ή, -ό ხმაწასული, ხრინწიანი.

βράχος ο კლდე.

βραχώδης, -ης, -ες (*γεν.-ους, πληθ. αρσ. δα θηλ. -εις, ουδ. -η*) კლდოვანი, კლდიანი.

βρε *μόρ.* 1. მიმართვის გამომხატველი ნაწილაკი: ~*'σύ, πώς μιλάς έτσι;* ეი, შენ, როგორ ლაპარაკობ?! 2. გამოხატავს გაკვირვებას, გაოცებას: ~, *πώς τα κατάφερε!* კი მაგრამ, ეს როგორ მოახერხა! 3. გამოხატავს სიძულვილს, აბუჩად აგდებას, ახლობლობას, მწუხარებას, გაოცებას (თუ მოსდევს არს. ან ზედს. სახელი): ~, *τον ψεύτη!* ოჰ, ეგ

მატყუარა! ~, *τον φίλο!* ძმაკაცს გაუმარჯოს!

βρεφικός, -ή, -ό ჩვილის.

βρεφοκομείο το ბაგშვთა სახლი.

βρεφοκόμος ο ბაგშვთა სახლის აღმზრდელი.

βρέφος το (*γεν. -ους, πληθ. -η*) ახალშობილი, ჩვილი ბაგშვი.

βρέχω (*აόρ. έβρεξα, აόρ. παθ. βράχηκα, μτχ. βρεγμένος*) *μετβ.* დასველება, დატენიანება, დანამვა; *αμετβ. უპირ. άρχισε να ~ει* წვიმა დაიწყო; **-ομαι** დასველება: *βράχηκα καθώς ερχόμουν* გზაში დავსველდი (გზაში გამიწვიმდა).

βρίζω (*აόρ. έβρισα, აόρ. παθ. βρίστηκα, μτχ. βρισμένος*) *μετβ.* ლანძღვა, გინება.

βρικόλακας ο ვამპირი.

βρισιά η ლანძღვა, გინება.

βρισιάρης ο, **-α** η მაგინებელი, მლანძღველი.

βρίσιμο το (ეინმეს) ლანძღვა, გინება.

βρίσκω (*აόρ. βρήκα, μελλ. θα βρω, აόρ. παθ. βρέθηκα*) *μετβ.* **1.** პოვნა, ნახვა; **2.** მიჩნევა, ფიქრი (ფიქრობს), პგონია: *δεν το ~ σωστό* ეს სწორად არ მიმაჩნია; **3.** გამოცნობა, ამოხსნა: *~ το αίνιγμα* გამოცანის გამოცნობა; **4.** შოვნა, მონახვა, შერჩევა: *του βρήκαν ένα παλτό που του άρεσε* ის პალტო უშოვნეს, რომელიც მას მოსწონდა; **-ομαι 1.** ყოფნა, მდებარეობა, აღმოჩენა, მოხვედრა (საღმე): *το Υπουργείο ~εται στο κέντρο της πόλης* სამინისტრო ქალაქის ცენტრში მდებარეობს; **2.** შეხვედრა: *~ονται κρυφά* ჩუმად ხვდებიან ერთმანეთს; ◊ *βρήκε το μπελά του* ხათაბალაში გაება.

βρογχίτιδα η *მედ.* ბრონქიტი.

βρογχοκήλη η *მედ.* ჩიყვი.

βρόμα (βρώμα) το **1.** სიმყრალე, ცუდი სუნი; **2.** უსუფთაობა, სიბინძურე; ◊ *χαρτ. βγήκε ~* ამბავი გასკდა.

βρομιά η **1.** მყრალი სუნი; **2.** სიბინძურე, უსუფთაობა; **3.** *გადატ.* სისაძაგლე, საზიზღრობა.

βρομιάρης, -α, -ικο 1. ბინძური, უსუფთაო; **2.** საძაგელი, უნამუსო.

βρομίζω (*აόρ. βρόμισα, აόρ. παθ. βρομίστηκα, μτχ. βρομισμένος*) *μετβ., αμετβ.* აყროლება: *βρόμισαν τα ψάρια / τα φρούτα* თევზი / ხილი აყროლდა.

βρόμικος, -η, -ο 1. ჭუჭყიანი, დასერილი, დაბინძურებული; **2.** *გადატ.* უზნეო, უნამუსო, ბინძური: *κάνεις ~ες δουλειές* ბინძურ საქმეებს აკეთებს.

βρομώ (α) (*აόρ. βρόμησα*) *αμετβ.* ცუდი სუნის დაყენება: *~άει τσιγαρίλα* სიგარეტის სუნი დგას.

βροντερός, -ή, -ό მქუხარე, მჭექარე.

βροντή η ქუხილი.

βροντοφωνάζω (*აόρ. βροντοφώναξα*) *αμετβ.* ხმამაღლა ლაპარაკი, ყვირილი.

βροντοχτυπώ (α) (*აόρ. βροντοχτύπησα*) *αμετβ., μετβ.* ბრახუნი, რახა-რუხი.

βροχερός, -ή, -ό წვიმიანი: *καιρός / μήνας ~* წვიმიანი ამინდი / თვე.

βροχή η წვიმა.

βροχόπτωση η წვიმის მოსვლა: *προβλέπονται ~ώσεις* წვიმებია მოსალოდნელია.

βρύο το ხავსი.

βρύση η **1.** წყარო; **2.** ონკანი (წყლის): *νερό της ~ης* ონკანის წყალი.

βυζαίνω (*αόρ. βύζαξα, αόρ. παθ. βυζάχτηκα, μτχ. βυζαγμένος*) *μετβ.* ძუძუს წოვა: *το μωρό ~ει τη μάνα του* ჩვილი დედის ძუძუს წოვს.

βυθίζω (*αόρ. βύθισα, αόρ. παθ. βυθίστηκα μτχ. βυθισμένος*) *μετβ.* **1.** ჩაძირვა; **2.** ჩასობა, ჩარჭობა, ჩაცემა: *βύθισε το μαχαίρι στο στήθος του* მკერდში დანა ჩასცა.

βυθός ο ფსკერი, ძირი (ზღვის, მდინარის, ტბის).

βυσσινής, -ιά, -ί ალუბლისფერი.

βυσσινιά η ალუბლის ხე.

βωμός ο **1.** სამსხვერპლო; **2.** საკურთხეველი.

βώτριδα η ჩრჩილი.

Γ

Γ, γ, γάμα 1. ღამა, ბერძნული ანბანის მესამე ასო; 2. რიცხვითი ნიშანი: ა) სამი, მესამე (*Γ´*), ბ) სამი ათასი (*͵Γ*).

γαβγίζω (γαυγίζω) (*აόρ. γάβγισα*) *μετβ.* ყეფა.

γάβγισμα (γαύγισμα) το ყეფა.

γάγγραινα η *მედ.* განგრენა.

γάζα η მარლა, დოლბანდი.

γαζί το გვირისტი, ნაკერი, ნაწიბური.

γαζώνω (*აόρ. γάζωσα, აόρ. παθ. γαζώθηκα, μτχ. γαζωμένος*) *μετβ.* კერვა (საკერავი მანქანით), დაგვირისტება.

γάιδαρος ο **(γαϊδούρι** το) 1. ვირი, სახელარი; 2. *გადატ., კოც.* უზრდელი, უხეში, ხეპრე ადამიანი.

γαϊδουριά η ვირული, უხეში საქციელი.

γαϊδουρομούλαρο το ჯორი.

γαιοκτήμονας ο მიწათმფლობელი, მემამულე.

γάλα το (*γεν. γάλακτος*) რძე.

γαλάζιος, -α, -ο (γαλανός) ცისფერი.

γαλακτερός, -ή, -ό 1. მეწველი: *γίδα ~ή* მეწველი თხა; 2. რძიანი (მცენარე); 3. რძისფერი.

γαλακτοπωλείο (γαλατάδικο) το რძის პროდუქტების მაღაზია.

γαλάκτωμα το 1. *ქიმ.* ემულსია; 2. *პარფ.* კოსმეტიკური რძე.

γαλανόλευκος, -η, -ο ცისფერ და თეთრ ფერში (ცისფერი და თეთრი ფერის).

γαλανόλευκη η საბერძნეთის ეროვნული დროშა: *κυματίζει η ~* ფრიალებს საბერძნეთის ეროვნული დროშა.

γαλανομάτης, -α (-ισσα, -ούσα), -ικο ცისფერთვალება.

γαλαξίας ο *ასტრ.* გალაქტიკა.

γαλατάς (γαλακτοπώλης) ο, **-ού** η რძის გამყიდველი (მერძეე).

γαλατομπούρεκο το კრემიანი და ფხვიერი ნამცხვარი.

γαλέρα η გალერა (სამხედრო გემი).

γαλέτα η *ტექ.* ქანჩი, გალეტი.

γαληνεύω (*აόρ. γαλήνεψα, მτχ. γαληνεμένος*) *ამეტ.* მიწყნარება, დამშვიდება.

γαλήνη (γαληνιά) η სიმშვიდე, სიწყნარე: *αυτό το τοπίο μου έφερε ~ στην ψυχή* ამ პეიზაჟმა სულიერი სიმშვიდე მომგვარა.

γαλόνι το გალონი (სითხის საზომი ერთეული).

γάλος ο, **γαλοπούλα** η ინდაური.

γαλότσα (γαλότζα, γαλόσσα) η კალოში.

γαλουχώ (*აόρ. γαλούχησα, აόρ. παθ. γαλουχήθηκα, მτχ. γαλουχημένος*) **1.** გამოკვება, დედის რძით გამოზრდა; **2.** *გადატ.* აღზრდა, განათლების მიცემა.

γαμήλιος, -α, -ο საქორწილო, საქორწინო: *τελετή / τούρτα ~α* საქორწილო რიტუალი.

γάμος ο ქორწინება, ქორწილი; ◊ *~ θρησκευτικός / πολιτικός / εικονικός* საეკლესიო / სამოქალაქო / ფიქტიური ქორწინება.

γάμπα η წვივი, კანჭი.

γαμπρός ο საქმრო, სასიძო, სიძე.

γαμψός, -ή, -ό მრუდე, მოღუნული.

γαμψότητα η სიმრუდე, მოღრეცილობა.

γαμώ (*აόρ. γάμησα, აόρ. παθ. γαμήθηκα, მτχ. γαμημένος*) სქესობრივი კავშირის დამყარება; ◊ *χαρτ. γάμησέ τα!* დაიკიდე! *άντε γαμήσου!* აუცეი!

γάντζος ο კაკი, კაკვი.

γαντζώνω (*აόρ. γάντζωσα, აόρ. παθ. γαντζώθηκα, მτχ. γαντζωμένος*) *ამეტ.* გამოდება, წამოდება: *γαντζώθηκε το φόρεμα στο σύρμα* კაბა მავთულს გამოედო.

γάντι το ხელთათმანი.

γανώνω (*აόρ. γάνωσα, აόρ. παθ. γανώθηκα, მτχ. γανωμένος*) *მეტ.* მოკალვა.

γαργάλημα το **(γαργάλισμα** το, **γαργαλισμός** ο) ღიტინი, ღუტუნი.

γαργαλώ (α) (γαργαλεύω) (*აόρ. γαργάλησα, აόρ. παθ. γαργαλήθηκα*) *მეტ.* ღიტინი, ღუტუნი.

γαργάρα η გამოვლება (ყელში, პირში).

γαρδένια (γαρδενία) η *ბოტ.* ხეკარდი.

γαρίδα η *ზოოლ.* კრევეტი.

γαρίφαλο (γαρούφαλο, γαρύφαλο) το მიხაკი.

γαρνίρισμα το გარნირება.

γαρνίρω (*აόρ.γαρνίρισα, მτχ. γαρνιρισμένος*) *მეტ.* გარნირება: *~ το φαγητό* საჭმელს გარნირს ვურთავ.

γαστρεντερίτιδα η *მედ.* კუჭ-ნაწლავის ანთება.

γαστρικός, -ή, -ό მუცლის, კუჭის; ◊ *~ό υγρό* კუჭის წვენი.

γαστρίτιδα η *მედ.* გასტრიტი.

γαστρονομία η გასტრონომია.

γάτα η კატა.

γατίσιος, -α, -ο კატის: *μάτια / νύχια ~ια* კატის თვალები / ბრჭყალები.

γάτος ο კატა (ხვადი).

γαύρος ο *ზოოლ.* ქაფშია, ქამსა.

γδάρσιμο το **1.** გატყავება; **2.** გადატყავება, გადაყვლეფა: *τα πόδια του γέμισαν ~ατα* ფეხები სულ გადაყვლეფილი აქვს.

γδέρνω (*აόρ. έγδαρα, აόρ. παθ. γδάρθηκα, მτχ. γδαρμένος*) *მეტ.* **1.** გატყავება; **2.** გადატყავება, გაყვლეფა: *έπεσε και έγδαρε τους αγκώνες του* დაეცა და იდაყვები გადაიტყავა; ◊ *θα σε γδάρω!* ტყავს გაგაძრობ!

γδύνω (*აόρ. έγδυσα, აόρ. παθ. γδύθηκα, მτχ. γδυμένος*) *მეტ.* **1.** ტანთ გახდა, გაშიშვლება: *έγδυσε το παιδί* ბავშვს ტანთ გახადა; *გადატ.* **2.** გაყვლეფა: *η Ευρώπη τον έγδυσε*

იგი საგადასახადო ინსპექციამ გაყვლიფა; **-ομαι** ვიხდი, ეშიშვლდები: *γδύθηκε και μπήκε στο ντους* გაშიშვლდა და შხაპის მისაღებად შევიდა.

γδύσιμο το ტანთ გახდა, გაშიშვლება.

γεγονός το ამბავი, მოვლენა, ფაქტი.

γεια η/το *ხალხ.* (*ძირითადად ეპიფών.*) გამარჯობა, ნახვამდის (მეგობრული სალამი): ~ *σου, τι κάνεις;* გამარჯობა, როგორ ხარ? ~ *μας* გაგვიმარჯოს (სადღეგრძელო), ~ *σου!* იღღეგრძელე, იცოცხლე!

γείτονας ο (γειτόνισσα η) მეზობელი.

γειτονεύω (γειτνιάζω) (*აόρ. γειτόνεψα*) *αμετβ.* **1.** მეზობლობა, ახლოში ყოფნა: *τα σπίτια μας ~ουν* ჩვენი სახლები ერთმანეთთან ახლოსაა; **2.** ესაზღვრება, ემიჯნება: *η Ελλάδα ~ει με την Τουρκία* საბერძნეთი ესაზღვრება თურქეთს.

γειτονιά η სამეზობლო, კვარტალი, უბანი.

γειτονικός, -ή, -ό მეზობელი, მეზობლის.

γελαστός, -ή, -ό მომღიმარი.

γελέκι (γελέκο, γιλέκο) το ჟილეტი.

γέλιο το სიცილი.

γελοιογραφία η **(γελοιογράφημα** το) კარიკატურა, შარჟი.

γελοιογράφος ο კარიკატურისტი.

γελοιοποίηση η დაცინება, გამასხარავება.

γελοιοποιώ (ε) (*აόρ. γελοιοποίησα, αόρ.παθ. γελοιοποιήθηκα, μτχ. γελοιοποιημένος*) *μετβ.* დაცინება, გამასხარავება.

γελοίος, -α, -ο 1. სასაცილო: *εμφάνιση / όψη ~α* სასაცილო შესახედაობა; **2.** დასაცინი: *άνθρωπος ~* დასაცინი ადამიანია.

γελώ (α) (*αόρ. γέλασα, αόρ. παθ. γελάστηκα, μτχ. γελασμένος*) *αμετβ.* სიცილი; *μετβ.* **1.** დაცინება, გამასხარავება: *όλοι ~ούν μαζί του* ყველა მას დასცინის; **2.** მოტყუება, გაცურება: *αν δε με ~ούν τα μάτια* თვალები თუ არ მატყუებს.

γεμάτος, -η, -ο სავსე: *~οι δρόμοι* სავსე ქუჩები, *~η αίθουσα* სავსე დარბაზი.

γεμίζω (γιομίζω) (*αόρ. γέμισα, μτχ. γεμισμένος*) *μετβ., αμετβ.* ავსება, გავსება, შევსება: ~ *το ποτήρι με νερό* ჭიქას წყლით ვავსებ, ~ *πίκρα / χαρά* მწუხარებით / სიხარულით ვიავსები.

γέμιση η **(γέμισμα** το) **1.** ფარში, შიგთავსი; **2.** შევსება, ავსება, გავსება.

γεμιστός, -ή, -ό გამოტენილი, ფარშირებული: *πιπεριές ~ές* ფარშირებული წიწაკა, *κοτόπουλο ~ό* ფარშირებული ქათამი.

Γενάρης ο *ხალხ.* იანვარი.

γενεαλογία η გენეალოგია.

γενεαλογικός, -ή, -ό გენეალოგიური.

γενέθλια τα დაბადების დღე.

γενέθλιος, -α, -ο დაბადების, მშობლიური: *~α πόλη / γη* მშობლიური ქალაქი / მიწა.

γενειοφόρος, -α/-ος, -ο წეროსანი.

γενέτειρα η მშობლიური მხარე, დაბადების ადგილი.

γενετήσιος, -α, -ο სქესობრივი, სასქესო, სექსუალური: *ένστικτο ~ο* სქესობრივი ინსტინქტი.

γενετική η გენეტიკა.

γενετικός, -ή, -ό გენეტიკური.

γένι το წვერი.

γενιά (γενεά) η **1.** გვარი, საგვარეულო: *αριστοκρατική / βασιλική ~* არისტოკრატული / მეფის გვარი; **2.** თა

ობა: *η ~ του '60* 60-იანი წლების თაობა.

γενικά (γενικώς) *επίρρ.* საერთოდ, საყოველთაოდ, ზოგადად: *είναι ~ώς παραδεκτό* საყოველთაოდ მისაღებია.

γενίκευση η განზოგადება, გავრცობა: *~ της συζήτησης* მსჯელობის განზოგადება.

γενικεύω (*აόρ. γενίκευσα, აόρ. παθ. γενικεύτ(θ)ηκα, μτχ. γενικευμένος*) *μετβ.* განზოგადება; **-ομαι** საყოველთაო, საზოგადო ხდება: *γενικεύτηκε η χρήση ηλεκτρονικών υπολογιστών* კომპიუტერები საზოგადო ხმარებაში შევიდა.

γενική η *γραμ.* ნათესაობითი ბრუნვა.

γενικός, -ή, -ό 1. საერთო, საზოგადო, საყოველთაო: *~ές αρχές* ზოგადი პრინციპები, *αμνηστία / απεργία ~ή* საყოველთაო ამნისტია / გაფიცვა; 2. გენერალური, მთავარი: *~ γραμματέας / διευθυντής* გენერალური მდივანი / დირექტორი.

γέννα η მშობიარობა.

γενναιοδωρία η გულუხვობა, ხელგაშლილობა.

γενναιόδωρος, -η, -ο გულუხვი, ხელგაშლილი.

γενναιόκαρδος, -η, -ο გულადი, მამაცი.

γενναίος, -α, -ο ვაჟკაცი, მამაცი, გულადი: *~α ψυχή* ვაჟკაცური სული; **γενναία** *επίρρ.* ვაჟკაცურად, მამაცურად, შეუპოვრად.

γενναιότητα η ვაჟკაცობა, მამაცობა, მხნეობა.

γενναιόψυχος, -η, -ο ვაჟკაცი, მამაცი, გულადი, შეუპოვარი.

γέννηση η 1. მშობიარობა, გაჩენა, შობა, დაბადება: *έτος / τόπος ~εως* დაბადების წელი / ადგილი; 2. *რელიგ.* შობა.

γεννητικός, -ή, -ό სასქესო, სქესობრივი: *~ όργανα* სასქესო ორგანოები.

γεννητικότητα η შობადობა.

γεννήτρια η *ტექ.* გენერატორი.

γεννώ (α) (*αόρ. γέννησα, αόρ.παθ. γεννήθηκα, μτχ. γεννημένος*) *μετβ.* დაბადება, შობა, გაჩენა: *η γυναίκα του γέννησε κορίτσι* მისმა ცოლმა გოგონა გააჩინა; **-ιέμαι** გაჩენა, დაბადება: *γεννήθηκα το 1970* დავიბადე 1970-ში; ◊ *όπως τον / την γέννησε η μάνα του / της* დედიშობილა.

γενοκτονία η გენოციდი.

γένος το 1. ჩამომავლობა, წარმომავლობა, მოდგმა, გვარი: *βασιλικό ~* მეფის ჩამომავლობა; 2. ეროვნება, ერი: *ελληνικό / γεωργιανό ~* ბერძენი / ქართველი ერი; 3. *ბიოლ.* სქესი: *~ αρσενικό / θηλυκό* მამრობითი / მდედრობითი სქესი.

γερά *επίρρ.* ღონიერად, მძლავრად, ძლიერად.

γεράκι το შევარდენი, ქორი.

γεράματα τα **(γερατειά** η) სიბერე, მოხუცებულობა.

γεράνι το *ბოტ.* ნემსიწვერა.

γερανός ο **I** *ზოოლ.* წერო.

γερανός ο **II** 1. ამწე: *~ ηλεκτρικός* ელექტროამწე.

γέρικος, -η, -ο ბებერი, მოხუცი.

Γερμανός ο, **Γερμανίδα** η გერმანელი.

γέρνω (*αόρ. έγειρα, μτχ. γερμένος*) *μετβ., αμετβ.* 1. დახრა, დაღუნვა, დაწევა: *~ το κεφάλι / τους ώμους* თავს / მხრებს ეხრი, *έγειρε η βάρκα* ღობემ დაიწია; 2. მზის ჩასვლა: *περίμενε να γείρει πρώτα ο ήλιος* მოი-

ცადე, ჯერ მზე ჩავიდეს; **3.** შეხება, მიკრძნობა: *έγειρε στο ώμο του* მის მხარს მიეყრდნო.

γερνώ (α) (*აόρ γέρασα, მτχ. γερασμένος*) *ამეტბ.* დაბერება, მოხუცება: *γέρασε πριν (απ')την ώρα του* ნააღრევად დაბერდა.

γεροδεμένος, -η, -ο ძლიერი, ბრგე, ახოვანი.

γέροντας ο, **-ισσα** η მოხუცი, ბებერი.

γεροντικός, -ή, -ό მოხუცებულობის, ბებრული: *ηλικία ~ή* მოხუცებულობის ასაკი.

γεροντοκόρη η **(γεροντοκόριτσο** το) შინაბერა.

γέρος ο ბერიკაცი, მოხუცი.

γερός, -ή, -ό 1. ჯანმრთელი, ჯანსაღი: *δόντια ~ά* ჯანსაღი კბილები; **2.** მაგარი, გამძლე: *~ό ύφασμα / θεμέλιο* გამძლე ქსოვილი / მყარი ფუნდამენტი.

γερουσία η სენატი.

γερουσιαστής ο სენატორი.

γεύμα (γέμα, γιόμα) το სადილი.

γευματίζω (*აόρ. γευμάτισα*) *ამეტბ.* სადილობა.

γεύομαι (*აόρ. γεύτηκα*) *ამეტბ., აποθ.* **1.** გასინჯვა, გემოს გაგება; **2.** სადილობა; **3.** *გადატ.* განცდა: *~ την ήττα* დამარცხებას განვიცდი; **4.** *ეკლ.* ზიარების მიღება.

γεύση η გემო: *~ πικρή* მწარე გემო.

γευστικός, -ή, -ό 1. გემრიელი; **2.** გემოენების, გემოენებითი.

γέφυρα η **(γεφύρι** το) ხიდი.

γεφύρωμα το **(γεφύρωση** η) **1.** ხიდი; **2.** *გადატ.* შეერთება, დაახლოება.

γεφυρώνω (*აόρ. γεφύρωσα, აόρ. παθ. γεφυρώθηκα, მτχ. γεφυρωμένος*) **1.** ხიდის აგება; **2.** *გადატ.* შეერთება, დაახლოება.

γεωγραφία η გეოგრაფია.

γεωγράφος ο გეოგრაფი.

γεωδαισία η გეოდეზია.

γεωλογία η გეოლოგია.

γεωλόγος ο გეოლოგი.

γεωμετρία η გეომეტრია.

γεωπονία (γεωπονική) η აგრონომია.

γεωπόνος ο აგრონომი.

γεωργία η მიწათმოქმედება.

Γεωργιανός ο, **-ή** η ქართველი.

γεωργιανός, -ή, -ό ქართული: *~ή γλώσσα* ქართული ენა.

γεωργικός, -ή, -ό მიწათმოქმედების, სოფლის მეურნეობის.

γεωργός ο გლეხი, მიწათმოქმედი.

γεώσφαιρα η **1.** გეოსფერო; **2.** გლობუსი.

γη η **1.** დედამიწა; **2.** მიწა, ხმელეთი; **3.** ნიადაგი: *εύφορη ~* ნოყიერი ნიადაგი.

γήινος, -η, -ο 1. დედამიწის; **2.** *გადატ.* მიწიერი, ამქვეყნიური: *~ κόσμος* მიწიერი სამყარო.

γήπεδο το სტადიონი, მოედანი: *ποδοσφαιρικό ~* ფეხბურთის მოედანი.

γήρας το (*მხოლოდ ενικ. γεν. γήρατος*) სიბერე: *πρόωρο ~* ნააღრევი სიბერე.

γηροκομείο το მოხუცთა თავშესაფარი.

γηροκομώ (*აόρ. γηροκόμησα, აόρ. παθ. γηροκομήθηκα, მτχ. γηροκομημένος*) მოხუცების მოვლა.

για *προθ.* **1.** -თვის: *το έκανα ~ σένα* შენთვის გავაკეთე; **2.** -ში (მიმართულების აღნიშვნისას): *φεύγω ~ Αθήνα* ათენში მივემგზავრები; **3.** -ზე: *~ ποιον τα λες;* ვისზე ამბობ? **4.** შესახებ: *τι ξέρεις ~ την υπόθεση;* რა იცი საქმის შესახებ? **5.** გამო: *γι'αυτό* ამის გამო, ამიტომ; **6.** ნაცვლად (მონაცვლეობის, ჩანაცვლების

აღნიშვნისას): *θα πάω εγώ ~ σένα* მე წავალ შენს ნაცვლად; **7.** *όσο ~...* რაც შეეხება...; **8.** თუ: *εγώ ~ εσύ;* მე თუ შენ? **9.** *გით. ბრუნ. ნიშანი* -აღ: *τον πήραν ~ κλέφτη* ქურდად მიიჩნიეს; **10.** *ნათ. ბრუნ. ნიშანი* -ით: *έρχεται ~ ένα μήνα* ერთი თვით ჩამოდის; **11.** *για να..* იმისათვის, რომ.... იმიტომ, რომ... რადგან.... რათა...; **12.** *მძრ.* აბა, ერთი: *~ τόλμα και θα δεις!* აბა, გაბედე და ნახავ!

γιαγιά ი ბებია.

γιακάς ო საყელო.

γιαλός ო (**γιαλό** το) სანაპირო: *~ό ~ό* ნაპირ-ნაპირ.

γιαμιάς *επίρρ.* უცებ, ერთბამად.

γιαούρτι το იოგურტი.

γιαπί το მშენებარე სახლის ჩონჩხი, კარკასი.

γιαπωνέζικος, -η, -ο იაპონური, იაპონიის.

γιασεμί το ჯასმინი.

γιατί **1.** რატომ: *~ δε μου απαντάς;* რატომ არ მპასუხობ? **2.** იმიტომ: *άργησα ~ με πήρε ο ύπνος* დამაგვიანდა, რადგან ჩამეძინა.

γιατρειά ი (**γιάτρεμα** το) მკურნალობა: *δεν έχει ~* უკურნებელია.

γιατρεύω (*აόր. γιάτρεψα, აόր. παθ. γιατρεύτηκα, მτχ. γιατρεμένος*) *μετβ.* მკურნალობა.

γιάτρισσα (γιάτραινα) ი **1.** ექიმის ცოლი; **2.** ექიმი ქალი.

γιατρός ო/ი ექიმი.

γιαχνί το *კულინ.* რაგუ, შემწვარ-მოხრაკული.

γίγαντας (γίγας) ო, **-ισσα** ი **1.** გიგანტი, გოლიათი; **2.** გიგანტური ლობიოს ნაირსახეობა.

γίδα ი თხა.

γιλέκο το ჟილეტი.

γινάτι το **1.** სიჯიუტე; **2.** გაბრაზება, გულის მოსვლა: *τον έχω ~* მასზე გაბრაზებული ვარ.

γίνομαι (*აόр. έγινα (γίνηκα), მτχ. γινωμένος*) *αποθ.* **1.** წარმოქმნა, შექმნა, წარმოშობა: *από τότε που έγινε ο κόσμος* მას შემდეგ, რაც სამყარო შეიქმნა; **2.** განხორციელება, ჩატარება: *το συνέδριο δεν έγινε* კონფერენცია არ ჩატარდა; **3.** გახდომა, გადაქცევა: *~ δάσκαλος* მასწავლებელი ვხდები; **4.** გაზრდა, მომწიფება: *όταν γίνουν τα σταφύλια* როცა ყურძენი დამწიფდება; **5.** მოხდომა, შემთხვევა: *τι έγινε;* რა მოხდა?

γινόμενο το *მათ.* ნამრავლი.

γιορτάζω (*აόр. γιόρτασα*) *αμετβ., μετβ.* დღესასწაული, ზეიმი: *μετά την μεγάλη νίκη όλη η χώρα ~ει* დიდი გამარჯვების შემდეგ მთელი ქვეყანა ზეიმობს.

γιορταστικός, -ή, -ό (γιορτινός) სადღესასწაულო, საზეიმო: *~ή διάθεση* სადღესასწაულო განწყობილება.

γιορτή ი ზეიმი, დღესასწაული.

γιος ო ვაჟი.

γιοτ το *άκλ.* იახტა.

γιουβέτσι (γκιουβέτσι) το **1.** თონეში შესადები თიხის ჭურჭელი; **2.** თონეში, თიხის ჭურჭელში შემწვარი ან მოხარშული ხორცის კერძი.

γιουχαΐζω (*აόр. γιουχάισα*) **1.** სტვენა; **2.** "შშ"-ს თქმით გაჩუმება.

γιρλάντα ი გირლანდა, ყვავილწნული.

γκαβός, -ή, -ό ელამი.

γκαβώνω (*აόр. γκάβωσα, აόр. παθ. γκαβώθηκα, მτχ. γκαβωμένος*) *μετβ.* დაელმება; **-ώνομαι** დაბრმავება:

~ώθηκε και δε διακρίνει τίποτα დაბრმაედა და ვერაფერს არჩევს.

γκάζι το გაზი.

γκαζιέρα η გაზქურა.

γκαλερί το *άκλ.* გალერეა.

γκαμπαρντίνα η საგაზაფხულო პალტო.

γκαράζ το *άκλ.* ავტოფარეხი.

γκαρίζω (*αόρ. γκάρισα*) ყროყინი.

γκαρνταρόμπα η გარდერობი.

γκαρσόν(ι) το ოფიციანტი.

γκαρσονιέρα η ერთოთახიანი ბინა.

γκάστρωμα το დაფეხმძიმება.

γκαστρώνω (*αόρ. γκάστρωσα, αόρ. παθ. γκαστρώθηκα, μτχ. γκαστρωμένος*) *μετβ., ϐαλϐ.* დაფეხმძიმება.

γκάφα η წარუმატებლობა, შეცდომა, ლაფსუსი: *κάνω ~* შეცდომას ვუშვებ.

γκέτ(τ)ο το *ιδιωμ.* გეტო.

γκλίτσα η მწყემსის ჯოხი.

γκολ το გოლი: *βάζω ~* გოლის გატანა.

γκόμενος ο, **γκόμενα** η *χαρτ.* საყვარელი, ნაშა.

γκραβούρα η გრავიურა.

γκρεμίζω (*αόρ. γκρέμισα, αόρ. παθ. γκρεμίστηκα, μτχ. γκρεμισμένος*) *μετβ.* ვანგრევ: *γκρέμισαν το παλιό σπίτι* ძველი სახლი დაანგრიეს; **-όμαι** 1. ვინგრევი, ვიმსხვრევი: *γκρεμίστηκαν τα παιδικά του όνειρα* დაიმსხვრა მისი ბავშვობის ოცნებები; 2. ვიჩეხები: *δεν μπόρεσε να ελέγξει το αυτοκίνητο και γκρεμίστηκε από το βράχο* ვეღარ შეძლო საჭის დამორჩილება და კლდიდან გადაიჩეხა.

γκρέμισμα το 1. ნგრევა; 2. (τα) ნანგრევები.

γκρεμός ο უფსკრული.

γκρι (γκρίζος) το *άκλ.* ნაცრისფერი.

γκριζομάλλης, -α, -ικο ჭაღარათმიანი.

γκριμάτσα η გრიმასი: *κάνω ~ες* სახეს ვმანჭავ.

γκρίνια (γρίνια) η ბუზღუნი, წუწუნი.

γκρινιάζω (γρινιάζω) (*αόρ. γκρίνιασα*) *αμετβ.* ბუზღუნი, წუწუნი: *μην ~εις!* ნუ ბუზღუნებ!

γκρινιάρης, -α, -ικο (γρινιάρης) (*πληθ. -ηδες*) ბუზღუნა, წუწუნა.

γλάρος ο თოლია.

γλάστρα η ქოთანი.

γλαύκα η ბუ.

γλαυκός, -ή, -ό *მაღალფ.* 1. ცეისფერი; 2. ბრწყინვალე, კამკამა.

γλαύκωμα το *მედ.* გლაუკომა (თვალის).

γλαφυρός, -ή, -ό დახვეწილი, სასიამოვნო: *~ ομιλητής* სა-სიამოვნო მოსაუბრე.

γλειφιτζούρι το შაქარყინული, ჯოხზე წამოცმული საწუწნი კანფეტი.

γλείφτης ο, **-τρα** η პირმოთნე, მლიქვნელი, ლაქია.

γλείφω (*αόρ. έγλειψα, αόρ. παθ. γλείφτηκα, μτχ. γλειμμένος*) *μετβ.* 1. ლოკვა, წუწნა: *~ει τα χείλη* ტუჩებს ილოკავს, *~ την καραμέλα* კარამელს ვწუწნი; *χαλαρ.* 2. პირფერობა, მლიქვნელობა: *~ουν τον διευθυντή* დირექტორს ეპირფერებიან.

γλεντζές ο, **γλεντζού** η მომლხენი, მოქეიფე, მხიარული.

γλέντι το ქეიფი, დროს ტარება.

γλεντώ (α) (*αόρ. γλέντησα*) *αμετβ.* ქეიფი, დროსტარება: *χθες γλέντησαν ως τα ξημερώματα* გუშინ გათენებამდე იქეიფეს.

γλιστερός, -ή, -ό გლუვი, გადატკეცილი, სრიალა, მოლიპული.

γλίστρημα το მოცურება, მოსრიალება: *έφαγα ένα ~* მოვსრიალდი.

γλιστρώ (α) (*αόρ. γλίστρησα*) *αμετβ.* **1.** მოცურება, მოსრიალება: *γλίστρησα στο χιόνι* თოვლში მოვცურდი; **2.** დასხლტომა, გამოძრომა: *το σαπούνι γλίστρησε από το χέρι μου* საპონი ხელიდან გამისხლტა.

γλίτωμα το **(γλύτωμα** το, **γλιτωμός, γλυτωμός** ο) ხსნა, განთავისუფლება, საშველი; ◊ *δεν έχει ~ό* უიმედო მდომარეობაშია (ავადმყოფზე).

γλιτώνω (γλυτώνω) (*αόρ. γλύτωσα*) *μετβ.* **1.** ხსნა, გათავისუფლება, შველა: *με γλύτωσε από τον κίνδυνο* საფრთხისგან მიხსნა; **2.** თავის დაღწევა, დახსნა, გათავისუფლება; *αμετβ.* **1.** გადარჩენა: *το πλοίο ναυάγησε και δε γλύτωσε κανείς* გემი ჩაიძირა და ვერავინ გადარჩა.

γλοιώδης, -ης, -ες (*γεν.-ους, πληθ. αρσ. και θηλ. -εις, ουδ. -η*) **1.** ბლანტი, მწებავი, წებოვანი; **2.** ქონიანი, ლიპი.

γλόμπος ο **1.** დიდი ელექტრონათურა; **2.** ლამპის მინა, აბაჟური.

γλουτός ο დუნდულო.

γλύκα (γλυκάδα, γλυκύτητα) η **1.** სიტკბო: *~ του σταφυλιού* ყურძნის სიტკბო; *μεταφ.* **2.** სიტკბო, ნეტარება, სიამოვნება, სინაზე, ხიბლი: *έχει μια ~ το πρόσωπό της* მომხიბლავი სახე აქვს.

γλυκαίνω (*αόρ. γλύκανα, αόρ. παθ. γλυκάθηκα, μτχ. γλυκαμένος*) *μετβ.* **1.** დატკბობა: *~ το γάλα με ζάχαρη* რძეს შაქრით ვატკბობ; **2.** დარბილება, შემსუბუქება (ტკივილის და ა.შ.): *το φάρμακο ~ει τον πόνο* წამალი ტკივილს ამსუბუქებს; *αμετβ.* **1.** დატკბობა: *γλύκαναν τα σταφύλια* ყურძენი დატკბა; **2.** დარბილება, გაუმჯობესება: *~ει ο καιρός* ამინდი უმჯობესდება.

γλυκάνισο το **(γλυκανθής** ο) *ბოტ.* ანისი.

γλυκερίνη η გლიცერინი.

γλυκίζω (*მხოლოდ ενεστ. და παρατατ.*) *αμετβ.* მოტკბო გემოს ქონა: *η σάλτσα ~ει* საწებელას მოტკბო გემო აქვს.

γλύκισμα το ტკბილეული.

γλυκό το *იხ.* **γλύκισμα**; ◊ *~ του κουταλιού* მურაბა.

γλυκόζη η გლუკოზა.

γλυκόξινος, -η, -ο ტკბილ-მჟაე.

γλυκόπικρος, -η, -ο ტკბილ-მწარე.

γλυκόρριζα η *ბოტ.* ძირტკბილა.

γλυκός, -ιά, -ό ტკბილი; ◊ *όνειρα γλυκά!* ტკბილ ძილს გისურვებ!

γλύπτης ο, **-τρια** η მოქანდაკე, მძერწავი.

γλυπτική η სკულპტურა.

γλυφαίνω (*αόρ. γλύφανα*) *μετβ., αμετβ.* გამლაშება, მლაშე გემოს ქონა: *το νερό ~ει* წყალს მლაშე გემო აქვს.

γλυφός, -ή, -ό მლაშე: *το νερό είναι ~ό* წყალი მლაშეა.

γλώσσα η *პირდ., გადატ.* ენა; ◊ *δάγκωσε / φάε / κατάπιε τη γλώσσα σου!* გაჩუმდი, ხმა გაიკმინდე! *μιλάμε άλλη ~* ერთმანეთის არ გვესმის, *κακιές ~ες* ბოროტი ენები.

γλωσσάριο το ლექსიკონი.

γλωσσίδα η **(γλωσσίδι** το) **1.** ენა (ზარის); **2.** ისარი (სასწორის); **3.** *ანატ.* კლეტორი; **4.** ენის ფორმის მქონე საგანი.

γλωσσικός, -ή, -ό **1.** ენის, ენობრივი; **2.** ლინგვისტური.

γλωσσοδέτης ο **(γλωσσοδέτι** το) **1.** სიმუნჯე, ენაბლუობა; **2.** ენის გასატეხი; ◊ *με πιάνει ~* ვმუნჯდები.

γλωσσολογία η ენათმეცნიერება.

γλωσσολόγος ο ენათმეცნიერი, ლინგვისტი.

γνάθος η ყბა.

γνέθω (*αόρ. έγνεσα, αόρ. παθ. γνέστηκα, μτχ. γνε(σ)μένος*) *μετβ.* რთვა.

γνέφω (*αόρ. έγνεψα*) ნიშნის მიცემა, მინიშნება (თვალით, ხელით და ა. შ.): *μού 'γνεψε με το χέρι* ხელით მანიშნა.

γνήσιος, -α, -ο 1. ნატურალური, ბუნებრივი: *~ο δέρμα* ნატურალური ტყავი; 2. ნამდვილი, ნაღდი: *~ φίλος* ნამდვილი მეგობარი; 3. კანონიერი: *είναι ο μόνος ~ κληρονόμος του* ის მისი ერთადერთი კანონიერი მემკვიდრეა; ◊ *~ο χειρόγραφο* დედანი.

γνησιότητα η ბუნებრიობა, ჭეშმარიტება.

γνωμάτευση η 1. ავტორიტეტული აზრი; 2. კონსულტაცია.

γνωματεύω (*αόρ. γνωμάτευσα*) *αμετβ.* 1. ავტორიტეტის მიერ აზრის გამოთქმა; 2. კონსულტაციის გაწევა.

γνώμη η აზრი, შეხედულება: *κατά τη ~ μου* ჩემი აზრით.

γνωμοδότηση η 1. გამოხმაურება; 2. დასკვნა; 3. კონსულტაცია.

γνώμονας ο 1. *ტექ.* კუთხის საზომი; 2. ქვაკუთხედი; 3. მზის საათი; 4. მრიცხველი; 5. *გადატ.* სახელმძღვანელო, ამოსავალი პრინციპი, კანონი.

γνωρίζω (*αόρ. γνώρισα, αόρ. παθ. γνωρίστηκα, μτχ. γνωρισμένος*) *μετβ.* 1. გაცნობა, ინფორმირება: *σας ~ ότι....* გაცნობებთ, რომ.... 2. ცოდნა: *~ κάτι* რაღაც ვიცი; 3. გაცნობა (ნაცნობობა), წარდგენა: *τον ~ από μικρό παιδί* მას ბავშვობიდან ვიცნობ; 4. აღიარება: *~ ότι είμαι ένοχος* ვაღიარებ, რომ დამნაშავე ვარ; 5. ცნობა: *δεν σε γνώρισα* ვერ გიცანი; **-ομαι** 1. გაცნობა; 2. ცნობა, შეცნობა, გამოცნობა: *~εται από μακριά* შორიდან შეიცნობა; ◊ *δεν γνωρίζει ο σκύλος τον αφέντη* ძაღლი პატრონს ვერ ცნობს.

γνωριμία η 1. ნაცნობობა: *έχει μεγάλη ~* დიდი ნაცნობობა ჰყავს; 2. ნაცნობი: *συνάντησα μια παλιά ~ μου* ერთ ჩემს ძველ ნაცნობს შევხვედი; 3. გაცნობა: *κάνω ~ με κάποιον* (ვინმეს) ვიცნობ.

γνώριμος, -η, -ο ნაცნობი: *~ τόπος* ნაცნობი ადგილი.

γνώριμος ο ნაცნობი.

γνώρισμα το ნიშანი: *χαρακτηριστικό ~* დამახასიათებელი ნიშანი.

γνώση η 1. ცოდნა, გაგება, აღქმა: *η ~ της πραγματικότητας* რეალობის აღქმა; 2. (οι) ცოდნა: *πρακτικές ~εις* პრაქტიკული ცოდნა.

γνωστικός, -ή, -ό 1. გონიერი, ბრძნული: *~ό παιδί* გონიერი ბავშვი; 2. შემეცნებითი.

γνωστοποίηση η 1. შეტყობინება, ინფორმირება: *~ νέων στοιχείων* ახალი ამბების შეტყობინება; 2. განცხადება, ანონსი.

γνωστοποιώ (*αόρ. γνωστοποίησα*) *μετβ.* 1. შეტყობინება, ინფორმირება: *σας ~ούμε ότι το αίτημά σας έγινε δεκτό* გატყობინებთ, რომ თქვენი მოთხოვნა მიღებულია; 2. განცხადება.

γνωστός, -ή, -ό ცნობილი: *~ επιστήμονας* ცნობილი მეცნიერი.

γνωστός ο ნაცნობი: *έχω πολλούς ~ούς στην πόλη* ქალაქში ბევრი ნაცნობი მყავს.

γόβα η (**γοβάκι** το) ნავის ფორმის ქალის ფეხსაცმელი.

γοερός, -ή, -ό სამწუხარო, სამგლოვიარო, საწყალობელი: *~ό κλάμα* საწყალობელი ქვითინი.

γόης ο, **-ησσα** η **1.** ჯადოქარი; **2.** მაცდუნებელი.

γοητεία η **(γητεία** η, **γήτευμα** το**)** **1.** მოჯადოება, შელოცვა, დაფიცება; **2.** ხიბლი, მოხიბვლა, ცდუნება: *υποκύπτω στη ~* ცდუნებას ვეძლევი.

γοητευτικός, -ή, -ό მომხიბლავი, მომაჯადოებელი: *~ό βλέμμα* მომაჯადოებელი გამოხედვა.

γοητεύω (γητεύω) (*აόρ. γοήτεψα, აόρ. παθ. γοητεύτηκα, μτχ. γοητευμένος*) *μετβ.* მოხიბლვა, მოჯადოება: *τον γοήτεψε με τα ωραία μάτια της* თავისი მშვენიერი თვალებით მოხიბლა.

γόητρο το ხიბლი, მომხიბვლელობა.

γονατίζω (*აόρ. γονάτισα, μτχ. γονατισμένος*) *μετβ.* **1.** მუხლებზე დაყენება, დაჩოქება; **2.** *გადატ.* დათრგუნვა, დაცემა: *τον γονάτισε ο θάνατος του παιδιού του* შვილის სიკვდილმა დათრგუნა; *αμετβ.* **1.** მუხლებზე დგომა, დაჩოქება: *γονάτισε μπροστά στο εικονοστάσι* იკონოსტასის წინ დაიჩოქა; *გადატ.* **2.** დათრგუნვა, დაცემა: *γονάτισε απ'την αρρώστια* ავადმყოფობისგან დათრგუნა.

γόνατο το **(γόνα** η**)** (*γεν. γονάτου, πληθ. γόνατα*) მუხლი.

γονέας (γονιός) ο **1.** მამა; **2.** (οι) მშობლები: *σέβεται τους γονείς του* თავის მშობლებს პატივს სცემს.

γονίδιο το გენი.

γονικός, -ή, -ό **1.** მშობლიური, მშობლის; **2.** *το ~ό* მშობლიური სახლი; **3.** (οι) მშობლები: *πριν παντρευτούν, έπρεπε να γνωρίσει τα ~ά της* სანამ დაქორწინდებოდნენ, უნდა გაეცნო მისი მშობლები.

γονιμοποίηση η განაყოფიერება: *τεχνητή ~* ხელოვნური განაყოფიერება.

γονιμοποιώ (*αόρ. γονιμοποίησα, αόρ. παθ. γονιμοποιήθηκα, μτχ. γονιμοποιημένος*) *μετβ.* განაყოფიერება, ნაყოფის ჩასახვა.

γόνιμος, -η, -ο **1.** ნაყოფიერი: *~ο έδαφος* ნაყოფიერი მიწა; **2.** *გადატ.* ნაყოფიერი, შედეგის მომცემი: *~η έρευνα / συνεργασία* ნაყოფიერი კვლევა / თანამშრომლობა.

γονιμότητα η **1.** ნაყოფიერება: *~ του εδάφους* მიწის ნაყოფიერება; **2.** პროდუქტიულობა.

γόπα (γώπα) η **1.** *ზოოლ.* ღორჯო; **2.** სიგარეტის ნამწვი.

γορίλλας ο გორილა.

γούβα η ორმო, თხრილი.

γουβιάζω (*αόρ. γούβιασα*) *μετβ.* თხრა.

γουδί το როდინი, ფილი.

γουλιά η ყლუპი: *μια ~ κρασί / τσάι* ერთი ყლუპი ღვინო / ჩაი.

γούνα η ბეწვი, ქურქი.

γουνάδικο (γουναράδικο) το **1.** ბეწვეულის მაღაზია; **2.** ბეწვეულის ფაბრიკა.

γουναράς ο ბეწვეულის მრეწველი.

γουναρικό το ბეწვეული.

γούρι το წარმატება: *φέρνει ~* წარმატება მოაქვს.

γούρικος, -η, -ο (γουρλίδικος) იღბლიანი, წარმატების მომტანი: *~ αριθμός* იღბლიანი ნომერი.

γουρλώνω (*αόρ. γούρλωσα, μτχ. γουρλωμένος*) *μετβ.* თვალების დაჭყეტა, გადმოკარკლა: *~ τα μάτια από έκπληξη* გაოცებისგან თვალებს ვაჭყეტ.

γουρούνι το ღორი.

γουρουνίσιος, -α, -ο ღორის: *~ο κρέας* ღორის ხორცი.

γουρσούζης, -α, -ικο (γρουσούζης) (*πληθ. -ηδες*) თარსი, ცუდი ენერგიის მქონე ადამიანი.

γουρσουζιά (γρουσουζιά) η 1. უბედურება: *τι ~ είναι αυτή!* ეს რა უბედურებაა! 2. ცუდი ნიშანი.

γουρσούζικος, -η, -ο (γρουσούζικος) თარსი.

γουστάρω (*აόρ. γούσταρα*) *μετβ., საუბ.* მოწონება: *ποτέ δεν γούσταρα αυτόν τον άνθρωπο* არასოდეს მომწონდა ეს ადამიანი.

γούστο το გემოვნება: *ντύνεται με ~* გემოვნებით იცვამს; ◊ *καθένας με το ~ του* გემოვნებაზე არ დაობენ, *είναι ζήτημα ~ου* გემოვნების საკითხია.

γοφός ο თეძო, მენჯი.

γραβάτα η ჯალსტუხი.

γραία (γριά) η დედაბერი.

γραίγος (γρέγος) ο *ბალ.* ჩრდილო-აღმოსავლეთის ქარი.

γράμμα το 1. ასო; 2. წერილი; 3. ლიტერატურა, მწერლობა: *~τα και τέχνες* ლიტერატურა და ხელოვნება.

γραμμάριο το გრამი.

γραμματέας (γραμματεύς) ο/η (*πληθ. -είς*) მდივანი: *ιδιαίτερος ~* პირადი მდივანი, *γενικός ~* გენერალური მდივანი.

γραμματεία η 1. სამდივნო; 2. ლიტერატურა: *γαλλική / μεσαιωνική ~* ფრანგული / შუა საუკუნეების ლიტერატურა.

γραμματική η გრამატიკა.

γραμματικός, -ή, -ό გრამატიკული: *~ό λάθος* გრამატიკული შეცდომა.

γραμμάτιο το ვექსილი: *~ άκυρο* გაუქმებული ვექსილი.

γραμματόσημο το საფოსტო მარკა.

γραμμένο (γραφτό) το ბედი, ბედისწერა: *το 'χει το ~ του* ასეთია მისი ბედი.

γραμμή η ხაზი.

γραμμόφωνο το გრამოფონი.

γραμμωτός, -ή, -ό ხაზიანი, დახაზული, ზოლიანი: *~ό χαρτί* დახაზული ფურცელი.

γρανάζι το 1. *ტექ.* კბილანა თვალი; 2. *გადატ.* ხლართი, ქსელი: *μπλέχτηκα στα ~α της γραφειοκρατίας* ბიუროკრატიზმის ქსელში გაეხლართე.

γρανίτα η ხილის ნაყინი.

γρανίτης ο გრანიტი.

γραπτό το 1. საგამოცდო ფურცელი; 2. ნაწერი: *πήρε άριστα στα ~ά* ნაწერში ფრიადი მიიღო.

γραπτός, -ή, -ό 1. წერილობითი: *~ό μνημείο* წერილობითი ძეგლი; 2. დაწერილი, წარწერებიანი: *~ τοίχος* წარწერებიანი კედელი.

γραπώνω (*αόρ. γράπωσα*) *μετβ.* 1. უეცრად, მძლავრად ხელის წაჭერა, ჩაჭერა; 2. დაჭერა: *τον είχαν γραπώσει στο σκοτάδι* ის სიბნელეში დაუჭერიათ.

γρασίδι το ბალახი.

γράσο το მანქანის საცხები ზეთი.

γρατζουνιά (γρατσουνιά η, **γρατζούνισμα, γρατσούνισμα** το) η ნაკაწრი, ნაფხაჭნი.

γρατζουνίζω (γρατσουνίζω) (*აόρ. γρατζούνισα, აόρ. παθ. γρατζουνίστηκα, მτχ. γρατζουνισμένος*) *μετβ.* კაწერა, ფხაჭნა, ჩხაპნა: *η γάτα γρατζούνισε το χέρι της* კატამ ხელი გაუკაწრა.

γραφείο το 1. საწერი მაგიდა; 2. კაბინეტი; 3. ოფისი, ბიურო: *~ δικηγορικό / κηδειών / πληροφοριών* სადენოკატო / დამკრძალაეი / ცნობათა ბიურო.

γραφειοκράτης ο, **-ισσα** η ბიუროკრატი.

γραφειοκρατία η ბიუროკრატია.

γραφειοκρατικός, -ή, -ό ბიუროკრატიული.

γραφή η 1. წერა: *έμαθε ανάγνωση και ~* წერა-კითხვა მეისწავლა; 2. დამწერლობა.

γραφικός, -ή, -ό 1. წერის, წერითი, საწერი: *~ή ύλη* საკანცელარიო ნივთები; 2. მხატვრული, თვალწარმტაცი: *~ό τοπίο* თვალწარმტაცი ადგილი; 3. გრაფიკული.

γραφικότητα η სიმშვენიერე, თვალწარმტაცობა.

γραφίτης ο გრაფიტი.

γραφομηχανή η საბეჭდი მანქანა.

γράφω (*αόρ. έγραψα, αόρ. παθ. γράφτηκα, μτχ. γραμμένος*) *μετβ.* წერა; **-ομαι** ვეწერები: *~ στον κατάλογο* სიაში ვეწერები; ◊ *~ κάποιον στα παλιά μου τα παπούτσια* ფეხებზე მკიდია, *γράφ' το στο μυαλό σου* კარგად დაიმახსოვრე.

γράψιμο το 1. წერა; 2. წერის მანერა.

γρήγορα *επίρρ.* სწრაფად, ჩქარა: *κάνε ~!* იჩქარე! სწრაფად!

γρηγοράδα η სისწრაფე, სიჩქარე.

γρίβας ο რუხი, ლეგა ცხენი.

γρίλια η დარაბა.

γρίπη η გრიპი: *άρπαξα ~* გრიპი მეწეყარა.

γρίπος ο ბადე.

γρίφος ο 1. გამოცანა; 2. რებუსი.

γροθιά η (**γρόνθος** ο) 1. მუშტი; 2. მუშტის კვრა, მჯიღის ცემა.

γρύλος ο 1. ჭრიჭინა; 2. *ტექ.* დომკრატი.

γυάλα η 1. ბოცა, აკვარიუმი; 2. ინკუბატორი.

γυαλάδα η ბზინვა, პრიალი, კრიალი, ელვარება.

γυαλί το მინა, შუშა; ◊ *τα κάνω ~ιά καρφιά* ვამსხვრევ, ვლეწავ.

γυαλίζω (*αόρ. γυάλισα, αόρ. παθ. γυαλίστηκα, μτχ. γυαλισμένος*) *μετβ., αμετ.* პრიალი, ლაპლაპი, ბზინვა: *~ τα παπούτσια / τα ασημικά* ფეხსაცმელს / ვერცხლეულს ვაპრიალებ, *~ουν τα μαλλιά* თმები ბზინავს.

γυάλισμα το გაპრიალება, გაწმენდა.

γυαλιστερός, -ή, -ό ბრწყინვალე, მბზინავი, პრიალა.

γυαλόχαρτο το ზუმფარის ქაღალდი.

γυμνάζω (*αόρ. γύμνασα, αόρ. παθ. γυμνάστηκα, μτχ. γυμνασμένος*) *μετβ.* 1. ვარჯიში, წრთენა: *ο προπονητής ~ει τους αθλητές* მწვრთნელი სპორტსმენებს წრთვნის; 2. სწავლება, გაწაფვა: *~ στην ορθογραφία* ორთოგრაფიას ვასწავლი; **-ομαι** ვარჯიში, წრთენა.

γυμνασιάρχης ο, **-ισσα, (-ίνα)** η გიმნაზიის დირექტორი.

γυμνάσιο το გიმნაზია.

γυμναστήριο το სპორტული დარბაზი.

γυμναστής ο, **-τρια** η ტანმოვარჯიშე.

γυμναστική η ტანვარჯიში, გიმნასტიკა.

γύμνια (**γδύμνια, γυμνότητα**) η სიშიშვლე, სიტიტველე.

γυμνισμός ο ნუდიზმი.

γυμνιστής ο, **-τρια** η ნუდისტი.

γυμνός, -ή, -ό (**γδυμνός**) შიშველი; ◊ *~ό μάτι* შეუიარაღებელი თვალი, *~ή αλήθεια* სრული ჭეშმარიტება.

γυμνώνω (*αόρ. γύμνωσα, αόρ. παθ. γυμνώθηκα, μτχ. γυμνωμένος*) *μετβ.* ეხდი, ეშიშვლებ; **-ομαι** ეშიშვლდები, ტანსაცმელს ეიხდი: *γυμνώθηκε και μπήκε στη θάλασσα* გაშიშვლდა და ზღვაში შევიდა.

γυναίκα η 1. ქალი; 2. მეუღლე, ცოლი.

γυναικάρα η 1. დიდი ტანის, მოსული ქალი; 2. კარგი, ლამაზი ქალი; 3. *ეარგ.* ნაშა.

γυναικάς ο მექალთანე.

γυναικείος, -εία, -είο (γυναικίσιος) ქალის, ქალური: *μοναστήρι ~ο* ქალთა მონასტერი.

γυναικολογία η *მედ.* გინეკოლოგია.

γυναικολόγος ο/η *მედ.* გინეკოლოგი.

γύπας ο *ზოოლ.* თეთრთავა სვავი.

γυρεύω (*აბრ. γύρεψα*) *მეტბ.* ძებნა, ძიება, გამოკვლევა, გამოძიება.

γυρίζω (γυρνώ) (*აბრ. γύρισα, მტრ. γυρισμένος*) *მეტბ., ამეტბ.* **1.** გადაბრუნება, გადატრიალება; **2.** მიბრუნება, მიტრიალება; **3.** დაბრუნება, უკან მიცემა; **4.** ამობრუნება, გადმობრუნება: *γύρισε τα ψάρια στο τηγάνι* ტაფაზე თევზი გადააბრუნა; **5.** აქეთ-იქით ტარება, წაყვანა, სეტიალი; **6.** ~ *ταινία:* ფილმის გადაღება; ◊ *~ τον αρραβώνα* ნიშნობას ვშლი, *~ει στο καλύτερο / στο χειρότερο* უმჯობესდება / უარესდება, *~ την πλάτη σε κάποιον* ზურგს ვაქცევ, *να πας και να μην ~εις* ჯანდაბაში წასულხარ!

γυρισμός ο დაბრუნება.

γυριστός, -ή, -ό მრუდე, არასწორი, მოღრეცილი.

γύρος ο **1.** წრე; **2.** ტრიალი, ბრუნვა; **3.** *სპორტ.* რაუნდი: *τον νίκησε στον πρώτο κιόλας* ~ მას პირველსავე რაუნდში მოუგო; **4.** ღირო (ღორის ან ქათმის ხორცი, რომელიც იწვება ცეცხლზე ტრიალისას).

γυροφέρνω (*აბრ. γυροέφερα*) *ამეტბ.* სეტიალი, ყიალი.

γύρω *επίρρ.* **1.** ირგვლივ, გარშემო: *κάθισαν ~ στο τραπέζι* მაგიდას ირგვლივ შემოუსხდნენ; **2.** დაახლოებით (დროზე, თანხაზე): *~ στα μεσάνυχτα* დაახლოებით შუაღამისას; **3.** დაკავშირებით, შესახებ, თაობაზე: *δε γνωρίζω τίποτε ~ από την υπόθεση* ამ საკითხის თაობაზე არაფერი ვიცი.

γυφτιά η *ხალხ.* **1.** სიბინძურე, უსუფთაობა; **2.** სიძუნწე, წუწურაქობა.

γύφτος ο **-ισσα** η, **-άκι** το *ხალხ.* **1.** ბოშა; **2.** *კოც.* ჭუჭყიანი, ბინძური; **3.** კრიჟანგი, წუწურაქი: *ούτε έναν καφέ δε μας κέρασε ο ~* ყავაზეც კი არ დაგვპატიჟა წუწურაქმა.

γύψινος, -η, -ο თაბაშირის.

γυψοποιός ο თაბაშირის გამომწველი.

γύψος ο თაბაშირი.

γύψωμα το **(γύψωση** η**)** **1.** მობათქაშება; **2.** თაბაშირის დადება.

γυψώνω (*აბრ. γύψωσα, აბრ. παθ. γυψώθηκα, მტრ. γυψωμένος*) *მეტბ.* **1.** მობათქაშება; **2.** თაბაშირის დადება.

γωνία η **1.** კუთხე: *το τετράγωνο έχει τέσσερεις ~ες* ოთხკუთხელს ოთხი კუთხე აქვს; **2.** მოსახვევი, ქუჩის კუთხე: *η ~ της οδού* ქუჩის კუთხე.

γωνιακός, -ή, -ό (γωνιαίος) კუთხისა: *~ό σπίτι / δωμάτιο* კუთხის სახლი / ბინა.



Δ, δ, δέλτα 1. დელტა, ბერძნული ანბანის მეოთხე ასო; 2. რიცხვითი ნიშანი: ა) ოთხი, მეოთხე (*Δ´*), ბ) ოთხი ათასი (*,Δ*).

δαγκάνα η 1. კიბოსებრთა (კიბოსნაირთა) მარწუხები, საცეცები: *~ες του κάβουρα* კიბორჩხალის; 2. *გადატ.* მაშა, საგები, სამტვრევი.

δάγκωμα το 1. კბენა, ჩაკბეჩა; 2. ნაკბილარი, ჩანაკბეჩი.

δαγκωματιά (δαγκαματιά) η ნაკბილარი, ნაკბენი ადგილი.

δαγκωνιά (δαγκανιά) η კბენა, ნაკბილარი, ნაკბენი ადგილი.

δαγκώνω (δαγκάνω) (*აόρ. δάγκωσα, აόρ. παθ. δαγκώθηκα, μτχ. δαγκωμένος*) *μετβ.* 1. ვკბეჩ: *~ το μήλο* ვკბეჩ ვაშლს; 2. ვკბენ: *ποιος σε δάγκωσε στον λαιμό;* ყელზე ვინ გიკბინა? ◊ *~ τα χείλη μου* ტუჩებს ვიკვნეტ, *~ τη γλώσσα μου* ენას კბილს ვაჭერ.

δάδα η (**δαδί** το) ჩირაღდანი, კვარი.

δαδούχος ο მეჩირაღდნე.

δαίδαλος ο ლაბირინთი.

δαιδαλώδης, -ης, -ες (*γεν.-ους. πληθ. αρσ. და θηλ. -εις, ουδ. -η*) რთული, აწეწილი, დახლართული: *~ υπόθεση* არეულ-დარეული, დახლართული საქმე.

δαίμονας (δαίμων) ο დემონი, ეშმაკი, სატანა; ◊ *έχει τον ~α μέσα του* მასში დემონს დაუსადგურებია.

δαιμονικός, -ή, -ό დემონური, სატანური, ეშმაკეული.

δαιμόνιο το 1. ეშმაკეული, ბოროტი, ავი სული, დემონი; *გადატ.* 2. მოუსვენარი, დაუდეგარი, დაუდგრომელი ბავშვი, ეშმაკუნა: *δεν κάθεται ούτε μια στιγμή το ~!* ერთი წუთიც კი ვერ ისვენებს ეს ეშმაკუნა! 3. ნიჭი, ნიჭიერება, გენიალურობა: *ποιητικό ~* პოეტური ნიჭი.

δαιμόνιος, -α, -ο 1. დემონური, სატანური, ეშმაკეული; 2. *გადატ.* შესანიშნავი, არაჩვეულებრივი, გენიალური: *~ σκηνοθέτης* გენიალური რეჟისორი.

δαιμονισμένος, -η, -ο 1. ეშმაკით, ავი სულებით ძლეული, ეშმაკეული: *ο εξορκισμός ~ου* ეშმაკეულის შელოცვა; 2. შეშლილი, გიჟი, გადარე-

ული; 3. გაბრაზებული, განრისხებული, თავშეუკავებელი.

δάκρυ (δάκρυο) το ცრემლი; ◊ *κροκοδείλια ~α* ნიანგის ცრემლები.

δακρυγόνος, -ος, -ο 1. საცრემლე: *~οι αδένες* საცრემლე ჯირკვლები; 2. ცრემლსადენი: *~α αέρια* ცრემლსადენი გაზი.

δακρύζω (*აόρ. δάκρυσα, მτχ. δακρυσμένος*) *αμετβ.* 1. აცრემლება, ცრემლის მორევა: *δάκρυσαν τα μάτια μου* თვალები ამიცრემლდა; 2. წვეთა: *~ει η βρύση* ონკანიდან წყალი წვეთავს.

δακτυλικός, -ή, -ό (δαχτυλικός) 1. თითის: *~ά αποτυπώματα* თითების ანაბეჭდები; 2. *ποιητ.* დაქტილური: *~ εξάμετρος* დაქტილური ექსამეტრი.

δακτύλιος ο *მაღალფ.* 1. ბეჭედი; 2. რგოლი, რკალი: *~ μετάλλινος* ლითონის რგოლი; 3. *ანატ.* უკანალი, ანუსი.

δακτυλογράφηση η ბეჭდვა (საბეჭდ მანქანაზე ან კომპიუტერზე).

δακτυλογράφος ο/η მბეჭდავი (საბეჭდ მანქანაზე ან კომპიუტერზე).

δακτυλογραφώ (ε) (*აόρ. δακτυλογράφησα, აόρ. παθ. δακτυλογραφήθηκα, μτχ. δακτυλογραφημένος*) *μετβ.* ბეჭდვა (საბეჭდ მანქანაზე ან კომპიუტერზე).

δάκτυλος ο თითი.

δακτυλοσκοπία η დაქტილოსკოპია.

δαλτονισμός ο *მედ.* დალტონიზმი.

δαμάζω (*აόρ. δάμασα, აόρ. παθ. δαμάστηκα, μτχ. δαμασμένος*) *μετβ.* 1. მოთვინიერება, გახელვა: *~ άγρια άλογα* ვათვინიერებ გარეულ ცხენებს; 2. მოთვინიერება, მორჯულება: *~ ένα ατίθασο παιδί* უწესო ბავშვს ვათვინიერებ.

δαμάλα η 1. ძროხა; 2. *გადატ.* ძონძროხა ქალი.

δαμασκηνιά η ქლიავის ხე.

δαμάσκηνο το ქლიავი.

δανείζω (*აόρ. δάνεισα, აόρ. παθ. δανείστηκα, μτχ. δανεισμένος*) *μετβ.* 1. გაეასესხებ, სესხს ვაძლევ; 2. ვათხოვებ: *θα σου δανείσω το παλτό μου* ჩემს პალტოს გათხოვებ; **-ομαι** 1. ვესესხულობ: *δανείστηκα χρήματα από ένα φίλο μου* ჩემი ერთი მეგობრისგან ფული ვისესხე; 2. ვითხოვებ: *δανείστηκε δύο βιβλία από τη βιβλιοθήκη* ბიბლიოთეკიდან ორი წიგნი ვითხოვა.

δάνειο το სესხი.

δανεισμός ο 1. სესხება, გაეალება; 2. სესხი, ვალი; 3. *ლინგვ.* ნასესხობა.

δανειστής ο გამსესხებელი, კრედიტორი.

δανειστικός, -ή, -ό გამსესხებელი, სასესხო: *~ό κεφάλαιο* სასესხო კაპიტალი.

δαντέλα η 1. მაქმანი, არშია; 2. ლენტი, ბაფთა, ზონარი.

δαντελωτός, -ή, -ό 1. მაქმანისა, არშიისა; 2. *გადატ.* დაჭრილი, დაკუწული, დასერილი: *~ά ακρογιάλια* უსწორმასწორო სანაპირო.

δαπάνη η ხარჯი, დანახარჯი: *ετήσια / απρόοπτη ~* ყოველწლიური / გაუთვალისწინებელი ხარჯი.

δαπανηρός, -ή, -ό ძვირი, ძვირადღირებული, ხარჯიანი: *~ό σχέδιο* ძვირადღირებული პროექტი.

δαπανώ (α) (*აόρ. δαπάνησα, აόρ. παθ. δαπανήθηκα, μτχ. δαπανημένος*) *μετβ.* ხარჯვა: *δαπάνησε πολύ χρόνο* დიდი დრო დახარჯა.

δάπεδο το 1. იატაკი; 2. სტადიონი, მოედანი.

δασεία η *გრამ.* ძლიერი ფშვინვა, ასპირაცია.

δασικός, -ή, -ό ტყის, სატყეო: *~ή ζώνη* ტყის ზონა.

δασκαλεύω (*აόր. δασκάλεψα, აόր. παθ. δασκαλεύτηκα, μτχ. δασκαλεμένος*) *μετβ.* სწავლება, რჩევის მიცემა, ჭკუის დარიგება.

δάσκαλος ο, **δασκάλα** η მასწავლებელი, პედაგოგი.

δασμολόγηση η დაბეგვრა, განბაჟება.

δασμολογώ (ε) (*აόр. δασμολόγησα, აόр. παθ. δασμολογήθηκα, μτχ. δασμολογημένος*) *μετβ.* დაბეგვრა, განბაჟება.

δασμός ο ბეგარა, ბაჟი, გადასახადი.

δασονόμος ο მეტყევე, ტყის მცველი.

δάσος το ტყე.

δασοφύλακας ο მეტყევე, ტყის მცველი.

δασύφυλλος, -η, -ο ხშირფოთლოვანი.

δασώδης, -ης, -ες (δασωτός) (*γεν.-ους, πληθ. αρσ. და θηλ. -εις, ουδ. -η*) ტყიანი, დაბურული.

δασώνω (*აόр. δάσωσα, აόр. παθ. δασώθηκα, μτχ. δασωμένος*) *μετβ., αμετβ.* ტყის გაშენება, გამწვანება.

δαυλός ο 1. მუგუზალი; 2. შეშის ღერი, ნაპობი; 3. *გადატ.* მიზეზი: *~ διχόνοιας / μίσους* განხეთქილების / მიზღის მიზეზი.

δάφνη η 1. დაფნის ხე; 2. დაფნის ფოთოლი; ◊ *δρέπω ~ες* გამარჯვებას ვზეიმობ.

δάφνινος, -η, -ο დაფნის.

δαφνοστεφάνωτος, -η, -ο დაფნისგვირგვინოსანი.

δαχτυλήθρα (δακτύληθρα) η სათითე.

δαχτυλιά η ნათითური, თითის ანაბეჭდი.

δαχτυλίδι (δακτυλίδι) το 1. ბეჭედი; 2. რგოლი, რკალი; 3. კულული, დალალი: *τα μαλλιά της κάνουν ~ια* თმები ეხვევა, უხუჭუჭდება; ◊ *βάζω / αλλάζω ~* ვინიშნები.

δάχτυλο (δάκτυλο) το თითი.

δεδικασμένο το *ιურ.* საბოლოო, უაპელაციო განაჩენი.

δεδομένο το (τα) ფაქტები, მონაცემები: *πραγματικά / επιστημονικά ~α* ფაქტობრივი / მეცნიერული მონაცემები.

δέηση η ლოცვა, ვედრება.

δείγμα το 1. ნიმუში; 2. ნიშანი: *~ προόδου / φιλίας* წინსვლის, პროგრესის / მეგობრობის ნიშანი; 3. სინჯი: *λαμβάνω ~* სინჯს ვიღებ.

δείκτης (δείχτης) ο 1. მაჩვენებელი: *οδικός ~* გზის მაჩვენებელი; 2. საჩვენებელი თითი; 3. ისარი (საათის, კომპასის, ბარომეტრის, სასწორის); 4. *გადატ.* მაჩვენებელი: *ο ~ της βιομηχανικής παραγωγής* სამრეწველო წარმოების მაჩვენებელი.

δειλία η სიმხდალე, სილაჩრე, გაუბედაობა.

δειλιάζω (*აόр. δείλιασα*) *αμετβ.* შიში, გაუბედაობა: *~ να ζητήσω βοήθεια* ვერ ებედავ დახმარების თხოვნას.

δειλινό (δείλι) το 1. საღამო (პერიოდი შუადღიდან მოყოლებული მზის ჩასვლამდე); 2. სამხარი; 3. მზის ჩასვლა.

δειλός, -ή, -ό 1. მშიშარა, მხდალი, ლაჩარი: *~ σαν λαγός* კურდღლივით მშიშარა; 2. შეშინებული, დამფრთხალი, გაუბედავი, მორცხვი.

δεινοπαθώ (ε) (*აόр. δεινοπάθησα*) *αμετβ.* ტანჯვა, წვალება, დათმენა: *δεινοπάθησαν μέχρι να τον κάνουν ν' αλλάξει γνώμη* დაიტანჯნენ, სანამ აზრს შეაცვლევინებდნენ.

δεινός, -ή, -ό 1. საშინელი, საშარელი: *~ή δοκιμασία / ήττα* საშინელი

გამოცდა / დამარცხება; **2.** ბრწყინვალე, შესანიშნავი, დახელოვნებული: *~ ρήτορας / πολιτικός* ბრწყინვალე ორატორი / პოლიტიკოსი.

δεινόσαυρος ο დინოზაური.

δείπνο το ვახშამი.

δεισιδαίμονας ο ცრუმორწმუნე.

δείχνω (*აόρ. έδειξα, αόρ. παθ. δείχτηκα, μτχ. δειγμένος*) *μετβ., αμετβ.* **1.** ჩვენება, მითითება, წარმოდგენა: *του έδειξε τον δρόμο* მას გზა უჩვენა; **2.** ჩვენება, წარმოჩენა, ნათელყოფა: *έδειξε το αληθινό του πρόσωπο* თავისი ნამდვილი სახე წარმოაჩინა; **3.** ჩვენება, ახსნა: *θα σου δείξω τι πρέπει να κάνεις* აგიხსნი (გაჩვენებ), რა უნდა გააკეთო; **4.** *τριτοπρόσ.* ჩანს: *~ει ποιος θα κερδίσει* ჩანს, ვინ გაიმარჯვებს, *θα δείξει* გამოჩნდება; ◊ *θα σου δείξω* (*εγώ*) მე შენ გიჩვენებ სეირს, *~ την πόρτα* (*σε κάποιον*) კარებზე მიეუთითებ, გაეძევები (ვინმეს), *~ τον καλύτερο εαυτό μου* საუკეთესოდ წარმოვაჩენ თავს.

δέκα το *άκλ.* ათი.

δεκάδα η დეკადა, ათეული.

δεκαδικός, -ή, -ό ათობითი, ათწილადი.

δεκαεννέα (δεκαεννιά) *άκλ.* ცხრამეტი.

δεκαέξι (δεκάξι) *άκλ.* თექვსმეტი.

δεκαεπτά (δεκαεφτά) *άκλ.* ჩვიდმეტი.

δεκαετηρίδα η **1.** ათწლეული; **2.** ათი წლის იუბილე.

δεκαετία η ათწლეული: *η ~ του '30* ოცდაათიანი წლები.

δεκάλογος, -η, -ο *εκκλ.* ათი მცნება.

δεκανέας ο ეფრეიტორი, კაპრალი.

δεκανίκι το **1.** კასტილი, ტროსტი; **2.** კომბალი; **3.** *εκκλ., βαλβ.* ეპისკოპოსის კეერთხი; **4.** *გადატ.* დასაყრდენი.

δεκαοκτώ (δεκαοχτώ) *άκλ.* თვრამეტი.

δεκαπενθήμερος, -η, -ο თხუთმეტდღიანი: *~η έκθεση* / თხუთმეტდღიანი გამოფენა.

δεκαπέντε *άκλ* თხუთმეტი.

δεκαπλασιάζω (*αόρ. δεκαπλασίασα, αόρ. παθ. δεκαπλασιάστηκα, μτχ. δεκαπλασιασμένος*) *μετβ.* გაათმაგება.

δεκαπλάσιος, -α, -ο ათმაგი, ათჯერ მეტი, ათჯერ დიდი.

δεκάρα η **1.** ათდრაქმიანი; **2.** *გადატ.* გროში, კაპიკი; ◊ *της ~ς* იაფფასიანი, *άνθρωπος της ~ς* კაპიკია მისი ფასი, *δεν έχω ~ τσακιστή* კაპიკი არ მაბადია, *δεν δίνω ~* ჩემთვის სულერთია (სრულიად გულგრილი ვარ), *δεν αξίζει ~* კაპიკად არ ვარგა.

δεκάρικος, -η, -ο 1. ათდრაქმიანი; **2.** *გადატ.* იაფფასიანი, უაზრო, უშინაარსო.

δεκατέσσερεις, -εις, -α თოთხმეტი.

δέκατος, -η, -ο მეათე.

δεκατρείς, -είς, -ία ცამეტი.

δεκάχρονος, -η, -ο ათი წლის, ათწლიანი: *~ πόλεμος* ათწლიანი ომი.

δεκάωρος, -η, -ο ათსაათიანი.

δεκεμβριανός, -ή, -ό დეკემბრის.

Δεκέμβριος (Δεκέμβρης) ο დეკემბერი.

δέκτης ο **1.** მიმღები: *~ πολλών παραπόνων* ბევრი საჩივრის მიმღები; **2.** მიმღები (აპარატურა): *ραδιοφωνικός ~* რადიომიმღები.

δεκτικότητα η ამთვისებლობა, ათვისების, მიღების უნარი, აღქმადობა, მგრძნობიარობა: *παρουσιάζει ~ στις κακές επιδράσεις των φίλων του* თავისი მეგობრების უარყოფითი

გაელენის აღვისების უნარს ამ-ეღაენებს.

δεκτός, -ή, -ό (δεχτός) 1. მისაღები, დასაშვები, გასაზიარებელი: *~ή άποψη* გასაზიარებელი თვალსაზრისი; 2. მიღებული: *η πρότασή σου έγινε ~ή* შენი წინადადება მიღებულია; ◊ *στο σπίτι μας είσαι ~ πάντα* ჩვენი სახლის კარი მუდამ ღიაა შენთვის.

δελεάζω (*აბრ. δελέασα, აბრ. παθ. δελεάστηκα, μτχ. δελεασμένος*) *μετβ.* ცდუნება, მოხიბლვა, დაყოლიება, ჩათრევა: *τον δελέασε με πολλά χρήματα / με υποσχέσεις* იგი ბევრი ფულით / დაპირებებით აცდუნა.

δελεαστικός, -ή, -ό მაცდური, მაცდუნებელი, მომხიბლავი: *~ή πρόταση* მაცდუნებელი წინადადება.

δέλτα το *άκλ* 1. ბერძნული ანბანის მეოთხე ასო ("დელტა"); 2. მდინარის დელტა: *το ~ του Νείλου* ნილოსის დელტა.

δελτάριο το ღია ბარათი.

δελτίο το 1. ბარათი: *βιβλιογραφικό ~* კატალოგის ბარათი; 2. ბიულეტენი, კრებსი, ცნობა: *ενημερωτικό ~* საინფორმაციო ბიულეტენი; 3. ბიულეტენი (პერიოდული გამოცემა); 4. ცნობა: *~ υγείας* ჯანმრთელობის ცნობა; 5. მოწმობა: *~ ταυτότητας* პირადობის მოწმობა.

δελφίνι το დელფინი.

δέμα το ამანათი.

δεν (δε) *αρνητ. μόρ.* არ: *~ ξέρω* არ ვიცი, *~ σου είπα;* არ გითხარი? *~ είναι έτσι;* ასე არ არის?

δενδρόβιος, -ος, -ο ხეებზე მცხოვრები.

δενδρολίβανο (δεντρολίβανο) το *ბოტ.* როზმარინი.

δενδροφυτεύω (*აბრ. δενδροφύτευσα, აბრ. παθ. δενδροφυτεύτηκα, μτχ. δενδροφυτευμένος*) *μετβ.* ხეების დარგვა, გამწვანება.

δέντρο (δένδρο) το ხე.

δένω (*აბრ. έδεσα, აბრ. παθ. δέθηκα, μτχ. δεμένος*) *μετβ., αμετβ.* 1. შეკერა; 2. დაბმა, მიბმა, მიმაგრება: *~ τον γάιδαρο στο δέντρο* ვირს ხეზე ვაბამ; 3. შებოჭვა, შებორკვა, ბორკილების დადება: *συνέλαβαν τους λαθρεμπόρους και τους δέσανε* კონტრაბანდისტები შეიპყრეს და ბორკილები დაადეს; 4. გადახვევა, შეხვევა (ჭრილობის): *δέσαμε πρόχειρα τις πληγές* ჭრილობები ნაჩქარევად გადავუხვიეთ; 5. აკინძვა, დაკაზმვა, ყდაში ჩასმა: *~ βιβλίο* წიგნს აკინძავ; *αμετβ.* შესქელება (სითხის): *το σιρόπι έδεσε* სიროფი შესქელდა; **-ομαι** მიჩვევა, მიჯაჭვა: *έχω δεθεί με αυτή την πόλη* ამ ქალაქს მივეჯაჭვე; ◊ *μου ~εται η γλώσσα* ენა მებმის, *~ τα χέρια (κάποιου)* ხელ-ფეხს ვუკრავ.

δεξαμενή η 1. რეზერვუარი, ცისტერნა, ბაკი; 2. აუზი, წყალსაცავი.

δεξιός, -ά, -ό 1. მარჯვენა; 2. მემარჯვენე (ის, ვინც მარჯვენა ხელს ხმარობს); 3. *Პოლიტ.* მემარჯვენე: *~ό κόμμα* მემარჯვენე პარტია; **δεξιά** *επίρρ.* მარჯვნივ.

δεξιοτέχνης ο დიდოსტატი, ვირტუოზი.

δεξιότητα η გაწაფულობა, მოხერხება, ოსტატობა.

δεξιώνομαι (*აბრ. δεξιώθηκα*) *μετβ., αποθ.* წვეულების, ოფიციალური მიღების გამართვა: *ο πρωθυπουργός θα δεξιωθεί το βράδυ* პრემიერ-მინისტრი საღამოს მიღებას მართავს.

δεξίωση η მიღება, წვეულება.

δέομαι (*აბრ. δεήθηκα*) *αμετβ., αποθ., εκκλ.* თხოვნა, ვედრება, ლოცვა: *~*

προς τον κύριον ლოცვა უფლისა მიმართ.

δεοντολογία η 1. ეთიკა, ეტიკეტი; 2. *φιλοσ.* დეონტოლოგია.

δεόντως *επίρρ.* სათანადოდ.

δέος το შიში, მოწიწება, თაყვანისცემა.

δέρας το *მხოლოდ ფრაზაში: χρυσόμαλλο ~* ოქროს საწმისი.

δέρμα το კანი, ტყავი.

δερμάτινος, -η, -ο ტყავის: *~ο παπούτσι* ტყავის ფეხსაცმელი.

δερματολογία η *მედ.* დერმატოლოგია.

δερματολόγος ο დერმატოლოგი.

δέρνω (*αόρ. έδειρα, αόρ. παθ. δάρθηκα, μτχ. δαρμένος*) *μετβ.* 1. ცემა, დარტყმა: *θα σε δείρω* გცემ! 2. *გადატ.* ტანჯვა, წვალება, წამება: *τους ~ει η φτώχεια* მათ სიღარიბე ტანჯავს.

δέσιμο το 1. შეკერა: *~ γραβάτας* პალსტუხის შეკერა; 2. დაბმა, მიბმა, მიმაგრება: *το ~ του αλόγου στο δέντρο* ცხენის მიბმა ხეზე; 3. შებოჭვა, შებორკვა, ბორკილების დადება; 4. გადახვევა, შეხვევა (ჭრილობის); 5. ჩასმა (ძვირფასი თვლის); 6. აკინძვა, დაკაზმვა, ყდაში ჩასმა; *გადატ.* 7. შესქელება (სითხის); ◊ *είναι για ~* დასაბმელი გიჟია.

δέσμευση η 1. დაპირება, ვალდებულება: *προσωπική ~* პირადი ვალდებულება; 2. ბლოკირება: *~ καταθέσεων* საბანკო ანგარიშების ბლოკირება; 3. შეზღუდვა: *η ~ της θερμότητας του ηλίου* მზის სითბოს შეზღუდვა.

δεσμεύω (*αόρ. δέσμευσα, αόρ. παθ. δεσμεύτηκα, μτχ. δεσμευμένος*) *μετβ.* 1. დავალდებულება, ვალდებულების დაკისრება: *δεσμεύτηκε* თავი დაივალდებულა; 2. ბლოკირება: *το κράτος ~ει τις καταθέσεις* სახელმწიფო საბანკო ანგარიშების ბლოკირებას ახდენს; 3. შეზღუდვა.

δέσμη η 1. შეკვრა, კონა, დასტა: *~ λουλουδιών* ყვავილების კონა; 2. *გადატ.* წყება, რიგი, ერთობლიობა: *~ προβλημάτων* პრობლემათა წყება.

δεσμίδα η შეკვრა.

δέσμιος, -α, -ο 1. შებორკილი; 2. *გადატ.* მონა, ტყვე.

δεσμός ο 1. *(πληθ. αρσ. ან ουδ.)* 1. ბორკილი, ხუნდი: *σπάω τα ~ά* ბორკილებს ეამსხვრევ; 2. კაშკირი: *ερωτικός ~* სასიყვარულო კაშკირი.

δεσμοφύλακας ο საპატიმროს, ციხის ზედამხედველი.

δεσμωτήριο το საპატიმრო, ციხე, საპყრობილე.

δεσμώτης ο 1. დაპატიმრებული, დატყვევებული, მიჯაჭვული: *Προμηθέας ~* მიჯაჭვული პრომეთე; 2. *გადატ.* ტყვე: *~ του έρωτα* სიყვარულის ტყვე.

δεσπόζω (*αόρ. δέσποσα, μτχ. δεσπόζων, -ουσα, -ον*) *μετβ. ,პირლ., გადატ.* ბატონობა, დომინირება: *το κυπριακό πρόβλημα ~ει στο πολιτικό προσκήνιο της Ελλάδος* კვიპროსის პრობლემა საბერძნეთის პოლიტიკურ ავანსცენაზე ბატონობს.

δεσποινίδα η ახალგაზრდა გაუთხოვარი ქალი.

δεσπότης ο 1. მეუფე, იმპერატორი, მბრძანებელი; 2. *გადატ.* ტირანი, დესპოტი; 3. *ეკლ.* ეპისკოპოსი, მეუფე: *την ευλογία σου, δέσποτα!* დამლოცე, მეუფეო! 4. ღმერთო, უფალო (მიმართვისას): *ελέησον, δέσποτα!* უფალო, შემიწყალე!

δεσποτικός, -ή, -ό 1. დესპოტური, ტირანული; *ეკლ.* 2. ქრისტეს,

ქრისტესადმი მიძღვნილი: *~ά τροπάρια* ქრისტეს ტროპარი; **3.** ეპისკოპოსის, საეპისკოპოსო.

δεσποτισμός ο დესპოტიზმი, ტირანია.

δέστρα η მისაბმელი (მისამაგრებელი) ბოძკინტი (ტუმბა).

δετός -ή, -ό შეკრული, მიბმული.

Δευτέρα η ორშაბათი: *Καθαρά ~* წმინდა ორშაბათი.

δευτερεύων, -ουσα, -ον **1.** მეორეხარისხოვანი, უმნიშვნელო; **2.** *გრამ.* დამატებითი.

δευτεροβάθμιος, -α, -ο **1.** მეორეხარისხოვანი, მეორე კლასის; **2.** *იურ.* სააპელაციო: *~ο δικαστήριο* სააპელაციო სასამართლო.

δευτερογαμία η *იურ.* მეორე ქორწინება.

δευτερογενής, -ής, -ές (*γεν.-ούς, πληθ. αρσ. და θηλ. -είς, ουδ. -ή*) მეორადი, მეორეული, გვერდითი.

δευτεροετής ο მეორეწლიანი, კლასში ჩარჩენილი მოსწავლე, კურსზე დარჩენილი სტუდენტი.

δευτερόκλιτος, -η, -ο მეორე ბრუნების (კანკლედობის).

δευτερόλεπτο το წამი.

δεύτερος, -η, -ο მეორე; ◊ *χωρίς ~η κουβέντα / ~ο λόγο* ულაპარაკოდ, *~ο χέρι* მეორე ფენა (საღებაყის), *Δευτέρα Παρουσία* მეორედ მოსვლა.

δευτερότοκος, -η, -ο მეორე, მეორედ შობილი: *~ γιος / ~η κόρη* მეორე ვაჟი / ქალიშვილი.

δευτερώνω (*αόρ. δευτέρωσα, μτχ. δευτερωμένος*) *μετβ., αμετβ.* გამეორება.

δέχομαι (*αόρ. δέχτ(θ)ηκα, μτχ. δεχόμενος*) *μετβ., αποθ.* **1.** მიღება: *~ δώρα* ვიღებ საჩუქრებს; **2.** განცდა, გადატანა: *~ πίεση / επιδράσεις* განვიცდი ზეწოლას / გაელენას; **3.** გაზიარება: *~ τις απόψεις σας* თქვენს თვალსაზრისს ვიზიარებ; **4.** მიღება, მასპინძლობა.

δέων, -ουσα, -ον სათანადო, საჭირო: *με τη ~ουσα προσοχή* სათანადო ყურადღებით.

δήθεν *μόρ.* **1.** ვითომ, თითქოსდა: *πέταξε τη λέξη αυτή ~ τυχαία* ვითომ შემთხვევით ისროლა ეს სიტყვა; **2.** ვითომური, მოჩვენებითი, ყალბი, ეგრეთ წოდებული: *ο ~ φίλος μου* ჩემი მოჩვენებითი, ე. წ. მეგობარი.

δηκτικός, -ή, -ό გესლიანი, გამქირდაყი, მწველი, მწვაველ: *~ λόγος* გესლიანი სიტყვა, *~ή σάτιρα* მწვაველ სატირა.

δηλαδή *σύνδ.* **1.** (განმარტებითი) ანუ, ე. ი., სხვაგვარად რომ ვთქვათ: *θα είμαστε μόνο οι δύο μας, ~ ο πατέρας μου κι εγώ* მხოლოდ ჩვენ ორნი ვიქნებით, ანუ მამაჩემი და მე; **2.** (დასკვნითი) მაშასადამე, ე. ი., აქედან გამომდინარე, აშკარაა, რომ: *άλλα μου λες κι άλλα πράττεις, ~ με κοροϊδεύεις* ერთს მეუბნები და მეორეს აკეთებ, ე. ი. აბუჩად მიგდებ (დამცინი).

δηλητηριάζω (*αόρ. δηλητηρίασα, αόρ. παθ. δηλητηριάστηκα, μτχ. δηλητηριασμένος*) *μετβ.* მოწამვლა.

δηλητηρίαση η მოწამვლა: *οξεία ~* მწვავე მოწამვლა.

δηλητήριο το საწამლავი, შხამი.

δηλητηριώδης, -ης, -ες (*γεν.-ους, πληθ. αρσ. και θηλ -εις, ουδ. -η*) შხამიანი, მომწამველი, ტოქსიკური.

δηλονότι *επίρρ.* **1.** აშკარად; **2.** ანუ, ე. ი.

δηλοποιώ (ε) (*αόρ.δηλοποίησα, αόρ. παθ. δηλοποιήθηκα, μτχ. δηλοποιημένος*) *μετβ., μαλαγ.* გამოცხადება, გამოაშკარავება: *~ πρόθεση / στόχο* განვზრახვას / მიზანს ვააშკარავებ.

δηλώνω (*αόρ. δήλωσα, αόρ. παθ. δηλώθηκα, μτχ. δηλωμένος*) *μετβ.* **1.** გამოცხადება, გამოამჟკარავება: ~ *την πρόθεσή μου* ჩემს განზრახვას ვაამჟკარავებ; **2.** გამოთქმა, განცხადება: ~ *εγκαίρως* დროულად ვაცხადებ; **3.** აღნიშვნა: *τι ~ει αυτή η λέξη;* რას ნიშნავს ეს სიტყვა?

δήλωση η **1.** გამომჟღავნება, გამოამჟკარავება: *η ~ των αισθημάτων* გრძნობების გამჟღავნება; **2.** განცხადება: *επίσημη ~* ოფიციალური განცხადება; **3.** დეკლარაცია; **4.** რეგისტრაცია: *~ γεννήσεως / γάμου / θανάτου* დაბადების / ქორწინების / გარდაცვალების რეგისტრაცია.

δηλωτικός, -ή, -ό **1.** მაჩვენებელი, წარმომჩენი, საილუსტრაციო: *συμπεριφορά ~ή των βαθιών αισθημάτων του* მის გრძნობათა წარმომჩენი საქციელი; **2.** დეკლარაციული, სადეკლარაციო.

δημαγωγία η დემაგოგია.

δημαγωγός ο დემაგოგი.

δημαγωγώ (ε) დემაგოგობა.

δημαρχείο το მერია, მუნიციპალიტეტი.

δημαρχία η მერია, მუნიციპალიტეტი.

δημαρχικός, -ή, -ό მუნიციპალური.

δήμαρχος ο, **-ίνα** η ქალაქის მერი.

δημαρχώ (ε) **1.** ქალაქის მერობა; **2.** ქალაქის მერის მოვალეობის შესრულება.

δημεγέρτης ο აჯანყების, ამბოხის მოთავე, ორგანიზატორი.

δήμευση η ქონების ჩამორთმევა, კონფისკაცია, ნაციონალიზაცია.

δημεύσιμος, -η, -ο ჩამოსართმევი, საკონფისკაციო.

δημεύω (*αόρ. δήμευσα, αόρ. παθ. δημεύ(θ)ηκα, μτχ. δημευμένος*) *μετβ.* ქონების ჩამორთმევა, კონფისკაცია, ნაციონალიზაცია.

δημηγορία η **1.** საჯარო გამოსვლა, სიტყვა; **2.** დემაგოგიური გამოსვლა, სიტყვა; **3.** მჭერმეტყველება.

δημητριακά τα პურეული მარცვლოვნები.

δήμιος ο **1.** ჯალათი; **2.** *გადატ.* ჯალათი, მკელელი.

δημιούργημα το ქმნილება, ნაწარმოები: *θείο ~* ღვთაებრიეი ქმნილება.

ჩასუქებული, სრული ტანის; **4.** საღად მოაზროვნე, მოწიფული.

μεστώνω (*აόρ. μέστωσα, μτχ. μεστωμένος*) *μετβ., αμετβ.* **1.** დამწიფება, მოწევა; **2.** *გადატ.* დაკაცება, დავაჟკაცება.

μέσω *πρόθ.* (+ *γεν.*) *მაღალფ.* **1.** გაელით, -ზე, -ში: *η διακίνηση εμπορευμάτων γίνεται ~ Αθηνών* საქონლის ტრანსპორტირება ათენის გაელით ხდება; **2.** შუამავლობით, მეშვეობით, საშუალებით: *βρήκε δουλειά ~ του θείου του* ბიძამისის მეშვეობით იპოვა სამუშაო.

μετά *πρόθ.* (+ *αιτ.* / + *από*) **1.** მერე, შემდეგ, შემდგომ: *~ (από) το φανάρι ο τρίτος δρόμος δεξιά* შუქნიშნის შემდეგ მესამე ქუჩა მარჯვნივ; **2.** -თან, -თან ერთად: *προσήλθε ~ της συζύγου του* მეუღლესთან ერთად მოვიდა; **3.** -ით: *~ σεβασμού* სპატივისცემით.

μετά *επίρρ.* მერე, შემდეგ, შემდგომ.

μεταβαίνω (*აόρ. μετέβην*) *αμετβ.* **1.** გამგზავრება, წასვლა; **2.** *გადატ.* გადასელა, გადაზრდა, გადაქცევა, გარდაქმნა.

μεταβάλλω (*აόρ. μετέβαλα, აόρ. παθ. μεταβλήθηκα / μετεβλήθην, μτχ. μεταβληθείς, -είσα, -έν*) *μετβ.* შეცვლა, გამოცვლა, გადაქცევა, გარდაქმნა.

μετάβαση η **1.** გამგზავრება, წასვლა; *გადატ.* **2.** გადასელა, გადაზრდა, გადაქცევა, გარდაქმნა.

μεταβατικός, -ή, -ό გარდამავალი, ცვალებადი; ◊ *~ό ρήμα* გარდამავალი ზმნა.

μεταβατικότητα η ცვალებადობა, მერყეობა, გარდამავლობა.

μεταβιβάζω (*αορ. μεταβίβασα, αορ. παθ. μεταβιβάστηκα, μτχ. μεταβιβασμένος*) *μετβ.* **1.** გადატანა, გადაყვანა, გადაზიდვა; **2.** გადაგზავნა; **3.** *იურ.* გადაცემა (ძალაუფლების, ქონების).

μεταβίβαση η **1.** გადატანა, გადაყვანა, გადაზიდვა; **2.** გადაგზავნა, გადაცემა; **3.** *იურ.* გადაცემა (ძალაუფლების, ქონების).

μεταβλητός, -ή, -ό ცვალებადი, მერყეევი.

μεταβολή η **1.** ცვლილება, შეცვლა, ცვლა; **2.** *სამხ., სპორტ.* მობრუნება, მიბრუნება, მოტრიალება.

μεταβολικός, -ή, -ό *βιολ.* ნივთიერებათა ცვლის, ნივთიერებათა ცვლასთან დაკავშირებული.

μεταβολισμός ο *βιολ.* ნივთიერებათა ცვლა.

μεταγγίζω (*αόρ. μετάγγισα, αόρ. παθ. μεταγγίστηκα, μτχ. μεταγγισμένος*) *μετβ.* **1.** სითხის გადასხმა ერთი ჭურჭლიდან მეორეში; **2.** *მედ.* სისხლის გადასხმა; **3.** *გადატ.* აზრების, ფიქრების, გამოცდილების გაზიარება ვინმესთვის.

μετάγγιση η **1.** სითხის გადასხმა ერთი ჭურჭლიდან მეორეში; **2.** *მედ.* გადასხმა (სისხლის).

μεταγενέστερος, -η, -ο 1. მომდევნო, შემდგომი, გვიანდელი: *~ες έρευνες* შემდგომი კვლევა; **2.** (οι) მომავალი თაობა, შთამომავლები, შთამომავლობა; **3.** *ისტ.* ელინისტური ხანის; **μεταγενέστερα** *επίρρ.* მოგვიანებით, შემდგომში.

μεταγλωττίζω (*αόρ. μεταγλώττισα, αόρ. παθ. μεταγλωττίστ(θ)ηκα, μτχ. μεταγλωττισμένος*) *μετβ.* **1.** ფილმის, ტელე ან რადიოგადაცემის თარგმნა; **2.** კათარევუსადან დიმოტიკიზე თარგმნა.

μεταγλώττιση η **1.** ფილმის, ტელე ან რადიოგადაცემის თარგმნა; **2.** კათარევუსადან დიმოტიკიზე თარგმნა.

μεταγραφή η 1. *φιλολ.* ტრანსკრიფცია, ტრანსლიტერაცია; 2. *βιολ.* ტრანსკრიფცია; 3. *ιατρ.* უძრავი ქონების გაყიდვის რეგისტრაცია რეესტრში (კადასტრში); 4. *θεολ.* ტრანსკრიფცია; 5. *სპორტ.* ტრანსფერი; 6. *ტექ.* მონაცემების გადატანა ერთი სისტემიდან მეორეში, ერთი კასეტიდან ან დისკეტიდან მეორეზე გადაწერა.

μεταγράφω (*αόρ. μετέγραψα, αόρ. παθ. μεταγράφτηκα / μετεγράφην, μτχ. μεταγεγραμμένος*) 1. ახლიდან, თავიდან, ხელახლა დაწერა; 2. ჩაწერა (ზეპირი მეტყველების); 3. *φιλολ.* ტრანსლიტერაცია; 4. *θεολ.* ტრანსკრიფციით გადმოცემა; 5. *ιατρ.* უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვის რეგისტრაცია რეესტრში; 6. *სპორტ.* ტრანსფერი, ერთი გუნდიდან მეორეში გადასვლა.

μεταδίδω (μεταδίνω) (*αόρ. μετέδωσα, αόρ. παθ. μεταδόθηκα, μτχ. μετα(δε)δομένος*) *μετβ.* 1. გადატანა, გადაცემა: *το μυστικό ~εται από γενιά σε γενιά* საიდუმლო თაობიდან თაობას გადაეცემა; 2. *ιδιωμ., გადატ.* გადადება: *μας μετέδωσε τον ενθουσιασμό* ენთუზიაზმი გადმოგვდო; 3. *ιδιωμ., გადატ.* გავრცელება: *~ πληροφορία* ინფორმაციას ვავრცელებ; 4. ინფორმაციის გავრცელება, გადაცემა, ინფორმირება, განცხადება, უწყება: *η τηλεόραση μετέδωσε ότι...* ტელევიზიამ გაავრცელა ინფორმაცია, რომ...; 5. გატარება (რაიმესი): *το νερό ~ει τον ήχο πιο γρήγορα από τον αέρα* წყალი ბგერას უფრო სწრაფად ატარებს, ვიდრე ჰაერი; 6. *ეკლ.* ზიარება.

μετάδοση η 1. გადატანა, გადაცემა: *η ~ της γνώσης* ცოდნის გადაცემა; 2. *ιδιωμ., გადატ.* გადადება: *~ της οπτιμισμού* გადადება; 3. *ιδιωμ., გადატ.* გავრცელება: *η ~ του ιού με μετάγγιση αίματος* ვირუსის გავრცელება სისხლის გადასხმით; 4. ინფორმაციის გავრცელება, გადაცემა, ტრანსლაცია, ინფორმირება, განცხადება, უწყება: *ζωντανή ~ του αγώνα* მატჩის პირდაპირი ტრანსლაცია; 5. გატარება (რაიმესი): *η ~ ηλεκτρικού ρεύματος* ელექტროდენის გატარება (გადაცემა); 6. *ეკლ.* ზიარება.

μεταδοτικός, -ή, -ό 1. გადამდები, ინფექციური; *გადატ.* 2. გადამდები; **μεταδοτικά** *επίρρ.* 1. გადამდებად; 2. *გადატ.* კარგად, ნათლად, გასაგებად.

μεταθανάτιος, -α, -ο სიკვდილის შემდგომი, საიქიო.

μετάθεση η 1. გადაადგილება, გადატანა: *~ ευθυνών* პასუხისმგებლობის სხვისთვის დაკისრება; 2. ერთი ადგილიდან, თანამდებობიდან მეორეზე გადაყვანა (მოხელის, სამხედრო პირის): *παίρνω ~ για την Αθήνα* ათენში გადავდივარ სამუშაოდ; 3. გადადება, გადაწევა (ვადის), გადავადება: *~ της ημερομηνίας των εκλογών* არჩევნების გადავადება.

μεταθέτω (*αόρ. μετέθεσα, αόρ. παθ. μετατέθηκα, μτχ. μετατεθειμένος*) *μετβ.* 1. გადაადგილება, გადატანა: *~ το φταίξιμο* ჩემს დანაშაულს სხვას გადავაბრალებ; 2. ერთი ადგილიდან, თანამდებობიდან მეორეზე გადაყვანა (მოხელის, სამხედრო პირის): *τον μετέθεσαν στα κεντρικά γραφεία της εταιρείας* კომპანიის ცენტრალურ ოფისში გადაიყვანეს; 3. გადადება, გადაწევა (ვადის), გადავადება: *~ την ημερομηνία του γάμου* ქორწილს გადავდებ.

μεταίχμιο το ბღვარი, მიჯნა.

μετακίνηση η 1. *პირდ., გადატ.* გადატანა, გადაყვანა, გადასმა, გადადგმა, გადაადგილება; 2. მგზავრობა, გამგზავრება.

μετακινώ (ε) (*აόρ. μετακίνησα, აόρ. παθ. μετακινήθηκα, μτχ. μετακινημένος*) *პირდ., გადატ.* გადატანა, გადაყვანა, გადასმა, გადადგმა, გადაადგილება; **-ούμαι** მგზავრობა, გადაადგილება.

μετακομιδή η 1. გარდაცვლილის ძვლების გადატანა სხვა ადგილას; 2. *ეკლ.* გადასვენება.

μετακομίζω (*აόρ. μετακόμισα, μτχ. μετακομισμένος*) *μετβ.* გადატანა, გადაყვანა, გადასმა, გადაადგილება.

μετακόμιση η 1. ბარგის გადატანა, გადაბარგება; 2. საცხოვრებელი ადგილის შეცვლა.

μετάληψη η *ეკლ.* ზიარება.

μεταλλάκτης ο *ტექ.* კომუტატორი.

μεταλλάσσω (*აόρ. μετάλλαξα, აόρ. παθ. μεταλλάχθηκα, μτχ. μεταλλαγμένος*) *μετβ., αμετβ.* 1. შეცვლა, გარდაქმნა, სახეცვლილება; 2. *ბიოლ.* სახეცვლილება, მუტაცია.

μεταλλείο το მაღარო.

μετάλλευμα το მადანი.

μεταλλικός, -ή, -ό 1. ლითონის; 2. მინერალური.

μετάλλιο το მედალი.

μέταλλο το 1. ლითონი; 2. *გადატ.* სიმკვეთრე, სიმტკიცე (ხმის).

μεταλλουργία η (*πληθ. არ გააჩნია*) მეტალურგია.

μεταλλουργικός, -ή, -ό მეტალურგიული.

μεταλλουργός ο 1. მეტალურგი; 2. სამთოელი, სამთო ინჟინერი.

μεταλλωρυχείο το მაღარო.

μεταλλωρύχος ο მაღაროელი.

μεταμίσθωση η 1. სელახლა ქირაობა, იჯარით აღება; 2. ქირით, იჯარით აღებული ფართობის მესამე პირისთვის მიქირავება.

μεταμορφώνω (*აόρ. μεταμόρφωσα, აόρ. παθ. μεταμορφώθηκα, μτχ. μεταμορφωμένος*) *μετβ.* 1. სახეცვლილება, ტრანსფორმირება, გარდაქმნა, გადაქცევა; 2. შეცვლა, ცვლილება.

μεταμόρφωση η 1. სახეცვლილება, ტრანსფორმირება, გარდაქმნა, გადაქცევა; 2. შეცვლა, ცვლილება, მეტამორფოზა; 3. *ეკლ.* ფერიცვალება; 4. *ბიოლ.* მეტამორფოზა; 5. *გეოლ.* მეტამორფოზი.

μεταμόσχευση η 1. *ბიოლ.* დამყნობა; 2. *მედ.* გადანერგვა, ტრანსპლანტაცია.

μεταμοσχεύω (*აόρ. μεταμόσχευσα, აόρ. παθ. μεταμοσχεύτ(θ)ηκα, μτχ. μεταμοσχευμένος*) *μετβ.* 1. *ბიოლ.* დამყნობა; 2. *მედ.* გადანერგვა, ტრანსპლანტაცია.

μεταμφιέζω (*აόρ. μεταμφίεσα, აόρ. παθ. μεταμφιέστ(θ)ηκα, μτχ. μεταμφιεσμένος*) *μετβ.* გადაცმა, სამასკარადოდ, საკარნავალოდ გამოწყობა.

μεταμφίεση η 1. გადაცმა, სამასკარადოდ, საკარნავალოდ გამოწყობა; 2. სამასკარადო, საკარნავალო აღჭურვილობა (კოსტუმი, ნიღაბი, მაკიაჟი, აქსესუარები).

μετανάστευση η 1. გადასახლება, ემიგრაცია; 2. *ბიოლ.* მიგრაცია.

μεταναστευτικός, -ή, -ό 1. საემიგრაციო, საემიგრანტო, ემიგრანტის; 2. *ბიოლ.* მიგრაციისა, მიგრაციული.

μεταναστεύω (*აόρ. μετανάστευσα*) *αμετβ.* 1. გადასახლება, ემიგრირება, ემიგრაციაში წასვლა; 2. *ბიოლ.* მიგრაცია.

μετανάστης ο, **-τρια** η *ემიგრანტი.*

μετανιώνω (*აόρ. μετάνιωσα, მτχ. μετανιωμένος*) *αμετβ., μετβ.* **1.** სინანული, დანანება; **2.** მონანიება; **3.** გადაფიქრება, აზრის შეცვლა.

μετάνοια η **1.** სინანული, დანანება; *ეკლ.* **2.** მონანიება; **3.** მეტანია.

μετανοώ (ε) (*აόρ. μετανόησα, მτχ. μετανοημένος*) *αμετβ., მაღალფ.* სინანული, დანანება, მონანიება.

μεταξένιος, -α, -ο (μετάξινος) *საუბრ.* **1.** აბრეშუმის; **2.** *გადატ.* აბრეშუმისებრი, აბრეშუმიეთ.

μετάξι το (*გεν. πληθ. არ გააჩნია*) **1.** აბრეშუმი; **2.** (τα) აბრეშუმის ნაწარმი; **3.** *გადატ.* აბრეშუმიეთ რბილი.

μεταξύ (αναμεταξύ) *πρόθ.* (+ *γεν.*) **1.** შუა, შორის: *~ δύο λόφων* ორ ბორცვს შორის; **2.** -დან... -მდე: *απόσταση ~ δώδεκα και δεκατριών χιλιομέτρων* მანძილი თორმეტიდან ცამეტ კილომეტრამდე; **3.** მიჯნაზე: *~ δύο εποχών* ორი ეპოქის მიჯნაზე; **4.** (+ *μας, σας, τους*) ერთმანეთს: *μοιάζουν πολύ ~ τους* ერთმანეთს ძალიან ჰგვანან; ◊ *στο ~ / εν τω ~* ამ დროს, ამასობაში.

μεταξωτός, -ή, -ό 1. აბრეშუმის; **2.** (το) აბრეშუმის ქსოვილი ან ტანსაცმელი.

μετάπλαση η **1.** გარდაქმნა, გადაკეთება, შეცვლა; **2.** *ს.-მ.* ნიადაგის გაპატიენება, განოყიერება; **3.** *გრამ.* მეტაპლაზმი.

μεταπολεμικός, -ή, -ό 1. ომისშემდგომი, ომისმერმინდელი; **2.** მეორე მსოფლიო ომის შემდგომი; **μεταπολεμικά / μεταπολεμικώς** *επίρρ.* **1.** ომისშემდგომ; **2.** მეორე მსოფლიო ომის შემდგომ.

μεταπτυχιακός, -ή, -ό 1. სამაგისტრო; **2.** (ο/η) მაგისტრანტი; **3.** (τα) სწავლა მაგისტრატურაში.

μεταρρυθμίζω (*აόρ. μεταρρύθμισα, αόρ. παθ. μεταρρυθμίστηκα, მτχ. μεταρρυθμισμένος*) *μετβ.* გარდაქმნა, გადაკეთება, რეფორმირება.

μεταρρύθμιση η **1.** გარდაქმნა, გადაკეთება, რეფორმირება; **2.** (Μ) *ეკლ.* რეფორმაცია.

μεταρρυθμιστής ο, **-τρια** η **1.** რეფორმატორი; **2.** *ეკლ.* რეფორმაციის მომხრე.

μεταρρυθμιστικός, -ή, -ό გარდამქმნელი, რეფორმატორული.

μετάσταση η *მედ.* მეტასტაზი.

μετασχηματίζω (*აόρ. μετασχημάτισα, αόρ. παθ. μετασχηματίστ(θ)ηκα, მτχ. μετασχηματισμένος*) *μετβ.* **1.** გარდაქმნა, გადაკეთება, ტრანსფორმირება; **2.** *ფიზ.* ენერგიის გარდაქმნა.

μετατοπίζω (*აόρ. μετατόπισα, αόρ. παθ. μετατοπίστ(θ)ηκα, მτχ. μετατοπισμένος*) *μετβ.* გადატანა, გადაყვანა, გადაადგილება.

μετατόπιση η გადატანა, გადაყვანა, გადაადგილება.

μετατρέπω (*აόρ. μετέτρεψα, αόρ. παθ. μετατράπηκα*) *μετβ.* **1.** გარდაქმნა, შეცვლა, ტრანსფორმირება; **2.** *ეკონ.* გადახურდავება, კონვერტაცია; **3.** *იურ.* შეცვლა, შემსუბუქება (სასჯელის).

μετατρέψιμος, -η, -ο 1. გარდაქმნადი, შეცვლადი, ტრანსფორმირებადი; **2.** *ეკონ.* კონვერტირებადი.

μετατροπή η **1.** გარდაქმნა, ტრანსფორმაცია; **2.** *ეკონ.* გადახურდავება, კონვერტაცია; **3.** *იურ.* შეცვლა, შემსუბუქება (სასჯელის).

μεταφέρω (*აόρ. μετέφερα, αόρ. παθ. μεταφέρθηκα, მτχ. μεταφερμένος*) *μετβ.* **1.** *პირდ., გადატ.* გადატანა, გადაყ-

ვანა, გადასვლა: ~ *τα πράγματά μου σε άλλο δωμάτιο* ჩემი ნივთები სხვა ოთახში გამაქვს; **2.** გადარიცხვა: ~ *ένα ποσό σε άλλο λογαριασμό* თანხას სხვა ანგარიშზე გადავრიცხავ; **3.** თარგმნა, ერთი ენობრივი ნორმიდან მეორეზე გადაყვანა (ტექსტის); **4.** ნაწარმოების ეკრანიზაცია, მისი სცენაზე დადგმა: ~ *το έργο του Ντοστογέφσκι στη σκηνή* დოსტოევსკის ნაწარმოებს სცენაზე ვდგამ; **5.** მოგანა, გადმოცემა: *σας* ~ *τους χαιρετισμούς* მოკითხვას გადმოგცემთ.

μεταφορά η **1.** *პირდ., გადატ.* გადატანა, გადაყვანა, გადასვლა, გადაზიდვა, ტრანსპორტირება: ~ *επίπλων* ავეჯის გადაზიდვა; **2.** (οι) ტვირთის გადატანა, მგზავრების გადაყვანა, ტრანსპორტირება; **3.** გადარიცხვა (თანხის), სხვის სახელზე გადატანა (უძრავ-მოძრავი ქონების): ~ *ακινήτου* უძრავი ქონების სხვის სახელზე გადატანა; **4.** თარგმნა, ერთი ენობრივი ნორმიდან მეორეზე გადაყვანა (ტექსტის); **5.** ნაწარმოების ეკრანიზაცია; **6.** *ფილოლ.* მეტაფორა; **7.** *მუს.* ტრანსპონირება.

μεταφορέας ο **1.** გადამყვანი, გადამზიდველი (ფიზიკური ან იურიდიული პირი); **2.** *ტექ.* ტრანსპორტიორი.

μεταφορικός, -ή, -ό 1. გადამყვანი, გადამზიდველი, საგრანსპორტო: ~*ά μέσα* საგრანსპორტო საშუალებები; **2.** *ფილოლ.* მეტაფორული; **3.** (τα) საგრანსპორტო ხარჯები; **μεταφορικά / μεταφορικώς** *ეპირ.* მეტაფორულად, გადატანითი მნიშვნელობით.

μεταφράζω (*აόრ. μετέφρασα, აόρ. παθ. μεταφράστ(θ)ηκα, μτχ. μεταφρασμένος*) *μετβ.* თარგმნა.

μετάφραση η **1.** თარგმნა; **2.** თარგმანი, ნათარგმნი, თარგმნილი ტექსტი.

μεταφραστής ο, **-τρια** η **1.** მთარგმნელი; **2.** თარჯიმანი.

μεταφυσική η **1.** *ფილოს.* მეტაფიზიკა; **2.** *გადატ.* აბსტრაქტულობა, მეტაფიზიკურობა.

μεταφυσικός, -ή, -ό 1. მეტაფიზიკური; **2.** *გადატ.* აბსტრაქტული.

μεταφύτευμα το **1.** გადანერგვა; **2.** გადარგვა; **3.** ნერგი.

μεταφύτευση η **1.** *ბოტ.* გადარგვა; **2.** *მედ.* გადანერგვა; **3.** *გადატ.* დანერგვა, დამკვიდრება, გავრცელება (იდეების, წეს-ჩვეულებების, მეთოდების).

μεταφυτεύω (*აόρ. μεταφύτεψ(σ)α, აόρ. παθ. μεταφυτεύθ(τ)ηκα, μτχ. μεταφυτευμένος*) *μετβ.* **1.** *ბოტ.* გადარგვა; **2.** *მედ.* გადანერგვა; **3.** *გადატ.* დანერგვა, დამკვიდრება, გავრცელება (იდეების, წეს-ჩვეულებების, მეთოდების).

μεταχειρίζομαι (*აόρ. παθ. μεταχειρίστηκα, μτχ. μεταχειρισμένος*) *μετβ., αποθ.* **1.** *პირდ., გადატ.* გამოყენება, ხმარება, სარგებლობა; **2.** მოქცევა, მოპყრობა: *μας μεταχειρίστηκε καλά* კარგად მოგვექცა.

μεταχείριση η **1.** *პირდ., გადატ.* გამოყენება, ხმარება, სარგებლობა; **2.** მოქცევა, მოპყრობა: *καλή* კარგი მოპყრობა.

μεταχειρισμένος, -η, -ο ნახმარი.

μετεκπαίδευση η კვალიფიკაციის ამაღლება.

μετεκπαιδεύω (*აόρ. μετεκπαίδευσα, აόρ. παθ. μετεκπαιδεύτ(θ)ηκα, μτχ. μετεκπαιδευμένος*) *μετβ.* კვალიფიკაციის ამაღლება, გადამზადება.

μετέπειτα *მაღალ.* **1.** *επίρρ.* შემდეგ, მოგვიანებით; **2.** *επίθ.* შემდეგი,

მემდგომი, მომდევნო; **3.** (οι) მთა-მომაელები.

μετέχω (*αόρ. μετείχα / μετέσχον*) *αμετβ.* (+ *σε*) მონაწილეობა, მონაწილეობის მიღება: *η χώρα μας ~ει στο συνέδριο* ჩვენი ქვეყანა კონფერენციაში მონაწილეობს; *μετβ.* (+ *γεν.*) ფლობა, ქონება.

μετεωρίζω (*αόρ. μετεώρισα, αόρ. παθ. μετεωρίστ(θ)ηκα, μτχ. μετεωρισμένος*) *μετβ.* მაღლა აწევა, აღმართვა, ჰაერში დაკიდება, ფარფატი.

μετεωρίτης ο *αστρονομ.* მეტეორიტი; ◊ ***βροχή ~ών*** მეტეორიტების წვიმა.

μετεωρολογία η (*πληθ. არ გააჩნია*) მეტეოროლოგია.

μετεωρολόγος ο/η მეტეოროლოგი.

μετέωρος, -η, -ο 1. ჰაერში გამოკიდებული; *გაძლ.* **2.** ბუნდოვანი, გაურკვეველი; **3.** გაუბედავი, მერყევი; **4.** (το) ა) ატმოსფერული მოვლენა, ბ) მეტეორიტი.

μέτοικος ο/η **1.** ემიგრანტი; **2.** *ისტ.* მეტიკი.

μετοικώ (ε) (*αόρ. μετοίκησα*) *αμετβ.* **1.** ბინის გამოცვლა; **2.** გადასახლება, ემიგრაცია.

μετόπη η *არქიტექ.* მეტოპა.

μετοχή η **1.** *ეკონ.* აქცია; **2.** *ენათმეც.* მიმღეობა; **3.** მონაწილეობა, მონაწილეობის მიღება; ◊ *ეკონ.* ***ανεβαίνουν / πέφτουν οι ~ές μου*** ჩემი აქციების ფასი იზრდება / იკლებს.

μετοχικός, -ή, -ό 1. *ეკონ.* სააქციო: *~ή εταιρεία* სააქციო საზოგადოება; **2.** *ენათმეც.* მიმღეობისა, მიმღეობური.

μέτοχος, -η, -ο 1. მონაწილე, თანამონაწილე; **2.** (ο/η) *ეკონ.* აქციონერი.

μετρημένος, -η, -ο 1. დათვლილი, გამოთვლილი, დაანგარიშებული; *გაძლ.* **2.** მცირერიცხოვანი; **3.** თავშეკავებული, თავდაჭერილი; ◊ ***~οι στα δάχτυλα*** თითებზე ჩამოსათვლელი, ***~α λόγια*** აწონ-დაწონილი, კარგად გააზრებული სიტყვები.

μέτρηση (μέτρημα) η გაზომვა, აზომვა, აწყვა, დათვლა, გამოთვლა, დაანგარიშება.

μετρητά τα ნაღდი ფული; ◊ ***τοις ~οίς*** (ანგარიშსწორება) ნაღდი ფულით, ***ο πωλών τοις ~οίς*** ნაღდ ფულზე მოვაჭრე.

μετρητής ο **1.** მზომელი, დამთვლელი, გამომთვლელი; **2.** მრიცხველი: *~ ηλεκτρικού ρεύματος / νερού* ელექტრობის / წყლის მრიცხველი; ◊ *~ ταχύτητας* სპიდომეტრი, *χιλιομετρικός ~* მანძილმზომი.

μετριοπάθεια η (*πληθ. არ გააჩნია*) ზომიერება, თავშეკავებულობა, თავდაჭერილობა.

μετριοπαθής, -ής, -ές (*γεν. -ούς, πληθ. αρσ. და θηλ. -είς, ουδ. -ή*) ზომიერი, თავშეკავებული, თავდაჭერილი, გაწონასწორებული: *~ κριτική* ზომიერი კრიტიკა.

μέτριος, -α, -ο 1. ზომიერი, საშუალო (სიდიდის): *~α θερμοκρασία* ზომიერი ტემპერატურა, *~ο ανάστημα* საშუალო სიმაღლე; **2.** საშუალო (დონის), უფერული: *~ καφές* საშუალო სიტკბოს ყავა.

μετριότητα η **1.** ზომიერება; **2.** საშუალო დონე, უფერულობა (ხარისხობრივად); **3.** საშუალო ნიჭის, მონაცემების, შესაძლებლობების მქონე ადამიანი.

μετριοφροσύνη η (*γεν. πληθ. არ გააჩნია*) თავმდაბლობა, თავდაჭერილობა, უბრალოება, სისადავე: *άσε τις ~ες* მოეშვი თავმდაბლობას.

μετριόφρων, -ων, -ον (μετριόφρονας) (*γεν. -ονος, αιτ. -ονα, πληθ. αρσ. και θηλ. -ονες, ουδ. -ονα*) თავმდაბალი, თავდაჭერილი, უბრალო, სადა: *μην είσαι ~!* ნუ თავმდაბლობ!

μέτρο το **1.** *Ποίκ., γραμ.* საზომი: *~ ύψους* სიგრძის საზომი; **2.** მეტრი: *τετραγωνικό ~* კვადრატული მეტრი; **3.** რულეტი (საზომი); *γραμ.* **4.** ზღვარი, ფარგლები, საზღვრები: *στο ~ του δυνατού* შესაძლებლობის ფარგლებში; **5.** ზომიერება: *χάνω την αίσθηση του ~ου* ზომიერების გრძნობას ვკარგავ; **6.** *φιλολ.* საზომი (ლექსთწყობაში); **7.** *მუს.* ტაქტი, რიტმი; ◊ ***αίσθηση του ~ου*** ზომიერების გრძნობა, ***~ν άριστον*** ოქროს შუალედი, ***λαμβάνω / παίρνω τα ~α μου*** ზომებს ვიღებ, ***~α ασφαλείας / ασφαλιστικά ~α*** უსაფრთხოების ზომები, ***με ~*** ზომიერად.

μετρό το *άκλ.* მეტრო.

μετρώ (μετράω) (α) (*αόρ. μέτρησα, αόρ. παθ. μετρήθηκα, μτχ. μετρημένος*) *μετβ., αμετβ.* **1.** *Ποίκ., γραμ.* გაზომვა, აზომვა, აწყობა: *έλα να μου μετρήσεις την πίεση!* მოდი, წნევა გამიზომე! **2.** დათვლა, გამოთვლა, დაანგარიშება: *~ τ' αστέρια / τα λεφτά* ვთვლი ვარსკვლავებს / ფულს; **3.** *Ποίκ., γραμ.* ჩათვლა, მითვლა: *ο διαιτητής αποφάσισε να μετρήσει το γκολ* მსაჯმა გადაწყვიტა, რომ გოლი ჩაითვალა; ◊ ***~ τις ημέρες ώσπου / μέχρι να...*** ვითვლი დღეებს, ერთი სული მაქვს, ვიდრე.., ***~ούνται στα δάχτυλα / είναι μετρημένοι στα δάχτυλα*** თითებზე ჩამოსათვლელია.

μετωπικός, ή, -ό 1. *ανατ.* შუბლის; **2.** *სამხ.* ფრონტალური, წინა: *~ή πυρά* ფრონტალური ცეცხლი; **3.** (η) ავტომანქანების პირისპირ (ფრონტალური) შეჯახება.

μέτωπο το **1.** შუბლი; **2.** *სამხ., Ποίκ., γραμ.* ფრონტი: *έφυγε για το ~* ფრონტზე წავიდა; **3.** ფასადი, წინა მხარე; ◊ ***σπάω το ~*** ფრონტის ხაზს გავარღვევ, ***κατά ~*** ა) ფრონტზე, ფრონტის ხაზზე, ბ) ჯიქურ, პირდაპირ, ***το ~ της πυρκαγιάς / της φωτιάς*** ხანძრის ზონა.

μέχρι (μέχρις) *πρόθ.* (+ *αιτ., βοηθ.* + *γεν.*) **1.** -მდე: *θα σε πάω ~ την πόρτα* კარამდე მიგიყვან (მიგაცილებ), *~ τις οχτώ η ώρα* ხუთ საათამდე, *~ τελευταίας ρανίδος* სისხლის უკანასკნელ წვეთამდე; **2.** დაახლოებით, თითქმის, -მდე: *θα ήταν ~ εκατό άτομα* ას კაცამდე იქნებოდა; ◊ ***~ ενός σημείου / βαθμού*** გარკვეულ დონემდე, გარკვეულწილად, ***~ και*** ა) -ც... კი: *~ και αυτή την υποχώρηση έκανα* უკანაც კი დავიხიე, ბ) -მდეც... კი; *~ που* ა) მანამ, სანამ, ვიდრე, -მდე, ბ) -ც... კი: *~ που διέδωσαν ότι είμαι ετοιμοθάνατος* ის ხმაც კი გაავრცელეს, რომ სიკვდილის პირას ვიყავი მისული, *~ να* მანამ, სანამ, ვიდრე, -მდე.

μη (μην) *μόρ.* არ, ნუ: *~ φύγεις!* ნუ წახვალ! *~ με στενοχωρείς!* გულს ნუ მტკენ! *~ έμπειρος* გამოუცდელი; ◊ ***χαΐρι και προκοπή να ~ δεις!*** შენ არ გაიხარო! ***θέλοντας και ~*** გინდა თუ არ გინდა, ***αν ~ τι άλλο*** სხვა თუ არაფერი.

μηδαμινός, -ή, -ό სულ მცირე, უმნიშვნელო, არაფრის მაქნისი, უვარგისი, უხეირო, გამოუსადეგარი.

μηδέν το (*γεν. -ός*) *Ποίκ., γραμ.* ნული, არარაობა, არაფერი, არა-

ეითარი; ◊ *αρχίζω / ξεκινώ από το ~* ნულიდან ვიწყებ (რაიმეს).

μηδενίζω (*აόρ. μηδένισα, აόρ. παθ. μηδενίστ(θ)ηκα. მτχ. μηδενισμένος*) *მეტბ.* 1. გაქრობა, ნულამდე დაყვანა, მოსპობა, განადგურება, ლიკვიდაცია; 2. ნულიანის მიღება, გამოცდაში ჩაჭრა;

μηδενικός, -ή, -ό 1. ნულოვანი, უმნიშვნელო, არაფრის მაქნისი; 2. (το) ა) ნული, ბ) ნულიანი (ქულა შეფასებისას): *πήρα ~ό* ნულიანი მივიღე, ჩავიჭერი, გ) *გადატ.* ნული, არარაობა: *είναι ένα μεγάλο ~ό* არარაობაა, არაფერს არ წარმოადგენს.

μηδενισμός ο 1. გაქრობა, ნულამდე დაყვანა, ნულისთვის გატოლება; 2. ნულიანის მიღება, გამოცდაში ჩაჭრა; 3. *ფილოს.* ნიჰილიზმი.

μηδενιστής ο, **-τρια** η ნიჰილისტი.

μηδενιστικός, -ή, -ό ნიჰილისტური.

μήκος το 1. სიგრძე; 2. სიგრძე, ხანგრძლივობა: *το ~ της συζήτησης* დისკუსიის ხანგრძლივობა; ◊ *κατά ~ας* გასწვრივ, გაყოლებით, სიგრძივ, *κατά ~ και κατά πλάτος* სიგრძეზე და სიგანეზე, *სპორტ. άλμα εις ~ος* სიგრძეზე ხტომა, *ταινία μικρού / μεγάλου ~ους* მოკლემეტრაჟიანი / სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი, *σε όλο το ~* მთელ სიგრძეზე, *γεωγραφικό ~ / ~ τόπου* მერიდიანი.

μήλη η *მედ.* კათეტერი.

μηλιά η ვაშლის ხე.

μηλιώνας (μηλέωνας) ο ვაშლის ბაღი.

μήλο το 1. ვაშლი; 2. *ანატ.* ღაწვის ძვალი, ღაწვი; ◊ *το ~ν της Έριδος* განხეთქილების ვაშლი, *~ του Αδάμ* ადამის ვაშლი, ხორხის მაღლობი.

μηλόπιτα η ვაშლის ნამცხვარი, ვაშლის ღვეზელი.

μη-με-λησμόνει το *ბოტ.* კელსანე, ცისანა.

μη-μου-άπτου 1. მიუკარებელი, უკარება; 2. (το) *ბოტ.* უკადრისა.

μήνας ο თვე; ◊ *είμαι στον ~α μου* ფეხმძიმობის მეცხრე თვეში ვარ, *~ του μέλιτος* თაფლობის თვე, *το ~α που δεν έχει Σάββατο* როდინობის კეირას, არასოდეს, *~α με το ~α* ყოველთვიურად.

μηνιαίος, -α, -ο 1. ერთი თვის; 2. ყოველთვიური: *~ο περιοδικό / ~α εφημερίδα* ყოველთვიური ჟურნალი / გაზეთი.

μηνιάτικος, -η, -ο *ხალხ.* 1. ერთი თვის; 2. (το) ა) ყოველთვიური ხელფასი, ბ) ერთი თვის ქირა, გადასახადი.

μηνιγγίτιδα η *მედ.* მენინგიტი.

μήνυμα το 1. ცნობება, უწყება, შეტყობინება: *στέλνω / ~* ვგზავნი შეტყობინებას; 2. *გადატ.* სულისკვეთება; 3. მისალმება, მიმართვა; ◊ *πάνω / συλλαμβάνω το ~* მესმის, ვიგებ, ვხვდები: *έπιασα το ~* აზრს ჩავწვდი.

μήνυση η *იურ.* საჩივარი, სარჩელი: *υποβάλλω / καταθέτω ~ εναντίον κάποιου* სარჩელს წარვადგენ / ვუჩივლებ (ვინმეს).

μηνυτής ο, **-τρια** η 1. *იურ.* მომჩივანი, მოსარჩელე; 2. მაცნე, მაუწყებელი.

μηνύω (*აόρ. μήνυσα, აόρ. παθ. μηνύθηκα*) *მეტბ.* ჩივილი, სარჩელის წარდგენა.

μήπως *სინდ.* 1. ხომ არ: *~ θες να έρθεις* მოსვლა ხომ არ გინდა? 2. განა: *~ δεν τον βοήθησα τύσες φορές;* განა მრავალჯერ არ დაეხმარე? 3. (*ხშირად + τυχόν / τύχει*) რომ არ: *φοβήθηκα ~ δεν έρθεις* შემეშინდა, რომ არ მოხვიდოდი; 4. (*ხშირად + και*) იქნებ: *σκέφτομαι ~ δεν είναι*

σωστό να του μιλήσω ვფიქრობ, იქნებ არ ღირს მასთან დალაპარაკება.

μηρός (μηρί) το *ანად.* ბარძაყი, ბარკალი.

μηρυκάζω (*აόρ. μηρύκασα*) *μετβ.* **1.** *ზოოლ.* ღეჭვა, ცოხნა; **2.** *გადატ.* ერთსა და იმავეს ღეჭვა, ერთი ადგილის ტკეპნა (საუბრისას), სხვისი სიტყვების, იდეების, აზრების გადამღერება.

μήτε *σύνδ.* არც: *~ ο ένας ~ ο άλλος ήρθαν* არც ერთი მოსულა და არც მეორე.

μητέρα (μήτηρ) η **1.** დედა; *გადატ.* **2.** დედა, მშობელი: *η Εκκλησία είναι ~ των πιστών* ეკლესია მორწმუნეთა მშობელია; **3.** წყარო, მშობელი, საწყისი, სათავე: *~ του κακού* ბოროტების წყარო; **4.** სამშობლო, აკვანი: *η Ελλάδα θεωρείται ~ της δημοκρατίας* საბერძნეთი დემოკრატიის სამშობლოდ ითვლება.

μήτρα η *ანად.* საშვილოსნო.

μητριαρχία η (*πληθ. არ გააჩნია*) მატრიარქატი.

μητρικός, -ή, -ό **1.** დედის, დედობრივი, დედისეული; **2.** *ანად.* საშვილოსნოსნოს: *~ κόλπος* საშვილოსნოს ყელი; ◊ *~ή γλώσσα* დედა ენა.

μητρόπολη η **1.** დიდი, ცენტრალური ქალაქი, დედაქალაქი, მეგაპოლისი, ცენტრი, გული, ცენტრალური ადგილი; *ეკლ.* **2.** მიტროპოლია, მიტროპოლიტის რეზიდენცია და ეპარქია; **3.** საკათედრო ტაძარი.

μητροπολίτης ο *ეკლ.* მიტროპოლიტი.

μητροσκόπηση η *მედ.* საშვილოსნოს ექოსკოპია.

μητρότητα η დედობა: *αίσθηματα ~ς* დედობრივი გრძნობები.

μητρυιά (μητριά) η *პირდ., გადატ.* დედინაცვალი.

μητρυιός (μητριός) ο მამინაცვალი.

μητρώο το *მაღალფ.* რეესტრი, ჩანაწერების, სარეგისტრაციო წიგნი; ◊ *στρατολογικό ~* ახალწვეულთა სია, *~ αρρένων* სამობილიზაციო სია, *ποινικό ~* ა) სისხლის სამართლის დამნაშავეთა რეესტრი, ბ) ამონაწერი სისხლის სამართლის დამნაშავეთა რეესტრიდან, *φορολογικό ~* გადასახადის გადამხდელთა სარეგისტრაციო წიგნი.

μηχανάκι το (*γεν. არ გააჩნია*) მოპედი, პატარა მოტოციკლეტი.

μηχανεύομαι (*აόρ. μηχανεύτηκα*) *μετβ., αποθ.* მოფიქრება, გამოგონება, მაქინაციების, ხრიკების მოწყობა.

μηχανή η **1.** მანქანა, აპარატი, მოტორი, ძრავა; **2.** მოტოციკლეტი; *გადატ.* **3.** მექანიზმი, მანქანა: *κρατική ~* სახელმწიფო მექანიზმი; **4.** ხერხი, ფანდი, ხრიკი, მანქანება, მაქინაცია; ◊ *από ~ς θεός* ღმერთი მანქანიდან (Deus ex Machina).

μηχάνημα το მანქანა, აპარატი, დანადგარი, მოწყობილობა, აპარატურა.

μηχανικά / μηχανικώς *επίρρ.* **1.** ტექნიკურად, მანქანურად; **2.** *გადატ.* მექანიკურად, ავტომატურად, ინსტინქტურად.

μηχανική η (*πληθ. არ გააჩნია*) მექანიკა.

μηχανικός ο/η **1.** ინჟინერი: **2.** მექანიკოსი, მემოტორე, მეძრავე, მოტორისტი; ◊ *πολιτικός ~* ინჟინერ-მშენებელი.

μηχανικός, -ή, -ό **1.** მექანიკური; **2.** ტექნიკური, მანქანური; **3.** *გადატ.* მექანიკური, ავტომატური, ინსტინქტური, დაუფიქრებელი, გაუაზრებელი.

μηχανισμός ο *Λογ., გადატ.* **1.** მექანიზმი, აპარატი; ◊ ***αμυντικός ~*** დაცვითი მექანიზმი, ***κρατικός ~*** სახელმწიფო მექანიზმი, აპარატი.

μηχανοποίηση η **1.** მექანიზაცია; **2.** *გადატ.* მექანიზაცია, გაერთფეროვნება.

μηχανοποιώ (ε) (*αόρ. μηχανοποίησα, αόρ. παθ. μηχανοποιήθηκα, μτχ. μηχανοποιημένος*) *μετβ.* **1.** მექანიზაცია: *~ την παραγωγή* წარმოების მექანიზაციას ვახდენ; **2.** *გადატ.* მექანიზაცია, გაერთფეროვნება.

μηχανορραφία η მაქინაცია, ხრიკი, მანქანება, ინტრიგა.

μηχανορράφος ο/η ინტრიგანი, შარიანი, შარისთავი.

μηχανορραφώ (ε) (*αόρ. μηχανορράφησα*) *αμετβ.* ინტრიგის, ხრიკის მოწყობა.

μία (μια) *ob.* **ένας**.

μιαίνω (*αόρ. μίανα, αόρ. παθ. μιάνθηκα, μτχ. μιασμένος*) *μετβ.* გასერა, თავის შერცხვენა, სახელის გატეხა, შებღალვა, წაბილწვა, შეგინება.

μιγάς (μιγάδας) ο/η (*γεν. -άδος, αιτ. -άδα, πληθ. -άδες*) მეტისი, მულატი.

μιζέρια η (*γεν. πληθ. არ გააჩნია*) **1.** სიღარიბე, სიღატაკე, ეკონომიკური დაქვეითება, დაცემა; **2.** მიზერიანობა, წუნიანობა, წუწუნი, ბუზღუნი, ჯუჯღუნი, სიძუნწე, კრიჟანგობა, წუწურაქობა.

μίζερος, -η, -ο 1. ღარიბი, ღატაკი; **2.** მცირე, პატარა, დაბალი: *~η σύνταξη* დაბალი პენსია; **3.** ბუზღუნა, ძუნწი, კრიჟანგი, წუწურაქი.

μικραίνω (*αόρ. μίκρυνα*) *μετβ., αμετβ.* დაპატარავება, დამოკლება, შემცირება, მესუსტება: *το φθινόπωρο οι μέρες ~ουν* შემოდგომაზე დღეები მოკლდება.

μικρασιατικός (μικρασιάτικος), -ή, -ό მცირე აზიის, მცირეაზიური; ◊ ***ιδ. Μ~ή καταστροφή*** მცირე აზიის კატასტროფა.

μικροαστικός, -ή, -ό წვრილბურჟუაზიული; ◊ ***~ή τάξη*** წვრილი ბურჟუაზია.

μικροαστός ο *Λογ., გადατ.* წვრილი ბურჟუა.

μικρόβιο το **1.** მიკრობი; **2.** *გადატ., საუბრ.* ტანმორჩილი, სუსტი ადამიანი.

μικροβιοκτόνος, -ος (-α), -ο *მედ.* ბაქტერიოციდული: *~α αλοιφή* ბაქტერიოციდული მალამო.

μικροβιολογία η (*γεν. πληθ. არ გააჩნია*) *მედ.* მიკრობიოლოგია, ბაქტერიოლოგია.

μικροβιολογικός, -ή, -ό *მედ.* მიკრობიოლოგიური, ბაქტერიოლოგიური.

μικροβιολόγος ο/η *მედ.* მიკრობიოლოგი, ბაქტერიოლოგი.

μικροεπιχείρηση η მცირე ბიზნესი.

μικροκαμωμένος, -η, -ο (μικροκάμωτος) 1. მცირე, პატარა, წვრილი, მინიატიურული; **2.** ტანმორჩილი, ტანდაბალი.

μικροκύματα τα *ფიზ.* მოკლე ტალღები; ◊ ***φούρνος ~ων*** მიკროტალღური ღუმელი.

μικροπρέπεια η **1.** წვრილმანობა, დაწვრილმანება; **2.** სიმდაბლე, სულმდაბლობა.

μικρός, -ή, -ό 1. პატარა, მცირე, მოკლე, ხანმოკლე, დაბალი; **2.** მცირერიცხოვანი; **3.** უმცროსი: *ο ~ αδελφός μου* ჩემი უმცროსი ძმა; **4.** *გადატ.* მდაბალი, უღირსი, არაფრის მაქნისი: *αποδείχτηκε ~ για μια τόσο σημαντική αποστολή* ასეთი მნიშვნელოვანი მისიისათვის უღირსი აღმოჩნდა; **5.** (ο) ა) ახალგაზრდა,

ყმაწვილი, ჭაბუკი, ბიჭი, ბ) ახალგაზრდა ოფიციანტი, გ) შეკვირდი, ასისტენტი; ◊ *~ές αγγελίες* განცხადებები, *ταινία ~ού μήκους* მოკლემეტრაჟიანი ფილმი, *προ ~ού* ცოტა ხნის წინათ.

μικροσκοπικός, -ή, -ό მიკროსკოპისა, მიკროსკოპული.

μικροσκόπιο το მიკროსკოპი.

μικρότητα η **1.** მცირე, პატარა ზომა, სიმცირე; *გადატ.* **2.** უმნიშვნელობა; **3.** სიმდაბლე, სულმდაბლობა.

μικρούλης, -α, -ι 1. პაწაწა, ნამცეცა, ერთი ციცქნა, ერთი ბეწო; **2.** ასაკით პატარა, პაწაწა, პაწაწინა.

μικρόφωνο το მიკროფონი.

μικρόψυχος, -η, -ο 1. მდაბალი, სულმდაბალი, უღირსებო; **2.** სულმოკლე, მშიშარა, ლაჩრული.

μικτός, -ή, -ό შერეული, არეული, ნარევი.

μίλι το მილი (სიგრძის ერთეული = 1609,35 მ.).

μιλώ (μιλάω, ομιλώ) (α/ε) (*აόρ. μίλησα, აόρ. παθ. μιλήθηκα, μτχ. μιλημένος*) *μετβ., αμετβ.* **1.** ლაპარაკი, საუბარი; **2.** მოთხრობა, გადმოცემა: *για τι πράγμα ~άει αυτό το βιβλίο;* რის შესახებ მოგვითხრობს ეს წიგნი? ◊ *μίλησε έξω από τα δόντια* კბილებში გამოსცრა, *εγώ ~άω κι εγώ τ' ακούω / ~άω στον αέρα* შეაყარე კედელს ცერცვი.

μίμηση η **1.** წაბაძვა, მიბაძვა, მიმესისი; **2.** *θγს.* იმიტაცია.

μιμητής ο, **-τρια** η წამბაძველი, მიმბაძველი, იმიტატორი.

μιμητικός, -ή, -ό 1. წამბაძველობითი, წაბაძვითი, მიმბაძველობითი, მიბაძვითი, იმიტაციის, იმიტატორისა, იმიტატორული, მიმეტიკური; **2.** (η) წაბაძვა, მიბაძვა, იმიტაცია.

μιμικός, -ή, -ό 1. მიმიკური; **2.** (η) მიმიკა; ◊ *θεδ. ~οί μύες* მიმიკური კუნთები.

μιμόδραμα το პანტომიმა.

μίμος ο **1.** წამბაძველი, მიმბაძველი, იმიტატორი; **2.** მიმი, პანტომიმის მსახიობი; **3.** პანტომიმა.

μιμούμαι (*αόρ. μιμήθηκα*) *μετβ., αποθ.* წაბაძვა, მიბაძვა, იმიტაცია: *~ τη φωνή / το ντύσιμο / τις κινήσεις* ვბაძავ ხმას / ჩაცმულობას / მოძრაობებს.

μιναρές ο (*πληθ. -έδες*) მინარეთი.

μινιατούρα η (*γεν. πληθ. αρ χαάβνια*) მინიატიურა.

μινωικός, -ή, -ό მინოსის, მინოსური; ◊ *~ πολιτισμός* მინოსური კულტურა.

μισαλλόδοξος, -η, -ο სხვა აღმსარებლობის მქონე, ან განსხვავებულად მოაზროვნეთა მიმართ მტრულად განწყობილი, შეუწყნარებელი, არაშემწყნარებლური.

μισανθρωπία η კაცთმოძულეობა, მიზანთროპია.

μισάνθρωπος ο კაცთმოძულე, მიზანთროპი.

μισάνοιχτος, -η, -ο ნახევრად ღია, გამოღებული, შეღებული, ოდნავ ღია.

μίσθιος, -α, -ο 1. დაქირავებული, საქირაო, ნაქირავები, იჯარით აღებული, მოიჯარე; **2.** (το) ქირა, იჯარა, ნაქირავები, საიჯარო უძრავ-მოძრავი ქონება.

μισθοδοσία η **1.** ჯამაგირის, ხელფასის გაცემა; **2.** ხელფასი, ჯამაგირი.

μισθοδοτικός, -ή, -ό ხელფასის, ჯამაგირის, სახელფასო.

μισθοδοτώ (ε) (*αόρ. μισθοδότησα, αόρ. παθ. μισθοδοτήθηκα, μτχ. μισθοδοτημένος*) *μετβ.* ხელფასის, ჯამაგირის გაცემა.

μισθός (μιστός) ο ხელფასი, ჯამაგირი.

μισθοφόρος ο დაქირავებული ჯარისკაცი (ჩვეულებრივ, უცხო ქვეყნის ჯარში მომსახურე).

μίσθωμα το ქირა, იჯარა: *το ~ της γκαρσονιέρας* ერთოთახიანი ბინის ქირა.

μισθώνω (*αόρ. μίσθωσα, αόρ. παθ. μισθώθηκα, μτχ. μισθωμένος*) *μετβ.* ქირაობა, დაქირავება, იჯარით აღება: *~ διαμέρισμα / βάρκα / υπάλληλο* ვქირაობ ბინას / ნავს / მოხელეს.

μισθωτής ο, **-τρια** η დამქირავებელი, მოიჯარე, იჯარადარი.

μισθωτός, -ή, -ό დაქირავებული, საქირაო, ნაქირავები, იჯარით აღებული, მოიჯარე.

μισογύνης ο ქალთმოძულე.

μίσος το (*γεν. πληθ. ára გააჩნია*) ბიზღი, სიძულვილი: *~ είχε ~ για τα ταξίδια* სძულდა მოგზაურობა.

μισός, -ή, -ό 1. ნახევარი, შუა, დაუსრულებელი: *κάνει ~ές δουλειές* ნახევარ საქმეს აკეთებს; 2. (το) ნახევარი: *το πρώτο ~ό του 15ου αιώνα* მე-15-ე საუკუნის პირველი ნახევარი.

μισοτελειώνω (*αόρ. μεσοτέλειωσα / μισοτελείωσα, μτχ. μισοτελειωμένος*) *μετβ.* შუა გზაში მიგოვება (რაიმე საქმის), რაიმეს სანახევროდ გაკეთება.

μισοτιμής *επίρρ* ნახევარ ფასად, იაფად.

μισότρελος, -η, -ο ნახევრად გიჟი, შეშლილი.

μισοφέγγαρο το *საუბრ.* ნახევარმთვარე.

μισώ (ε) (*αόρ. μίσησα, αόρ. παθ. μισήθηκα, μτχ. μισημένος*) *μετβ.* ბიზღი, სიძულვილი; ◊ *τον πλούτον πολλοί εμίσησαν, την δόξαν ουδείς* სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსა.

μίτος ο ძაფი; ◊ *ο ~ της Αριάδνης* არიადნეს ძაფი, *ο ~ των ιδεών* იდეების, აზრების ჯაჭვი, წყება, მდინარება.

μνεία η ხსენება, მოხსენება, მოხსენიება.

μνήμα το *ბალხ., ლიტ.* 1. საფლავი, სამარე; 2. (τα) სასაფლაო.

μνημειακός, -ή, -ό მონუმენტური: *~ή ζωγραφική* მონუმენტური მხატვრობა.

μνημείο το 1. ძეგლი, მონუმენტი: *ιστορικά ~α* ისტორიული ძეგლები; 2. *გადატ.* ძეგლი, ნიმუში, განსახიერება: *~ σοφίας / βλακείας* სიბრძნის / სისულელის განსახიერება.

μνημειώδης, -ης, -ες (*γεν. -ους, πληθ. αρσ. და θηλ. -εις, ουδ. -η*) დიდებული, გრანდიოზული.

μνήμη η (*γεν. πληθ. ára გააჩნია*) 1. მეხსიერება: *η ~ μου δεν με βυηθάει* ვერ ვიხსენებ; 2. მოგონება: *παιδικές ~ες* ბავშვობის მოგონებანი; 3. ხსოვნა: *βιβλίο αφιερωμένο στη ~ του* მისი ხსოვნისადმი მიძღვნილი წიგნი; 4. *ინფორ.* კომპიუტერის მეხსიერება; ◊ *αν δεν με απατά η ~ μου* თუ მეხსიერება არ მღალატობს, *ανακαλώ στη ~ μου* ვიხსენებ, *αιώνια (του / της) η ~!* საუკუნო ხსოვნა იყოს! საუკუნო ხსენება! *εις ~ν* სახსოვრად, მოსაგონებლად, სამახსოვროდ.

μνημόνευση η 1. ხსენება, მოხსენიება, გახსენება; 2. *ეკლ.* მოხსენიება.

μνημονεύω (*αόρ. μνημόνευσα, αόρ. παθ. μνημονεύθ(τ)ηκα, μτχ. μνημονευμένος*) *μετβ.* 1. ხსენება, მოხ-

სენიება, გახსენება; 2. *ეკლ.* მოხსენიება.

μνημόνιο το *ოფიც.* მოხსენებითი ბარათი, მემორანდუმი.

μνημόσυνο το *ეკლ.* პანაშვიდი.

μνησικακία η შურისმაძიებლობა, გულღვარძლიანობა.

μνησίκακος, -η, -ο შურისძიების, გულღვარძლიანი.

μνηστή η *მაღალფ.* საცოლე.

μνηστήρας ο *მაღალფ.* 1. საქმრო, სასიძო: *οι ~ες της Πηνελόπης* პენელოპეს სასიძოები; 2. *გადატ.* პრეტენდენტი, მაძიებელი: *~ του θρόνου* ტახტის პრეტენდენტი.

μοβ *επίθ., άκλ.* 1. იისფერი; 2. (το) იისფერი.

μογγολικός, -ή, -ό მონგოლური.

μόδα η (*γεν. πληθ. არ გააჩნია*) მოდა.

μοδίστρα η მკერავი ქალი.

μόδιστρος ο 1. მოდელიორი, ტანსაცმლის დიზაინერი; 2. მკერავი, თერძი, დერცაკი.

μοιάζω (ομοιάζω) (*აόր. έμοιασα*) *ამეტბ.* (+ *με / σε*) 1. გვანება, მსგავსება: *~ει του πατέρα του / με τον πατέρα του* მამას ჰგავს; 2. (*~ει* + *να*) ჩანს, როგორც ჩანს, მიაგავს, თითქოს: *~ει να έχει ενδιαφέρον* საინტერესო ჩანს; ◊ *~ουν σα δύο σταγόνες νερό* გაჭრილი ვაშლივით ჰგვანან ერთმანეთს.

μοίρα η 1. ნაწილი, წილი; 2. ბედი, ბედისწერა, ხვედრი: *αυτή ήταν η ~ μου* ეს იყო ჩემი ხვედრი; 3. **(Μ)** მოირა; 4. *სამხ.* დივიზიონი, ბატალიონი: *ναυτική ~* ესკადრა; 5. *მათ.* გრაღუსი: *γωνία 90 ~ών* ოთხმოცდაათგრაღუსიანი კუთხე; ◊ *νόμιμη ~* კანონიერი წილი, *της ~ς το γραφτό* ბედისწერა, *κλαίει τη ~ του* თავის ბედს დასტირის.

μοιράζω (*აόр. μοίρασα, αόр. παθ. μοιράστηκα, μτχ. μοιρασμένος*) *μετβ., αμετβ.* 1 *Ποιρδ., გადატ.* გაყოფა, დაყოფა, დანაწილება, გაზიარება: *~όμαστε χαρές και λύπες* ერთმანეთის სიხარულსა და მწუხარებას ვიზიარებთ; 2. გაყოფა, გახლეჩა: *~ομαι ανάμεσα στην καριέρα και την οικογένεια* ოჯახსა და კარიერას შორის ვიხლიჩები.

μοιραίος, -α, -ο 1. *Ποιρდ., გადატ.* საბედისწერო, გარდაუვალი; 2. *გადატ.* ბედს მინდობილი; 3. (το) სიკეთილი: *όταν επήλθε το ~ο, κανείς δεν ήταν πλάι του* როდესაც სიკვდილი ეწვია, მის გვერდით არავინ იყო.

μοιρασιά (μοίρασμα) η *საუბრ.* გაყოფა, განაწილება, დარიგება.

μοιραστής ο გამყოფი, გამანაწილებელი, გამცემი, დამრიგებელი.

μοιρολατρία η (*πληθ. არ გააჩნია*) ფატალიზმი.

μοιρολόγι (μοιρολόι) το 1. სამგლოვიარო სიმღერა; 2. *Ποιρდ., გადატ.* დატირება, მოთქმა; ◊ *σύρω ~* მოთქმა-გოდებას მოყვება.

μοιρολογίστρα (μοιρολογήτρα) η მოტირალი, მოზარე ქალი.

μοιρολογώ (μοιρολογάω) (ε) (*αόр. μοιρολόγησα, αόр. παθ. μοιρολογήθηκα, μτχ. μοιρολογημένος*) *μετβ., αμετβ.* 1. *Ποιρდ., გადატ.* დატირება, მოთქმა, გოდება.

μοιχεία η ცოლ-ქმრული ღალატი.

μοιχεύω (*αόр. μοίχευσα*) *αμετβ.* ცოლ-ქმრული ღალატი.

μόλις *επίρρ.* 1. ძლივს, დიდი გაჭირვებით: *~ που προλάβαμε το λεωφορείο* ძლივს მივუსწარით ავტობუსს; 2. (+ *αριθμητ.*) სულ რაღაც, -ოდე: *πέθανε ~ 16 χρονών* თექვსმეტიოდე წლისაც არ იყო, რომ გარდაიცვალა; 3. სწორედ ახლა, ამ

წუთას, ეს-ესაა, ცოტა ხნის წინათ, ეს წუთია: ~ *τηλεφώνησε* ამ წუთას დარეკა; **4.** *σύνδ.* როგორც კი: *θα του μιλήσω ~ έρθει* როგორც კი მოვა, მაშინვე დაველაპარაკები.

μολονότι *σύνδ.* თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ: *δεν ήρθε, ~ του τηλεφώνησα δύο φορές* არ მოვიდა, თუმცა ორჯერ დავურეკე.

μόλυβδος ο *χημ.* ტყვია.

μολυβένιος, -α, -ο *λαϊκ.* **1.** ტყვიის; **2.** ტყვიისფერი.

μολυβής, -ιά, -ί ტყვიისფერი.

μολύβι το **1.** ფანქარი; **2.** *ιατρ., χημ.* ტყვია; **3.** *ζωολ., βοτ.* ტყვია.

μόλυνση η **1.** *ιατρ.* ინფექცია; **2.** გაჭუჭყიანება, დაბინძურება, მოსერა: ~ *της ατμόσφαιρας / του περιβάλλοντος* ატმოსფეროს / გარემოს დაბინძურება.

μολύνω (*αόρ. μόλυνα, αόρ. παθ. μολύνθηκα, μτχ. μολυσμένος*) *μετβ.* **1.** გაჭუჭყიანება, გაბინძურება, დაბინძურება; **2.** *ιατρ.* ინფექციის შეჭრა, სენის გადადება; **3.** *μτφ.* გასერა, თავის შერცხვენა, სახელის გატეხა.

μολυσματικός, -ή, -ό ინფექციური, გადამდები: *~ή νόσος / ασθένεια* ინფექციური დაავადება.

μονάδα η **1.** ერთეული: ~ *μήκους / βάρους* სიგრძის / წონის ერთეული; **2.** ობიექტი; **3.** *ναυτ.* ნაწილი, ქვედანაყოფი; **4.** ერთი ქულა, ერთიანი (შეფასების ერთეული); ◊ *νομισματική ~* ფულის ერთეული.

μοναδικός, -ή, -ό 1. ერთადერთი; **2.** *μτφ.* ერთადერთი, უნიკალური, განუმეორებელი.

μοναδικότητα η (*πληθ. δεν χρησιμοποιείται*) უნიკალურობა, განუმეორებლობა, გამორჩეულობა.

μονάκριβος, -η, -ο ერთადერთი და უძვირფასესი.

μοναξιά η მარტოობა, სიმარტოვე.

μονάρχης ο მონარქი.

μοναρχία η მონარქია, თვითმპყრობელობა, მონარქისტული წყობილება; ◊ *συνταγματική / απόλυτη* კონსტიტუციური / აბსოლუტური მონარქია.

μοναρχικός, -ή, -ό 1. მონარქისტული; **2.** (ο) მონარქისტი.

μοναστήρι το მონასტერი.

μοναστηριακός, -ή, -ό (μοναστηρίσιος) მონასტრის, მონასტრისა, სამონასტრო.

μοναστικός, -ή, -ό მონასტრის, მონასტრისა, სამონასტრო.

μονάχα (μοναχά) *επίρρ., λαϊκ.* მხოლოდ, ოღონდ.

μοναχή η მონაზონი ქალი.

μοναχικός, -ή, -ό 1. მარტოხელა, განმარტოებული: ~ *άνθρωπος* განმარტოებული ადამიანი; **2.** ბერული, მონაზენური, ასკეტური.

μοναχογιός ο დედისერთა, მხოლოდშობილი ვაჟიშვილი.

μοναχοκόρη η (*γεν. πληθ. δεν χρησιμοποιείται*) დედისერთა, მხოლოდშობილი ქალიშვილი.

μοναχοπαίδι το დედისერთა, მხოლოდშობილი ბავშვი.

μοναχός, -ή, -ό (μονάχος) 1. მარტოხელა, მარტო: *ταξιδεύει πάντα ~* ყოველთვის მარტო მოგზაურობს; **2.** თეითონ, თავად, საკუთარი, თავისი ნებით; *μτφ.* **3.** ნამდვილი, ნაღდი: *σκυλί ~ό* ნამდვილი ძაღლია (ძაღლივით ამტანია); **4.** მარტო, ცარიელა: *η τροφή του ήταν ρύζι ~ό* მისი საკვები ცარიელა ბრინჯი იყო; ◊ *σπίρτο ~ό* ჭკუის კოლოფი.

μοναχός ο ბერი, მონაზონი, ასკეტი.

μονή η მონასტერი.

μονιμοποίηση η მუდმივ სამსახურში აყვანა, დროებითიდან მუდმივ სამუშაოზე გადასვლა.

μονιμοποιώ (ε) (*αόρ. μονιμοποίησα, αόρ. παθ. μονιμοποιήθηκα, μτχ. μονιμοποιημένος*) *μετβ.* **1.** განმტკიცება, გამყარება; **2.** მუდმივ სამსახურში აყვანა

μόνιμος, -η, -ο 1. მუდმივი, სტაბილური; **2.** მტკიცე, სამტკიცო (მოხელე).

μονιμότητα η (*πληθ. αρ გააჩნია*) **1.** მუდმივობა, მდგრადობა, სტაბილურობა. **2.** *ιατρ.* მტკიცე ყოფნა, მტკიცე ჩარიცხვა.

μόνο *επίρρ.* **1.** მხოლოდ, ოღონდ, ოღონდაც: *θέλω ~ μισό κιλό* მხოლოდ ნახევარი კილო მინდა; *σύνδ.* **2.** (+ *που*) მაგრამ: *θα το αγόραζα ~ που είναι ακριβό* ვიყიდიდი, მაგრამ ძვირია; ◊ *~ και ~* მხოლოდ და მხოლოდ, *(και) ~ που...* და მხოლოდ როცა, *~ που δεν* ცოტაც დააკლდა, რომ, ლამის, კინაღამ.

μονογαμία η მონოგამია.

μονοδιάστατος, -η, -ο 1. ერთგანზომილებიანი; **2.** *გადატ.* ცალმხრივი, შეზღუდული, სწორხაზოვანი: *~η κριτική* ცალმხრივი კრიტიკა.

μονόδρομος ο **1.** ტრანსპორტის ცალმხრივი მოძრაობა; **2.** *გადატ.* ერთადერთი საშუალება, გზა, გამოსავალი.

μονοήμερος, -η, -ο ერთდღიანი.

μονοθεϊσμός ο **(μονοθεΐα** η) მონოთეიზმი.

μονοκατοικία η ცალკე სახლი (მხოლოდ ერთი ოჯახისათვის), სახლი, სადაც მხოლოდ ერთი ოჯახი ცხოვრობს.

μονόκλινος, -η, -ο 1. ერთსაწოლიანი; **2.** სასტუმროს ერთადგილიანი, ერთსაწოლიანი ოთახი.

μονόλογος ο მონოლოგი.

μονολογώ (ε) (*θλ. μονολογεί ενεστ. და παρατ.*) *αμετβ.* მონოლოგის წარმოთქმა, საკუთარ თავთან ლაპარაკი.

μονομαχία η ორთაბრძოლა, პაექრობა, შეჯიბრება.

μονομάχος ο/η **1.** *ίστ., გადატ.* ორთაბრძოლის მონაწილე, მორკინალი; **2.** *ისტ.* გლადიატორი.

μονομελής, -ής, -ές (*γεν. -ούς, πληθ. αρσ. და θηλ. -είς, ουδ. -ή*) ერთწევრიანი: *ιατρ. ~ές πρωτοδικείο* პირველი ინსტანციის ერთწევრიანი სასამართლო.

μονομέρεια η ცალმხრივობა, სწორხაზოვნება.

μονομερής, -ής, -ές (*γεν. -ούς, πληθ. αρσ. და θηλ. -είς, ουδ. -ή*) **1.** ერთპირი, ცალპირი, ცალმხრივი; **2.** *გადატ.* ცალმხრივი, სწორხაზოვანი.

μονομιάς *επίρρ.* **1.** ერთბაშად, ერთის ხელის მოსმით; **2.** უცებ, დაუყოვნებლივ, უეცრად.

μονοπάτι το **1.** ბილიკი; **2.** *გადატ.* ცხოვრების გზა, ბილიკი.

μονόπλευρος, -η, -ο 1. ერთპირი, ცალმხრივი; **2.** *ίστ., გადატ.* ცალმხრივი, სწორხაზოვანი.

μονοπώληση η *ίστ., გადატ.* მონოპოლიზაცია.

μονοπωλιακός, -ή, -ό მონოპოლიური, მონოპოლისტური; ◊ *~ καπιταλισμός* მონოპოლისტური კაპიტალიზმი.

μονοπώλιο το **1.** მონოპოლია, პრეროგატივა; **2.** კარტელი, ტრესტი.

μόνος, -η, -ο 1. მარტოხელა, მარტო, მარტოსული; **2.** ერთადერთი, უნიკალური; **3.** თავად, თვით, თვითონ, დამოუკიდებლად.

μονός, -ή, -ό 1. ერთადგილიანი, ერთწევრიანი, ერთნაწილიანი: *~ό*

κρεβάτι ერთადგილიანი საწოლი, *~ή κλωστή* ცალმაგი (ერთწვერიანი) ძაფი; **2.** *მათ.* კენტი; ◊ *~ά-ζυγά / ~ά ή ζυγά* კენტი და ლუწი, *~ά-ζυγά τα θέλει δικά του* ყველაფერი თავისთვის უნდა.

μονοσήμαντος, -η, -ο 1. ერთმნიშვნელობიანი; **2.** *მათ.* ერთნიშნა, ცალსახა: *~η παράσταση* ცალსახა ფუნქცია.

μονόσημος, -η, -ο ერთგვარმნიშვნელობიანი, ერთმნიშვნელობიანი.

μονοσύλλαβος, -η, -ο 1. ერთმარცვლიანი; **2.** (το) ერთმარცვლიანი სიტყვა; **3.** *გადატ.* სიტყვაძუნწი.

μονοτονία η 1. მონოტონურობა; **2.** *გადატ.* მონოტონურობა, ერთფეროვნება.

μονοτονικός, -ή, -ό *ენათმეც.* ერთმახვილიანი; ◊ *~ό σύστημα* ახალ ბერძნულში დამკვიდრებული წერის ერთმახვილიანი სისტემა.

μονότονος, -η, -ο 1. მონოტონური, ერთბგეროვანი; **2.** *გადატ.* მონოტონური, ერთფეროვანი, მოსაწყენი.

μοντάζ το *ტექ.* მონტაჟი.

μοντάρω (*აბრ. μόνταρα / μοντάρισα, აბრ. παθ. μονταρίστηκα, მიჯ. μονταρισμένος*) *მეტბ.* **1.** მონტაჟი, დაყენება, აწყობა (მანქანის, აეჯის, დანადგარის და სხვ.).

μοντέλο το **1.** მენატურე: *δουλεύει ως ~ στη Σχολή Καλών Τεχνών* მენატურედ მუშაობს სამხატვრო აკადემიაში; **2.** მოდელი, ნიმუში, მანეკენი; **3.** მოდელი (ტანსაცმლის, ავტომანქანის, სხვადასხვა სახის პროდუქციის), მაკეტი: *~ κινητήρα* ძრავის მოდელი.

μοντερνισμός ο (*პლიზ. არ გააჩნია*) **1.** სიახლე, ინოვაცია, ნოვატორობა; **2.** *ხელოვნ.-მც., ფილოლ.* მოდერნიზმი.

μοντέρνος, -α, -ο 1. თანამედროვე, თანადროული, უახლესი; **2.** მოდური; ◊ *~α τέχνη* თანამედროვე ხელოვნება.

μονώνω (*აბრ. μόνωσα, აბრ. παθ. μονώθηκα, მიჯ. μονωμένος*) *მეტბ.* იზოლირება, განმხოლოება.

μόνωση η 1. იზოლირება, განმხოლოება; **2.** იზოლატორი, იზოლაცია (მასალა).

μονωτήρας ο *ფიზ., ტექ.* იზოლატორი, იზოლაცია (მასალა).

μονωτικός, -ή, -ό საიზოლაციო, განსამხოლოებელი: *~ή ταινία* საიზოლაციო ლენტი.

μόριο το **1.** *ფიზ.* მოლეკულა; **2.** *მაღალფ., იშვ.* ნაწილაკი, უმცირესი ნაწილაკი: *~α σκόνης* მტვრის ნაწილაკები; **3.** სასქესო ორგანო: *γυναικείο / ανδρικό ~* ქალის / მამაკაცის სასქესო ორგანო; **4.** *ენათმეც.* ნაწილაკი; **5.** ქუსლა (შეფასებისას).

μορταδέλα (μουρταδέλα) η (*გენ. პლიზ. არ გააჩნია*) მოხარშული ძეხვი.

μορφάζω (*აბრ. μόρφασα*) *ამეტბ.* სახის მანჭვა, გრიმასების გაკეთება.

μορφασμός ο გრიმასა, სახის მანჭვა: *κωμικός / σαρκαστικός ~* სასაცილო / სარკასტული გრიმასა.

μορφή η 1. *პირდ., გადატ.* ფორმა, სახე, ტიპი, იერი, მდგომარეობა, გარეგნობა, შესახედაობა; *გადატ.* **2.** სახე, პიროვნება: *θρυλική ~* ლეგენდარული პიროვნება; **3.** ეტაპი, ფაზა, სტადია, ფორმა: *καρκίνος βαρείας ~ς* მძიმე ფორმის სიმსივნე, *τελική / εμβριακή ~* ბოლო / ემბრიონული სტადია; ◊ *όποια η ~ τέτοια και η ψυχή* სახე სულის სარკეა, *υπό ~ν* სახით, ფორმით.

μορφικός, -ή, -ό გარეგნული, ფორმალური, ზედაპირული.

μορφολογία η (*πληθ. არ გააჩნია*) მორფოლოგია.

μορφωμένος, -η, -ο განათლებული, ნასწავლი, ნაკითხი, კულტურული.

μορφώνω (*აόρ. μόρφωσα, აόρ. παθ. μορφώθηκα, μτχ. μορφωμένος*) *μετβ.* ფორმირება, ჩამოყალიბება, აზრის შექმნა, განათლება, განათლების მიღება, განათლების მიცემა.

μόρφωση η 1. განათლება; 2. *მაღალფ., პირდ., გადატ.* ფორმირება, ჩამოყალიბება, შექმნა;

μορφωτικός, -ή, -ό 1. სასწავლო, საგანმანათლებლო, პედაგოგიური; 2. *საუბრ.* მემეცნებითი; ◊ *~ ακόλουθος / σύμβουλος* კულტურის ატაშე.

μοσχαρήσιος, -α, -ο (μοσκαρήσιος, μόσχειος) ხბოსი, ხბოს ხორცისა.

μοσχάρι (μοσκάρι) το 1. ხბო; 2. ხბოს ხორცი; *გადატ., კიც.* 3. ბატი, შტერი, ჩერჩეტი.

μοσχάτος, -η, -ο 1. *ხალხ.* სურნელოვანი, არომატული; 2. (το) ა) მუსკატი (ყურძნის სახეობა), ბ) მუსკატის ღვინო.

μόσχευμα το 1. *ბოტ.* კალამი, რქა, ლერწი; 2. *მედ.* ორგანული ქსოვილი ან მთლიანად ორგანო, რომელიც ამავე ან სხვა ორგანიზმში გადაინერგება.

μοσχοβόλημα (μοσκοβόλημα το, **μοσχοβολιά** η) το კეთილსურნელება, სურნელება, სასიამოვნო სურნელი.

μοσχόβολος, -η, -ο სურნელოვანი, არომატული.

μοσχοβολώ (μοσχοβολάω / μοσκοβολώ) (α) (*αόρ. μοσχοβόλησα, μτχ. μοσχοβολημένος*) *μετβ., αμετβ.* სურნელების, სასიამოვნო სურნელის ფრქვევა.

μοσχοκάρυδο (μοσκοκάρυδο) το მუსკატი.

μοσχολίβανο (μοσκολίβανο) το სურნელი, საკმეველი, გუნდრუკი.

μοσχομυρίζω (μοσκομυρίζω) (*αόρ. μοσχομύρισα, μτχ. μοσχομυρισμένος*) *μετβ., αμετβ.* სურნელების, სასიამოვნო სურნელის ფრქვევა.

μοτίβο το მოტივი.

μοτοσυκλέτα η მოტოციკლეტი.

μοτοσυκλετιστής ο, **-τρια** η მოტოციკლისტი.

μουγκρίζω (*αόρ. μούγκρισα*) *αμετβ.* 1. ბღავილი (ძროხის), ზმუილი, ბუბუნი (ხარის), ღრიალი (დათვის), ბრდღვინვა (ლომის); *გადატ.* 2. ბღავილი, ღრიალი, ბრიალი, ზუზუნი, ზმუილი, გუგუნი.

μούγκρισμα (μουγκρητό) το 1. ბღავილი (ძროხის), ზმუილი, ბუბუნი (ხარის), ღრიალი (დათვის), ბრდღვინვა (ლომის); *გადატ.* 2. ბღავილი, ღრიალი, ბრიალი, ზუზუნი, ზმუილი, გუგუნი.

μουδιάζω (*αόρ. μούδιασα, μτχ. μουδιασμένος*) *μετβ., αμετβ.* 1. დაბუჟება; *გადატ.* 2. გაშეშება, მოკვეთა, გამტერება, გაქვავება.

μούδιασμα το 1. დაბუჟება; *გადატ.* 2. გაშეშება, მოკვეთა, წართმევა, გაშტერება, გაქვავება.

μουλάρι το 1. ჯორი; 2. *გადატ., საუბრ.* ჯორი, ჯიუტი (ადამიანი).

μουλαρώνω (μουλώνω) (*αόρ. μουλάρωσα, μτχ. μουλαρωμένος*) *αμετβ.* გაჯიუტება, გაჯორება.

μουλάς ο (*πληθ. -άδες*) მოლა.

μουλιάζω (*αόρ. μούλιασα, μτχ. μουλιασμένος*) *μετβ., αμετβ.* დალბობა, ჩალბობა, დანამვა, დასველება.

μούλιασμα το დალბობა, ჩალბობა, დანამვა, დასველება.

μούμια (μομία) η **1.** მუმია; *გადატ.* **2.** *დამამც.* მუმია, სიბერისგან მოტეხილი, დანაოჭებული ან მახინჯი ადამიანი; **3.** ჩამორჩენილი, მოძველებული და დრომოჭმული იღეების მქონე ადამიანი.

μουμιοποίηση (μομιοποίηση) η მუმიად ქცევა, მუმიფიკაცია.

μουνί το *ხალხ.* **1.** ქალის სასქესო ორგანო; *გადატ.* **2.** *კიც.* ცუდი ადამიანი; **3.** ქალი (როგორც სექსუალური ობიექტი); ◊ *τα κάνω / γίνομαι* ~ ა) ყველაფერს ვაფუჭებ, აერევ, ბ) ურთიერთობას ვიფუჭებ (ვინმესთან).

μούντζα (μούτζα) η (*γεν. πληθ. არ გააჩნია*) **1.** შეურაცხმყოფელი და დამამცირებელი ქესტი (წინ გაწვდილი ჩაბრუნებული ხელისგული გაპარჭყული თითებით); **2.** *გადატ.* შეურაცხყოფა, დამცირება, შეკურთხება, შეგინება.

μουντζουρώνω (*αόρ. μουντζούρωσα, αόρ. παθ. μουντζουρώθηκα, μτχ. μουντζουρωμένος*) *μετβ., საუბრ.* **1.** მელნის დაღვენთება, დალაქავება, გაჭვარტელა, გამურვა; *გადატ.* **2.** გადაჩხაპნა; **3.** შერცხვენა, შეურაცხყოფა, სახელის გატეხა, ღირსების შელახვა.

μούντζωμα το **1.** შეურაცხმყოფელი და დამამცირებელი ქესტი (წინ გაწვდილი ხელისგული გაპარჭყული თითებით); *გადატ.* **2.** შეკურთხება, შეგინება.

μουντζώνω (*αόρ. μούντζωσα, αόρ. παθ. μουντζώθηκα, μτχ. μουντζωμένος*) *μετβ.* **1.** შეურაცხმყოფელი და დამამცირებელი ქესტი (წინ გაწვდილი ხელისგული გაპარჭყული თითებით); *გადატ.* **2.** შეკურთხება, შეგინება; ◊ *μας έχουν μουντζώσει* თვალი გვეცა, თვალნაცემი ვართ, გაგვთვალეს, *τα* ~ ფარ-ხმალს ვყრი.

μουράγιο το სანაპირო, ნავსაბმელი, ნავმისადგომი.

μούρη η (*γεν. πληθ. არ გააჩνια*) *საუბრ.* **1.** დრუნჩი, დინგი; **2.** სახე, ცხვირ-პირი, სიფათი; *გადატ.* **3.** გაქნილი, გაქექილი, კეჭი: *είναι μεγάλη* ~ დიდი გაქექილი ვინმეა; **4.** მანქანის ცხვირი; ◊ *πουλάω* ~ თავი მომაქვს, ცხვირაწეული დავდივარ.

μουριά (μορέα) η *ბოტ.* თუთის ხე.

μούρλα η (*γεν. πληθ. არ გააჩνια*) სიგიჟე, სიმლეწე, შემლილობა.

μουρλαίνω (*αόρ. μούρλανα, αόρ. παθ. μουρλάθηκα, μτχ. μουρλαμένος*) *μετβ., საუბრ.* **1.** *პირდ., გადატ.* გაგიჟება, ჭკუიდან გადაყვანა; **2.** *გადატ.* განერვიულება, გაბრაზება, გაღიზიანება.

μούρλια η (*πληθ. არ გააჩνια*) **1.** *επίθ.* შესანიშნავი, არაჩვეულებრივი, გადასარევი; **2.** *επίρρ.* შესანიშნავად, არაჩვეულებრივად, გადასარევად.

μουρμούρα η (*γεν. πληθ. არ გააჩνια*) *საუბრ.* **1.** ბუზღუნი, ჯუჯღუნი; **2.** ბუტბუტი, ლულლუღი; **3.** *ზოოლ.* თევზის სახეობა.

μουρμουρητό το **1.** ბუტბუტი, ლულლუღი, ჩურჩული; **2.** ბუზღუნი, ჯუჯღუნი; **3.** რაკრაკი, ჩუხჩუხი, ჩქრიალი.

μουρμουρίζω (μουρμουράω) (*αόρ. μουρμούρισα*) *μετβ., αμετβ.* **1.** ბუტბუტი, ლულლუღი, ჩურჩული: *μουρμούρισε μερικές κουβέντες και έφυγε* რაღაც წაილულლუღა და წავიდა; **2.** ბუზღუნი, ჯუჯღუნი; **3.** რაკრაკი, ჩუხჩუხი.

μούρο το *ბოტ.* თუთა.

μούσα η *პირდ., გადატ.* მუზა.

μουσακάς ο მუსაკასი (აღმოსავლური კერძი).

μουσαμάς ο (*πληθ. -άδες*) **1.** ბრეზენტი; **2.** ბრეზენტის, ულტობი ლაბადა; **3.** მუშამბა.

μουσάτος ο *საუბრ.* წვერიანი კაცი, წვეროსანი.

μουσείο το მუზეუმი.

μούσι το (*γεν. არ გააჩნია*) **1.** წვერი: *αφήνω το ~* წვერს ვუშვებ; **2.** *გადატ.* სიცრუე, ტყუილი.

μουσική η *პირდ., გადატ.* მუსიკა.

μουσικός, -ή, -ό 1. *პირდ., გადატ.* მუსიკალური, მელოდიური; **2.** (ο/η) მუსიკოსი.

μουσικοσυνθέτης ο, **-τρια** η კომპოზიტორი.

μούσκεμα (μουσκίδι) το დასველება, დანამვა, დატენიანება, დალბობა; ◊ *είμαι / γίνομαι ~* ვსველდები, ვიწუწები, ვილუმპები, *τα κάνω ~* ყველაფერს ვაფუჭებ, ვურევ.

μουσκεύω (*აόρ. μούσκεψα, აόρ. παθ. μουσκεύτηκα, μτχ. μουσκεμένος*) *μετβ., αμετβ., საუბრ., პირდ., გადატ.* დასველება, დანამვა, დატენიანება, დალბობა, ჩალბობა, გაწუწვა, გალუმპვა; ◊ *~ ως το κόκκαλο* თაეით ფეხებამდე დავსველდი, *τα ~* ყველაფერს ვაფუჭებ, ვურევ.

μουσούδι το *საუბრ.* **1.** დრუნჩი, დინგი; **2.** *დამამც.* სახე, ცხვირ-პირი, სიფათი.

μουσουλμανικός, -ή, -ό მუსლიმური, მაჰმადიანური, მუსლიმის, მაჰმადიანის.

μουσουλμανισμός ο მუსლიმობა, მაჰმადიანობა.

μουσουλμάνος ο, **-α** η მუსლიმი, მაჰმადიანი.

μουσόφιλος, -η, -ο ხელოვნების, ლიტერატურის მოყვარული.

μουστάκι το **1.** ულვაში; **2.** *θεατ.* იალქნიანი გემის ბაგირი, რომელიც გაბმულია ზვირთსაქცევიდან გემის კიჩომდე; ◊ *γελάω κάτω από τα ~α μου* ულვაშებში ვიღიმები, *γελάνε και τα ~α (κάποιου)* სიხარულისგან ანათებს, სახე უელავს (ვინმეს).

μουστάκιας ο ულვაშა, დიდულვაშა.

μουσταλευριά η ფელამუში.

μουστάρδα η (*γεν. πληθ. არ გააჩნია*) მდოგვი.

μούστος ο (*πληθ. არ გააჩნια*) *საუბრ.* ბადაგი, ყურძნის ტკბილი.

μούτρο το *საუბრ.* **1.** სიფათი; *გადატ.* **2.** ცბიერი, მატყუარა, თაღლითი; **3.** *θεατρ.* ეშმაკი, ეშმაკუნა; ◊ *κατεβάζω / ξινίζω / κρεμάω τα ~α μου* ცხვირს ჩამოეუშვებ, *κάνω ~α (σε κάποιον)* ვიბუტები, ვებუტები (ვინმეს), *με τι ~α* რა პირით? *δεν έχω ~α να...* ვერ ვბედავ, რომ.., მრცხვენია, რომ.., *τους τα χτυπώ στα ~α* პირში მიეახლი სათქმელს.

μουτρώνω (*αόρ. μούτρωσα, μτχ. μουτρωμένος*) *αμετβ.* გაბუტვა, მოღუშვა.

μούχλα η (*πληθ. არ გააჩნια*) **1.** ობი, შმორი; **2.** ობის გამომწვევი სოკო; **3.** *გადატ.* დამყაყებულობა, დრომოჭმულობა.

μουχλιάζω (*αόρ. μούχλιασα, μτχ. μουχλιασμένος*) *μετβ., αμετβ.* **1.** ობის მოკიდება, დაობება, აშმორება; **2.** *გადატ.* დახავსება, დამყაყება, დაძველება.

μούχλιασμα το **1.** ობის მოკიდება, დაობება, აშმორება; **2.** *გადატ.* დახავსება, დამყაყება, დაძველება.

μοχθηρία (μοχθηρότητα) η მავნეობა, სიბოროტე, ვესლიანობა.

μοχθηρός, -ή, -ό მავნე, ბოროტი, ვესლიანი.

μόχθος (μόχτος) ο **1.** გასაჭათება, შრომა, ჯაფა; **2.** *გადატ.* სიმდიდრე, ქონება, ნამრომ-ნაღვაწი; ◊ ***με πολλούς κόπους και ~ους*** დიდი ვაი-ვაგლახით, წვალებით.

μοχθώ (*აόρ. μόχθησα*) *ამετβ.* გასაჭათება, შრომა, ჯაფა, წვალება.

μοχλός ο **1.** *ფიზ.* ბერკეტი; **2.** *სპეც.* ძალაყინი; **3.** *გადატ.* ძალა, ფაქტორი, ბერკეტი; **4.** ურდული; ◊ ***~ ταχυτήτων*** სიჩქარეთა გადაცემის კოლოფი, ***~ πιέσεως*** ზეწოლის ბერკეტი.

μπάζα η *საუბრ.* **1.** უკანონო შემოსავალი, მოგება; **2.** მონაგები, გაჭრილი კარტი (ბანქოში); ◊ ***κάνω ~*** ფულს ეშოულობ (უკანონო გზით), ***δεν πιάνει ~*** არაფრად ვარგა, კაპიკია მისი ფასი.

μπάζα τα სამშენებლო ნაგავი; ◊ ***για τα ~*** არაფრად ვარგა, გადასაგდებია.

μπάζω (*აόρ. έμπασα, მτχ. μπασμένος*) *მეტβ., ამეტβ.* **1.** შეტანა, შეყვანა, შემოება: *τον έμπασε στο σπίτι του / στην οικογένειά του* თავის სახლში / ოჯახში შეუშვა; **2.** *გადატ.* გატარება, გამოება: *η βάρκα ~ει νερό* ნავი წყალს ატარებს; **3.** დეტალური ინფორმაციის მიწოდება, უწყება, გაგებინება, შეტყობინება: *τον έμπασε στις λεπτομέρειες της δουλειάς* საქმის დეტალებში გაარკვია; **4.** მეთელვა, დაპატარავება; **5.** *მτχ.* დაბალი და გამხდარი ადამიანი; ◊ ***~ει*** უბერავს, ***~ κάποιον στο νόημα*** ვაგებინებ (ვინმეს რამეს).

μπαζώνω (*აόρ. μπάζωσα, აόρ. παθ. μπαζώθηκα, მτχ. μπαζωμένος*) *მეტβ.* მიწით ამოვსება, მიწაყრილის გაკეთება, მიწის მოყრა.

μπαινοβγαίνω (*მხოლოდ ενεστ. და παρατ.*) *ამετβ.* **1.** შესვლა-გამოსვლა, მისვლა-მოსვლა, აქეთ-იქით სიარული; **2.** *გადატ.* ყანყალი: *το χερούλι της πόρτας ~ει* კარის სახელური ყანყალებს; **3.** ხშირად სიარული (სადმე): ***~ει στο σπίτι τους*** მათ სახლში ხშირად დადის.

μπαίνω (*აόρ. μπήκα, მτχ. μπασμένος*) *ამετβ.* **1.** შესვლა, ჩასვლა; **2.** ჩაჯდომა, ასვლა: ***~ στο αεροπλάνο*** ეჯდები თვითმფრინავში; **3.** შესვლა, შეჭრა; **4.** შერჭობა, ჩარჭობა: *στο πόδι μου μπήκαν αγκάθια* ფეხში ეკლები შემერჭო; **5.** დაპატარავება, შეთელვა: *το παντελόνι μπήκε στο πλύσιμο* რეცხვისგან მარვალი შეითელა, დაპატარავდა; **6.** ჩატევა, დადება, დადგმა, ჩადგმა: ***δεν μου ~ει αυτό το παντελόνι*** ეს მარვალი არ მეტევა; **7.** *გადატ.* შესვლა, ჩართვა, ჩაბმა: *μπήκε στη συζήτηση* დისკუსიაში ჩაება; **8.** დაწოლა (საავადმყოფოში): *μπήκε επειγόντως στο νοσοκομείο* სასწრაფოდ საავადმყოფოში დაწვა; **9.** ჩაჯდომა, მოხვედრა (ციხეში): *μπήκε στη φυλακή για χρέη* ვალების გამო ციხეში ჩაჯდა; ◊ ***από το ένα αφτί μου ~ει και από το άλλο βγαίνει*** ცალ ყურში შეეუშვებ, მეორიდან გამოეუშვებ, ***μου ~ει στο νου / στο μυαλό / στο κεφάλι*** აზრად, ფიქრად მომდის, ***~ ανάμεσα σε κάποιους*** ერთმანეთს დაეშორებ, ***~ σε μπελάδες*** ცუდ ამბავში ეხვევი, ***~ στο νόημα*** ეხვდები, ეგება.

μπακάλης ο (*πληθ. -ηδες*), **-ισσα** η **1.** ბაყალი, მედუქნე; **2.** *გადატ.* არაკეთილსინდისიერად, უხარისხოდ მომუშავე, ყალთაბანდი.

μπακαλιάρος (βακαλάος) ο *ზოოლ.* ვირთევზა.

μπακάλικο το სასურსათო მაღაზია.

μπάλα η 1. გუნდა, ბურთულა; 2. ბურთი, ფეხბურთი; ◊ *σκάω τη ~ α)* ბურთს ეხეთქავ, *ბ)* ბურთს მიწაზე ვახეთქებ (ფეხბურთში).

μπαλάντα η (*γεν. πληθ. არ გააჩნია*) 1. *ფილოლ.* ბალადა; 2. *მუს.* ბალადა.

μπαλαρίνα η (*γεν. πληθ. არ გააჩნია*) ბალერინა.

μπαλέτο το 1. ბალეტი; 2. საბალეტო დასი.

μπαλκόνι το აივანი.

μπάλλωμα το 1. ამოკემსვა; 2. საკერებელი, ბებკი; 3. *გადატ.* მოგვარება, მოწესრიგება, მოწყობა (დროებითი და სახელდახელო).

μπαλλώνω (*αόρ. μπάλλωσα, αόρ. παθ. μπαλλώθηκα, μτχ. μπαλωμένος*) *μετβ.* 1. ამოკემსვა, ამონემსვა, ფეხსაცმლის შეკეთება; 2. შეკეთება, შელამაზება, ნახვრეტების ამოვსება; 3. *გადატ.* სახელდახელოდ მოგვარება; **-ομαι** ფინანსური მდგომარეობის მოგვარება.

μπαλόνι το 1. *პირდ., გადატ.* ბუშტი; 2. საჰაერო ბურთი, აეროსტატი.

μπάμια η (*γεν. πληθ. არ გააჩნია*) *ბოტ.* ბამი.

μπαμπάς ο (*πληθ. -άδες*) მამა.

μπαμπού το *ἀκλ.* ბამბუკი.

μπανάνα η ბანანი (ნაყოფი).

μπανιέρα η აბაზანა.

μπάνιο το 1. ბანაობა, აბაზანის მიღება, ზღვაში ბანაობა; 2. აბაზანა, სააბაზანო ოთახი; 3. (τα) აბაზანები (სამკურნალო წყლების); ◊ *κάνω ~* ბანაობ, *μπαίνω στο ~* საბანაოდ შევდივარ.

μπάντα η (*γεν. πληθ. არ გააჩნია*) 1. გვერდი, ფერდი, მხარი: *το καράβι έγειρε από τη δεξιά ~* გემი მარჯვენა მხარეს გადაიწია; 2. *გადატ.* განცალკევებული ადგილი; 3. *მუს.* ორკესტრი, ბენდი, ჯგუფი; ◊ *βάζω στη ~* ფულს გვერდზე ვდებ (ვინახავ), *κάνω (κάποιον) στη ~* მოშორება, ჩამოცილება, *(κάθομαι) στη ~* გვერდზე ვდგები (საქმეში არ ვერევი).

μπαξές (μπαχτσές) ο (*πληθ. -έδες*) *ხალხ.* ბაღ-ბოსტანი, ბოსტანი, ბაღჩა; ◊ *έχω καρδιά ~έ* კეთილი გული მაქვს.

μπάρμπας ο (*πληθ. -άδες*) *ხალხ.* 1. ბიძა, ძია; 2. ბიძაჩემო, ძიაკაცო (უფროსი კაცისადმი მიმართვისას).

μπαρμπέρης ο (*πληθ. -ηδες*) *ხალხ.* დალაქი.

μπαρμπούνι το *ზოოლ.* წვერა (თევზი).

μπαρούτι το (*πληθ. არ გააჩნია*) 1. თოფის წამალი, დენთი; 2. *გადატ.* ა) სპირტი, სასმელი, ალკოჰოლის მაღალი შემცველობით, ბ) მწარე, ცხარე, პიკანტური (საჭმელი); ◊ *γίνομαι ~* ვცხარობ, ვწიწმატდები, *μυρίζει / βρομάει ~* ცუდი სუნი უდის: *μην μπλέκεσαι καθόλου σ'αυτή την ιστορία, μυρίζει ~* ამ საქმეში ნუ გაეხვევი, ცუდი სუნი უდის.

μπας και *επίρρ.* იქნებ, ეგების, ეაი და: *θα του τηλεφωνήσω ~ τον πετύχω* დავურეკავ, იქნებ დაეიჭირო.

μπάσος, -α, -ο *მუს.* ბანი, ბასი.

μπασταρδεύω (*αόρ. μπαστάρδεψα, αόρ. παθ. μπασταρδεύτηκα, μτχ. μπασταρδευμένος*) *μετβ., ხალხ.* 1. შერევა, შეჯვარება; 2. ფალსიფიცირება, გაყალბება, შერყვნა; 3. *გადატ.* სახეცვლილება, გაუკუღმართება, დამახინჯება.

μπαστάρδικος, -η, -ο 1. ნარევი, ნაჯვარი; 2. გაყალბებული.

μπάσταρδος ο, **-η** η *ბალხ.* **1.** *ყარგ.* ნაბიჭვარი; **2.** *გადატ.* ნაძირალა, გარეწარი.

μπαστούνι το **1.** ჯოხი, კეტი, ხელჯოხი; **2.** *ბანქ.* ყვაები, პიკი; ◊ *τα βρίσκω ~α* მოულოდნელ სირთულეებს ვაწყდები.

μπαστουνιά η ჯოხით, კეტით ცემა.

μπαταρία η *ელექტ., ტექ.* ბატარეა: *άδεια / πεσμένη ~* ცარიელი / დამჯდარი ბატარეა, *η ~ του αυτοκινήτου* მანქანის აკუმულატორი.

μπαταριά η ბალპი, ბათქი, სროლა.

μπάτης ο (*πληθ. არ გააჩნია*) ზღვის ბრიზი, გრილი სიო.

μπάτσος το **I** სილა, სილის გაწნა; ◊ *του κλότσου και του ~ου* ის, ვისაც სხვები აბუჩად იგდებენ და რასაც უნდათ, იმას აკეთებინებენ.

μπάτσος ο **II** *დამამც.* პოლიციელი.

μπαχαρικό το სუნელი, შესაკამში მწვანილეული, სპეცია.

μπεζ *ახლ.* კრემისფერი, ბეჟი.

μπεκρής (μπέκρος) ο, **-ού /-ω** η *ხალხ.* ლოთი.

μπεκρολογώ (α) (*მხოლოდ ενεστ. და παρατ.*) *αμετβ.* დათრობა, გამოთრობა.

μπελάς ο (*πληθ. -άδες*) *ხალხ.* **1.** შფოთვა, მღელვარება, ურვა: *βάζω κάποιον σε ~ά* ვინმეს პრობლემას ვუქმნი; **2.** უსიამოვნების მომტანი, შემაწუხებელი ადამიანი; ◊ *μπαίνω σε ~ά / ~άδες* ვწვალდები, *έχω ~άδες με κάποιον* პრობლემები მაქვს (ვიღაცასთან), *βάζω ~ά στο κεφάλι μου* არასასიამოვნო მდგომარეობაში ვარ.

μπέρδεμα το **(μπερδεψιά** η**)** არევ-დარევა, არეულ-დარეულობა, გაუგებრობა.

μπερδεμένος, -η, -ο **1.** *პირდ., გადატ.* აწეწილი, არეულ-დარეული, აბურდული, დახლართული: *~ες κλωστές* დახლართული ძაფები; **2.** დაბნეული.

μπερδεύω (*აόρ. μπέρδεψα, აόρ. παθ. μπερδεύτηκα, μτχ. μπερδεμένος*) *μετβ.* **1.** აწეწვა, აბურდვა, დახლართვა; *გადატ.* **2.** არევა, დაბნევა, ტვინის არევა; **3.** გარევა, ჩარევა, გაბმა: *μη με ~ετε στα προσωπικά σας· βρείτε τα μόνοι σας!* თქვენს პირად საქმეებში მე ნუ გამრევეთ, თავად მოაგვარეთ! **-ομαι** გახლართვა, გაბმა; ◊ *τα ~ / ~ τα λόγια / τις κουβέντες μου ... κ.λπ.* აზრი მებნევა, *~ομαι στα πόδια (κάποιου)* ფეხებში ვებლანდები (ვინმეს).

μπερές ο (*πληθ. -έδες*) ბერეტი.

μπετόν (μπετό) το (*γεν. არ გააჩნია*) *ხალხ.* ბეტონი; ◊ *~ αρμέ* სქელი ბეტონი, *εμφανές ~(ν)* დამუშავებული, მოსწორებული ბეტონი.

μπήγω (*აόρ. έμπηξα, μτχ. μπηγμένος*) *μετβ., μεσ., ხალხ.* ჩარჭობა, შერჭობა: *~ τα καρφιά στον τοίχο* ვარჭობ ლურსმანს კედელში.

μπιζέλι το **1.** ბარდა; **2.** (τα) ბარდის ნაყოფი.

μπιζού το *ახლ.* ბიჟუტერია.

μπιμπερό το *ახლ.* საწოვარა.

μπίρα (μπύρα) η (*γεν. πληθ. არ გააჩνია*) ლუდი: *μαύρη / ξανθή ~* შავი / თეთრი ლუდი.

μπιραρία η ლუდხანა.

μπισκότο το ორცხობილა.

μπιφτέκι το ბიფშტექსი.

μπλαστρώνω (*აόρ. μπλάστρωσα, აόρ. παθ. μπλαστρώθηκα, μτχ. μπλαστρωμένος*) *μετβ.* სალბუნის დადება.

μπλε *επίθ., ახლ.* **1.** ლურჯი: *~ μάτια* ლურჯი თვალები; **2.** (το) ლურჯი

ფერი: *ανοιχτό / σκούρο* ~ ღია / მუქი ლურჯი.

μπλέκω (*აόր. έμπλεξα, აόρ. παθ. μπλέχτηκα, μτχ. μπλεγμένος*) *μετβ.* **1.** არევა, დახლართვა: ~ *τις κλωστές* ძაფებს; *გადატ.* **2.** დახლართვა, არევა, გართულება: *η κατάθεσή του έμπλεξε χειρότερα τα πράγματα* მისმა ჩვენებამ საქმე უარესად ჩახლართა; **3.** ტვინის არევა; **4.** ჩათრევა, არევა, გარევა: *τον έμπλεξαν στα ναρκωτικά* ნარკომანთა წრეში ჩაითრიეს; *αμετβ.* **1.** გახლართვა: *έμπλεξε σ'ένα καλώδιο και έπεσε κάτω* კაბელში გაიხლართა და ძირს დაეცა; **2.** არევა: *έμπλεξαν οι τηλεφωνικές γραμμές* სატელეფონო ხაზები აირია; *გადატ.* **3.** გადაყრა, ჩათრევა, პრობლემების ქონა, გაჭედვა: *κάπου θα'μπλεξε και γι'αυτό δεν ήρθε* სადმე გაჭედებოდა და ამიტომ ვერ მოვიდა; ◊ *τα* ~ სასიყვარულო კავშირის დამყარება, *εδώ τα μπλέξαμε!* აქ ჩვენი აზრები გაიყო! ~ *στα δίχτυα (κάποιου)* (ვიღაცის) ბადეში გახვევა.

μπλέξιμο το **1.** გახლართვა, გადახლართვა: *το* ~ *των κλωστών* ძაფების გადახლართვა; **2.** ჩახლართვა, გაუგებრობა; **3.** *გადატ.* კავშირი, ურთიერთობის ქონა: *το* ~ *με τους ανθρώπους της νύχτας του στοίχισε τη ζωή* შავ ხალხთან ურთიერთობა სიცოცხლის ფასად დაუჯდა; **4.** პრობლემა: *έχει* ~ *με την εφορία* ინსპექციასთან პრობლემა აქვს.

μπλοκ το *ახლ.* **1.** ბლოკნოტი; **2.** ბლოკი (სამშენებლო მასალა); **3.** *გადატ.* ბლოკი, კოალიცია, გაერთიანება: *το πρώην ανατολικό* ~ ყოფილი აღმოსავლური კოალიცია.

μπλοκάρισμα το ბლოკირება.

μπλοκάρω (*აόр. μπλοκάρισα, აόр. παθ. μπλοκαρίστηκα, μτχ. μπλοκαρισμένος*) *μετβ.* **1.** ბლოკირება, ხელის შეშლა, ჩაშლა; **2.** დაბლოკვა, გაყინვა: *η τράπεζα μπλοκάρισε τις καταθέσεις* ბანკმა ანგარიშები გაყინა; **3.** *სპორტ.* ბურთის მოგერიება.

μπλόκο το ბლოკირება, დაბლოკვა, გადაკეტვა.

μπλούζα η ბლუზა; ◊ *(άσπρη)* ~ თეთრი ხალათი (ექიმის).

μπλοφάρω (*აόр. μπλόφαρα, μπλοφάρισα*) *αμετβ., საუბრ.* ბლეფი, თაღლითობა.

μπογιά η (*გен. πληθ. არ გააჩნია*) **1.** საღებავი; **2.** საღებავის ფუნჯი.

μπογιάτισμα το ღებვა.

μπογιατζής ο (*πληθ. -ήδες*) **1.** მღებავი; **2.** *დაცინ.* წარუმატებელი, უნიჭო მხატვარი; ◊ *το μυαλό σου και μια λίρα και του ~ή ο κόπανος* მისთვის ბალი ათი შაურია.

μπόγος ο **1.** შეკერა, ფუთა, გუდურა; **2.** *გადატ.* გუდურა, პატარა და მსუქანი ადამიანი.

μποϊκοτάζ το *ახლ.* ბოიკოტი, პროტესტი.

μπολ το *ახლ.* ნახევრად მრგვალი ფინჯანი, თასი.

μπολσεβίκος ο ბოლშევიკი.

μπόμπα η ბომბი.

μπομπονιέρα η ბონბონიერი.

μπόνους το *ახლ.* პრემია.

μποξ το *ახლ., სპორტ.* ბოქსი.

μποξέρ ο/το *ახლ.* ბოქსიორი.

μπόρα η (*გен. πληθ. არ გააჩნია*) **1.** ხანმოკლე თავსხმა წვიმა; **2.** ქარიშხალი; **3.** *გადატ.* ქარიშხალი: *πέρασα πολλές ~ες στη ζωή μου* ცხოვრებაში ბევრი ქარიშხალი გამოვიარე; ◊ *τον πήρε κι αυτόν η ~* მოვლენების მსხვერპლი გახდა.

μπορντέλο (μπουρδέλο) το *ιδλ.* ბორდელი.

μπορώ (ε) (*აόρ. μπόρεσα*) *μετβ.* **1.** (+ *να*) შეძლება, უნარის ქონა: *πότε θα μπορούσα να σας δω;* როდის შეიძლება თქვენი ნახვა? *θα κάνω ό,τι* ~ ყველაფერს გავაკეთებ, რაც ხელმწიფება; **2.** *απρόσ.* შეიძლება, შესაძლოა: *~εί να βρέξει* შეიძლება იწვიმოს; **3.** *επίρρ.* შეიძლება, ალბათ, იქნებ.

μπότα η *Ιόνδ., ვაღატ.* ჩექმა.

μποτιλιάρω (*აόρ. μποτιλιάρισα*) *μετβ.* ბოთლში ჩამოსხმა.

μπουγάδα η (*γεν. πληθ. αρ γααβδνα*) სარეცხი.

μπουγαδιάζω (*აόρ. μπουγάδιασα*) *μετβ.* რეცხვა.

μπουγάτσα η (*γεν. πληθ. αρ γααβδνα*) ბუღაცა (ცომეულის სახეობა): *γλυκιά ~* ტკბილი ბუღაცა.

μπουζούκι το **1.** ბუზუკი; **2.** (τα) ბუზუკი (გასართობი ცენტრი): *διασκεδάσαμε στα ~α* ბუზუკში გავერთეთ; **3.** *ვაკინ.* სულელი ადამიანი: *είναι ~, δεν καταλαβαίνει* სულელი ადამიანია, არაფერი ესმის.

μπουκάλα η (*γεν. πληθ. αρ γααβδνα*) დიდი ბოთლი; ◊ *μένω ~* ხელცარიელი ვრჩები, *αφήνω (κάποιον) ~* ა) დანაპირებს არ ვუსრულებ (ვინმეს), ბ) მივატოვებ (ვინმეს).

μπουκάλι το ბოთლი.

μπουκέτο το თაიგული.

μπουκιά η ლუკმა; ◊ *δεν βάζω ~ στο στόμα μου* არაფერს არ ვჭამ, მშიერი ვარ, *παίρνω τη ~ απ'το στόμα (κάποιου)* პირიდან ლუკმას ვაცლი (ვინმეს).

μπούκλα η ხვეული თმა.

μπουκώνω (*აόρ. μπούκωσα, αόρ. παθ. μπουκώθηκα, μτχ. μπουκωμένος*) *μετβ.* **1.** ლუკმით პირის გამოვსება; **2.** *გაღატ.* მოსყიდვა; *αμετβ.* **1.** გაჭედვა: *πάτα λίγο γκάζι, γιατί έχει μπουκώσει η μηχανή* გაბს მიაწექი, რადგან ძრავა გაიჭედა; **2.** ცხვირის გაჭედვა, სურდო: *έχω μπουκώσει και δεν μπορώ να αναπνεύσω* ცხვირი გაჭედილი მაქვს და სუნთქვა აღარ შემიძლია.

μπουμπούκι το **1.** კოკორი; **2.** *დაკინ.* მამა აბრამის ბატკანი: *είναι ένα ~ αυτός!* ესეც მამა აბრამის ბატკანია! ◊ *~ μου!* ჩემო კოკორო! (მოფერებისას).

μπουμπουκιάζω (*αόρ. μπουμπούκιασα, μτχ. μπουμπουκιασμένος*) *αμετβ.* **1.** კვირტის გამოღება; **2.** *გაღატ.* სიყმაწვილეში შესვლა.

μπούνια η (*γεν. αρ γααβδνα*) ღიობი, რომლითაც გემიდან წყალი გაედინება; ◊ *ως τα ~α* უკიდურესად, უაღრესად.

μπουνιά η მუშტი: *έφαγε μια ~ στο μάτι* თვალში მუშტი მოხვდა.

μπούρδα η (*γεν. πληθ. αρ γααβδνα*) სისულელე: *μας αράδιαζε ένα σωρό ~ες* ბევრი სისულელეები გვითხრა.

μπουμπουλήθρα η (*γεν. πληθ. αρ γααβδνα*) *საუბრ.* ბუშტი.

μπουρνούζι το პირსახოცის ხალათი.

μπούσουλας ο (*γεν. πληθ. αρ γααβδνα*) **1.** კომპასი; **2.** *გაღატ.* მიმართულება; ◊ *βρίσκω ένα ~α* ორიენტაციას ვიღებ, რაღაც გზას ვსახავ, *χάνω το ~α* ორიენტაციას ვკარგავ, ვიბნევი.

μπουσουλάω (α) (*αόρ. μπουσούλησα*) *αμετβ.* ხოხვა: *το παιδί έφτασε ως εδώ μπουσουλώντας* ბავშვმა აქამდე ხოხვით მოაღწია.

μπούτι το ბარკალი, ბარძაყი: *προτιμάτε ~ ή στήθος;* ბარკალი გირჩევნიათ თუ მკერდი? ◊ *μπλέξαμε τα ~α μας* დავიბენით, თავ-ვგბა აგვებნა.

μπουφάν το *ακλ.* ქურთუკი.

μπουφές ο (*πληθ. -έδες*) 1. ბუფეტი (კარადა); 2. ბუფეტი (სასადილო); 3. საჭმლით გამასპინძლება: *στη δεξίωση θα έχει ~έ* მიღებაზე საჭმლით გაგიმასპინძლდებიან.

μπόχα η (*γεν. πληθ. αρ გააჩნია*) ცუდი, მყრალი სუნი.

μπράβο *επιφών.* 1. ბრავო! ყოჩაღ! 2. (το) ქება, მილოცვა; 3. ყოჩაღ (ნიშნის მოგებისას): *~ σου, έμεινες στην ίδια τάξη!* ყოჩაღ, იმაევე კლასში დარჩი.

μπράβος ο *ხალხ.* 1. პირადი მცველი; 2. დაქირავებული პირი, რომელსაც ევალება აურზაურის, აყალმაყალის მოწყობა რომელიმე პოლიტიკური პარტიის ან გავლენიანი პირის სასარგებლოდ.

μπράτσο το 1. მკლავი; 2. (τα) ძლიერი მკლავები; 3. სავარძლის სახელური, სამკლავური; 4. *ხალხ.* ხელი, ტარი (სიმებიანი საკრავის); ◊ *κάνω ~α* კუნთებს ვიყენებ.

μπριζόλα η ბრიზოლა, დაბეგვილი ხორცი.

μπρόκολο το ბროკოლი (კომბოსტოს სახეობა).

μπρος *იხ.* **εμπρός**.

μπροστά *επίρρ.* 1. (+ *σε*) წინ (ადგილის მნიშვნელობით): *το σπίτι βρισκόταν ~ στο πάρκο* სახლი პარკის წინ მდებარეობდა; 2. წინაშე: *~ σε τόσες δυσκολίες δε λύγισε* ამდენი სირთულის წინაშე არ მოიხარა; 3. შედარებით: *~ στον αδελφό του είναι διάνοια!* მის ძმასთან შედარებით ინტელექტუალია! 4. გამო, თვის: *~ στο ατομικό όφελος θυσιάζει τα πάντα* თავისი პირადი ინტერესებისთვის ყველაფერს წირავს; 5. დაძვრა, წინ წასვლა, მოქმედებაში მოყვანა (მექანიზმზე, მანქანაზე): *παίρνω / βάζω ~* ვიძრები / მოქმედებაში მომყავს; 6. თანდასწრებით, იქ: *καπνίζεις ~ στους γονείς σου;* მშობლების თანდასწრებით ეწევი? 7. წინ (პროგრესის გამომხატველი); 8. წინ (დროის მნიშვნელობით): *η Γεωργία σε σχέση με την Ελλάδα είναι δύο ώρες ~* საქართველო საბერძნეთთან შედარებით ორი საათით წინაა; 9. წინასწარ: *δίνω τα μισά λεφτά ~* ფულის ნაწილს წინასწარ ვიხდი.

μπροστινός, -ή, -ό 1. წინა: *~ά δόντια* წინა კბილები; 2. ფასადი: 3. წინ მჯდომი.

μπρούμυτα *επίρρ.* პირქვე, პირით დაღმა.

μπρούτζινος, -η, -ο ბრინჯაოს.

μπρούτζος ο ბრინჯაო.

μπύρα *იხ.* **μπίρα**.

μυαλγία η *მედ.* მიალგია, კუნთების ტკივილი.

μυαλό το 1. ტვინი; 2. ჭკუა, გონება: *πρακτικό ~* პრაქტიკული ჭკუა; 3. აზროვნების უნარი; ◊ **πνάζω τα ~ά μου στον αέρα** თავს ვიკლავ, *μου καρφώνεται / μπαίνει στο ~ (κάτι)* გონებაში მიჯდება, *το ~ μου παίρνει στροφές* გონება სწრაფად მიმუშაებს, *έχω στο ~ μου (κάτι / να)* (რაღაც) იდეა, გეგმა მაქვს, *χάνω το ~ μου* გონებას ვკარგავ, ვგიჟდები, *πού έχεις το ~ σου;* რაზე ფიქრობ? *βγάζω απ'το ~ μου (κάτι)* (რაღაცას) თავიდან ამოვიღებ, ვივიწყებ, *παίρνουν τα ~ά μου αέρα* საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენა მექმნება.

μυαλωμένος, -η, -ο გონიერი, საზრიანი.

μύγα η ბუზი; ◊ *~ τσετσέ* ბუზი ცეცე, *βαράω ~ες* ბუზებს ვითვლი, ვუსაქმურობ.

μυγδαλιά η *იხ.* **αμυγδαλιά**.

μύδι το მიდია.

μυζήθρα η ცხიმმოხდილი ხაჭო.

μύηση η **1.** *რელ.* საიდუმლოს ბიარება, საიდუმლოს ბიარების რიტუალი; **2.** საიდუმლო ორგანიზაციაში გაწვევრიანება; **3.** *გადატ.* მეცნიერების ან ხელოვნების საიდუმლოს ბიარება.

μυθικός, -ή, -ό 1. მითის, მითოლოგიური, მითთან დაკავშირებული; **2.** მითიური; **3.** *გადატ.* წარმოუდგენელი, ენით აღუწერელი, ზღაპრული.

μυθιστόρημα το **(μυθιστορία** η**) 1.** *ფილოლ.* რომანი; *გადატ.* **2.** ზღაპარი, გამონაგონი; **3.** თავგადასავალი; ◊ *ფილოლ. νέο* ~ ახალი რომანი (რადიკალური ლიტერატურული მოძრაობა საფრანგეთში).

μυθιστοριογράφος ο/η რომანისტი მწერალი.

μυθολόγημα το **1.** მითი, ლეგენდა, ზღაპარი; **2.** გამონაგონი, ფანტაზიის ნაყოფი.

μυθολογία η მითოლოგია.

μυθολογώ (ε) (მხოლოდ *ενεστ.* და *παρατ.*) *αμετβ.* **1.** მითების მოყოლა; **2.** მითოლოგიის დარგში მოღვაწეობა.

μυθοπλάστης ο **1.** მითების შემქმნელი; **2.** მატყუარა, ტყუილების გუდა.

μυθοποιώ (ε) (*αόρ. μυθοποίησα, αόρ. παθ. μυθοποιήθηκα, μτχ. μυθοποιημένος*) *μετβ.* **1.** მითად ქცევა: ~ *ήρωα / ηγέτη* მითად ვაქცევ გმირს / ბელადს; **2.** გაზვიადება.

μύθος ο **1.** მითი; **2.** იგავი: *αισώπειοι ~οι* ეზოპეს იგავები; **3.** ფანტაზიის ნაყოფი; **4.** მითი, წარმოდგენა, სიუჟეტი: *ο ~ του δράματος* დრამის სიუჟეტი.

μυϊκός, -ή, -ό კუნთის, კუნთოვანი.

μυκηναϊκός, -ή, -ό მიკენური: ~ *πολιτισμός* მიკენური კულტურა.

μύκητας ο *ბოტ., მედ.* სოკო.

μυκητίαση η სოკოს დაავადება.

μυλόπετρα η წისქვილის ქვა.

μύλος ο **1.** წისქვილი; **2.** საფქვავი: *ο ~ του καφέ* ყავის საფქვავი; **3.** მჭიდე: *γέμισε τον ~ο του πιστολιού και άρχισε να πυροβολεί* პისტოლეტის მჭიდე გაავსო და სროლა დაიწყო.

μυλωνάς ο, **-ού** η (*πληθ. -άδες*) მეწისქვილე.

μύξα η **1.** *საუბრ.* ცინგლი, წვინტლი; **2.** *დაცინ.* ცინგლიანი ადამიანი.

μυοκαρδιοπάθεια η *მედ.* მიოკარდიოპათია.

μυοκαρδίτιδα η *მედ.* მიოკარდიტი.

μυοπάθεια η *მედ.* მიოპათია.

μυριάκριβος, -η, -ο 1. უძვირესი; **2.** უძვირფასესი.

μυρίζω (*αόρ. μύρισα, αόρ. παθ. μυρίστηκα, μτχ. μυρισμένος*) *μετβ.* დაყნოსვა: ~ *τα τριαντάφυλλα* ვყნოსავ ვარდებს; *αμετβ.* **1.** სუნის ქონა; **2.** უსიამოვნო სუნის ქონა, აყროლება; **3.** (+ *γεν. προσωπ. αντων.*) სუნის ცემა; **-ομαι** ეგრძნობ, წინათგრძნობა მაქვს.

μυριστικός, -ή, -ό 1. სურნელოვანი: *~ό λουλούδι* სურნელოვანი ყვავილი; **2.** (τα) სუნელები.

μυρμήγκι (μερμήγκι) το **1.** ჭიანჭველა; **2.** *გადატ.* უსუსური, უძლური არსება.

μυρμηκίαση η (*πληθ. არ გააჩნია*) *მედ.* დაბუჟება.

μύρο το **1.** მური (სურნელოვანი ფისი); **2.** არომატი, კეთილსურნელება; **3.** მირონი; ◊ *εκκλ. άγιο* ~ წმინდა მირონი.

μυρσίνη η *მაღალტ.* **1.** მურტის ნაყოფი; **2.** (**Μ**) მირსინი (ქალის სახელი).

μυρτιά (μύρτος) η *ბოტ.* მურტი.

μύρτο το 1. მურტის ნაყოფი; 2. მურტის ტოტი.

μυρωδάτος, -η, -ο სურნელოვანი.

μυρωδιά (μυρουδιά) η *ხალხ.* 1. სუნი, სურნელი; 2. სურნელება, სასიამოვნო სუნი.

μύρωμα το 1. სუნამოს დასხმა; 2. *ეკლ.* მირონცხება.

μυρώνω (*აόρ. μύρωσα, αόρ. παθ. μυρώθηκα, μτχ. μυρωμένος*) *αμετβ.* 1. სუნამოს დასხმა; 2. *ეკლ.* მირონის ცხება; 3. *μτχ.* ა) სურნელოვანი: *μυρωμένα μαλλιά* სურნელოვანი თმები, ბ) *ეკლ.* მირონცხებული.

μυς ο (*γεν. μυός, πληθ. μύες, γεν. πληθ. μυών*) კუნთი.

μυστηριακός, -ή, -ό 1. მისტერიული, მღვდელთმსახურების: *~ό σύμβολο* მღვდელთმსახურების სიმბოლო; 2. *გაძაბ.* იდუმალი; ◊ *~ή θρησκεία* მისტერიული რელიგია.

μυστήριο το 1. *რელ.* მისტერია, მღვდელთმსახურება; 2. *თეოლ.* წმინდა რიტუალი: *τέλεση του ~ου* წმინდა რიტუალის შესრულება; 3. იდუმალება, გამოცანა, გაურკვეველობა, ბუნდოვანება; ◊ *το κλειδί του ~ου* გამოცანის გასაღები, *ιστορία / ταινία ~ου* მძაფრსიუჟეტიანი ფილმი, თრილერი.

μυστήριος, -α, -ο მისტერიული, უცნაური, გამოუცნობი.

μυστικισμός ο (*πληθ. არ გააჩნია*) 1. *ფილოს., რელ.* მისტიციზმი; 2. საიდუმლოს შენახვა.

μυστικιστής ο, **-τρια** η მისტიკოსი.

μυστικό το 1. საიდუმლო; 2. იდუმალება: *το ~ της ανθρώπινης ψυχής* ადამიანის სულის იდუმალება.

μυστικός, -ή, -ό 1. საიდუმლო: *~ό σχέδιο / μήνυμα* საიდუმლო გეგმა / შეტყობინება; 2. იდუმალებით მოცული; 3. მისტერიული.

μυστρί το მებათქაშის იარაღი.

μυτερός, -ή, -ό წვეტიანი, წაწვეტებული.

μύτη η 1. ცხვირი; *გაძაბ.* 2. წვერი: *η ~ του μαχαιριού* დანის წვერი; 3. შვერილი: *η ~ του δοκαριού* ძელის შვერილი; 4. *პირდ., გაძაბ.* ყნოსვა, წინათგრძნობა; ◊ *στηκώνω ~* ცხვირს ვწევ, *χώνω τη ~ μου παντού* ყველგან ცხვირს ვყოფ, *κάτω απ'τη ~ (κάποιου)* (ვინაცის) ცხვირწინ.

μυώ (ε) (*αόρ. μύησα, αόρ. παθ. μυήθηκα, μτχ. μυημένος*) *μετβ.* 1. ზიარება: *~ στον χριστιανισμό* ქრისტიანობას ვეზიარები; 2. მიღება, შეყვანა; 3. *გაძაბ.* სწავლება, ზიარება.

μύωπας ο 1. *მედ.* ახლომხედველი; 2. *გაძაბ.* ბეცი, ახლომხედველი.

μυωπία η (*πληθ. არ გააჩნια*) 1. *მედ.* მიოპია, ახლომხედველობა; 2. *გაძაბ.* სიბეცე, ახლომხედველობა.

μωαμεθανισμός ο (*πληθ. არ გააჩნια*) *რელ.* მაჰმადიანობა.

μωαμεθανός ο, **-ή** η *რელ.* მაჰმადიანი.

μωλωπίζω (*αόρ. μωλώπισα, αόρ. παθ. μωλωπίσθηκα, μτχ. μωλωπισμένος*) *μετβ.* დაშავება, დაჟეჟვა.

μωρέ (βρε) *επιφών., ხალხ.* 1. რა, შენ (მიმართვისას): *ως πότε θες να σε τρέφω, ~ τεμπέλη;* როდემდე გინდა გარჩინო, შე ბარმაცო? 2. (+ *προσωπ. αντων.*) ეი (მიმართვისას): *μωρ'εσύ, δεν ακούς που σε φωνάζω;* ეი, შენ, არ გესმის რომ გეძახი? 3. ვა, ღედა! (გაოცებისას): *~ τι μας λες;* ღედა, რას ამბობ?

μωρό το 1. ჩვილი ბავშვი; 2. *გაძაბ.* უმწიფარი, პატარა; 3. *ხალხ.* ლამაზი გოგონა; ◊ *~ μου!* ჩემო საყვარელო!

μωσαϊκό το მოზაიკა.

N

N, ν, νυ ან νι 1. ნი, ბერძნული ანბანის მეცამეტე ასო; 2. რიცხვითი ნიშანი: ა) ორმოცდაათი, ორმოცდამეათე (*Ν'*), ბ) ორმოცდაათი ათასი (*,Ν*).

να I *სინდ.* 1. რომ (სურვილის ან ბრძანების გამომხატველი კავშირებითი კილოს მაწარმოებელი): *θέλω ~ φύγω* მინდა, რომ წავიდე; 2. ა) რომ, რათა (მთავარი და დაქვემდებარებული წინადადებების მაკავშირებელი): *τους βλέπαμε ~ περνούν από μπροστά μας* ვხედავდით, რომ ჩვენს წინ მიდიოდნენ, ბ) რომ (თანმიმდევრული მოქმედების გამომხატველი): *ελπίζω ~ με πάρεις τηλέφωνο* იმედი მაქვს, რომ დამირეკავ; 3. ის, რომ...: *το ~ αγνοείς την πραγματικότητα σε φέρνει σε δύσκολη θέση* ის, რომ რეალობას უარყოფ, რთულ მდგომარეობაში (სიტუაციაში) გაყენებს; 4. რომ არ... (უარყოფით ნაწილაკთან ერთად): *του είπα ~ μη φύγει* ეუთხარი, რომ არ წასულიყო; 5. დამოუკიდებელი წინადადების მაწარმოებელი, რომელიც გადმოგვცემს: ა) სურვილს, ნატერას, დალოცვას ან წყეველას (ნეტავ, დაე-ს ან ღმერთის ნაცვლად): *~ σου ζήσει το παιδί!* ღმერთმა გიცოცხლოს ბავშვი! ბ) ბრძანებას, აკრძალვას: *~ κοιτάζεις τη δουλειά σου!* შენს საქმეს მიხედე! გ) შეკითხვას, კითხვას, გაოცებას: *~ σε ρωτήσω κάτι;* შეიძლება გკითხო? დ) *ფიცს: ~ μη σώσω, αν σου λέω ψέματα!* მე მოვკედე, ტყუილს თუ გეუბნებოდე! ე) სურვილს: *~ δω τι θα κάνεις χωρίς τη βοήθειά μου* ერთი ვნახო, რას იზამ ჩემი დახმარების გარეშე, ვ) ვარაუდს ან შესაძლებლობას: *ποιος ~ το'λεγε πως θα γινόταν υπουργός!* ვინ იფიქრებდა, რომ მინისტრი გახდებოდა! ზ) პროტესტს, სასოწარკვეთას: *τόσο κοντά μου και ~ μην το δω* ასე ახლოსაა ჩემთან და (როგორ) არ ვნახო; 6. კითხვით და მიმართებით ნაცვალსახელებთან ერთად ქმნის კითხვით ფრაზას: *τι ~ έκανα;* რა უნდა მექნა? *πότε ~ έφυγε*

άραγε; ნეტავ როდის წავიდა? **7.** რათა, რომ, იმიტომ, რომ: *θα πάω ~ τον βρω* წავალ, რომ მოვძებნო; **8.** რომ, როცა (დროით დამოკიდებულ წინადადებაში): *~ 'ρθει το καλοκαίρι και βλέπουμε* ზაფხული რომ დადგება, ვნახავთ; **9.** რომც: *δεν θα πάω, ο κόσμος ~ χαλάσει* ქვეყანა რომც დაიქცეს, არ წავალ; **10.** დამოკიდებული წინადადებების მომყვანი კავშირები, რომლებიც ძირითადად წინდებულების (ნაცვლად, თითქოს, როგორც, გარეშე, სანამ, -მდე) შემდეგ იხმარება: *ξαφνικά σταμάτησε, σα ~ θυμήθηκε κάτι* უეცრად გაჩერდა, თითქოს რაღაც გაახსენდა; **11.** სხვადასხვა მნიშვნელობის ფრაზებში, რომლებიც რომელიმე კავშირს ან ნაწილაკს ასლავს თან (თუმცა, ჯერ, სანამ და ა.შ.): *χτύπησαν την πόρτα μου πριν ~ ζημερώσει* ჯერ გათენებული არ იყო, კარზე რომ დამიკაკუნეს; **13.** სიტყვებთან – მხოლოდ, ოღონდ – გამოხატავს თხოვნას, ნატვრას, სურვილს: *θα κερδίσουμε σίγουρα· μόνο ~ μη μας τύχει καμιά αναποδιά* ნამდვილად მოვიგებთ, ოღონდ რაიმე უკულმართი არ შეგვემთხვეს.

να II *მór.* **1.** აი, ნახე, შეხედე (ჩვენებისას): *~ η Λίζα!* აი, ლიზა! **2.** აიღე, მიირთვი, ისწავე (მეთავაზებისას).

νάζι *το* (*γεν. πληθ. არ გააჩნია*) სიკეკლუცე, კეკლუცობა; ◊ *αρχίζω και κάνω ~α* ეჭვიანობ.

ναζί ο/η *άκλ.* ნაცისტი.

ναζιάρης (*πληθ. -ηδες*), **-α, -ικο** ნაზი.

ναζισμός ο (*πληθ. არ გააჩნია*) ნაციზმი.

ναζιστικός, -ή, -ό 1. ნაცისტური; **2.** *გადატ.* მოძალადის, ძალადური.

ναι *მór.* **1.** დიახ, კი, პო; **2.** დასტურის მიცემა, დათანხმება, შეთანხმება, მორიგება (არსებითის ფორმით): *είναι δύσκολο το ~* ძნელია დათანხმება.

νάιλον το *άκλ.* **1.** *ქიმ., ტექ.* ნეილონი; **2.** *επίθ.* ნეილონის.

νάνος ο **1.** *მედ.* ჯუჯა, ლილიპუტი; *გადატ.* **2.** უღირსი, უძლური, უნიათო, პიროვნება; **3.** *ბოტ.* ჯუჯა (მცენარე); **4.** ჯუჯა (მითოლოგიური პერსონაჟი).

νανουρίζω (ναναρίζω) (*აόр. νανούρισα, აόр. παθ. νανουρίστηκα, μτχ. νανουρισμένος*) *μετβ.* **1.** ძილისპირულით ბაგშვის დაძინება; **2.** *გადატ.* ძილის მოგერა, დაძინება: *μας νανούρισε το κύμα* ტალღამ ძილი მოგვგვარა.

νανούρισμα (ναναρισμα) το ძილისპირული, იავნანა.

ναός ο *Ιστορ., გადატ.* ტაძარი.

ναργιλές ο (*πληθ. -έδες*) *ხალხ.* ნარგილე.

νάρθηκας ο **1.** *მედ.* არტაშანი; **2.** *αρχιτεκτ.* პორტიკი, კარიბჭე.

νάρκη η **1.** გულის წასვლა; **2.** ღრმა ძილი, ძილქუშა; **3.** *ბიოლ.* ძილი; **4.** *გადატ.* გონებასუსტობა; **5.** *სამხ.* ნაღმი.

ναρκισσισμός ο ნარცისიზმი, თვითკმაყოფილება.

νάρκισσος ο **1.** (**Ν**) *მითოლ.* ნარცისი; **2.** *გადატ.* თავის თაეში შეყვარებული პიროვნება; **3.** *ბოტ.* ნარცისი.

ναρκοθετώ (ε) (*αόр. ναρκοθέτησα, αόр. παθ. ναρκοθετήθηκα, μτχ. ναρκοθετημένος*) *μετβ.* **1.** დანაღმვა; **2.** *გადატ.* მალულად ხელის შეშლა, ჩაშლა.

ναρκομανής, -ής, -ές (*γεν.* *-ούς, πληθ. αρσ. και θηλ.* *-είς, ουδ.* *-ή*) ნარკომანი.

ναρκομανία η ნარკომანია.

ναρκοπέδιο το *საბრ.* დანაღმული ველი.

ναρκώνω (*αόρ.* *νάρκωσα, αόρ. παθ.* *ναρκώθηκα, μτχ.* *ναρκωμένος*) *μετβ.* **1.** მოთენთვა, მოდუნება, ჩაძინება; **2.** *მედ.* ნარკოზის გაკეთება, ანესთეზია; **3.** *გადატ.* მოწამლა, გამოლენჩება.

νάρκωση η **1.** ნარკოზი; **2.** *მედ.* ანესთეზია, გაყუჩება.

ναρκωτικός, -ή, -ό 1. ნარკოტიკული; **2.** (τα) ნარკოტიკი.

νατουραλισμός ο ნატურალიზმი.

νατουραλιστής ο, **-τρια** η ნატურალისტი.

νατουραλιστικός, -ή, -ό ნატურალისტური.

νάτριο το *ქიმ.* ნატრიუმი.

ναυάγιο το **1.** *ზღვ.* გემის ჩაძირვა; *გადატ.* **2.** კატასტროფა, წარუმატებლობა, ფიასკო; **3.** *დაცინ.* ზნედაცემული ადამიანი, წყალწაღებული.

ναυαγός ο **1.** ჩაძირული, წყალწაღებული; **2.** *გადატ.* წარუმატებელი ადამიანი.

ναυαγοσώστης ο, **-τρια** η საბღვაო მაშველი, ის, ვინც ჩაძირულებს შველის.

ναυαγώ (ε) (*αόρ.* *ναυάγησα, μτχ.* *ναυαγισμένος*) *αμετβ.* **1.** ჩაძირვა; **2.** *გადატ.* ჩაშლა, დამსხვრევა, წარუმატებლობის განცდა.

ναυαρχείο το **1.** საადმირალო უწყება; **2.** საადმირალო მმართველობა.

ναύαρχος ο ადმირალი.

ναύλος ο **1.** გემის დაქირაობა, ფრახტი; **2.** (τα ~α) ტრანსპორტით გადაყვანის, გადატანის ქირა.

ναυλώνω (*αόρ.* *ναύλωσα. αόρ. παθ.* *ναυλώθηκα, μτχ.* *ναυλωμένος*) *μετβ.* გემის დაქირაება, ფრახტი.

ναύλωση η გემის დაქირაება, ფრახტი.

ναυμαχία η საბღვაო შეტაკება, ბრძოლა.

ναυπηγείο το გემთმშენებელი ქარხანა.

ναυπηγός ο გემთმშენებელი.

ναυπηγώ (ε) (*αόρ.* *ναυπήγησα, αόρ. παθ.* *ναυπηγήθηκα, μτχ.* *ναυπηγημένος*) *μετβ.* გემთმშენებლობა, გემის აშენება.

ναυσιπλοΐα η (*πληθ. არ გააჩნია*) **1.** ნავიგაცია; **2.** ზღვაოსნობა; **3.** გემით მგზავრების გადაყვანა ან ტვირთის გადატანა.

ναύτης ο მეზღვაური.

ναυτία η **1.** ზღვის აავადმყოფობა; **2.** *გადატ.* თაებრუსხვევა, გულისრევა.

ναυτικό το (*πληθ. არ გააჩნია*) ფლოტი.

ναυτικός, -ή, -ό 1. საბღვაო, ზღვის: *~ό δίκαιο* საბღვაო სამართალი; **2.** მეზღვაურის; **3.** (τα) მეზღვაურის ფორმა; **4.** (ο/η) მეზღვაური.

ναυτιλία η **1.** ქვეყნის საეაჭრო გემების ერთობლიობა, ფლოტი; **2.** მეცნიერება გემის მართვის და ზოგადად ზღვაოსნობის შესახებ.

ναφθαλίνη η *ქიმ.* ნაფტალინი.

νεανικός, -ή, -ό ყმაწვილური, ახალგაზრდული, ცოცხალი, ენერგიული.

νεαρός, -ή/-ά, -ό 1. ახალგაზრდა: *~ό ζευγάρι* ახალგაზრდა წყვილი; **2.** (ο) ახალგაზრდა, ყმაწვილი.

νέγρος ο, **-α** η შანგი.

νεκρανάσταση η **1.** მკვდრეთით აღდგომა, მკვდრის გაცოცხლება; **2.** *გადატ.* გამოცოცხლება.

νεκρικός, -ή, -ό მიცვალებულის, სამგლოვიარო; ◊ *~ά σεντόνια* სუდარა, *~ θάλαμος* მორგი, *~ή σιγή* სამარისებური სიჩუმე.

νεκρόδειπνο το ქელეხი.

νεκροθάφτης ο *პირდ., გადატ.* მესაფლავე.

νεκροκεφαλή η თავის ქალა.

νεκρολογία η 1. საფლავთან გარდაცვლილზე წარმოთქმული სიტყვა; 2. ნეკროლოგი.

νεκρομαντεία η მიცვალებულთა სულების გამოძახებით მკითხაობა, სპირიტიზმი.

νεκρόπολη η *არქეოლ.* ნეკროპოლი, სასაფლაო.

νεκρός, -ή/-ά, ό 1. (ο) მკვდარი, მიცვალებული; 2. უფუნქციო, მწყობრიდან გამოსული; 3. პარალიზებული; 4. ძალადაკარგული, მკვდარი: *~ές γλώσσες* მკვდარი ენები; ◊ *~ή περίοδος* მკვდარი სეზონი, *~ή ζώνη* მკვდარი ზონა, *ανάσταση ~ών* მკვდრეთით აღდგომა.

νεκροταφείο το 1. სასაფლაო; 2. *გადატ.* სასაფლაო, ჩამკვდარი ადგილი, უვარგისი ნივთების საყრელი.

νεκροτομείο το 1. მორგი; 2. სამედიცინო ინსტიტუტის სასექციო (ლაბორატორია, სადაც სტუდენტები გვამის გაკვეთაში პრაქტიკას გადიან).

νεκροτομή η *მედ.* ნეკროტომია.

νεκροφιλία η *ფსიქოლ.* ნეკროფილია.

νεκροφόρα η 1. კატაფალკი; 2. *ირონ.* გრძელი შავი მანქანა.

νεκροφυλάκειο το მორგი.

νεκρώνω (*აόρ. νέκρωσα, აόρ. παθ. νεκρώθηκα, μτχ. νεκρωμένος*) *μετβ.* 1. მოკვლა; 2. გაყუჩება: *η ένεση νέκρωσε όλη την περιοχή γύρω από το χαλασμένο δόντι* ინექციამ დაბიანებული კბილის ირგვლივ მთელი არე გააყუჩა; 3. *გადატ.* მოკვლა, განადგურება; *αμετβ.* 1. მწყობრიდან გამოსვლა; 2. ჩაკვდომა, პარალიზება; 3. მკვდრის ფერის დადება, მიღება.

νέκρωση η 1. სიკვდილი, კვდომა; 2. *მედ.* ნეკროზი; 3. *გადატ.* ფუნქციონირების, მოქმედების, მუშაობის შეწყვეტა, გაჩერება, შეჩერება; ◊ *~ του εγκεφάλου* ტვინის ნეკროზი (მუშაობის შეწყვეტა).

νέκταρ το (*πληθ. არ χρησιμοποιείται*) ნექტარი.

νέμεση η (*πληθ. არ χρησιμοποιείται*) 1. (Ν) *მითოლ.* ნემესისი; 2. ღვთის სამართალი, საზღაურის მიგება.

νεογέννητος, -η, -ο (νιογέννητος) 1. ახალდაბადებული, ახალშობილი; 2. (το) ახალშობილი ბავშვი.

νεοελληνικός, -ή, -ό 1. ახალბერძნული; 2. (τα) ახალბერძნული ენა.

νεοελληνιστής ο, **-τρια** η ნეოელინისტი, ნეოგრეცისტი, ახალი ბერძნული ფილოლოგიის, ისტორიისა და კულტურის სპეციალისტი.

νεοκλασικός, -ή, -ό ნეოკლასიკური.

νεολαία η ახალგაზრდობა.

νεολαίος ο 1. ახალგაზრდა, ყმაწვილი; 2. პოლიტიკური ხელმძღვანელობის ახალგაზრდა წარმომადგენელი.

νεολιθικός, -ή, -ό ნეოლითური.

νεολογισμός ο *ენათმეც.* ნეოლოგიზმი.

νέον το *ქიმ.* ნეონი.

νεόνυμφος, -η, -ο 1. ახალდაქორწინებული, ახალშეუღლებული; 2. (οι) ახალდაქორწინებული წყვილი.

νεόπλουτος, -η, -ο ახალგამდიდრებული.

νέος, -α, -ο 1. ახალგაზრდა; 2. გამოუცდელი, მოუმზადებელი; 3. ახალი,

თანამედროვე, ახალშემოსული; **4.** (ο) ახალგაზრდა, ყმაწვილი; **5.** *სამხ.* ახალბედა; **6.** (τα) ახალი ამბები.

νεοσσός ο **1.** წიწილა; **2.** ახალშობილი ბავშვი.

νεοσύλλεκτος, -η, -ο *სამხ.* ახალწვეული.

νεοσύστατος, -η, -ο ახალშექმნილი.

νεότητα η (*πληθ. არ გააჩნია*) **1.** ახალგაზრდობა, სიყმაწვილე; **2.** ახალგაზრდობა, ყმაწვილები; ◊ *ξενώνας ~ς* ახალგაზრდების საერთო საცხოვრებელი.

νεράιδα η (*γεν. πληθ. არ გააჩნია*) **1.** ნერეისი; **2.** *გადატ.* მაცდური ქალი.

νεράντζι το *ბოტ.* ნარინჯი.

νεραντζιά η *ბოტ.* ნარინჯის ხე.

νερό το წყალი; ◊ *ιαματικό ~* სამკურნალო თვისებების მქონე წყალი, *μεταλλικό ~* მინერალური წყალი, *σαν δύο σταγόνες ~* წყლის წვეთებივით (ჰგვანან), *θολώνω τα ~ά* წყალს ვამღვრევ, გაურკვეველობა შემაქვს.

νερόβραστος, -η, -ο **1.** ცარიელ წყალში მოხარშული, წყალწყალა; **2.** სამარხვო; *გადატ.* **3.** უკბილო, უინტერესო, უგერგილო: *~α αστεία* უკბილო ხუმრობები.

νεροκάρδαμο το *ბოტ.* წიწმატი.

νερομπογιά η **1.** აკვარელის საღებავი; **2.** აკვარელის საღებავით შესრულებული ნახატი.

νερόμυλος ο წყლის წისქვილი.

νεροποντή η ძლიერი, თავსხმა წვიმა.

νερουλιάζω (*აόρ. νερούλιασα, μτχ. νερουλιασμένος*) *μετβ.* გაწყალება, ზედმეტი წყლის დამატება; *αμετβ.* **1.** გაწყალება, გაწყალება, წყლით გავსება, წყლის ჩადგომა; *გადატ.* **2.** მოდუნება, მოშვება, შესუსტება, დაქვეითება: *το μυαλό του νερούλιασε με τα χρόνια* დროთა განმავლობაში გონება დაუსუსტდა.

νερουλός, -ή, -ό **1.** წყალწყალა, გაწყალებული; **2.** *გადატ.* გაწყალებული, მოდუნებული.

νερόφιδο το წყლის გველი.

νερόχιονο το სველი თოვლი, თოვლჭყაპი.

νεροχύτης ο პირსაბანი, ნიჟარა.

νερώνω (*αόρ. νέρωσα, μτχ. νερωμένος*) *μετβ.* წყლის დამატება: *~ το κρασί* ღვინოს წყალს ვუმატებ; *αμετβ.* გაწყალება.

νετρόνιο το *ფიზ.* ნეიტრონი.

νεύμα το ნიშანი, ჟესტი.

νευραλγία η *მედ.* ნევრალგია.

νευραλγικός, -ή, -ό **1.** ნევრალგიური; **2.** *გადატ.* განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე.

νευρασθένεια η *მედ.* ნევრასთენია.

νευρασθενικός, -ή, -ό **1.** ნევრასთენიული; **2.** (ο) ნევრასთენიით დაავადებული ადამიანი.

νευριάζω (*αόρ. νευρίασα, μτχ. νευριασμένος*) *μετβ., αμετβ.* გაბერვიულება, გაღიზიანება, გაბრაზება.

νεύριασμα το გაბერვიულება, გაღიზიანება, გაბრაზება.

νευριασμένος, -η, -ο გაბერვიულებული, გაღიზიანებული, აღელვებული.

νευρικός, -ή/-ιά, -ό **1.** *მედ.* ნერვული; **2.** ნერვიული, გაღიზიანებული.

νεύρο το *ანატ., ბიოლ.* **1.** ნერვი; *გადატ.* **2.** ძარღვი: *τα ~α των φύλλων* ფოთლების ძარღვები; **3.** ენერგია, სიცოცხლე; **4.** (τα) ნერვები; ◊ *είμαι όλο ~α / έχω τα ~α μου* ნერვებმოშლილი ვარ, *(κάτι / κάποιος) μου δίνει / χτυπάει στα ~α* ნერვებს მიშლის (რაღაც / ვიღაც), *σπάω τα ~α (κάποιου)* ნერვებს ეუშლი (ვინმეს).

νευρολόγος ο/η *მედ.* ნევროლოგი.

νευροπαθολόγος ο/η *მედ.* ნეიროპათოლოგი.

νευροχειρουργός ο/η *მედ.* ნეიროქირურგი.

νευρώδης, -ης, -ες (*γεν. -ους, πληθ. αρσ. და θηλ. -εις, ουδ. -η*) **1.** ძარღვიანი: *~ες κρέας* ძარღვიანი ხორცი; **2.** ძლიერი, დაძაბული მძაფრსიუჟეტიანი (ნაწარმოები, ფილმი).

νεύρωση η *მედ.* ნევროზი.

νεφέλη η ღრუბელი.

νεφελώδης, -ης, -ες (*γεν. -ους, πληθ. αρσ. და θηλ. -εις, ουδ. -η*) **1.** ღრუბლიანი, მოღრუბლული; **2.** ღრუბლისმაგვარი; **3.** *გადატ.* ცრუ, გაუგებარი.

νέφος το **1.** *მეტეორ.* ღრუბელი; **2.** გუნდი, ღრუბელი: *~ από πουλιά* ჩიტების გუნდი; **3.** *ეკოლ.* გამონაბოლქვი; **4.** *გადატ.* ცუდი ნიშანი; ◊ *ζεοπ. διάτυρο ~* ვულკანური ამონაფრქვევი, *ραδιενεργό ~* რადიოაქტიური ღრუბელი.

νεφραλγία η *მედ.* ნეფრალგია.

νεφρικός, -ή, -ό თირკმლის.

νεφρίτιδα η (*πληθ. არ გააჩნია*) *მედ.* ნეფრიტი.

νεφρό το თირკმელი.

νεφρόπτωση η *მედ.* თირკმლის დაწევა.

νέφτι το (*γεν. πληθ. არ გააჩნია*) *ქიმ.* ნავთი.

νεφώδης, -ης, -ες (*γεν. -ους, πληθ. αρσ. და θηλ. -εις, ουδ. -η*) **1.** ღრუბლიანი; **2.** ღრუბლისმაგვარი, ღრუბლის მსგავსი.

νέφωση η **1.** ცის ღრუბლით დაფარვა, მოღრუბლვა; **2.** *მეტეორ.* ღრუბლიანობა.

νεωτερίζω (*აόρ. νεωτέρισα*) *αμετβ.* ნოვატორობა, ახალი იდეების დანერგვა, ახალი სტილის, სიახლის შემოტანა.

νεωτερισμός ο **1.** ნოვატორობა, ახალი იდეების დანერგვა, ახალი სტილის შეძენა, სიახლის შემოტანა; **2.** მოდა, მოდის სიახლეები; **3.** მოდური ტანსაცმლის (მაღაზია); **4.** *ζεοπ.* მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება.

νεωτεριστής ο ნოვატორი.

νεωτεριστικός, -ή, -ό ნოვატორული, ახალი იდეების, სტილის, სიახლის მქონე, შემომტანი.

νήμα το **1.** ძაფი; **2.** *ελεήξ.* მაეთული, საღენი, გამტარი; **3.** *გადატ.* ძაფი, წყობა, ქარგა: *το ~ των σκέψεων* აზრთა წყობა; ◊ *~ τερματισμού* ფინიშის ლენტა.

νηνεμία η (*πληθ. არ გააჩნια*) უქარო ამინდი, შტილი.

νηπιαγωγείο το საბავშვო ბაღი.

νηπιαγωγός ο საბავშვო ბაღის აღმზრდელი.

νηπιακός, -ή, -ό **1.** საბავშვო, სკოლამდელი: *~ σταθμός* საბავშვო ბაღი; **2.** *გადატ.* განუვითარებელი, დაბალი (დონის).

νήπιο το **1.** ბავშვი (სკოლამდელი ასაკის); **2.** (τα) საბავშვო ბაღი.

νησί το კუნძული.

νησίδα η **1.** პატარა კუნძული; **2.** *ζεοπ.* წყალში ამოშვერილი ბორცვი; **3.** საავტომობილო გზის გამყოფი ზოლი: *υπερυψώμενη ~* ამაღლებული საავტომობილო გზის გამყოფი ზოლი.

νησιώτης, -ισσα η კუნძულის ბინადარი, მოსახლე.

νησιώτικος, -η, -ο **1.** კუნძულის, კუნძულზე არსებული; **2.** კუნძულებისგან შემდგარი; **3.** (τα) კუნძულის სიმღერები.

νήσος η *მაღალფ.* კუნძული: *Ιόνιοι ~οι* იონიის კუნძულები.

νηστεία η მარხვა.

νηστευτής ο, **-τρια** η 1. მემარხულე; 2. მარხული (ეკლესიის წმინდანთა სახელი).

νηστεύω (*აόρ. νήστευσα / νήστεψα*) *αμετβ.* 1. მარხვის შენახვა, მარხულობა; 2. ხორციელი ცდუნებისგან თავის შეკავება; 3. მცირედი საკვების მიღება.

νηστήσιμος, -η, -ο (νηστίσιμος) სამარხეო, მარხვის.

νηστικός, -ή/-ιά, -ό მშიერი.

νηφάλιος, -α, -ο 1. მშვიდი, აუღელვებელი; 2. საღი, კეთილგონიერი, სწორი.

νηφαλιότητα η (*πληθ. არ გააჩნია*) სიმშვიდე.

νιαουρίζω (*აόρ. νιαούρισα*) *αμετβ.* 1. კნავილი; 2. *გადატ.* კნავილი, წუწუნი.

νιαούρισμα το კნავილი.

νιάτα τα 1. ახალგაზრდობა, სიყმაწვილე: *στα ~* ახალგაზრდობაში; 2. ახალგაზრდობა, ყმაწვილები; ◊ *να χαρείς τα ~ σου* გაიხარე შენი ახალგაზრდობით, *κρίμα (σ)τα ~ (κάποιου)* ვაი, შენს ახალგაზრდობას: ა) ცუდ ახალგაზრდაზე, ბ) უდროოდ გარდაცვლილზე.

νίβω (*აόρ. ένιψα, αόρ. παθ. νίφτηκα*) *μετβ.* დაბანა (ხელ-პირის).

νίκη η გამარჯვება; ◊ *~ στα σημεία* კრიებში ქულებით მოპოვებული გამარჯვება.

νικητήριος, -α, -ο 1. გამარჯვების; 2. (τα) გამარჯვების ჰიმნი.

νικητής ο, **-τρια** η გამარჯვებული.

νικηφόρος, -α, -ο გამარჯვების მომტანი.

νικοτίνη η (*πληθ. არ γააჩნია*) ნიკოტინი.

νικώ (α) (*αόρ. νίκησα, αόρ. παθ. νικήθηκα, μτχ. νικημένος*) *μετβ.* გამარჯვება, გამარჯვების მოპოვება.

νιόπαντρος, -η, -ο 1. ახალდაქორწინებული; 2. (οι) ახალდაქორწინებული წყვილი.

νιος, -α, -ο *ხალხ. იხ.* **νέος**.

νιότη η (*πληθ. არ γააჩნია*) 1. ახალგაზრდობა, სიყმაწვილე; 2. ახალგაზრდობა, ყმაწვილობა.

νιπτήρας ο ნიჟარა, პირსაბანი; ◊ *εκκλ. Ακολουθία του Ν~ος* ფეხთბანვის ცერემონია.

νίπτω (*αόρ. ένιψα*) *βαλατ.* ჩამორეცხვა, ჩამოწმენდა; ◊ *~ τας χείρας μου* ხელებიც დამიბანია (პასუხისმგებლობას თავიდან ვიცილებ).

νιρβάνα η (*πληθ. არ γააჩნია*) 1. ნირვანა; *გადატ.* 2. აპათია; 3. უმოქმედობა, გაბრუება (ხშირად, ტოქსიკური ნივთიერებით).

νιτρογλυκερίνη η (*πληθ. არ γააჩნია*) *ქიმ.* ნიტროგლიცერინი.

νιφάδα η 1. ფიფქი; 2. *გადატ.* ფიფქისებური, ყველაფერი, რაც ფიფქს წააგავს.

νιχιλισμός ο ნიჰილიზმი.

νιχιλιστής ο, **-τρια** η ნიჰილისტი.

νιώθω (νοιώθω) (*αόρ. ένιωσα*) *μετβ.* 1. გრძნობა, შეგრძნება; 2. გრძნობა, ცოდნა, გააზრება, გაცნობიერება; 3. წინათგრძნობა; ◊ *δεν ~ πού πάνε τα τέσσερα* ა) არაფერი გამეგება, ბ) სრულიად დაბნეული ვარ.

Νοέμβριος (Νοέμβρης) ο ნოემბერი.

νοερός, -ή, -ό 1. ფიქრად გაელებული, გაფიქრებული, წარმოდგენილი; 2. წარმოდგენითი, წარმოსახვითი.

νόημα το აზრი, მნიშვნელობა; ◊ *βγάζω ~* აზრი გამომაქვს, *δεν έχει ~*

να ... აზრი არა აქვს, რომ ..., *κάνω ~* ვანიშნებ.

νοηματικός, -ή, -ό აზრობრივი.; ◊ *~ή γλώσσα* ყრუ-მუნჯთა ენა.

νοημοσύνη η (*πληθ. არ გააჩნია*) **1.** აზროვნება; **2.** საზრიანობა, აზროვნების უნარი.

νόηση η (*πληθ. არ გააჩნია*) **1.** აზრი, ფიქრი; **2.** გონება, ინტელექტი.

νοητός, -ή, -ό *მაღალფ.* **1.** ჩასაწვდომი, გასაგები; **2.** აზრობრივი, გონებრივი, ცნობადი.

νοθεία η (*γεν. πληθ. არ გააჩნია*) ფალსიფიცირება, გაყალბება.

νοθευτής ο, **-τρια** η ფალსიფიკატორი, გამყალბებელი.

νοθεύω (*აόρ. νόθευσα, აόρ. παθ. νοθεύθηκα, μτχ. νοθευμένος*) ფალსიფიცირება, გაყალბება.

νόθος, -ος/α, -ο **1.** ქორწინების გარეშე დაბადებული, ნაბიჭვარი; **2.** *βοτ.* შეჯვარებული, ნაჯვარი; **3.** *გადატ.* ხელოვნური, ყალბი.

νοιάζει (*აόρ. ένοιαξε*) (*τριτοπρός*) სინანულის განცდა, დარდი, ნაღველი: *δεν με ~ καθόλου τι θα πει ο κόσμος* საერთოდ არ მადარდებს ხალხი რას იტყვის.

νοιάζομαι (*აόρ. παθ. νοιάστηκα*) *αποθ., μετβ., ხალხ.* **1.** დარდი: *μόνο τον εαυτό τους ~ονται* მხოლოდ საკუთარი თავი ადარდებთ; **2.** ზრუნვა; *αμετβ.* **1.** ედარდობ: *μη ~εσαι,* ნუ დარდობ; **2.** (+*για*) მაინტერესებს: *~εται μόνο για τα λεφτά του* მხოლოდ მისი ფული აინტერესებს.

νοικάρης ο, **-ισσα** η (*πληθ. -ήδες*) დამქირავებელი.

νοίκι το (*γεν. πληθ. არ გააჩნია*) ქირა: *πληρώνω το ~* ქირას ვიხდი; ◊ *μένω στο ~* ქირით ვცხოვრობ.

νοικιάζω (*აόρ. νοίκιασα, აόρ. παθ. νοικιάστηκα, μτχ. νοικιασμένος*) *μετβ.* ქირის გადახდა, დაქირავება.

νοικοκυρά η **1.** დიასახლისი; **2.** კარგი მეოჯახე ქალი.

νοικοκυρεμένος, -η, -ο მოწესრიგებული.

νοικοκυρεύω (*აόρ. νοικοκύρεψα, αόρ. παθ. νοικοκυρεύτηκα, μτχ. νοικοκυρεμένος*) *μετβ.* **1.** პატრონობა; **2.** *ირიბ., გადატ.* მოწესრიგება, დალაგება, წესრიგში მოყვანა; **-ομαι** **1.** ფულის ყაირათიანად ხარჯვა; **2.** ოჯახის შექმნა; *μτχ.* მოვლილი, მოწესრიგებული, დალაგებული.

νοικοκύρης ο **1.** მასპინძელი, სახლის პატრონი; **2.** მეოჯახე, მეურნე.

νοικοκυριό το *საუბრ.* **1.** სახლი, ოჯახი: *είδη ~ού* საოჯახო ნივთები; **2.** *გადატ.* წესრიგი, სისუფთავე.

νοικοκυρόσπιτο το **1.** მოვლილი სახლი; **2.** შეძლებული ოჯახი.

νομάδας ο **1.** მომთაბარე; **2.** (οι) ნომადები (მომთაბარე ხალხი): *πολλοί τσιγγάνοι είναι ~ες* ბევრი ბომა მომთაბარეა.

νομαδικός, -ή, -ό ნომადური, მომთაბარე.

νομάρχης ο/η გუბერნატორი, რაიონის მმართველი.

νομαρχία η **1.** რაიონული მმართველობა.

νομίζω (*აόρ. νόμισα, αόρ. παθ. νομίστηκα*) *μετβ.* **1.** ფიქრი, გონება: *~ ότι με κοροϊδεύουν* მგონია, რომ დამცინიან; **2.** დაჯერება, რწმენა: *πάντως εγώ ~ ότι δεν είναι έτσι τα πράγματα* თუმცა მე მჯერა, რომ საქმე ასე არაა; **3.** (+ *για*) მიჩნევა, ჩათვლა: *τον νόμιζα για φίλο, αλλά είχα άδικο* მეგობრად მიმაჩნდა, მაგრამ ვცდებოდი.

νομική η იურისპრუდენცია; ◊ *Ν~ή Σχολή* იურიდიული ფაკულტეტი.

νομικός ο/η სამართალმცოდნე, იურისტი.

νομικός, -ή, -ό 1. სამართლის, სამართლებრივი, იურიდიული; 2. (ο/η) სამართალმცოდნე, იურისტი; 3. (η) იურისპრუდენცია; ◊ *~ σύμβουλος* იურისკონსულტი, *~ό πρόσωπο* იურიდიული პირი, *~ό πρόσωπο δημοσίου δικαίου* სახელმწიფო სამართლის იურიდიული პირი, *~ό πρόσωπο ιδιωτικού δικαίου* კერძო სამართლის იურიდიული პირი.

νομιμοποίηση η დაკანონება, ლეგალიზება.

νομιμοποιώ (ε) (*αόρ. νομιμοποίησα, αόρ. παθ. νομιμοποιήθηκα, μτχ. νομιμοποιημένος*) *μετβ.* დაკანონება.

νόμιμος, -η, -ο კანონიერი; ◊ *διεθνή ~α* საერთაშორისო სამართლის ნორმები, *~η μοίρα* კუთვნილი წილი სამემკვიდრეო ქონებიდან.

νομιμότητα η (*πληθ. არ გააჩნია*) კანონიერება.

νόμισμα το 1. მონეტა; 2. ვალუტა; ◊ *πληρώνω (κάποιον) με το ίδιο ~* (ვინღაცას) სამაგიეროს ვუზღავ, *η άλλη όψη του ~τος* მონეტის მეორე (სხვა) მხარე.

νομισματικός, -ή, -ό 1. სავალუტო, სამონეტო, მონეტ(ებ)ის; 2. (η) ნუმიზმატოლოგია; ◊ *~ή πολιτική* სავალუტო პოლიტიკა, *~ή κρίση* სავალუტო კრიზისი, *~ή ζώνη* სავალუტო ზონა.

νομισματοκοπία η (*πληθ. არ გააჩნია*) მონეტის (მო)ჭრა, თეგვა.

νομοθεσία η 1. კანონის შედგენა, გამოცემა; 2. კანონმდებლობა.

νομοθέτημα το საკანონმდებლო აქტი, კანონი, კანონპროექტი.

νομοθέτης ο 1. კანონმდებელი; 2. კანონი; 3. საფუძვლის ჩამყრელი, დამკანონებელი, დამფუძნებელი.

νομοθέτηση η კანონის მიღება, დაკანონება.

νομοθετικός, -ή, -ό საკანონმდებლო; ◊ *~ή εξουσία* საკანონმდებლო ხელისუფლება.

νομοθετώ (ε) (*αόρ. νομοθέτησα, νομοθετήθηκα, νομοθετημένος*) *μετβ., αμετβ.* კანონმდებლობის მიღება, დაკანონება.

νόμος ο 1. კანონი, კანონმდებლობა: *υπακούω το ~ο* ვემორჩილები კანონს; 2. კანონი, წესი: *ο λόγος του είναι ~* მისი სიტყვა კანონია; 3. კანონი: *ο ~ της φυσικής* ფიზიკის; ◊ *θείος ~* საღვთო კანონი, *άγραφος ~* დაუწერელი კანონი, *ερμηνεία του ~ου* კანონის განმარტება, *εκτός ~ου* კანონის გარეშე, უკანონო, *παρά το ~ο* კანონის უგულებელყოფით, *σχέδιο ~ου* კანონპროექტი.

νομός ο ნომოსი, ოლქი, რაიონი.

νομοσχέδιο το კანონპროექტი.

νομοταγής, -ής, -ές (*γεν. -ούς, πληθ. αρσ. და θηλ. -είς, ουδ. -ή*) 1. კანონის დამცველი, მორჩილი; 2. *უარყ. მნიშვ.* მხდალი, ლაჩარი.

νομπελίστας ο, **-τρια** η ნობელის პრემიის ლაურეატი: *η Ελλάδα έχει δύο ~ες* საბერძნეთს ორი ნობელიანტი ჰყავს.

νοννός (νουννός) ο *პირდ., გადატ.* ნათლია.

νοοτροπία η მენტალიტეტი, მსოფლმხედველობა.

νορβηγικός, -ή, -ό ნორვეგიული.

Νορβηγός ο, **-ίδα/-η** η ნორვეგიელი.

νόρμα το ნორმა (ფართო მნიშვნელობით).

νορμανδικός, -ή, -ό ნორმანდიული.

Νορμανδός ο, **-ή** η ნორმანდიელი.

νοσηλευτήριο το საავადმყოფო, სამკურნალო დაწესებულება.

νοσηλευτής ο, **-τρια** η მკურნალი.

νοσηλευτικός, -ή, -ό 1. სამკურნალო: *~ό ίδρυμα* სამკურნალო დაწესებულება; 2. (η) ა) მკურნალის სპეციალობა, ბ) (Ν) უმაღლესი სამკურნალო სკოლა.

νοσηλεύω (*აόρ. νοσήλευσα, აόρ. παθ. νοσηλεύθ(τ)ηκα, μτχ. νοσηλευμένος*) *μετβ., αμετβ.* მკურნალობა.

νοσήλια η მკურნალობის თანხა.

νόσημα το *მაღალფ., მედ.* დაავადება.

νοσηρός, -ή/ά, -ό *მაღალფ.* 1. ავადმყოფური, ავადმყოფი, არაჯანსაღი; 2. *გადატ.* არაჯანსაღი, არანორმალური.

νοσηρότητα η (*πληθ. არ χρησιμοποιείται*) 1. მაჯნებლობა; 2. ავადმყოფობა (დაავადება), დაავადება (ეპიდემია, ვირუსი), ავადობა.

νοσοκομειακός, -ή, -ό 1. საავადმყოფოსი; 2. (το) სასწრაფო სამედიცინო დახმარების მანქანა.

νοσοκομείο το საავადმყოფო.

νοσοκόμος ο, **-α** η სანიტარი.

νοσολογία η (*πληθ. არ χρησιμοποιείται*) *μεδ.* ნოზოლოგია.

νοσολόγος ο/η *μεδ.* ნოზოლოგი.

νόσος η *μαλαφ.* ავადმყოფობა, დაავადება, სენი; ◊ *ενδημική ~* ენდემური დაავადება, *ιερά ~* ეპილეფსია, *επάρατη ~* სიმსივნე (კიბო).

νοσταλγία η (*πληθ. არ χρησιμοποιείται*) ნოსტალგია.

νοσταλγώ (ε) (*αόρ. νοστάλγησα*) *μετβ.* ნოსტალგიის განცდა.

νοστιμάδα η (*πληθ. არ χρησιμοποιείται*) *λαλ.* 1. გემო; 2. *გადატ.* გემო, ეშხი.

νοστιμιά η 1. კარგი გემო; 2. *გადატ.* გემო, ეშხი, ლაზათი; 3. (οι) გემრიელი საჭმელი.

νόστιμος, -η, -ο 1. გემრიელი; *გადატ.* 2. გემრიელი, საინტერესო; 3. ეშხიანი, ლაზათიანი, სასიამოვნო.

νόστος ο (*πληθ. არ χρησιμοποιείται*) *მოძვ.* სამშობლოში დაბრუნება.

νότα η 1. *მუს.* ნოტა; 2. *გადატ.* ნოტა: *χαρούμενη ~* მხიარული ნოტა; 3. *იურ.* ნოტა.

νοτιά η (*πληθ. არ χρησιμοποιείται*) 1. სამხრეთი; 2. სამხრეთის ქარი; 3. *გადატ.* ნესტიანი და ჭვიმიანი ამინდი, სუსხი.

νοτιάς ο (*πληθ. -άδες*) 1. სამხრეთის ქარი; 2. თბილი ამინდი: *είναι ~* თბილი ამინდია; 3. სამხრეთი.

νότιος, -α, -ο 1. სამხრეთის; 2. *გეოგრ.* სამხრეთი; ◊ *Ν~ σταυρός / σταυρός του Νότου* სამხრეთის ციალი.

νότος ο (*πληθ. არ χρησιμοποιείται*) 1. (Ν) სამხრეთი; 2. სამხრეთი ნაწილი; 3. სამხრეთის ქვეყნები.

νουβέλα η (*γεν. πληθ. არ χρησιμοποιείται*) ნოველა.

νούμερο το 1. ნომერი: *το ~ του τηλεφώνου* ტელეფონის ნომერი; 2. ნომერი, ზომა: *τι ~ παπούτσια φοράς;* რა ნომერი ფეხსაცმელი გაცვია? 3. ნომერი, გამოსვლა: *χορευτικό ~* საცეკვაო ნომერი; 4. *დამამც.* მასხარა; ◊ *κάνω ~α* ეჭირვეულობ.

νους ο (*πληθ. νόες*) ჭკუა, გონება, აზროვნება ◊ *~ υγιής εν σώματι υγιεί* ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულია, *έχω στον νου / κατά νουν (κάτι)* გონებაში მაქვს, ეფიქრობ (რაღაცას), *βγαλ'το απ'το νου σου* დაივიწყე, *μου έρχεται στο νου (κάτι)* (რაღაც) მაგონდება, აზრად მომდის.

νούφαρο το *ბოტ.* დუმფარა.

νταής ο (*πληθ. -ήδες*) *λαλ.* 1. მამაცი, ვაჟკაცი; 2. *დაცინ.* ვითომ მამაცი, მოჩვენებითად ვაჟკაცი.

νταλίκα η სატვირთო მანქანა.

ντάμα η (*γεν. πληθ. αρ გააჩნია*) **1.** დამა, ქალბატონი, თანმხლები ქალი; **2.** ქალი (ბანქოში).

νταμιτζάνα η (*γεν. πληθ. αρ გააჩნია*) *ხალხ.* შემოწნული ბოცა.

νταντά η (*πληθ. -άδες*) *ხალხ.* ძიძა, გამზრდელი, გადია; ◊ ***θα σε κάνω ~*** გცემ, გაგლახავ.

νταντεύω (*αόρ. ντάντεψα, αόρ. παθ. νταντεύτηκα, μτχ. νταντευμένος*) *μετβ., საუბრ.* **1.** გაზრდა, მოვლა-პატრონობა; **2.** ბავშვივით მოვლა, გადაჭარბებული ყურადღების მიქცევა.

νταούλι το *ხალხ., მუს.* პატარა დოლი; ◊ ***γίνομαι ~*** ვიბერები, ვსქელდები.

νταραβέρι το *ხალხ.* **1.** სავაჭრო ურთიერთობა, ტვირთბრუნვა; **2.** ურთიერთობა (მოგადად); **3.** *გადატ.* ჩხუბი.

νταρντάνα η (*γεν. πληθ. αρ გააჩნია*) მაღალი, ლამაზი, სავსე ქალი.

ντεκολτέ *επίθ., άκλ., საუბრ.* **1.** დეკოლტირებული; **2.** (το) დეკოლტე.

ντεπόζιτο το ბაკი, კანისტრა.

ντέρμπι το *άκλ., სპორტ.* დერბი.

ντέρτι το *ხალხ.* დარდი.

ντέφι το *მუს.* დაირა.

ντίβα η (*γεν. πληθ. αρ გააჩნია*) **1.** დივა, ცნობილი ხელოვანი ქალი; **2.** ლამაზი, შთამბეჭდავი ქალი, ლამაზმანი.

ντιβάνι το *ხალხ.* დივანი.

ντιλεταντισμός ο (*πληθ. αρ გააჩნია*) დილეტანტიზმი.

ντοβλέτι το *ხალხ* სახელმწიფო, მმართველობა.

ντοκιμαντέρ το *άκλ.* დოკუმენტური ფილმი.

ντοκουμέντο το დოკუმენტი.

ντολμάς ο (*πληθ. -άδες*) *საუბრ.* ტოლმა.

ντομάτα η პომიდორი; ◊ ***παίρνω με τις ~ες*** *(κάποιον)* (ვინმეს) პომიდორს ვესერი, ვარცხვენ.

ντοματοπελτές (ντοματοπολτός, τοματοπολτός) ο (*πληθ. -έδες*) ტომატი.

ντοματοσαλάτα η პომიდვრის სალათა.

ντόμπρος, -α, -ο კეთილი, კეთილშობილი, პირდაპირი.

ντόπιος, -α, -ο **1.** ადგილობრივი (მოსახლე), აბორიგენი; **2.** ადგილობრივი წარმოების.

ντουβάρι το *ხალხ.* **1.** კედელი; **2.** *გადატ.* სულელი, გაუგებარი.

ντουέτο το *άκλ.* დუეტი.

ντουλάπα η კარადა.

ντουμπλάρω (*αόρ. ντουμπλάρισα, αόρ. παθ. ντουμπλαρίστηκα, μτχ. ντουμπλαρισμένος*) *μετβ.* **1.** სარჩულის დადება; **2.** ა) დუბლირება, ბ) გახმოვანება, ხმის დადება.

ντουνιάς ο (*πληθ. αρ გააჩნია*) *ხალხ.* დუნია, ქვეყანა.

ντους το *άκλ.* **1.** შხაპი: *κάνω ~* შხაპს ვიღებ; **2.** საშხაპე, აბაზანა.

ντρέπομαι (*αόρ. ντράπηκα*) *μετβ., αμετβ., αποθ.* შერცხვენა, დარცხვენა, სირცხვილის განცდა; ◊ ***δεν ~εσαι να ...*** არ გრცხვენია რომ..., ***σα δεν ~εσαι!*** როგორ არ გრცხვენია!

ντροπή η *მაღალფ.* სირცხვილი; ◊ ***~ σας!*** სირცხვილი თქვენ! ***~!*** სირცხვილი! ***~ς πράγματα!*** სამარცხვინო საქციელი!

ντροπιάζω (*αόρ. ντρόπιασα, αόρ. παθ. ντροπιάστηκα, μτχ. ντροπιασμένος*) *μετβ.* შერცხვენა; **-ομαι** შერცხვენა, თავის მოჭრა.

ντρόπιασμα το შერცხვენა, დარცხვენა.

ντύμα το 1. ტანსაცმელი, სამოსი; 2. წიგნის ყდა, გარეკანი.

ντύνω (*აόρ. έντυσα, αόρ. παθ. ντύθηκα, μτχ. ντυμένος*) *μετβ.* 1. ჩაცმა, შემოსვა, ჩაცმა-დახურვა; 2. შემოსვა, შალითის გადაკერა: *έντυσε την πολυθρόνα με βελούδο* სავარძელს ხავერდი გადააკრა, *έντυσε τους στίχους με μουσική* სიტყვები მუსიკით შემოსა; **-ομαι** 1. ჩაცმა, ტანსაცმელში გამოწყობა; 2. ტანსაცმლის შეძენა; 3. საკარნავალოდ ჩაცმა; ◊ *~ομαι στην τρίχα / στην πένα / στο κοντίνι* პეწიანად ვიცვამ, *~ομαι γαμπρός / νύφη* ვქორწინდები.

νύκτα η *იხ.* **νύχτα**.

νυκτόβιος, -α, -ο ღამის, ღამით მცხოვრები.

νύμφη η 1. პატარძალი; 2. *βοτ.* მაგლი; 3. (Ν) οι *μύθολ.* ნიმფები.

νυμφομανής η (*γεν. -ούς, πληθ. -είς*) *მედ.* ნიმფომანი.

νυμφομανία η (*πληθ. არ გააჩნია*) *მედ.* ნიმფომანია.

νύστα η თვლემა, რული, ძილი, ძილის მორევა.

νυστάζω (*αόρ. νύσταξα, μτχ. νυσταγμένος*) *μετβ., αμετβ.* თვლემა, რული, ძილი, დაძინება, ძილის მორევა.

νυστέρι το *მედ.* ლანცეტი.

νύφη η 1. პატარძალი; 2. საცოლე; 3. ა) საპატარძლო, ბ) გასათხოვარი ქალი; 4. რძალი.

νυφικός, -ή, -ό 1. საპატარძლო; 2. (το) საპატარძლო კაბა; 3. მექორწინეთა.

νυφίτσα η (*γεν. πληθ. არ გააჩნια*) *βοτ.* დედოფალა, თრიათინა.

νύχι 1. ფრჩხილი; 2. კლანჭი, ბრჭყალი.

νυχιά η 1. ნაკაწრი (ფრჩხილით); 2. მცირედი რაოდენობა, ერთი სათითე, ერთი ციდა.

νύχτα (νύκτα) η 1. ღამე; 2. *επίρρ.* ა) ბინდბუნდი, ბ) ღამით, ღამის განმავლობაში; ◊ ***η μέρα με τη ~*** დღე და ღამესავით განსხვავდებიან, ***κάνω τη ~ μέρα*** ღამე დღედ მაქცს ქცეული, ***άγια ~*** ქრისტეშობის ღამე.

νυχτερίδα η ღამურა.

νυχτερινός, -ή, -ό *მაღალფ.* ღამის.

νυχτιάτικα *επίρρ.* ღამით.

νυχτικό το ღამის პერანგი.

νυχτοήμερος, -η, -ο საღღეღამისო.

νυχτολούλουδο το *ბოტ.* ფარვანა.

νυχτοφύλακας ο 1. ღამის დარაჯი; 2. *სამხ.* ღამის სანიტარი.

νυχτώνω (*αόρ. νύχτωσα, αόρ. παθ. νυχτώθηκα, μτχ. νυχτωμένος*) *αμετβ.* დაღამება, ღამის შემოსვრება; **-ομαι** შემოღამება; ◊ ***βαθιά / μακριά νυχτωμένος*** ღრმად შემცდარი.

νωθρότητα η ინერტულობა, სიზარმაცე, მოღუნებულობა.

νωπογραφία η ფრესკა.

νωπός, -ή, -ό 1. ახალი, ქორფა: *~ό κρέας* ახალი ხორცი; 2. ცინცხალი: *~ές ειδήσεις* ცინცხალი ამბები; 3. ნედლი, სველი: *το ~ό χώμα* ნედლი მიწა.

νωρίς *επίρρ.* ადრე; ◊ ***από νωρίς*** ადრევე, ადრიდანვე.

νώτα τα 1. ზურგი; 2. *სამხ.* ზურგი.

νωχέλεια η (*πληθ. არ გააჩნια*) *მაღალფ.* ინდიფერენტულობა, მოღუნებულობა.

νωχελικός, -ή, -ό მოღუნებული, შენელებული.

Ξ

Ξ, ξ, ξι 1. ქსი, ბერძნული ანბანის მეთოთხმეტე ასო; 2. რიცხვითი ნიშანი: ა) სამოცი, მესამოცე (Ξ΄), ბ) სამოცი ათასი (ͻΞ).

ξαγναντεύω (*აόρ. ξαγνάντεψα*) *μετβ.* მორიდან ან ამაღლებული ადგილიდან ცქერა, მზერა.

ξαγρύπνημα (ξαγρύπνισμα) το ფხიზლობა, ღამის თევა.

ξαγρύπνια η უძილობა.

ξάγρυπνος, -η, -ο ფხიზელი, გამოუძინებელი.

ξαγρυπνώ (α) (*აόρ. ξαγρύπνησα, μτχ. ξαγρυπνημένος/-ισμένος*) *αμετβ.* ფხიზლობა, ღამის თევა.

ξάδελφος (ξάδερφος) ο, **-η (ξαδέρφη)** η ბიძაშვილი, მამიდაშვილი, დეიდაშვილი.

ξακουσμένος, -η, -ο (ξακουστός) ცნობილი, გამოჩენილი, სახელგანთქმული.

ξαλάφρωμα το **(ξελάφρωμα** το, **ξαλάφρωση** η) 1. შემსუბუქება, გაადვილება; 2. სიმსუბუქის შეგრძნება (წონაში დაკლებისას); 3. მოშვება (გულზე), დამშვიდება; 4. ფიზიოლოგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, დაცლა.

συκιά η **1.** ლეღვის ხე; **2.** *ხალხ., დამამც.* პომოსექსუალი, ქალური მანერების მქონე მამაკაცი.

σύκο το **1.** ლეღვი; **2.** *ხალხ., დამამც.* პომოსექსუალი, ქალური საქციელის მქონე მამაკაცი.

συκοφάντης ο, **-ισσα/-ντρια** η ცილისმწამებელი.

συκοφαντία (συκοφάντηση) η ცილი, ცილისწამება.

συκοφαντώ (ε) (*αόρ. συκοφάντησα, αόρ. παθ. συκοφαντήθηκα, μτχ. συκοφαντημένος*) *μετβ.* ცილისწამება, ცილი დაწამება, დაბრალება.

συκώτι το ღვიძლი.

σύληση η ქურდობა, გაქურდვა, მოპარვა, გაძარცვა (ძველი ტაძრის ან ეკლესიის): *~ αρχαίων τάφων* ძველი საფლავების გაქურდვა; ◊ *~ νεκρού* მოროდიორობა, საფლავის გაძარცვა.

συλλαβή η *გრამ.* მარცვალი.

συλλαλητήριο το მიტინგი, შეკრება.

συλλαμβάνω (*αόρ. συνέλαβα, αόρ. παθ. συνελήφθην*) *μετβ.* **1.** დაჭერა, დაკავება; **2.** გაგება, გააზრება: *δεν μπορούσε να τη συλλάβει ανθρώπινος νους τέτοια καταστροφή!* ამგვარი კატასტროფის გააზრება ადამიანის გონებისათვის შეუძლებელი იყო; **3.** ფეხმძიმედ დარჩენა, დაფეხმძიმება.

συλλέγω (*αόρ. συνέλεξα*) *μετβ.* **1.** შეგროვება: *~ καρπούς* ვაგროვებ ნაყოფს; **2.** კოლექციის გაკეთება, კოლექციონერობა.

συλλέκτης ο, **-τρια** η **(συλλογέας)** **1.** შემგროვებელი, მომგროვებელი: *~ καρπών* ნაყოფის შემგროვებელი; **2.** *ტექნოლ.* კოლექტორი; **3.** კოლექციონერი; ◊ *ηλιακός ~ / συσσωρευτής* მზის ბატარეა, კოლექტორი.

σύλληψη η **1.** დაჭერა, დაკავება; **2.** თავში აზრად მოსვლა, გონებაში ჩამოყალიბება; **3.** (ქალზე ან მდედრ. ცხოველზე) განაყოფიერება.

συλλογή η **1.** შეგროვება; **2.** კოლექცია; **3.** კრებული: *~ δημοτικών τραγουδιών* ხალხური სიმღერების კრებული; **4.** ღრმა ფიქრი; ◊ *κάνω ~* კოლექცია მაქვს, ვაგროვებ (რამეს).

συλλογίζομαι (συλλογιέμαι, συλλογούμαι) (*αόρ. συλλογίστηκα, αόρ. παθ. συλλογίστηκα, μτχ. συλλογισμένος*) *αμετβ., μετβ., αποθ.* ჩაფიქრება, დაფიქრება, ფიქრებში წასვლა.

συλλογικός, -ή, -ό კოლექტიური, ჯგუფური, ერთობლივი, კოლექტივში არსებული; ◊ *~ό ασυνείδητο* კოლექტიური არაცნობიერი; **συλλογικά / συλλογικώς** *επίρρ.* კოლექტიურად, ჯგუფურად, ერთობლივად.

συλλογισμός ο ფიქრი, აზრი, ლოგიკური აზროვნება, სილოგიზმი.

σύλλογος ο გაერთიანება, კავშირი, მეგობრობა, ასოციაცია; ◊ *~ (καθηγητών / δασκάλων)* პროფესორთა / მასწავლებელთა (პედაგოგთა) საბჭო.

συλλυπητήρια τα სამძიმარი, მწუხარების გამოხატვა.

συλλυπητήριος, -α, -ο სამძიმრის: *~ο τηλεγράφημα* სამძიმრის ტელეგრამა.

συλλυπούμαι (*αόρ. συλλυπήθηκα*) *μετβ., αποθ.* თანაგრძნობის გამოხატვა, მწუხარების გამოხატვა, მისამძიმრება.

συμβαδίζω (*αόρ. συμβάδισα*) *αμετβ.* **1.** *მაღალფ., იშვ.* ვინმესთან ერთად სიარული; **2.** *გადატ.* ფეხის აწყობა, მიყოლა, ერთნაირად განვითარება; **3.** შეხამება, მოხდენა, შეფერება.

συμβαίνει (*τριτοπρόσ.*) *αμετβ.* **1.** ხდება: *το ατύχημα συνέβη προχθές* უბედური შემთხვევა გუშინწინ მოხდა; **2. συμβαίνοντα** ta მომხდარი: *παρακολουθούμε τα συμβαίνοντα με έντονη ανησυχία* მომხდარს ძლიერი მღელვარებით ვადევნებთ თვალყურს; ◊ *σαν να μην ~ τίποτε*

თითქოს არაფერი ხდება, *~ουν αυτά* ხდება ხოლმე.

συμβάλλω (*აόր. συνέβαλα, აόր. παθ. συμβλήθηκα, μτχ. συμβεβλημένος*) *αμετβ.* **1.** ჩადინება (მდინარეზე): *και οι δύο παραπόταμοι ~ουν στον Αξιό* ორივე შენაკადი მდინარე აქსიოსში ჩაედინება; **2.** წელილის შეტანა, დახმარება; *μτχ.* ხელშეკრულების ხელმომწერი; **-ομαι** ხელშეკრულების გაფორმება, ხელშეკრულების ხელმოწერა.

συμβάν το მოვლენა.

σύμβαση η ხელშეკრულება, კონვენცია, შეთანხმება; ◊ *~ (εργασίας)* შრომითი ხელშეკრულება.

συμβατικός, -ή, -ό 1. შეთანხმების მიხედვით დადგენილი, შეთანხმებიდან გამომდინარე; **2.** *გადატ.* პირობითი, ფორმალური: *~ γάμος* ფორმალური ქორწინება; ◊ *συμβατικά όπλα* კლასიკური იარაღი.

συμβατικότητα η პირობითობა, ფორმალობა.

συμβατισμός ο კონფორმიზმი.

συμβεβλημένος, -η, -ο *მაღალფ.* ხელმომწერი, ის, ვისაც მოწერილი აქვს ხელი ხელშეკრულებაზე, შეთანხმებაზე.

συμβία η (*γεν. πληθ. არ გააჩნია*) *მაღალფ.* მეუღლე, ცოლი.

συμβιβάζω (*აόր. συμβίβασα, აόր. παθ. συμβιβάστ(θ)ηκα, μτχ. συμβιβασμένος*) *μετβ.* შეთანხმება, შერიგება, მოგვარება; *μτχ.* (ბედს) შეგუებული: *βλέπεις ανθρώπους συμβιβασμένους, αδιάφορους, χωρίς την αγωνία ενός καλύτερου κόσμου* ხედავ ბედს შეგუებულ, გულგრილ ადამიანებს, რომლებიც უკეთესი მომავლისათვის არ იბრძვიან; **-ομαι 1.** დათანხმება, კომპრომისზე წასვლა, შეგუება; **2.** შესამება, შეთანხმება, შეთავსება.

συμβιβασμός ο **1.** დათანხმება, კომპრომისზე წასვლა, შერიგება; **2.** დათმობა, კომპრომისი; **3.** *იურ.* შეთანხმება, მორიგება: *η υπόθεση κατέληξε σε ~ό* საქმე მორიგებით დასრულდა.

συμβιβαστικός, -ή, -ό კომპრომისული, შემრიგებლური, დათმობითი; **συμβιβαστικά / συμβιβαστικώς** *επίρρ.* კომპრომისულად, დათმობით, შემრიგებლურად.

συμβιβαστικότητα η (*πληθ. არ გააჩნია*) კომპრომისულობა.

συμβιώνω (*აόр. συμβίωσα*) *αμετβ.* თანაცხოვრება, ერთად ცხოვრება.

συμβίωση η **1.** თანაცხოვრება, ერთად ცხოვრება, თანაარსებობა; **2.** *ბიოლ.* სიმბიოზი; **συμβιωτικά** *επίρρ.* თანაცხოვრებით, ერთად ცხოვრებით.

συμβόλαιο το ხელშეკრულება, შეთანხმება, კონტრაქტი.

συμβολαιογράφος ο/η ნოტარიუსი.

συμβολίζω (*აόр. συμβόλισα, აόр. παθ. συμβολίστηκα, μτχ. συμβολισμένος*) *μετβ.* სიმბოლოდ ყოფნა, სიმბოლურად გამოხატვა, სიმბოლურად გამოსახვა, სიმბოლურად განსახიერება.

συμβολική η სიმბოლიკა.

σύμβολο το სიმბოლო; ◊ *იურ. προσβολή ~ων* სიმბოლოთა (სახელმწიფო დროშის, ემბლემის და ა.შ.) შეურაცხყოფა.

συμβουλεύω (*აόр. συμβούλεψα, συμβουλεύτ(θ)ηκα, μτχ. (მაღალფ) συμβουλευθείς, -είσα, -έν*) *μετβ.* რჩევა, რჩევის მიცემა; **-ομαι** რჩევის თხოვნა, რჩევის მიღება, რჩევისათვის მიმართვა.

συμβουλή η რჩევა, კონსულტაცია.

συμβούλιο το საბჭო (ორგანო), სათათბირო; ◊ *Σ~ της Επικράτειας* სახელმწიფო საბჭო, *Σ~ Ασφαλείας* უსაფრთხოების საბჭო, *Σ~ της Ευρώπης* ევროპის საბჭო, *Ευρωπαϊκό Σ~* ევროსაბჭო.

σύμβουλος ο/η **1.** მრჩეველი, კონსულტანტი; **2.** საბჭოს წევრი; ◊ *σχολικός ~* სკოლის კონსულტანტი.

συμμάζεμα (συμμάζωμα) το **1.** შეგროვება (გაფანტული ნივთების); **2.** დალაგება, მილაგება, მოწესრიგება (გარეგნობის); **3.** დავიწროვება (ტანსაცმლის).

συμμαζεύω (συμμαζώνω) (*აბრ. συμμάζεψα, აბრ. παθ. συμμαζεύτηκα, მიჯ. συμμαζεμένος*) *მეტბ., ამეტბ.* **1.** შეგროვება (გაფანტული ნივთების); **2.** დალაგება, მილაგება, მოწესრიგება, გამართვა; **3.** დავიწროვება (ტანსაცმლის); **-ομαι** თავის შეკავება, მოთოკვა, დაწყნარება: *συμμαζέψου και κάτσε φρόνιμα!* დაწყნარდი და მშვიდად დაჯექი; ◊ *και δεν ~εται* არაფერი იცვლება.

συμμαθητής ο, **-τρια** η თანაკლასელი, კლასელი.

συμμαχητής ο, **-τρια** η თანამებრძოლი.

συμμαχία η **1.** კავშირი (საბრძოლო, სამხედრო); **2.** *პირდ., გადატ.* ალიანსი; **3.** მოკავშირე ძალები, მოკავშირეთა მხარეები.

συμμαχικός, -ή, -ό (σύμμαχος) მოკავშირეთა, ალიანსის წევრების, ალიანსის; **συμμαχικά / συμμαχικώς** *επίρρ.* ალიანსში.

σύμμαχος ο/η **1.** თანამებრძოლი; **2.** მოკავშირე, ალიანსის წევრი; **σύμμαχος, -η, -ο** *იხ.* **συμμαχικός.**

συμμαχώ (ε) (*აბრ. συμμάχησα*) *ამეტბ.* **1.** ვინმესთან ერთად ბრძოლა, მოკავშირეობა, კავშირში შესვლა, ალიანსში ყოფნა; **2.** გაერთიანება, თანამშრომლობა (საერთო მიზნის მისაღწევად).

συμμερίζομαι (*აბრ. συμμερίστ(θ)ηκα*) *მეტბ., აποθ.* გაზიარება (აზრის, შეხედულების.

συμμετέχω (*აბრ. συμμετείχα, მიჯ. συμμετέχων, -ουσα, -ον*) *ამეტბ.* **1.** მონაწილეობის მიღება, მონაწილეობა; **2.** წილის მიღება: *~ στα κέρδη της επιχείρησης* ვიღებ წილს კომპანიის მოგებაში; **3.** გაზიარება: *~ στους πόνους κάποιου* ვიზიარებ ვინმეს ტკივილს; *მიჯ.* მონაწილე.

συμμετοχή η **1.** მონაწილეობის მიღება, მონაწილეობა; **2.** მონაწილე: *η νεαρή τραγουδίστρια ήταν από τις ~ές που ξεχώρισαν* ახალგაზრდა მომღერალი იყო ერთ-ერთი გამორჩეული მონაწილეთაგანი.

συμμέτοχος, -η, -ο მონაწილე, თანამონაწილე, თანაზიარი.

συμμετρία η სიმეტრია, სიმეტრიულობა, პროპორცია, თანაზომიერება.

συμμορία η ბანდა, ბრბო, (ყაჩაღთა) ჯგუფი; ◊ *ιουρ. σύσταση και ~* ორგანიზებულ დანაშაულში თანამონაწილეობა.

συμμορφώνω (*აბრ. συμμόρφωσα, აბრ. παθ. συμμορφώθηκα, მიჯ. συμμορφωμένος*) *მეტბ.* **1.** მორგება, დამორჩილება; *გადატ.* **2.** ჭკუაზე, აზრზე მოყვანა, გონს მოგება; **3.** მოწესრიგება, წესრიგში მოყვანა, გასწორება.

συμμόρφωση η **1.** მორგება; **2.** *გადატ.* ჭკუაზე, აზრზე მოყვანა, გონს მოგება; **3.** *იმპ.* მოწესრიგება, წესრიგში მოყვანა, გასწორება.

συμπαγής, -ής, -ές (*γεν. -ούς, πληθ. αρσ. და θηλ. -είς, ουδ. -ή*) **1.** კომ-

პაქტური, მჭიდრო; 2. *გადატ.* დაურღვეველი, ურღვევი, მემჭიდროებული, ერთსულოვანი; **συμπαγώς** *επίρρ.* 1. კომპაქტურად, მჭიდროდ; 2. *გადატ.* დაურღვეველად, ურღვევად.

συμπάθεια η სიმპათია, უპირატესობის მინიჭება.

συμπαθής, -ής, -ές (*γεν. -ούς, πληθ. αρσ. და θηλ. -είς, ουδ. -ή*) სიმპათიური, ძალიან სასიამოვნო.

συμπαθητικός, -ή, -ό სიმპათიური, სასიამოვნო; **συμπαθητικά / συμπαθητικώς** *επίρρ.* სიმპათიურად.

συμπαθώ (ε) (*αόρ. συμπάθησα, αόρ. παθ. συμπαθήθηκα*) *μετβ.* 1. მოწონება, სიმპათიის ქონა (ვინმეს მიმართ); 2. თანაგრძნობა.

συμπαιγνία η შეთქმულება, ტყუილში თანამონაწილეობა; ◊ *εκ ~ας* მოტყუებით, ღალატით.

συμπαίκτης ο, **-τρια** η **(συμπαίχτης)** პარტნიორი თამაშში, თამაშში თანამონაწილე.

σύμπαν το 1. მსოფლიო, სამყარო; *გადატ.* 2. ქვეყანა, კაცობრიობა.

συμπαράσταση η (*πληθ.არ გააჩნია*) მხარდაჭერა, მხარში დგომა, სოლიდარობა.

συμπαραστάτης ο, **-τρια** η მხარდამჭერი.

συμπαραστέκομαι (*αόρ. συμπαραστάθηκα*) *μετβ., αποθ.* მხარდაჭერა, მხარში დგომა, სოლიდარობა.

συμπαρασύρω (συμπαρασέρνω) (*αόρ. συμπαρέσυρα, αόρ. παθ. συμπαρασύρθηκα*) *μετβ.* ჩათრევა: *το δολάριο συμπαρέσυρε στην πτωτική του πορεία και άλλα νομίσματα* დოლარმა კურსის დაცემისას სხვა ფულადი ერთეულებიც ჩაითრია.

συμπαρατάσσομαι (*αόρ. συμπαρατάχθηκα, μτχ. συμπαραταγμένος*) *αμετβ., αποθ.* 1. პოლიტიკურ პარტიაში გაერთიანება, თანამშრომლობა; 2. *გადატ.* მიმხრობა, ეისიმე მხარდაჭერა: *~ πάντα με τους αδυνάτους* ყოველთვის სუსტების მხარეს იჭერს.

συμπατριώτης ο, **-τισσα** η 1. თანამემამულე; 2. თანასოფლელი, თანაქალაქელი.

συμπεθέρα η 1. პატარძლის ან სიძის დედა, მძახლები; 2. მოყვარე.

συμπεθεριάζω (συμπεθερεύω) (*αόρ. συμπεθέριασα*) *αμετβ.* დამოყვრება, მოყვრობა.

συμπεθεριό το **(συμπεθεριά** η) მოყვრობა, მოყვრები.

συμπέθερος ο 1. პატარძლისა და სიძის მამები, მძახლები; 2. მოყვარე.

συμπεραίνω (*αόρ. συμπέρανα / συνεπέρανα*) *μετβ.* დასკვნის გამოტანა.

συμπέρασμα το 1. დასკვნა; 2. შედეგი.

συμπερασματικός, -ή, -ό დასკვნითი, შედეგობრივი: *~ή διαπίστωση* დასკვნითი კონსტატაცია; **συμπερασματικά / συμπερασματικώς** *επίρρ.* დასკვნის სახით.

συμπερασμός ο დასკვნა, ვარაუდი; ◊ *κατά ~ό* სავარაუდოდ.

συμπεριλαμβάνω (*αόρ. συμπεριέλαβα, αόρ. παθ. συμπεριλήφθην, μτχ συμπεριληφθείς, -είσα, -έν*) *μετβ.* შეტანა, ჩათვლა, დართვა, შეყვანა: *στην τιμή ~ονται τα έξοδα διαμονής και μετακίνησης* ფასში შედის ცხოვრებისა და მგზავრობის ხარჯები; *μτχ. (γεν.)* **συμπεριλαμβανομένου, -ης, -ου** შეტანით, ერთად, გამოუკლებლად: *κοστίζει 120 € συμπε-*

ριλαμβανομένου του Φ.Π.Α. ღირს 120 ევრო, დ.ღ.გ.-ს ჩათვლით.

συμπεριφέρομαι (*აόρ. συμπεριφέρθηκα*) *αμετβ., αποθ., Ιονικ., γλωσσ.* მოქცევა, მოქმედება.

συμπεριφορά η საქციელი, მოქმედება.

σύμπηξη η **1.** შემჭიდროება, შესქელება; **2.** *γλωσσ.* შექმნა, ორგანიზება, ფორმირება.

συμπιέζω (*აόρ. συμπίεσα, αόρ. παθ. συμπιέστ(θ)ηκα, μτχ. συμπιεσμένος*) *μετβ.* **1.** დაპრესვა, გამკვრივება, შემჭიდროება; **2.** შებღუდვა, შემცირება.

συμπίεση η **1.** დაპრესვა, გამკვრივება, შემჭიდროება; **2.** შებღუდვა, შემცირება.

συμπιεστής (συμπιεστήρας) ο კომპრესორი.

συμπίπτω (*αόρ. συνέπεσα*) *αμετβ.* დამთხვევა: *τα σχέδια στις διαφάνειες ~ουν απολύτως με το πρωτότυπο* სლაიდზე ასახული ესკიზები სრულიად ემთხვევა პროტოტიპს.

σύμπλεγμα το **1.** გადახლართვა, გადაბმა, განშტოება, განტოტება; **2.** კომპლექსი, ანსამბლი: *~ κτισμάτων* შენობების კომპლექსი; **3.** *ψυχολ.* კომპოზიცია.

συμπλέκω (*αόρ. συνέπλεξα, αόρ. συμπλέχθηκα, μτχ. συμπεπλεγμένος*) *μετβ.* გადახლართვა, გადაბმა, კომპლექსის შექმნა; **-ομαι 1.** შებმა, წაკიდება, წაჩხუბება: *οι αντιμαχόμενες πλευρές συνεπλάκησαν* მოწინააღმდეგე ძალები შეებნენ ერთმანეთს; **2.** დაკავშირება, შერევა.

συμπλήρωμα το **1.** დამატება, შეესება; **2.** დამატება, დანართი (წიგნის).

συμπληρωματικός, -ή, -ό (συμπληρωτικός) შემავსებელი, დამატებითი, დანამატი; **συμπληρωματικά / συμπληρωματικώς** *επίρρ.* დამატებით.

συμπληρώνω (*αόρ. συμπλήρωσα, αόρ. παθ. συμπληρώθηκα, μτχ. συμπληρωμένος*) *μετβ.* **1.** შევსება: *~ μια αίτηση* ვავსებ განცხადების ბლანკს; **2.** გახდომა, შესრულება (დროის, ასაკის): *τα 'χει συμπληρωμένα τα είκοσι* ოცის უკვე შესრულდა.

συμπλήρωση η **1.** შევსება; **2.** გახდომა, შესრულება (დროის, ასაკის); **3.** *γλωσσ.* შეგროვება, დაგროვება, მიღება.

συμπλοκή η **1.** შებმა, წაჩხუბება, შეხლა-შემოხლა; **2.** გადახლართვა, გადაბმა; **3.** ხლართი, წნული.

συμπόνια η ერთსულოვნება, ურთიერთგაგება.

συμπολεμιστής ο თანამებრძოლი.

συμπόσιο το **1.** ნადიმი; **2.** სიმპოზიუმი, საღამო.

συμπότης ο თანამეინახე.

σύμπραξη η თანამონაწილეობა, თანამშრომლობა.

συμπράττω (*αόρ. συνέπραξα, μτχ. συμπεπραγμένος*) *αμετβ.* თანამშრომლობა, ერთად მონაწილეობა: *κατά την Κατοχή συνέπραξε με τον εχθρό* ოკუპაციის დროს მტერთან თანამშრომლობდა.

συμπρόεδρος ο თანათავმჯდომარე.

συμπρωτεύουσα η (ეკონომიკური, მმართველობითი, გეოგრაფიული, სტრატეგიული) მნიშვნელობით ქვეყნის მეორე დიდი ქალაქი.

συμπτύσσω (*αόρ. συνέπτυξα, αόρ. παθ. συμπτύχθηκα, μτχ. συνεπτυγμένος*) *μετβ.* **1.** დაკეცვა, აკეცვა: *~ τα ιστία* აფრის აკეცვა; **2.** შემცირება, შეკუმშვა, ჩატევა; **-ομαι** უკან დახევა: *η σφοδρή επίθεση του εχθρού μάς ανάγκασε να συμπτυχθούμε* მტრის

ძლიერმა შემოტევამ გვაიძულა უკან დაგვეხია.

σύμπτωμα το სიმპტომი, ნიშანი.

σύμπτωση η დამთხვევა: *μοιραία ~* საბედისწერო დამთხვევა; ◊ ***κατά ~*** შემთხვევით.

συμπυκνώνω (*აόρ. συμπύκνωσα, αόρ. παθ. συμπυκνώθηκα, μτχ. συμπυκνωμένος*) *μετβ.* **1.** შესქელება, შემჭიდროვება, შეკუმშვა: *συμπυκνωμένο γάλα* შესქელებული რძე; **2.** *გადატ.* თავმოყრა.

συμπύκνωση η **1.** შესქელება, შემჭიდროვება; **2.** *გადატ.* თავმოყრა.

συμπυκνωτής (συμπυκνωτήρας) ο კონდენსატორი.

συμφέρον το **1.** ინტერესი, დაინტერესება, მოგება; **2.** ანგარება: *παντρεύτηκαν από ~ όχι από έρωτα* ანგარებით იქორწინეს და არა სიყვარულით; ◊ ***τα καλά και τα ~τα*** მხოლოდ საკუთარ ინტერესებზე ფიქრი.

συμφέρω (*παρατ. συνέφερα, βγ.ენ. τριτοπρόσ. ან απρόσ.*) *μετβ., αμετβ.* მომგებიანი ყოფნა, მოგების მოტანა, მოწყობა: *αυτή η επένδυση σε ~ει περισσότερο από τις άλλες* ეს ინვესტიცია სხვებზე მეტად გაწყობს.

συμφιλιώνω (*აόρ. συμφιλίωσα, αόρ. παθ. συμφιλιώθηκα, μτχ. συμφιλιωμένος*) *μετβ.* **1.** დამეგობრება, შერიგება (ვინმესი); **2.** შეთავსება: *~ τον ρεαλισμό με τη φαντασία* რეალიზმს ფანტაზიასთან ვათავსებ.

συμφιλίωση η შერიგება.

συμφιλιωτικός, -ή, -ό შემრიგებლური, მომრიგებლური: *~ό χαρακτήρα* შემრიგებლური ხასიათის; **συμφιλιωτικά** *επίρρ.* შემრიგებლურად, მომრიგებლურად.

συμφοιτητής ο, **-τρια** η თანაკურსელი, ჯგუფელი.

συμφορά (συφορά) η უბედურება: *τέτοια ~ δεν τη βάζει ο νους του ανθρώπου*; ◊ ***~ (μου/σου...)!*** ვაიმე (ვაი შენ...), ეს რა უბედურებაა.

συμφόρηση η **1.** *მედ.* შეგუბება, დაგუბება, სისხლის ჩაქცევა: *πνευμονική ~* ფილტვებში სისხლის შეგუბება; *გადატ.* **2.** საცობი (გზაზე): *τα οδικά έργα έχουν προκαλέσει ~ στο τμήμα αυτό της λεωφόρου* გამზირის ამ მონაკვეთზე საგზაო სამუშაოებმა საცობები გამოიწვია; ◊ ***εγκεφαλική ~*** უეცარი სისხლის გადინება, აპოპლექსია.

συμφραζόμενα τα კონტექსტი.

σύμφυτος, -η, -ο **1.** თანდაყოლილი, ბუნებით მომადლებული, ბუნებით მონიჭებული; **2.** *ბოტ., გადატ.* ბუნებრივი.

συμφωνία η **1.** შეთანხმება, ხელშეკრულება, ხელშეკრულების ტექსტი; **2.** *პარმონია*; **3.** შეხამება, შესაბამისობა, შესატყვისობა: *~ χρωμάτων* ფერთა შეხამება; **4.** *მუს.* სიმფონია.

σύμφωνο το **1.** *გრამ.* თანხმოვანი; **2.** ხელშეკრულება, შეთანხმება.

σύμφωνος, -η, -ο **1.** თანახმა: *είμαι απόλυτα ~ με τις ενέργειές σου* შენს ქმედებებს სრულიად ვეთანხმები; **2.** შესაბამისი, შესატყვისი; **3.** პარმონიული (ხმაზე, მუსიკალურ ბგერაზე); ◊ ***(είμαστε) ~ οι;*** შევთანხმდით? **σύμφωνα / συμφώνως** *επίρρ.* **1.** თანახმად; **2.** შესაბამისად, შესატყვისად; **3.** პარმონიულად.

συμφωνώ (ε) (*აόρ. συμφώνησα, αόρ. παθ. συμφωνήθηκα, μτχ. συμφωνηθείς, -είσα, -έν, συμφωνημένος*) *μετβ., αμετβ.* თანხმობა, დათანხმება, თანახმა ყოფნა, შეთანხმება: *~ με ό, τι λες* რასაც ამბობ, ვეთანხმები.

συμψηφίζω (*აόρ. συμψήφισα, აόρ. παθ. συμψηφίστ(θ)ηκα, μτχ. συμψηφισμένος*) *μετβ.* **1.** ანგარიშში შეტანა; **2.** *გადატ.* დაბალანსება, გაწონასწორება.

συν *πρόθ.* **1.** მიმატება, პლიუსი: *οκτώ ~ δύο ίσον δέκα* რვას პლიუს ორი უდრის ათს; (÷ *δοτ.*) **2.** ერთად: *προσέρχονται ~ γυναιξί και τέκνοις* მოდიან ქალებთან და ბავშვებთან ერთად; **3.** დახმარებით, შეწევნით: *~ Θεώ ελπίζω να πάνε όλα καλά* ღმერთის შეწევნით იმედი მაქვს, ყველაფერი კარგად იქნება; **4.** თანახმად: *όλες οι διαδικασίες έγιναν ~ τω νόμω* ყველა პროცედურა კანონის თანახმად ჩატარდა; ◊ ***τα ~ και τα πλην*** დადებითი და უარყოფითი მხარეები, პლიუსები და მინუსები.

συναγερμός ο **1.** განგაში; **2.** მზადყოფნა: *η Πυροσβεστική βρίσκεται σε κατάσταση ~ού από τον φόβο εμπρησμού* ცეცხლის გაჩენის საფრთხის გამო სახანძრო სამსახური მზადყოფნაშია; **3.** სიგნალიზაცია.

συνάγω (*აόρ. συνήγαγα, აόρ. παθ. συνάχθηκα, μτχ. συναγμένος*) *μετβ., მაღალფ.* გამოტანა (დასკვნის), შეჯამება: *~ συμπεράσματα* გამომაქვს დასკვნები; **-εται** გამომდინარეობს: *από τα στοιχεία που προσκομίστηκαν ~εται ότι υπάρχει παρανομία* წარმოდგენილი მონაცემებიდან გამომდინარეობს, რომ საქმე გვაქვს უკანონობასთან.

συναγωγή η სინაგოგა.

συναγωνίζομαι (*აόρ. συναγωνίστηκα*) *μετβ., αποθ.* **1.** *ჰირდ., გადატ.* შეჯიბრი, შეჯიბრში მონაწილეობა; **2.** კონკურენცია, კონკურენციაში მონაწილეობა.

συναγωνισμός, -η, -ο კონკურენცია: *συνθήκες ήπιου ~ού* მსუბუქი კონკურენციის პირობები; ◊ ***εκτός ~ού*** ა) კონკურენციის გარეთ, კონკურსის გარეშე, ბ) თამაშგარე, შეჯიბრს გარეთ).

συναγωνιστής ο, **-τρια** η **1.** თანამებრძოლი; **2.** კონკურენტი, მოწინააღმდეგე.

συναθροίζω (*აόρ. συνάθροισα, აόρ. παθ. συναθροίστηκα, μτχ. συναθροισμένος*) *μετβ.* შეგროვება, დაგროვება, თავმოყრა.

συνάθροιση η შეგროვება, დაგროვება, შეკრება, თავმოყრა.

συναίνεση η **1.** ნებართვა, თანხმობა, უფლების მიცემა; **2.** *იურ.* ნების დართვა, ნებართვის მიცემა; ◊ ***κοινωνική ~*** საზოგადოებრივი მხარდაჭერა.

συναινώ (ε) (*აόρ. συναίνεσα*) *αμετβ.* (+ *σε*) დათანხმება, თანხმობის მიცემა, გაბიარება.

συναισθάνομαι (*აόρ. συναισθάνθηκα*) *μετβ., αποθ.* თანაგრძნობა, გულთან ახლოს მიტანა, გაბიარება (გრძნობის): *~ τη λύπη σου* თანავუგრძნობ შენს მწუხარებას.

συναίσθημα το გრძნობა, შეგრძნება: *νιώθω ένα ευχάριστο ~* სასიამოენო გრძნობა მაქვს; ◊ ***ανταποκρίνομαι στα ~τα (κάποιου)*** ვპასუხობ გრძნობებზე (ვინმეს).

συναισθηματικός, -ή, -ό მგრძნობიარე, ემოციური, სენტიმენტალური.

συναίσθηση η (*πληθ. არ გააჩნია*) აღქმა, გაცნობიერება, გრძნობა: *έχει της ευθύνης* აქვს პასუხისმგებლობის გრძნობა.

συναλλαγή η **1.** *კომრ.* გაცვლა (საქონლის, ფულის), ვაჭრობა, ბიზნესი, სავაჭრო ოპერაცია; **2.** კაში-

რი, ურთიერთობა (საეაჭრო, საქმიანი); 3. *უარყ. მნიშვ.* გარიგება.

συνάλλαγμα το (*πληθ.არ გააჩნია*) ვალუტა; ◊ ***τιμή ~τος*** ვალუტის კურსი, ***αγορά ~τος*** საეალუტო ბირჟა, ***έλεγχος ξένου ~τος*** უცხოური ვალუტის შესყიდვის შეზღუდვა (სახელმწიფოს მიერ).

συνάμα *επίρρ.* ერთსა და იმავე დროს, იმავდროულად: ***μ'αυτό τον τρόπο τα παιδιά παίζουν και μαθαίνουν ~*** ამგვარად ბავშვები თამაშობენ და იმავდროულად სწავლობენ.

συναναστρέφομαι (*აόρ. συναναστράφηκα*) *μετβ., αποθ.* ურთიერთობის ქონა, მეგობრობა (ვინმესთან), ნაცნობობა.

συναναστροφή η 1. ურთიერთობის ქონა, მეგობრობა (ვინმესთან), ნაცნობობა; 2. სამეგობრო წრე, ნაცნობ-მეგობრები.

συνάντηση η 1. შეხვედრა; 2. შეხვედრა, მატჩი, შეჯიბრი: *αθλητική ~* სპორტული შეჯიბრი; ◊ ***~ κορυφής*** უმაღლესი დონის შეხვედრა, ***~ εργασίας*** სამუშაო შეხვედრა.

συναντώ (α) (*აόρ. συνάντησα, αόρ. παθ. συναντήθηκα*) *μετβ.* შეხვედრა: *τον συνάντησα τυχαία* შემთხვევით შევხვდი; ◊ ***τα μεγάλα πνεύματα ~ώνται*** რჩეულთა აზრები თანხვედება.

συνάπτω (*აόρ. σύναψα/συνήψα, αόρ. παθ. συνάφθηκα / συνήφθην, μτχ. συνημμένος / συναφθείς, -είσα, -έν*) *μετβ.* შეერთება, მიმაგრება, თანხლება, თანდართვა: *να συνάψετε τα δικαιολογητικά στην αίτηση και να τα υπογράψετε* განცხადებას თან დაურთეთ საბუთები და ხელი მოაწერეთ.

συναρμόζω (*αόρ. συνάρμοσα, αόρ. παθ. συναρμόστ(θ)ηκα, μτχ. συναρμοσμένος*) *μετβ.* მორგება, დამონტაჟება, დამაგრება.

συναρμολογώ (ε) (*αόρ. συναρμολόγησα, αόρ. παθ. συναρμολογήθηκα, μτχ. συναρμολογημένος*) *μετβ.* 1. აწყობა, შეერთება, შერწყმა, დამონტაჟება; 2. *გადატ.* შერჩევა, მორგება, შეჯერება (მონაცემების).

συναρπάζω (*αόρ. συνάρπασα, αόρ. παθ. συναρπάστηκα, μτχ. συναρπασμένος*) *μετβ.* მოხიბვლა, გატაცება: *το τραγούδι τους είχε συναρπάσει* ისინი მისმა სიმღერამ გაიტაცა.

συνάρτηση η 1. დამოკიდებულება, ურთიერთდამოკიდებულება, განპირობება: *η τελική επιλογή είναι ~ πολλών παραγόντων* საბოლოო არჩევანი ბევრი ფაქტორის ურთიერთდამოკიდებულებიდან გამომდინარეობს; 2. *მათ.* ფუნქცია, დამოკიდებული ცვლადი სიდიდე.

συνασπίζω (*αόρ. συνάσπισα, αόρ. παθ. συνασπίστ(θ)ηκα, μτχ. συνασπισμένος*) *μετβ.* გაერთიანება, კოალიციის შექმნა.

συνασπισμός ο 1. კოალიცია, გაერთიანება; 2. ბლოკი (პოლიტიკური).

συναυλία η კონცერტი.

συνάφεια η 1. ლოგიკური კავშირი; 2. ურთიერთკავშირი, კავშირი, ურთიერთდამოკიდებულება: *δε βρίσκω καμία ~ ανάμεσα στα στοιχεία που έχω στη διάθεσή μου* ჩემს ხელთ არსებულ მონაცემებს შორის ვერანაირ ურთიერთკავშირს ვერ ვხედავ.

συναφής, -ής, -ές (*γεν. -ούς, πληθ. αρσ. და θηλ. -είς, ουδ. -ή*) 1. ურთიერთდაკავშირებული, მონათესავე; 2. მსგავსი; **συναφώς** *επίρρ.* 1. ურთიერთდაკავშირებულად, მონათესავედ; 2. მსგავსად.

συνάχι το სურდო.

σύναψη η **1.** თანდართება, დართვა; **2.** ურთიერთდაკავშირება: *εσφαλμένη ~ δύο λέξεων προκειμένου να ετυμολογηθούν* ეტიმოლოგიის დადგენის მიზნით სიტყვების მცდარი ურთიერთდაკავშირება; **3.** დამყარება, დაკავშირება, დადება (შეთანხმების): *~ σύμβασης* ხელშეკრულების დადება.

συνδαιτυμόνας (συνδαιτυμών) ο/η *მაღალფ.* თანამეინახე.

σύνδεση η **1.** კავშირი; **2.** დაკავშირება, კავშირი, ჩართვა: *αεροπορική ~* საჰაერო კავშირი, *σε απευθείας ~ σας μεταδίδουμε την ομιλία του πρωθυπουργού* პირდაპირი ჩართვით გადმოგცემთ პრემიერ-მინისტრის სიტყვას.

σύνδεσμος ο **1.** მაკავშირებელი, შემაერთებელი რამ, სამაგრი; **2.** გაერთიანება, კავშირი: *~ βιομηχάνων* მრეწველთა კავშირი; **3.** მეკავშირე; **4.** *გრამ.* კავშირი; **5.** *ტექნ.* გადაბმა, გადასაბმელი, გადაბმულა.

συνδετήρας ο სამაგრი (სკრეპი).

συνδετικός, -ή, -ό შემაერთებელი, შემაკავშირებელი, მაერთებელი; ◊ *~ό υλικό* შემკერელი, შემაკავშირებელი ნივთიერება, *~ ιστός* მაერთებელი ქსოვილი.

συνδέω (*აόρ. συνέδεσα, აόρ. παθ. συνδέθηκα, μτχ. συνδεδεμένος*) *μετβ.* **1.** შეერთება, შეკავშირება, კავშირის ქონა; **2.** ქსელში ჩართვა, მიერთება; **3.** ერთმანეთთან დაკავშირება: *ο δρόμος ~ει τις δύο πόλεις* გზა ორ ქალაქს ერთმანეთთან აკავშირებს; **-ομαι 1.** ა) მეგობრობა, ბ) სასიყვარულო ურთიერთობების ქონა.

συνδιάλεξη η საუბარი.

συνδιάσκεψη η შეხვედრა, კონფერენცია, ერთობლივი თათბირი; ◊ *~ κορυφής* უმაღლესი დონის შეხვედრა.

συνδικαλίζομαι (*აόρ. συνδικαλίστ(θ)ηκα, μτχ. συνδικαλισμένος*) *αμετβ., αποθ.* პროფკავშირში გაწევრიანება, პროფკავშირში გაერთიანება.

συνδικαλισμός ο (*πληθ. არ გააჩნია*) პროფკავშირები, სინდიკალიზმი.

συνδικαλιστής ο, **-τρια** η **1.** პროფკავშირის წევრი, სინდიკალისტი; **2.** პროფკავშირული ორგანიზაციის მეთაური.

συνδικάτο το პროფკავშირი, სინდიკატი.

συνδρομή η **1.** დახმარება: *χωρίς τη ~ σου δεν θα είχα ξεπεράσει την κρίση* შენი დახმარების გარეშე კრიზისს ვერ დაძლევდი; **2.** შესაწირავი, შენატანი, წვლილი; **3.** სააბონენტო გადასახადი, საწევრო შენატანი, ხელმოწერა.

συνδρομητής ο, **-τρια** η ხელმომწერი, აბონენტი; ◊ *τηλεόραση ~ών* ფასიანი (საკაბელო) ტელეარხი.

συνδυάζω (*აόρ. συνδύασα / συνεδύασα, αόρ. παθ. συνδυάστ(θ)ηκα, μτχ. συνδυασμένος*) *μετβ.* **1.** შეთავსება, შეხამება, კომბინირება: *~ διασκέδαση με την εργασία* გართობას და სამუშაოს ვათავსებ; **2.** დაკავშირება, ასოცირება; ◊ *სამხ. συνδυασμένη άσκηση* კომბინირებული ვარჯიში.

συνδυασμός ο **1.** შეთავსება, შეხამება, კომბინირება; **2.** დაკავშირება, შეერთება, ასოცირება; **3.** შედარება, ანალოგიის მოძებნა, შეპირისპირება.

συνεγείρω (*აόρ. συνήγειρα, αόρ. παθ. συνεγέρθηκα*) *μετβ.* გამოცოცხლება (ხალხის), ამოძრავება.

συνεδρία η სხდომა: *οι καθηγητές έχουν ~* პროფესორებს სხდომა აქვთ.

συνεδριάζω (*αόρ. συνεδρίασα*) *αμετβ.* სხდომის ქონა, სხდომაზე ყოფნა.

συνεδρίαση η სხდომა.

συνέδριο το 1. კონფერენცია; 2. ყრილობა; 3. კონგრესი.

σύνεδρος ο/η 1. კონფერენციის, ყრილობის, კონგრესის მონაწილე; 2. *ιατρ.* სასამართლო კოლეგიის წევრი.

συνείδηση η 1. ცნობიერება, გაცნობიერება; 2. სინდისი, ნამუსი: *τύψεις ~εως* სინდისის ქენჯნა; ◊ ***διαταραχή της ~ς*** ცნობიერების დარღვევა, ***ελαφρά τη συνειδήσει*** სუფთა სინდისით, გულდამშვიდებით, ***κατά ~*** სინდისიერად.

συνειδητοποιώ (ε) (*αόρ. συνειδητοποίησα, αόρ. παθ. συνειδητοποιήθηκα, μτχ. συνειδητοποιημένος*) *μετβ.* გაცნობიერება.

συνειδητός, -ή, -ό 1. შეგნებული, გაცნობიერებული; 3. *ψυχολ.* (το) ცნობიერი.

συνειρμός ο ასოციაცია, კავშირი, დაკავშირება (გონებაში წარმოდგენილი): *λεκτικός ~* სიტყვების ასოციაცია; ◊ ***ελεύθερος ~*** თავისუფალი კავშირი.

συνεισφέρω (*αόρ. συνεισέφερα, αόρ. παθ. συνεισφέρθηκα*) *μετβ., αμετβ.* წვლილის შეტანა, დახმარების აღმოჩენა, დახმარება.

συνεισφορά η წვლილი.

συνεκτικός, -ή, -ό შემაკავშირებელი.

συνέλευση η კრება, ასამბლეა: *ιδρυτική ~* დამფუძნებელთა კრება.

συνεννόηση η 1. ურთიერთგაგება, გაგება; 2. აზრის გაცვლა, აზრის გაცვლა-გამოცვლა, კონსულტაცია, შეთანხმება.

συνεννοούμαι (*αόρ. συνεννοήθηκα, μτχ. συνεννοημένος*) *αποθ., αμετβ.* 1. გაგება, ურთიერთგაგება; 2. აზრის გაცვლა, კონსულტაციის გამართვა; 3. მოლაპარაკება, შეთანხმება: *– Λες να έχει αντιρρήσεις; – Όχι, έχω συνεννοηθεί μαζί του* შეიძლება წინააღმდეგობა გაწიოს? არა მოლაპარაკებული ვარ მასთან; ◊ *συνεννοηθήκαμε;* შევთანხმდით?

συνενοχή η თანამონაწილეობა, თანამოაზრეობა.

συνένοχος ο/η თანამონაწილე, თანამოაზრე.

συνέντευξη η ინტერვიუ.

συνενώνω (*αόρ. συνένωσα, αόρ. παθ. συνενώθηκα, μτχ. συνενωμένος*) *μετβ.* გაერთიანება, შერწყმა: *πρέπει να συνενώσουμε τις δυνάμεις μας* უნდა გავაერთიანოთ ჩვენი ძალები.

συνένωση η გაერთიანება, შერწყმა, შეერთება.

συνεπάγεται (*ϑηλ. ενεστ. და παρατ.*) *μετβ., αποθ., τριτοπροσ.* 1. შედეგად მოჰყვება: *κάθε απρόσεκτη κίνηση ~ πολλούς κινδύνους* ყოველ დაუფიქრებელ მოძრაობას სახიფათო შედეგი მოჰყვება; 2. გამოდის, გამომდინარეობს: *απ'όσα μου λες ~ ότι τα πράγματα βελτιώθηκαν* შენი ნათქვამით რომ ვიმსჯელოთ, მდგომარეობა გაუმჯობესებულია.

συνεπαίρνω (*αόρ. συνεπήρα, αόρ. παθ. συνεπάρθηκα, μτχ. συνεπαρμένος*) *μετβ.* წარტაცება, მოხიბლა.

συνέπεια η 1. შედეგი: *απρόβλεπτη ~* გაუთვალისწინებელი შედეგი; 2. თანმიმდევრობა; 3. პასუხისმგებლობის გრძნობა, პუნქტუალურობა.

συνεπής, -ής, -ές (*γεν. -ούς, πληθ. αρσ. και ϑηλ. -είς, ουδ. -ή*) 1. პუნქტუალური; 2. თანმიმდევრული; 3. პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე.

συνεπιβάτης ο, **-τρια/-ισσα** η თანამგზავრი.

συνεπώς *επίρρ.* შესაბამისად, აქედან გამომდინარე.

συνεργάζομαι (*αόρ. συνεργάστηκα*) *αποθ., αμετβ.* თანამშრომლობა.

συνεργασία η თანამშრომლობა.

συνεργάτης ο, **-ισσα** η თანამშრომელი.

συνεργείο το საამქრო, სახელოსნო, პროფილაქტიკა.

συνεργός ο/η *ιατρ.* თანამზრახველი.

συνεργώ (ε) (*αόρ. συνέργησα/συνήργησα*) *αμετβ.* თანადგომა, ხელის შეწყობა, თანამზრახველობა.

συνερίζομαι (*αόρ. συνερίστηκα*) *μετβ., αποθ.* **1.** წყენა, შეურაცხყოფად მიღება (რისამე); **2.** მეტოქეობა, გაჯიბრება.

σύνεση η (*πληθ. არ გააჩნია*) კეთილგონიერება.

συνεσταλμένος, -η, -ο მორცხვი, მორიდებული, გაუბედავი.

συνεταιρίζομαι (*αόρ. συνεταιρίστηκα*) *αμετβ., αποθ.* კომპანიაში, ამხანაგობაში, კოოპერაციაში გაწევრიანება.

συνεταιρισμός ο კოოპერატივი, კოოპერაცია, ამხანაგობა, გაერთიანება.

συνέταιρος (συνεταίρος) ο კომპანიონი, თანამონაწილე, პარტნიორი.

συνετίζω (*αόρ. συνέτισα, αόρ. παθ. συνετίστ(θ)ηκα, μτχ. συνετισμένος*) *μετβ.* მოჭკვიანება, გონებაში ჩაგდება, გონს მოგება.

συνετός, -ή, -ό კეთილგონიერი, გონიერული, აზრიანი.

συνευρίσκομαι (*αόρ. συνευρέθηκα*) *αμετβ., αποθ.* **1.** ერთად ყოფნა, აღმოჩენა (ვინმესთან ერთად; **2.** სქესობრივი კავშირის დამყარება.

συνεφαπτομένη η *μαθ.* კოტანგენსი.

συνεφέρνω (*αόρ. συνέφερα*) *μετβ.* **1.** *პირდ., გადატ.* გონს მოყვანა, მომჯობინება: *τον συνέφερε με μικρά χτυπήματα στο πρόσωπο* გონს მოიყვანა სახეში მსუბუქი დარტყმებით; **2.** მოჭკვიანება, გონებაში ჩაგდება.

συνέχεια η **1.** უწყვეტობა, განუწყვეტელობა, ერთიანობა; **2.** გაგრძელება, თანმიმდევრობა; ◊ ***εν ~ / στη ~*** შემდეგ, ***δίνω ~ (σε κάτι)*** ვაგრძლებ (რაიმეს), ***έπεται / υπάρχει και ~*** გაგრძელება იქნება.

συνέχεια *επίρρ.* უწყვეტად, განუწყვეტლად, გამუდმებით, ზედიზედ.

συνεχής, -ής, -ές (*γεν. -ούς, πληθ. αρσ. και θηλ. -είς, ουδ. -ή*) განუწყვეტელი, უწყვეტი, მუდმივი.

συνεχίζω (*αόρ. συνέχισα, αόρ. παθ. συνεχίσ(τθ)ηκα*) *μετβ., αμετβ.* გაგრძელება.

συνέχιση η (*πληθ. არ გააჩნია*) გაგრძელება.

συνεχιστής ο, **-τρια** η გამგრძელებელი.

συνεχώς *επίρρ.* განუწყვეტლივ, უწყვეტად.

συνήγορος ο/η *ιατρ.* ადვოკატი, დამცველი.

συνηγορώ (ε) (*αόρ. συνηγόρησα*) *μετβ.* დამცველად გამოსელა, დაცვა.

συνήθεια η ჩვევა, ჩვეულება, ადათი, წეს-ჩვეულება.

συνήθης, -ης, -ες (*γεν. -ους, πληθ. αρσ. και θηλ. -εις, ουδ. -η*) ჩვეულებრივი, ჩვეული, მიჩვეული, შეჩვეული; ◊ ***κατά το ~*** ჩვეულებისამებრ.

συνηθίζω (*αόρ. συνήθισα, μτχ. συνηθισμένος*) *μετβ., αμετβ.* დაჩვევა, მიჩვევა, შეჩვევა.

συνηθισμένος, -η, -ο **1.** ჩვეული, შეჩვეული, მიჩვეული; **2.** ჩვეულებრივი.

συνήθως *επίρρ.* ჩვეულებრივ, ჩვეულებისამებრ.

συνημμένος, -η, -ο დართული, თანდართული.

σύνθεση η **1.** სინთეზი; **2.** შემადგენლობა, სტრუქტურა: *η ~ του εδάφους* ნიადაგის სტრუქტურა.

συνθετήριο το *ტიპოგრ.* ასოთა-საწყობი ხაზი.

συνθέτης ο, **-ιδα** η **1.** *მუს.* კომპოზიტორი; **2.** *ტიპოგრ.* ასოთამწყობი.

συνθετικός, -ή, -ό 1. შედგენილი, კომპოზიციური, სინთეზური; **2.** რთული, შედგენილი: *~ ορισμός* შედგენილი განსაზღვრება; **3.** (το) სინთეტიკური ქსოვილი; **4.** *ენათმც.* (το) შედგენილი სიტყვის შემადგენელი ნაწილი.

σύνθετος, -η, -ο შედგენილი, კომპოზიციური, რთული; ◊ *~η λέξη / (το) ~ο* შედგენილი სიტყვა, *αντικειμενικό ~ο* შედგენილი ობიექტი.

συνθέτω (*აόρ. συνέθεσα, აόρ. παθ. συντέθηκα, μτχ. συντεθειμένος*) *μετβ.* **1.** დაწერა, შექმნა (მუსიკის), შეთხზვა: *~ συμφωνία* ეწერ სიმფონიას; **2.** შედგენა, გამთლიანება; **συντίθεμαι** შედგება: *το έργο συντίθεται από τρία μέρη* ქმნილება სამი ნაწილისგან შედგება.

συνθήκη η **1.** შეთანხმება, კონვენცია, პაქტი, ხელშეკრულება; **2.** შეთანხმების, ხელშეკრულების ტექსტი; **3.** პირობები, გარემოება: *κάτω από αυτές τις ~ες δεν μπορεί να δουλέψει κανείς* ამ პირობებში შეუძლებელია მუშაობა.

συνθηκολόγηση η კაპიტულაცია, ხელშეკრულების დადება, დანებება.

συνθηκολογώ (ε) (*αόρ. συνθηκολόγησα, μτχ. συνθηκολογημένος*) *αμετβ.* დანებება, კაპიტულირება, ხელშეკრულების დადება.

σύνθημα το **1.** ნიშანი, სიგნალი; **2.** პაროლი; **3.** მოწოდება, ლოზუნგი.

συνθηματικός, -ή, -ό კოდური, სასიგნალო, პირობითი; ◊ *~ή γλώσσα / ~ό ιδίωμα* პირობითი ენა.

συνιστάμενος, -η, -ο *მაღალფ.* **1.** შედგენილი, შემდგარი; ◊ *φιθ. ~η (δύναμη)* ტოლქმედი ძალა.

συνιστώ (α) (συσταίνω) (*αόρ. σύστησα/συνέστησα, αόρ. παθ. συστάθηκα, μτχ. συσταθείς, -είσα, -έν*) *μετβ.* **1.** შედგენა, შექმნა, წარმოქმნა: *~ συμβούλιο* ექმნი საბჭოს; **2.** რჩევა: *ο γιατρός του συνέστησε να κόψει το κάπνισμα* ექიმმა სიგარეტისთვის თავის დანებება ურჩია.

συννεφιά η ღრუბლიანობა, მოღრუბლულობა.

συννεφιάζω (*αόρ. συννέφιασα, μτχ. συννεφιασμένος*) *αμετβ.* **1.** მოღრუბელა; **2.** *გადატ.* მოღუშვა.

σύννεφο (σύγνεφο) το *პირდ., გადატ.* ღრუბელი.

συνοδευτικός, -ή, -ό თანმხლები.

συνοδεύω (*αόρ. συνόδευσα/-ψα, αόρ. παθ. συνοδεύτ(θ)ηκα, μτχ. συνοδευμένος*) *μετβ.* **1.** გაცილება, მიცილება: *να σε συνοδεύσω ως την πόρτα!* კარებამდე მიგაცილებ! **2.** თანხლება, ხლება, გაყოლა: *τον ~ουν οι σωματοφύλακες* დაცვა თან ახლავს; **3.** *მუს.* აკომპანემენტი, თანხლება.

συνοδία (συνοδεία) η **1.** თანხლება, თანმხლები პირები; **2.** *მუს.* აკომპანემენტი; ◊ *με τη ~* თანხლებით.

συνοδοιπόρος ο/η მეგზური, თანამგზავრი.

συνοδός ο/η თანმხლები პირი, გამცილებელი.

σύνοδος η **1.** სესია; **2.** *ეკლ.* სინოდი; ◊ *~ κορυφής* უმაღლესი სესია,

Οικουμενική ~ ეკუმენური სინოდი, ***Ιερα Σ~*** წმინდა სინოდი.

συνοικία η კვარტალი, ქალაქის რაიონი, უბანი.

συνοικιακός, -ή, -ό უბნის, რაიონის, კვარტლის; ◊ ***~ό συμβούλιο*** ქალაქის რაიონული საბჭო.

συνοικισμός ο 1. ახალშენი; 2. დასახლება, დაბა.

συνολικός, -ή, -ό ერთიანი, მთლიანი, შემაჯამებელი, ჯამური, საბოლოო.

σύνολο το 1. ერთობლიობა, ერთიანობა, საერთო რაოდენობა; 2. კოსტუმი, ანსამბლი, კომპლექტი; 3. *მათ.* ჯამი; 4. *გრამ.* ფრაზა; ◊ ***εν (τω) συνόλω / στο ~*** მთლიანობაში, ერთიანობაში, ***σε ~ / επί ~ου*** ერთობლიობაში, ჯამში.

συνομήλικος, -η, -ο თანატოლი.

συνομιλητής ο, **-τρια** η თანამოსაუბრე, მოსაუბრე.

συνομιλία η საუბარი, დისკუსია.

συνομολογώ (ε) (*აόր. συνομολόγησα, აόր. παθ. συνομολογήθηκα, μτχ. συνομολογημένος*) *μετβ.* დათანხმება, შეთანხმება.

συνομοσπονδία η ფედერაცია, გაერთიანება, კონფედერაცია.

συνονόματος, -η, -ο სახნია.

συνοπτικός, -ή, -ό მოკლე, ლაკონური, შეკვეცილი; ◊ ***~ά Ευαγγέλια*** სინოპტიკური სახარება; **συνοπτικά / συνοπτικώς** *επίρρ.* მოკლედ, ლაკონურად.

συνορεύω (*აόр. συνόρευσα*) *αμετβ.* მოსაზღვრედ ყოფნა, საერთო საზღვრის ქონა; ◊ ***συνορεύουσα ζώνη*** სასაზღვრო ზონა.

συνοριακός, -ή, -ό სასაზღვრო, საზღვრის.

σύνορο το 1. საზღვარი; 2. *გადატ.* ზღვარი, პირი; ◊ ***εξωτερικά ~α*** გარე საზღვრები, ***εσωτερικά ~α*** შიდა საზღვრები.

συνουσία η სქესობრივი კავშირი, სექსი.

συνουσιάζομαι (*აόр. συνουσιάστ(θ)ηκα*) *αμετβ.* სქესობრივი კავშირის დამყარება.

συνοχή η მჭიდრო კავშირი, ერთიანობა; ◊ ***κοινωνική ~*** საზოგადოებრივი ერთიანობა.

σύνοψη η შეჯამება, რეზიუმე.

συνοψίζω (*აόр. συνόψισα, აόр. παθ. συνοψίστηκα*) *μετβ.* შეჯამება.

συνταγή η რეცეპტი.

σύνταγμα το 1. კონსტიტუცია; 2. *სამხ.* პოლკი, ლეგიონი.

συνταγματάρχης ο/η 1. პოლკის მეთაური; 2. *ისტ.* (οι) ოფიცრები, რომლებმაც 1967 წლის 21 აპრილს გადატრიალება მოაწყვეს.

συνταγματικός, -ή, -ό კონსტიტუციური, საკონსტიტუციო, კონსტიტუციის; ◊ ***Σ~ό Δίκαιο*** საკონსტიტუციო სამართალი, ***Σ~ό Δικαστήριο*** საკონსტიტუციო სასამართლო, ***~ χάρτης*** ქვეყნის კონსტიტუცია, ***~ή πράξη*** კონსტიტუციური აქტი, ***~ά δικαιώματα*** კონსტიტუციით მინიჭებული უფლებები.

συνταιριάζω (*აόр. συνταίριασα, აόр. παθ. συνταιριάστηκα, μτχ. συνταιριασμένος*) *μετβ.* შეხამება, შეფერება, შეშაება, ჰარმონიულობა.

συντάκτης ο 1. შემდგენელი; 2. ავტორი.

συντακτικό το *გრამ.* სინტაქსი.

σύνταξη η 1. შედგენა, შექმნა, დაწერა, რედაქტირება; 2. პენსია; 3. *სამხ.* დაწყობა, მწყობრში დაყენება; ◊ ***βγαίνω στη ~*** პენსიაზე გასელა, ***~ της πολιτείας*** ქვეყნის კონსტიტუციური მოწყობა.

συνταξιδιώτης ο, **-ισσα** η თანამგზაური.

συνταξιοδοτώ (ε) (*აόρ. συνταξιοδότησα, აόρ. παθ. συνταξιδοτήθηκα, μτχ. συνταξιοδοτημένος*) *μετβ.* პენსიის დანიშვნა.

συνταξιούχος ο/η პენსიონერი.

συνταρακτικός, -ή, -ό (συνταραχτικός) შემაძრწუნებელი, ამაღელვებელი; **συνταρακτικά (συνταραχτικά)** *επίρρ.* ამაღელვებლად, შემაძრწუნებლად.

συντάσσω (*აόρ. συνέταξα, αόρ. παθ. συντάχθηκα, μτχ. συνταγμένος/συντεταγμένος*) *μετβ.* **1.** დაწერა, შექმნა, შედგენა; **2.** რედაქტირება: *πρέπει να συνταχθεί το κείμενο* ტექსტს რედაქტირება სჭირდება; **3.** *ვამბ.* დაწყობა, მწყობრში დაყენება.

συντέλεση η შესრულება, დასრულება, განხორციელება.

συντελεστής ο **1.** ფაქტორი; **2.** კოეფიციენტი.

συντελώ (ε) (*αόρ. συν(ε)τέλεσα, αόρ. παθ. συντελέστηκα, μτχ. συντελεσμένος*) *μετβ.* **1.** ხელის შეწყობა; **2.** მესრულება, დასრულება, გაკეთება, განხორციელება; ◊ *γραμ. συντελεσμένοι χρόνοι* სრული დრო, *συντελεσμένος μέλλοντας* მომავალი სრული დრო.

συντήρηση η **1.** *Ιατρ., γεωλ.* შენახვა: *η ~ μιας οικογένειας* ოჯახის შენახვა; **2.** მხარდაჭერა, მოვლა; **3.** დაკონსერვება, შენახვა.

συντηρητικός, -ή, -ό 1. ფრთხილი, წინდახედული: *~ά μέτρα* წინდახედული ზომები; **2.** კონსერვატიული; ◊ *(τα) ~ά / ~ή ουσία* კონსერვანტები; **συντηρητικά/-ώς** *επίρρ.* ფრთხილად.

συντηρητισμός ο კონსერვატიზმი.

συντηρώ (ε) (*αόρ. συντήρησα, αόρ. παθ. συντηρήθηκα, μτχ. συντηρημένος*) *μετβ.* შენახვა, ქონა, ყოლა, არსებობა.

σύντομα *επίρρ.* მალე.

συντομεύω (*αόρ. συντόμευσα, αόρ. παθ. συντομεύθηκα, μτχ. συντομευμένος*) *μετβ., αμετβ.* **1.** შემოკლება; **2.** დაჩქარება.

συντομία η (*πληθ. αρ. δεν έχει*) სიმოკლე, ლაკონურობა; ◊ *εν ~* მოკლედ, ორი სიტყვით, *χάριν ~ς* სიტყვა რომ არ გამიგრძელდეს.

συντομογραφία η აბრევიატურა.

σύντομος, -η, -ο 1. მოკლე, ხანმოკლე; **2.** ლაკონური.

συντονίζω (*αόρ. συντόνισα, αόρ. παθ. συντονίστηκα, μτχ. συντονισμένος*) *μετβ.* **1.** კოორდინირება, ხელმძღვანელობა: *όλο το πρόγραμμα ~εται από τον Γενικό Γραμματέα* პროგრამას კოორდინირებას უწევს გენერალური მდივანი; **2.** მომართვა, ტალღაზე დაყენება (რადიო ან ტელე სიხშირის); **3.** შეთანხმება, შეხამება: *~ τις κινήσεις μου με τη μουσική* მოძრაობას ვახამებ მუსიკასთან.

συντονισμένος, -η, -ο შეთანხმებული, კოორდინირებული.

συντονισμός ο **1.** კოორდინირება, წაყვანა, გაძღოლა; **2.** *φιζ.* მოდულაცია; **3.** მომართვა, ტალღაზე დაყენება (რადიო ან ტელე სიხშირის).

συντονιστής ο, **-τρια** η კოორდინატორი.

σύντονος, -η, -ο დაძაბული, ინტენსიური, ენერგიული.

συντριβή η **1.** დამტვრევა, დამსხვრევა: *η πτώση και η ~ του αεροπλάνου* თვითმფრინავის ვარდნა და მსხვრევა; **2.** განადგურება.

συντρίβω (*αόρ. συνέτριψα, αόρ. παθ. συντρίφθηκα, μτχ. συντετριμμένος*) *μετβ.* **1.** დამტვრევა, დამსხვრევა; **2.** გაჭყლეტა, დამტვრევა; *გადატ.* **3.** ფიზიკური განადგურება: ~ *έναν εχθρό* გაეანადგურებ მტერს.

συντρίμμι (σύντριμμα) το **1.** ნამსხვრევი, ნატეხი; **2.** *Ιατρ., გადატ.* ნანგრევი.

συντριπτικός, -ή, -ό დამამსხვრეველი, გამანადგურებელი, დამანგრეველი.

συντροφεύω (*αόρ. συντρόφευσα, αόρ. παθ. συντροφεύθηκα, μτχ. συντροφευμένος*) *μετβ.* მეგობრობა, კომპანიის გაწევა, თანხლება: *με ~ει τα βράδια* საღამოობით კომპანიას მიწევს.

συντροφιά η **1.** კომპანია, მეგობრების წრე; **2.** თანხლება, საზოგადოება, კომპანია: *μου λείπει η ~ του* მაკლია მისი საზოგადოება.

συντροφικός, -ή, -ό 1. მეგობრული; **2.** თანამებრძოლისა, თანამებრძოლური.

σύντροφος ο მეგობარი, ამხანაგი; ◊ *ο/η ~ της ζωής (κάποιου)* ცხოვრების მეგზური, მეუღლე.

συνύπαρξη η თანაარსებობა, თანაცხოვრება; ◊ *ειρηνική ~* მშვიდობიანი თანაარსებობა.

συνυπάρχω (*αόρ. συνυπήρξα*) *αμετβ.* თანაარსებობა.

συνωμοσία η შეთქმულება; ◊ *θεωρία της ~ς* შეთქმულების თეორია.

συνωμότης ο, **-τρια** η შეთქმულების მონაწილე.

συνωμοτικός, -ή, -ό კონსპირაციული, შეთქმულებისა.

συνωμοτώ (ε) (*αόρ. συνωμότησα*) *μετβ.* შეთქმულების მოწყობა.

συνώνυμος, -η, -ο 1. *φιλολ.* ერთი სქესის წარმომადგენლები; **2.** (το) სინონიმი.

συνωστίζομαι (*αόρ. συνωστίσθηκα, μτχ. συνωστισμένος*) *αμετβ.* ხელის კვრა, მიწოლა, ბიძგება, ჭედება, ჩოჩქოლი.

συνωστισμός ο ჭყლეტა, ზედახორა.

Σύρος (Σύριος) ο, **Σύρια** η სირიელი.

σύριγγα η **1.** *ζωολ.* საყვირი, სალამური; **2.** *ιατρ.* სასხური, საშხეფი, შპრიცი; **3.** წყლის ტუმბო; **4.** საყვირი.

σύρμα το **1.** მავთული; **2.** სადენი: ~ *υψηλής τάσεως* მაღალი ძაბვის სადენი; **3.** ჭურჭლის სახეხი ბადე; ◊ *λαϊκόν. ~!* ფრთხილად! *πέφτει ~* მოვიდა გაფრთხილება, ხმა დაირხა (რომ საფრთხე ახლოდება).

συρματόπλεγμα το მავთულის ღობური.

συρμός ο **1.** მატარებელი, სარკინიგზო შემადგენლობა; **2.** მოარული სენი, მცირემასშტაბიანი ეპიდემია; ◊ *του ~ού* მოდაში, მოდური.

σύρραξη η კონფლიქტი, შეჯახება, შეტაკება.

συρράπτω (*αόρ. συνέρραψα, αόρ. παθ. συρράφθηκα, μτχ. συρραμμένος / συνερραμμένος*) *μετβ.* **1.** *μαιευτ., οδ.* გადაკერება: ~ *υφάσματα* გადავაკერებ ქსოვილებს; **2.** აკინძვა; **3.** *γεωπ.* კომპილირება, მიჭრა-მოჭრა და გადაკერება.

συρρέω (*αόρ. συνέρρευσα*) *αμετβ.* **1.** ჩადინება, ჩამოდინება, შეერთება: *τα ρυάκια της βροχής ~ουν προς την κοίτη του ποταμού* წვიმის ნაკადულები მდინარის კალაპოტს უერთდებიან; **2.** *γεωπ.* თაეის მოყრა, მოწყდომა.

σύρριζα *επίρρ.* **1.** ძირფესვიანად: *έκοψαν τα δέντρα ~* ხე ძირფესვიანად მოჭრეს; **2.** ძირამდე: *έκοψε τα*

μαλλιά της ~ თმები ძირამდე შეიჭრა.

συρρικνώνω (*აόρ. συρρίκνωσα, აόρ. παθ. συρρικνώθηκα, μτχ. συρρικνωμένος*) *μετβ.*, *მაღალფ.* შემცირება, დაპატარავება, შეზღუდვა: *ο πληθυσμός του νησιού ~εται* კუნძულის მოსახლეობა მცირდება.

συρρίκνωση η შემცირება, დაპატარავება.

συρροή η თავმოყრა, შეგროვება; ◊ *κατά ~ν* ა) განმეორებით, წინასწარ დაგეგმით, ბ) *უარყ.*, *მნიშვ.* სისტემატიურად.

σύρσιμο (σούρσιμο) το თრევა, გაჩოჩება, გახოხება.

συρτάκι το (*γεν. და πληθ. არ გააჩნია*) სირტაკი.

συρτάρι το *პირლ.*, *ვაღატ.* უჯრა.

συρτός, -ή, -ό მცოცავი, მხოხავი; ◊ *~ (χορός)* სირტოსი (ბერძნული ხალხური ცეკვა).

συρφετός ο *უარყ. მნიშვ.* ბრბო, ეიგინდარები, ნაყარნუყარი ხალხი.

σύρω (*აόρ. έσυρα, აόρ. παθ. σύρθηκα*) *μετβ.*, *მაღალფ.* 1. თრევა, წევა, ზიდვა; 2. გაქაჩვა, გამოქაჩვა; 3. წათრევა, იძულებით წაყვანა.

συσκέπτομαι (*აόρ. συσκέφθηκα*) *αποθ.*, *μετβ.* თათბირი, ბჭობა.

συσκευάζω (*აόρ. συσκεύασα, აόρ. παθ. συσκευάστ(θ)ηκα, συσκευασμένος*) *μετβ.* 1. შეფუთვა; 2. დაფასოება, ფუთვა.

συσκευασία η შეფუთვა, საფუთავი.

συσκευή η ხელსაწყო, აპარატი, მოწყობილობა, დანადგარი.

σύσκεψη η 1. ყრილობა, საბჭო; 2. ყრილობის მონაწილეები.

συσκοτίζω (*აόρ. συσκότισα, აόρ. παθ. συσκοτίστ(θ)ηκα, μτχ. συσκοτισμένος*) *μετβ.* 1. დაბნელება, ჩაბნელება; 2. *გაღატ.* გაუგებრობის შეტანა, ჩახლართვა.

συσκότιση η 1. დაბნელება, ჩაბნელება; 2. *გაღატ.* გაუგებრობის შეტანა, ჩახლართვა.

συσπειρώνω (*აόρ. συσπείρωσα, აόρ παθ. συσπειρώθηκα, μτχ. συσπειρωμένος*) *μετβ.* 1. შეკვრა, დარაზმვა, გაერთიანება, შემოკრება; 2. დახვევა (სპირალისებურად): *~ το ελατήριο* ზამბარის დახვევა.

συσπείρωση η 1. დახვევა; 2. შეკვრა, დარაზმვა, გაერთიანება, შემოკრება: *η ~ των οπαδών του κόμματος* პარტიის მიმდევართა გაერთიანება.

συσπώμαι (*აόρ. συσπάστηκα, μτχ. συσπασμένος*) *αποθ.*, *αμετβ.* დაჭრუნჩხვა, დამანჭვა.

συσσίτιο το 1. უფასო სადილი; 2. ჯარისაკაცების სადილი.

σύσσωμος, -η, -ο მთელი, ერთიანი.

συσσώρευση η მოგროვება, დაგროვება, შეგროვება.

συσσωρευτής ο *ელექტრ.* 1. ბატარეა; 2. აკუმულატორი; 3. კოლექტორი; ◊ *ηλιακός ~* მზის ენერგიაზე მომუშავე ბატარეა.

συσσωρεύω (*აόρ. συσσώρευσα, აόρ. παθ. συσσωρεύθ(τ)ηκα, μτχ. συσσωρευμένος*) *μετβ.* შეგროვება, მოგროვება, დაგროვება.

συστάδα η შეჯგუფება, ჯგუფი, რიგი: *πυκνή ~ θάμνων* ბუჩქების ხშირი ჯგუფი.

σύσταση η 1. შემადგენლობა, შედგენილობა: *η ~ του φαρμάκου* წამლის შემადგენლობა; 2. შედგენა, შექმნა, დაარსება: *αυτό το πρόβλημα υπάρχει από τη ~ του ελληνικού κράτους* ეს პრობლემა ბერძნული სახელმწიფოს შექმნის დღიდან არსებობს; 3. (*ძირითადად πληθ.*)

გაცნობა, წარდგენა; **4.** რეკომენდაცია, სარეკომენდაციო წერილი: *για την υποτροφία χρειάζεται τις ~ δύο τουλάχιστον καθηγητών* სტიპენდიისათვის სულ მცირე ორი ლექტორის რეკომენდაცია სჭირდება.

συστατικός, -ή, -ό 1. შემადგენელი; **2.** შემქმნელი, დამფუძნებელი; **3.** (τα) შემადგენელი კომპონენტები, შედგენილობა, შემადგენლობა; **4.** სარეკომენდაციო; ◊ *~ή επιστολή* სარეკომენდაციო წერილი, რეკომენდაცია.

συστεγάζομαι (*აόρ. συστεγάσθ(τ)ηκα, μτχ. συστεγασμένος*) *αποθ., αμετβ.* ერთ ჭერქვეშ ცხოვრება, განთავსება.

σύστημα το სისტემა, წყობა; ◊ *κατά ~ / εκ ~τος* თანმიმდევრულად, სისტემურად, სისტემატურად.

συστηματικός, -ή, -ό სისტემატური, თანმიმდევრული; **συστηματικά / συστηματικώς** *επίρρ.* სისტემატურად, სისტემურად, თანმიმდევრულად.

συστηματοποιώ (ε) (*αόρ. συστηματοποίησα, αόρ. παθ. συστηματοποιήθηκα, μτχ. συστηματοποιημένος*) *μετβ.* სისტემაში მოყვანა, სისტემატიზაცია, სისტემატური ხასიათის მიცემა, დახარისხება.

συστήνω (*αόρ. σύστησα, αόρ. παθ. συστήθηκα, μτχ. συστημένος*) *μετβ.* გაცნობა, წარდგენა: *επιτρέψτε μου να σας συστήσω τον μέλλοντα σύζυγό μου* ნება მომეცით წარმოგიდგინოთ ჩემი მომავალი მეუღლე.

συστολή η **1.** შეკუმშვა, დაპატარავება; **2.** *φιλ.* შეკუმშვა; **3.** *ζωολ.* კუმშვა, კეცა; **4.** *ψυχολ.* მორიდება, მორიდებულობა, მორცხვობა, მოკრძალება.

συσφίγγω (*αόρ. συνέσφιξα, αόρ. παθ. συσφίχθηκα, μτχ. συνεσφιγμένος*) *μετβ.* **1.** მოჭერა, წაჭერა; **2.** დაახლოება, განმტკიცება (ურთიერთობის).

σύσφιξη η **1.** მოჭერა, წაჭერა, შეკუმშვა; **2.** დაახლოება, განმტკიცება: *οι υπουργοί Εξωτερικών εργάζονται για τη ~ των σχέσεων των δύο χωρών* საგარეო საქმეთა მინისტრები ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის განმტკიცების საკითხზე მუშაობენ; ◊ *~ προσώπου / σώματος* სახის / სხეულის (კანის) დაჭიმვა.

συσχετίζω (*αόρ. συσχέτισα, αόρ. παθ. συσχετίστ(θ)ηκα, μτχ. συσχετισμένος*) *μετβ.* შეპირისპირება, შედარება, დაკავშირება: *συσχέτισαν το χθεσινό έγκλημα με ένα παλαιότερο* გუშინდელი დანაშაული ძველ დანაშაულს დაუკავშირეს.

συσχετισμός ο **(συσχέτιση** η**) 1.** შეპირისპირება, შედარება, დაკავშირება; **2.** თანაფარდობა, შეფარდება.

σύφιλη η *მედ.* სიფილისი.

συφιλιδικός, -ή, -ό 1. სიფილისის, სიფილისთან დაკავშირებული; **2.** (ο/η) სიფილისით დაავადებული.

συφορά η *იხ.* **συμφορά**.

συχνά *επίρρ.* ხშირად; ◊ *πόσο ~* რა სიხშირით, რამდენად ხშირად, *~ πυκνά* ხშირად, ბევრჯერ.

συχνάζω (*αόρ. σύχνασα*) *αμετβ.* ხშირად ყოფნა, ხშირად სიარული, მოხშირება.

συχνός, -ή, -ό ხშირი.

συχνότητα η სისშირე: *η ~ των επισκέψεών του* მისი ვიზიტების სიხშირე.

συχώρεση η *იხ.* **συγχώρηση**.

συχωριανός, -ή, -ό *იხ.* **συγχωριανός**.

συχώριο το (*πληθ. არ გააჩნია*) *ხალხ.* ცოლქების მონანიება.

συχωρ(ν)ώ *იხ.* **συγχωρώ**.

σφαγείο το *პირდ., გადატ.* სასაკლაო.

σφαγή η **1.** ხოცვა; **2.** დაკვლა; **3.** ხოცვა-ჟლეტა: *η μαζική ~* მასობრივი ხოცვა-ჟლეტა.

σφάζω (*აბრ. έσφαξα, აბრ. παθ. σφάχτηκα, მიჯ. σφαγμένος*) *მეტბ.* **1.** დაკვლა; **2.** დახოცვა, ჟლეტა; **3.** *გადატ.* ტკენა, დაჭრა, განგმირვა: *τον έσφαξε με τα μάτια της* მზერით განგმირა; ◊ *~ με το μπαμπάκι* მწვაველად ვაკრიტიკებ.

σφαίρα η **1.** *გეომ.* სფერო; **2.** სფერო, ბურთი; **3.** *სპორტ.* ა) ბირთვი, ბ) ბირთვის კვრა: *είναι πρωταθλητής στη ~* ჩემპიონია ბირთვის კვრაში; **4.** ტყვია; **5.** სფერო: *αυτά που λες ανήκουν στη ~ της φαντασίας* ის, რასაც ამბობ, ფანტაზიის სფეროს განეკუთვნება.

σφαιρικός, -ή, -ό სფეროსებური, მრგვალი.

σφαιροβολία η (*პლთ. არ გააჩნია*) *სპორტ.* ბირთვის ტყორცნა.

σφαιροβόλος ο/η *სპორტ.* ბირთვის მტყორცნელი.

σφαλιάρα η სილა.

σφάλλω (*აბრ. έσφαλα, მიჯ. εσφαλμένος*) *ამეტბ.* შეცდომა, შეცდომის დამვება.

σφάλμα το **1.** შეცდომა; **2.** *მათ.* ცდომილება.

σφεντόνα η შურდული; ◊ *φεύγω ~* სწრაფად მივდივარ, შურდულივით გავარდები.

σφετερίζομαι (*აბრ. σφετερίστ(θ)ηκα, მიჯ. σφετερισμένος*) *აპოზ., მეტბ.* მითვისება, დაუფლება, დაპყრობა, უზურპაცია.

σφετερισμός ο მითვისება, დაუფლება.

σφετεριστής ο. **-τρια** η მიმტაცებელი, მიმთვისებელი, უზურპატორი.

σφήκα η კრაზანა, ბზიკი.

σφήνα η *პირდ., გადატ.* სოლი.

σφηνοειδής, -ής, -ές (*გენ. -ούς. პლთ. არს. და θηλ. -είς, ουδ. -ή*) სოლისებრი, სოლის მაგვარი; ◊ *~ γραφή* ლურსმული დამწერლობა.

σφηνώνω (*აბრ. σφήνωσα, აბრ. παθ. σφηνώθηκα, მიჯ. σφηνωμένος*) *მეტბ., ამეტბ.* ჩაჭედვა, გაჭედვა: *σφήνωσε στον φράχτη και δεν μπορούσε να βγει* ღობეში გაიჭედა და ვეღარ გამოდიოდა.

σφίγγω (*აბრ. έσφιξα, აბრ. σφίχτηκα, მიჯ. σφιγμένος*) *მეტბ., ამეტბ.* **1.** მოჭერა, დაჭერა: *η ζώνη ~ει το παντελόνι στη μέση* ქამარი შარვალს წელზე ეჭირება; **2.** დაწოლა; **3.** შეკერა, დაჭიმვა: *κρέμα που ~ει τους χαλαρωμένους μηρούς* კრემი, რომელიც მოშვებულ კუნთებს ჭიმავს; **4.** გაჭედვა (ეკონომიკური თვალსაზრისით): *έχω σφιχτεί τώρα τελευταία και δεν ξέρω πού να βρω λεφτά* ბოლო დროს ძალიან გავიჭედე და არ ვიცი, ფული სად ვიშოვო; ◊ *~ στην αγκαλιά μου* ვიხუტებ, *~ το χέρι* ხელს ვართმევ, *~ το ζωνάρι* ხარჯებს ვამცირებ, *~εται η καρδιά μου* გული მიწუხს, *~ τα χείλη* ტუჩებს ვკუმავ, *~ τα δόντια* კბილს კბილზე ვაჭერ, *~ τη γροθιά* მუშტს ვკრავ, *~ουν οι ζέστες* სიცხემ მოუჭირა.

σφίξιμο το მოჭერა, დაჭერა.

σφιχτός, -ή, -ό **1.** მოჭერილი, მომდგარი, მჭიდრო; **2.** შეკრული, სქელი; **3.** *გადატ.* ხელმომჭირნე.

σφόδρα *επίρρ., მოძ.* ძალიან, ზედმეტად, გადაჭარბებულად: *~ ερωτευμένος* ძალიან შეყვარებული.

σφοδρός, -ή, -ό ძლიერი, მძაფრი, მკვეთრი.

σφοδρότητα η სიძლიერე, სიმძაფრე, სიმკვეთრე.

σφολιάτα η (*γεν. πληθ. არ გააჩნია*) ფენოვანი ცომის ფირფიტა.

σφουγγαράς ο (*πληθ. -άδες*) **1.** ღრუბლის მომპოვებელი; **2.** ღრუბლით მოვაჭრე.

σφουγγάρι το ღრუბელი; ◊ *ρουφά σα ~* ღრუბელივით ისრუტავს, *πίνω σα ~* ბევრს ვსვამ.

σφουγγαρίζω (*აόρ. σφουγγάρισα, აόρ. παθ. σφουγγαρίστηκα, μτχ. σφουγγαρισμένος*) *μετβ., αμετβ.* ღრუბელით გაწმენდა, მოწმენდა.

σφραγίδα η **1.** ბეჭედი, შტამპი; **2.** *გადატ.* კვალი, დაღი: *ο χρόνος άφησε τη ~ στο έργο του* დრომ კვალი დაატყო მის შემოქმედებას; ◊ *βάζω τη ~ μου* სიტყვას ვამბობ, წელილი შემაქვს, კვალს ვტოვებ.

σφραγίζω (*აόρ. σφράγισα, აόρ. παθ. σφραγίστηκα, μτχ. σφραγισμένος*) *μετβ.* **1.** ბეჭდის დარტყმა; **2.** დაპლომბვა, პლომბის დადება, დალუქვა, ლუქის დადება; *გადატ.* **3.** კვალის დატოვება, დაღის დასმა; **4.** *მედ.* დაპლომბვა; ◊ *~ το στόμα μου* პირს არ ვაღებ, ხმას არ ვიღებ.

σφράγιση η დალუქვა.

σφραγιστός, -ή, -ό **1.** ბეჭედდარტყმული; **2.** დაპლომბილი, დაბეჭდილი.

σφριγηλός, -ή, -ό ცოცხალი, სიცოცხლით აღსავსე, მხნე, ძლიერი.

σφρίγος το (*πληθ. არ გააჩნია*) მხნეობა, სიძლიერე, ცხოველსუნარიანობა.

σφυγμός ο *პირდ., გადატ.* პულსი, მაჯისცემა.

σφύζω (*მხოლოდ ενεστ. და παρατ.*) *αμετβ.* **1.** ცემა, ფეთქვა, ჩქეფა; **2.** სიცოცხლის ღუღილი, სიცოცხლის ჩქეფა.

σφυρηλατώ (ε) (*აόρ. σφυρηλάτησα, აόρ. παθ. σφυρηλατήθηκα, μτχ. σφυρηλατημένος*) *μετβ., პირდ., გადატ.* გამოჭედვა.

σφυρί το ჩაქუჩი; ◊ *βγάζω / βγαίνω στο ~* აუქციონზე ვყიდი.

σφύριγμα το **1.** სტვენა; **2.** სტვენის, საყვირის ხმა, მსაჯის სასტვენის ხმა.

σφυρίζω (*აόρ. σφύριξα, აόρ. παθ. σφυρίχθ(τ)ηκα, μτχ. σφυριγμένος*) *αμετβ.* სტვენა.

σφυρίχτρα η სასტვენი, საყვირი.

σφυρό το (*πληθ. არ გააჩნია*) კოჭი.

σφυροκοπώ (ε) (*აόρ. σφυροκόπησα, აόρ. παθ. σφυροκοπήθηκα, μτχ. σφυροκοπημένος*) *μετβ.* **1.** ჭედვა, გამოჭედვა; **2.** *გადატ.* ძლიერი დარტყმა, თაედასხმა.

σχάρα (σκάρα) η (*γεν. πληθ. არ გააჩνია*) გრილი: *κοτόπουλο στη ~* გრილზე შემწვარი წიწილა.

σχεδιάγραμμα το **1.** ნახაზი; **2.** გეგმა.

σχεδιάζω (*აόρ. σχεδίασα, აόρ. παθ. σχεδιάστηκα, μτχ. σχεδιασμένος*) *μετβ.* **1.** ჩანახატის, ესკიზის გაკეთება; **2.** პროექტირება, დაპროექტება, თარგის, მოდელის შექმნა; **3.** დაგეგმვა, დაპირება: *σχεδιάζαμε να ταξιδέψουμε στην Ευρώπη, αλλά δεν τα καταφέραμε* ევროპაში მოგზაურობას ვაპირებდით, მაგრამ არ გამოგვეიდა.

σχεδίασμα το **1.** ნახაზი; **2.** ესკიზი, მონახაზი.

σχεδιαστής ο, **-τρια** η დიზაინერი.

σχέδιο το **1.** ესკიზი, ჩანახატი; **2.** ორნამენტი, ფიგურები: *υφάσματα σε ποικιλία χρωμάτων και ~ίων* ფერებითა და ორნამენტებით მდიდარი ქსოვილი; **3.** გეგმა, მონახაზი, პირველადი ვარიანტი; **4.** ნახაზი, გეგმა; **5.** გეგმა, პროგრამა; ◊ *~*

(πόλεως) / (πολεοδομικό) ~ ქალაქის დაგეგმარება, ~ *πτήσεως* ფრენის განრიგი.

σχεδόν *επίρρ.* თითქმის.

σχέση η **1.** კავშირი, ურთიერთობა; **2.** სასიყვარულო ურთიერთობა, კავშირი; ◊ *καμία* ~ არანაირი კავშირი, *σε* ~ *με* შედარებით, *δημόσιες* ~*εις* საზოგადოებრივი ურთიერთობები.

σχετικός, -ή, -ό 1. დაკავშირებული: *συζητήθηκαν θέματα* ~*ά με την οικολογική κρίση* განხილულ იქნა ეკოლოგიურ კრიზისთან დაკავშირებული საკითხები; **2.** მესაბამისი: *η* ~*ή συμφωνία υπεγράφη πρόσφατα* შესაბამის ხელშეკრულებას ახლახანს მოეწერა ხელი; **3.** შეფარდებითი, ფარდობითი: *το ιδανικό βάρος είναι* ~*ό με το ύψος* ადამიანის იდეალური წონა მისი სიმაღლის ფარდობითი უნდა იყოს; ◊ *φιλοσ. (το) σχετικό* ფარდობითობა; **σχετικά / σχετικώς** *επίρρ.* დაკავშირებით.

σχετικότητα η (*πληθ. არ გააჩნია*) ფარდობითობა; ◊ *φισ. θεωρία* ~*ς* ფარდობითობის თეორია.

σχήμα το **1.** ფორმა, ფიგურა; **2.** მონახაზი; **3.** *გადატ.* განლაგება, დაწყობა, წყობა, შემადგენლობა: *ανακοινώθηκε το νέο* ~ *της κυβέρνησης* მთავრობის ახალი შემადგენლობა გამოცხადდა; **4.** სქემა, ჩარჩო; ◊ *(γεωμετρικό)* ~ გეომეტრიული ფიგურა.

